

# **საბაზასახადო**

## **დავით**

კრეპულშიგამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:  
[http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

## **1. გადასახადის დარიცხვის კანონიერება**

### **საშემოსავლო გადასახადის დარიცხვის კანონიერება**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

№ბს-426-421(კ-12)

18 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ნაწილობრივ ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2011 წლის 13 ივნისს ა. ტ-ამ სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიას, მოპასუხების – საქართველოს ფინანსთა  
სამინისტროს და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგი-  
ონული ცენტრის 2010 წლის 17 დეკემბრის №209 საგადასახა-  
დო მოთხოვნის, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 13  
ივნისის №29 საგადასახადო მოთხოვნის, სსიპ შემოსავლების  
სამსახურის 2011 წლის 4 მაისის №2194 ბრძანების და საქარ-  
თველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს  
2011 წლის 27 ივნისის №238/11 გადაწყვეტილების ნაწილობრივ  
ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, მას სარევიზიო პერიოდში  
(01.04.2005-01.05.2009) საერთოდ არ ნარმოშობია როგორც დეკ-  
ლარირების, ისე საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდე-  
ბულება, შესაბამისად, მოსარჩელის მოსაზრებით უკანონოა მის  
მიმართ ნარდგენილი საგადასახადო მოთხოვნები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 2011 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა.  
ტ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ ფოთის რეგიონული ცენტრის  
(საგადასახადო ინსპექციის) უფროსის 2009 წლის 29 ივნისის

№83 ბრძანების საფუძველზე, იმავე საგადასახადო ინსპექციაში ჩატარა ფიზიკური პირის – ა. ტ-ას საქმიანობის კამერალური საგადასახადო შემოწმება; შემოწმება დაიწყო 2009 წლის 29 ივლისს და დასრულდა 2009 წლის 7 აგვისტოს; შემოწმება შეეხმ 2005 წლიდან 2009 წლის მაისის თვემდე საანგარიშო პერიოდში იჯარით მიღებული შემოსავლის თაობაზე საკითხს. შემოწმების შედეგად შედგა 2009 წლის 7 აგვისტოს კამერალური საგადასახადო შემოწმების აქტი, რომლის თანახმად, შემმოწმებელმა მიიჩნია, რომ ა. ტ-ას უნდა დარიცხვოდა სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელად დამატებით თანხები ორი სახეობის გადასახადში – საშემოსავლო გადასახადში და დღგ-ში; მასვე უნდა დარიცხვოდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 130-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა 200 ლარის ოდენობით.

დადგენილია, რომ ა. ტ-ა ფოთის საგადასახადო ინსპექციაში გადასახადის გადამხდელად დარეგისტრირდა 2007 წლის ნოემბრის თვითზე; შემმოწმებლის აზრით, მოსარჩევეს ასეთი რეგისტრაციის ვალდებულება წარმოეშვა 2005 წლიდან.

ფიზიკური პირი – ა. ტ-ა წარმოადგენს შპს „...“ ერთადერთ დამფუძნებელს.

ფიზიკური პირი – ა. ტ-ა საკუთრების უფლებით ფლობს უძრავ ნივთს – ქ. ფოთში, ... ქ. №11-ში მდებარე შენობასა და მის მიმდებარე 1178 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთს.

ფიზიკურ პირს – ა. ტ-ასა და შპს „...“ შორის 2005 წლიდან დადებული იჯარის ხელშეკრულების თანახმად, ა. ტ-ას ამ იურიდიულ პირზე იჯარით აქვს გადაცემული ზემოხსენებული შენობა მისი მიმდებარე მიწის ნაკვეთთან ერთად; შეთანხმების თანახმად, იჯარით აღებული ქონებით სარგებლობის სანაცვლოდ შპს „...“ კისრულობს ვალდებულებას ა. ტ-ას ნაცვლად გადაიხადოს ქონებისა და მიწის გადასახადები.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით შემმოწმებელმა მიიჩნია, რომ ფიზიკური პირი – ა. ტ-ა და შპს „...“ წარმოადგენნ ურთიერთდამოკიდებულ პირებს, რამაც გავლენა მოახდინა გარიგების შედეგებზე; შემმოწმებელმა უძრავი ქონების სააგენტოს „...“ მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაადგინა ა. ტ-ას მიერ მისაღები იჯარის ქირის საბაზრო ფასი და ამ უკანასკნელის გათვალისწინებით გამოიანგარიშა ფიზიკური პირის – ა. ტ-ას 2005, 2006, 2007, 2008 წლის, აგრეთვე 2009 წლის აპრილამდე პერიოდის ერთობლივი შემოსავლის ოდენობები და ეს უკანასკნელები დაბეგრა საშემოსავლო გადასახადით.

შემმოწმებელმა ასევე მიიჩნია, რომ ა. ტ-ას ევალებოდა სა-შემოსავლო გადასახადის დეკლარაციების წარდგენა, ხოლო მა-თი წარუდგენლობისთვის მას უნდა დაკისრებოდა საქართვე-ლოს საგადასახადო კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინე-ბული ჯარიმა 6 627 ლარის ოდენობით.

დადგენილია, რომ ა. ტ-ა არ არის რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელად; იმის გათვალისწინებით, რომ ა. ტ-ას უწყვეტი თორმეტი თვის მანძილზე მიღებულმა დღგ-თ დასაბეგრი ოპე-რაციის ჯარიმა შეადგინა 2006 წლის 31 იანვრის მდგომარეობით 102 660 ლარი, შესაბამისად, შემმოწმებელმა მიიჩნია, რომ მო-სარჩელე დღგ-ს გადამხდელად ითვლება 2006 წლის 1 თებერ-ვლიდან; ამ ფაქტორის გათვალისწინებით, შემმოწმებელმა მო-სარჩელეს 2006, 2007, 2008 და 2009 წლების მიხედვით დაარიც-ხა დღგ-ს თანხები; მასვე დააკისრა საქართველოს საგადასახა-დო კოდექსის 139-ე და 140-ე მუხლებით გათვალისწინებული ჯარიმების თანხები.

სასამართლომ დაადგინა, რომ ფოთის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2009 წლის 7 აგვისტოს კამერალუ-რი საგადასახადო შემმოწმების აქტის საფუძველზე იმავე რეგი-ონულმა ცენტრმა ფიზიკური პირის – ა. ტ-ას მიმართ გამოსცა 2009 წლის 12 აგვისტოს №139 ბრძანება, რომლის თანახმად, მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახ-დელად დაეკისრა დამატებითი თანხები; ხოლო აღნიშნული ბრძანების საფუძველზე ა. ტ-ას გაეგზავნა და ჩაბარდა 2009 წლის 12 აგვისტოს №41-103 „საგადასახადო მოთხოვნა“, რომ-ლის თანახმად, მოსარჩელეს დაეკისრა გადასახდელად: ა) დღგ-ში – 297 408.85 ლარი (აქედან 99 430 ლარი – გადასახადის ძირი-თაღი თანხა, 154 793 ლარი – ჯარიმა, ხოლო 43 185.85 ლარი – საურავი), ბ) საშემოსავლო გადასახადში – 136 160.28 ლარი (აქე-დან 73 218 ლარი – გადასახადის ძირითადი თანხა, 34 653 ლარი – ჯარიმა, 28 289.28 ლარი – საურავი), გ) ჯარიმა (გათვალისწი-ნებული საგადასახადო კოდექსის 130-ე მუხლით) – 200 ლარი.

სასამართლომ გამოარკვია, რომ ა. ტ-ამ 2009 წლის 2 სექ-ტემბერს წარდგენილი საჩივრით შემოსავლების სამსახურში გა-ასაჩივრა ფოთის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექ-ციის) 2009 წლის 12 აგვისტოს №41-103 „საგადასახადო მოთ-ხოვნა“. მოსარჩელემ სადავო გახადა ორივე სახის გადასახადში (საშემოსავლო გადასახადი, დღგ) თანხების დარიცხვის კანო-ნიერების საკითხი. შემოსავლების სამსახურმა 2009 წლის 7 ოქ-ტომბრის №3429 ბრძანებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა ა. ტ-ას საჩივრი; კერძოდ, ფოთის რეგიონულ ცენტრს (საგადასახა-

დო ინსპექციას) დაევალა ქ. ფოთში, ... ქ. №11-ში განთავსებული ფიზიკური პირის – ა. ტ-ას კუთვნილი შენობისა და მისი მიმდებარე მიწის ფართის იჯარის საბაზრო ფასის განსაზღვრის მიზნით სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტის ეროვნული ბიუროსთვის მიმართვა, ამ საექსპერტო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საბაზრო ფასის საფუძველზე კამერალური საგადასახადო შემონმების აქტით დარიცხული თანხების გადაანგარიშება და შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელისთვის ახალი, შესწორებული საგადასახადო მოთხოვნის წარდგენა.

სასამართლომ დაადგინა, რომ შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგიონული ცენტრის მიმართვის საფუძველზე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტის ეროვნულმა ბიურომ“ 2010 წლის 15 ოქტომბერს შეადგინა №14850/10/1 ექსპერტის დასკვნა ქ. ფოთში, ... ქ. №11-ში განთავსებული ა. ტ-ას კუთვნილი შენობისა და მისი მიმდებარე მიწის ფართის იჯარის საბაზრო ფასის თაობაზე. აღნიშნული დასკვნის გათვალისწინებით, ფოთის რეგიონულმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექციამ) ხელახლა შეისწავლა ფიზიკური პირის – ა. ტ-ას მიმართ საშემოსავლო გადასახადში და დღგ-ში გადასახადების დარიცხვის საკითხი ისე, რომ მოხდა ფოთის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2009 წლის 7 აგვისტოს კამერალური საგადასახადო შემონმების აქტის საფუძველზე დარიცხული თანხების შემცირება; დადგენილია, რომ თანხების გადაანგარიშების შედეგად მოსარჩევეს საერთოდ მოეხსნა ერთი სახეობის გადასახადში – დღგ-ში დარიცხული ძირითადი თანხა, საურავი და ჯარიმა (ჯარიმები); საკითხის ხელახლი შესწავლის შედეგები აისახა ფოთის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 9 დეკემბრის დასკვნაში. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე კი ფოთის რეგიონულმა ცენტრმა ფიზიკური პირის – ა. ტ-ას მიმართ გამოსცა 2010 წლის 9 დეკემბრის №2-51953 ბრძანება თანხების გადაანგარიშებისა და დარიცხვის (შემცირების) თაობაზე; იმავე საგადასახადო ორგანომ ა. ტ-ას გაუგზავნა 2010 წლის 12 დეკემბრის №209 „საგადასახადო მოთხოვნა“, რომლის თანახმადაც მოსარჩევეს საშემოსავლო გადასახადში გადასახდელად დაეკისრა ა) გადასახადის ძირი თანხა – 15 399.00 ლარი, ბ) ჯარიმა – 7 484.00 ლარი და გ) საურავი – 2 092.00 ლარი; მასვე დაეკისრა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 130-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა – 200 ლარი; სასამართლომ დაადგინა, რომ 2010 წლის 12 დეკემბრის №209 „საგადასახადო მოთხოვნით“ ფაქტიურად შემცირდა იმა-

ვე საგადასახადო ორგანოს 2009 წლის 12 აგვისტოს №41-103 „საგადასახადო მოთხოვნით“ დარიცხული თანხები.

ა. ტ-ამ შემოსავლების სამსახურში გაასაჩივრა ფოთის რეგი-ონული ცენტრის 2010 წლის 17 დეკემბრის №209 „საგადასახა-დო მოთხოვნა“. შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 4 მაისის №2194 ბრძანებით ნაწილობრივ დაკამაყოფილდა მოსარჩევის საჩივარი; კერძოდ, შემოსავლების სამსახურის აუდიტის დე-პარტამენტს დაევალა საშემოსავლო გადასახადის ნაწილში ა. ტ-ას ვალდებულებების განსაზღვრა მისი გადასახადის გადამ-ხდელად რეგისტრაციის თარიღიდან, მასვე დაევალა საქართვე-ლოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლით გათვალისწინე-ბული შეღავათის გავრცელების საკითხის გადაწყვეტა იმის მი-ხედვით, ნარადგენდა თუ არა მომავალში ა. ტ-ა საგადასახადო ორგანოში ინვალიდობის დამადასტურებელ საბუთს (ბრძანე-ბის მე-2 პუნქტი); ამავე ბრძანებით აუდიტის დეპარტამენტს დაევალა ამ ბრძანების მე-2 პუნქტის შესრულების შედეგების გათვალისწინებით ა. ტ-ასთვის შესრორებული „საგადასახადო მოთხოვნის“ ნარდგენა (ბრძანების მე-3 პუნქტი); შემოსავლე-ბის სამსახურმა მოსარჩევის საჩივარი შემოსავლის აღრიცხვის მეთოდის (კვლილებასთან დაკავშირებით საკითხის ნაწილში და-ტოვა განუხილველი (ბრძანების მე-4 პუნქტი); შემოსავლების სამსახურმა თავისი 2011 წლის 4 მაისის №2194 ბრძანებით მო-სარჩევის საჩივარი დანარჩენ ნაწილში არ დაკამაყოფილა (ბრძა-ნების მე-5 პუნქტი). შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 4 მაისის №2194 ბრძანების საფუძველზე შემოსავლების სამსა-ხურის აუდიტის დეპარტამენტმა 2011 წლის 12 ივლისს გამოს-ცა №1369 ბრძანება, რომლითაც მოსარჩევეს საშემოსავლო გა-დასახადში დარიცხული ძირი თანხა შეუმცირდა 9 956 ლარით, ხოლო ჯარიმის თანხა – 5 911 ლარით.

სასამართლომ დაადგინა, რომ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2011 წლის 12 ივლისის №1369 ბრძა-ნების საფუძველზე, იმავე აუდიტის დეპარტამენტმა მოსარ-ჩელეს გაუგზავნა 2011 წლის 13 ივლისის №29 „საგადასახადო მოთხოვნა“, რომლითაც განხორციელდა ფოთის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 12 დეკემბრის №209 „საგადასახადო მოთ-ხოვნის“ კორექტირება იმ მხრივ, რომ შემცირდა ამ საგადასა-ხადო მოთხოვნით დარიცხული საშემოსავლო გადასახადის ძი-რი თანხა 9 956 ლარით (15 399.00 ლარს – 9 956 ლარი) და ჯარი-მის თანხა 5 911 ლარით (7 484.00 ლარს – 5 911 ლარი).

ა. ტ-ამ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 4 მაისის №2194 ბრძანება და ფოთის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 17 დე-

კემბრის №209 „საგადასახადო მოთხოვნა“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში გაასაჩივრა, რომლის 2011 წლის 27 ივნისის №2382/2/11 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით ა. ტ-ას საჩივარი საშემოსავლო გადასახადის გადახდის ნაწილში დარჩა განუხილველი; იმავე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით შემოსავლის აღრიცხვის მეთოდის ცვლილებასთან დაკავშირებით საკითხის ნაწილში საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გადაწყვეტილების მე-3 პუნქტით ძალაში დარჩა შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 4 მაისის №2194 ბრძანება.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის ორი არგუმენტი, კერძოდ, 1) არგუმენტი იმის შესახებ, რომ იგი შემოსავლების აღრიცხვის დროს იყენებს საკასო მეთოდს (და არა დარიცხვის მეთოდს), აგრეთვე 2) არგუმენტი იმის შესახებ, რომ გადასახადების გადახდის ვალდებულება ეკისრება შპს „...“, როგორც საგადასახადო აგენტს და არა მას, უკავშირდება და საფუძვლად უდევს მოსარჩელის პიზიციას მასზე, რომ მას საერთოდ არ ევალება საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე საშემოსავლო გადასახადის (07.08.2009 წლის კამერალური საგადასახადო შემოწმების აქტიდან გამომდინარე საშემოსავლო გადასახადის) გადახდის ვალდებულება.

სასამართლომ განმარტა, რომ ა. ტ-ას და შპს „...“ შორის დადებული იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულების მოსარჩელისთვის დაკისრების საკითხი გადაწყდა ჯერ კიდევ 2009 წლის 7 აგვისტოს კამერალური საგადასახადო შემოწმების აქტით, ამ აქტის საფუძველზე გამოცემული ფოთის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 12.08.2009 წლის №139 ბრძანებითა და 12.08.2009 წლის №41-103 „საგადასახადო მოთხოვნით“.

საყურადღებოა, რომ თავად მოსარჩელემ 12.08.2009 წლის №41-103 „საგადასახადო მოთხოვნის“ გამო საგადასახადო ორგანოთა სისტემაში წარდგენილი საჩივარი დაასაბუთა ორ მოტივზე მითითებით; კერძოდ, პირველი მოტივი იყო ის, რომ საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ერთობლივი შემოსავლის საერთო რაოდენობა, ანუ იჯარის ქირის საბაზრო ფასი გამოთვლილი იყო არასწორად, შემმოწმებელმა დაადგინა და გამოანგარიშების დროს გამოიყენა იჯარის ქირის არარეალურად მაღალი საბაზრო ფასი; მეორე მოტივი იყო ის, რომ მოსარჩელე შემოსავლების აღრიცხვას ანარმოებდა საკასო მეთოდით, რომ მას საერთოდაც არ ევალებოდა ამ საფუძვლით საშემოსავლო გადასახადის გადახდა.

სასამართლოს განმარტებით, შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 7 ოქტომბრის №3429 ბრძანების ანალიზი ცხადყოფს, რომ საჩივრის განმხილველმა ორგანომ ფაქტიურად ნაწილობრივ გაიზიარა ა. ტ-ას საჩივრის მოტივაცია; კერძოდ, შემოსავლების სამსახურმა, ა. ტ-ას საჩივრიდან გამომდინარე ეჭვქვეშდააყენა საიჯარო ქირის საპაზრო ფასი, აქედან გამომდინარე – თავად ა. ტ-ას ერთობლივი შემოსავლის საერთო ოდენობები ნლების მიხედვით და აქედან გამომდინარე – საბოლოოდ გამოანგარიშებული საშემოსავლო გადასახადისა და დღვ-ს ოდენობები; ამასთან, შემოსავლების სამსახურმა მიიჩნია, რომ დარიცხვა უნდა მოხდარიყო, მაგრამ არა იმ ოდენობით, როგორც ეს ასახული იყო 2009 წლის 7 აგვისტოს კამერალური საგადასახადო შემოწმების აქტში, ამ აქტის საფუძველზე გამოცემულ ფოთის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 12.08.2009 წლის №139 ბრძანებასა და 12.08.2009 წლის №41-103 „საგადასახადო მოთხოვნაში“.

სასამართლოს განმარტებით, ის ფაქტი, რომ მოსარჩელებ შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 7 ოქტომბრის №3429 ბრძანების გამოცემის შემდგომ აღარ გააგრძელა საგადასახადო დავა არც დავების განხილვის საბჭოში და არც სასამართლოში, ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელე ფაქტიურად დაეთანხმა საშემოსავლო გადასახადის დარიცხვის პრინციპს, სადაც და გამოსარკვევი იყო მხოლოდ დარიცხული გადასახადების ოდენობა; აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო დაეთანხმა მოპასუხე მხარის პოზიციას და მიიჩნია, რომ მოსარჩელე ა. ტ-ას დავის გაგრძელების მომდევნო ეტაპებზე შეეძლო ედავა ახალი საგადასახადო მოთხოვნების – 2010 წლის 12 დეკემბრის №209 „საგადასახადო მოთხოვნისა“ და 2011 წლის 13 ივლისის №29 „საგადასახადო მოთხოვნის“ კანონიერებაზე მხოლოდ დარიცხული საშემოსავლო გადასახადის (ძირი თანხის, საურავის, ჯარიმის) ოდენობის ჭრილში, მაგრამ არა საშემოსავლო გადასახადის დარიცხვის პრინციპის კანონიერების ჭრილში.

აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ შემოსავლების სამსახურის პოზიცია შემოსავლის აღრიცხვის მეთოდთან დაკავშირებით, რაც ასახულია 2011 წლის 4 მაისის №2194 ბრძანებაში, კანონიერია.

კერძოდ, 2010 წლის რედაქციის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 301-ე მუხლის „ზ“ პუნქტის თანახმად, დავის განმხილველი ორგანო საჩივრას არ განიხილავს, თუ არსებობს იმავე მომჩინენის მიმართ იმავე დავის საგანზე იმავე ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. სასამართლოს მითითებით, შე-

მოსავლების სამსახურის 2009 წლის 7 ოქტომბრის №3429 ბრძანება წარმოადგენს იმავე მომჩივანის – ა. ტ-ას მიმართ იმავე დავის საგანზე (დავის საგანია იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საშემოსავლო გადასახადის დარიცხვის პრინციპი) იმავე ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რაც იმას ნიშნავს, რომ 2010 წლის 12 დეკემბრის №209 „საგადასახადო მოთხოვნის“ გამო შემოსავლების სამსახურში წარდგენილი საჩივრის განხილვის დროს შემოსავლების სამსახური აღარ იყო უფლებამოსილი შეემონმებინა მომჩივანის – ა. ტ-ას საჩივრის იგივე მოტივი – ანუ შემოსავლის აღრიცხვის მეთოდის გათვალისწინებით იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საშემოსავლო გადასახადის დარიცხვის დაუშვებლობის, დარიცხვის უკანონობის მოტივი, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილი იყო, შეემონმებინა რამდენად სწორად, სრულყოფილად აღსრულდა შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 7 ოქტომბრის №3429 ბრძანება, ანუ რამდენად სწორად და კანონიერად მოხდა დარიცხული საშემოსავლო გადასახადის თანხების შემცირება.

სასამართლოს მითითებით, აღსანიშნავია, რომ მოსარჩევის საჩივრის მეორე არგუმენტი მასზედ, რომ იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება გააჩნდა შპს „...“, როგორც საგადასახადო აგენტს და არა მას, როგორც ფიზიკურ პირს, დავების განმხილველმა ორივე ადმინისტრაციულმა ორგანომ (შემოსავლების სამსახურმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭომ) ფაქტიურად გაიზიარა კიდეც და ეს გაზიარება ასახეს თავიანთ გადაწყვეტილებებში (2011 წლის 4 მაისის №2194 ბრძანებაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2011 წლის 27 ივნისის №2382/2/11 გადაწყვეტილებაში); კერძოდ, მოპასუხე მხარემ ა. ტ-ა გაათავისუფლა საშემოსავლო გადასახადის გადახდის ტვირთისგან მისი, როგორც გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირის, საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის მომენტამდე, ანუ 2007 წლის 12 ნოემბრამდე.

აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ სრულად გაიზიარა რა მოპასუხე მხარის ეს მოსაზრება, მიუთითა შემდეგზე: 2004 წლის რედაქციის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 165-ე მულხის „ა“ პუნქტით დადგენილია, რომ საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია: რეზიდენტი ფიზიკური პირი; ამავე კოდექსის 166-ე მულხის 1-ლი ნაწილით თანახმად, რეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობი-

ექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის; 175-ე მულხის „კ“ პუნქტით განსაზღვრულია, რომ ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს მიეკუთვნება: ლიზინგით, უზუფრუქტით, იჯარით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით გაცემული ქონებიდან მიღებული შემოსავლები; 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია: ამ კოდექსით დადგენილი წესით აღრიცხვაზე დადგეს შესაბამის საგადასახადო ორგანოში ან დარეგისტრირდეს მენარმეთა და არასამერნარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; მე-100 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი (მათ შორის, მეწარმე ფიზიკური პირი) ვალდებულია ამ კოდექსით გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობის დაწყებამდე, გარდა ისეთი ეკონომიკური საქმიანობისა, რომლის შედეგად მიღებული შემოსავალი ამ კოდექსის მიხედვით იძეგრება წყაროსთან ან განთავისუფლებულია დაბეგვრისაგან, განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების მიზნით; 2018-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად, გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალება საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, სანარმო/ორგანიზაცია ან მენარმე ფიზიკური პირი, კერძოდ: სანარმო/ორგანიზაცია ან მენარმე ფიზიკური პირი, რომელიც განეული მომსახურების ღირებულებას უნაზღაურებს ფიზიკურ პირს, რომელსაც არ გააჩნია გადასახადის გადამხდელის მოწმობა.

სასამართლოს მითითებით, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე ა. ტ-ა საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელად დარეგისტრირდა 2007 წლის 12 ნოემბერს, დასახელებულ თარიღამდე მოსარჩელის კუთვნილი საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშებისა და სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის ვალდებულება გააჩნდა შემოსავლის გამცემს, იგივე საგადასახადო აგენტს – შპს „...“, რაც იმას ნიშნავს, რომ იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საშემოსავლო გადასახადის გადაუხდელობისთვის პასუხისმგებლობა ა. ტ-ას არ უნდა დაეკისროს 2007 წლის 12 ნოემბრამდე პერიოდში; მაგრამ მას მერე, რაც თავად მოსარჩელე დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში, როგორც გადასახადის გადამხდელი, რეგისტრაციის მომენტიდან სწორედ მას (მოსარჩელეს) წარმოექვა

კუთვნილი გადასახადების დეკლარირებისა და სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება.

სასამართლოს განმარტებით, 2005 წლის 10 თებერვალს ა. ტ-ასა და შპს „...“ შორის დადებული იჯარის ხელშეკრულების ანალიზი ცხადყოფს, რომ იჯარით გაცემული ქონების სანაცვლოდ ა. ტ-ა რეალური ფულადი თანხების სახით (ანუ ნალი ან უნალი ანგარიშსნორებით) არასდროს არ იღებს იჯარის ქირას, მაგრამ შეთახმების თანახმად შპს „...“ კისრულობს ვალდებულებას, ა. ტ-ას გადაუხადოს მისი კუთვნილი ყველა გადასახადი, მათ შორის – მიწისა და ქონების გადასახადები; უდავოა, რომ 10.02.2005 წლის იჯარის ხელშეკრულება ა. ტ-ასთვის სარგებლინია, შემოსავლის მომტანია, რაც იმაში გამოიხატება, რომ ა. ტ-ას წლების განმავლობაში არ უწევს საკუთარი სახსრების გახარჯვა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადების გადასახდელად.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები კანონიერია, სრულად შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელემ – ა. ტ-ამ სარჩელის აღძვრისას სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 340 ლარი; სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხა უნდა დარჩენილიყო სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ტ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 29 თებერვლის განჩინებით ა. ტ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტაციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები და მიუთითა მათზე.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტა-

ციის სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი საპროცესო დარღვევების გარეშე, სწორად დაადგინა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. შესაბამისად, სახეზე არ იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ საპროცესო ხარჯების საკითხის გადაწყვეტისას მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ა. ტ-ას მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა, უნდა დარჩენილიყო სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 29 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ტ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკაყოფილება და მის მიერ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება მოითხოვა.

კასატორი მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების იგნორირებით მიღებს დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილება განსახილვებ საკითხთან დაკავშირებით.

კასატორის განმარტებით, ვინაიდან ფიზიკური პირი ა. ტ-ა არ ახორციელებდა სამეცნარმეო საქმიანობას, შემოსავლების და ხარჯების ალრიცხვას აწარმოებდა საგადასახადო კოდექსის 199.3, მე-200, 201-ე და 202-ე მუხლების შესაბამისად, რომლებიც არ ითვალისწინებს შემოსავლების მიღების უფლებას მოპოვებულად. აღნიშნულის სანინააღმდეგოდ კი საგადასახადო ორგანომ ა. ტ-აზე გაავრცელა 203-ე, 204-ე და 205-ე მუხლები, რომლებიც თავისთავად გულისხმობს შემოსავლის მიღების უფლებას მოპოვებულად და არამენარმე ფიზიკურ პირს საშემოსავლო გადასახადი დაკისრებს.

კასატორის მითითებით, სადაც პერიოდში მოქმედი კანონის თანახმად, იყი ვალდებული იყო შემოსავლები აღერიცხა საკასო მეთოდით. რევიზის აქტმა და მის საფუძველზე გამოცემულმა საგადასახადო მოთხოვნამ კი მას უკანონოდ დაარიცხა საშემოსავლო გადასახადი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 7 ოქტომბრის №3429 ბრძანების გამოცემის შემდგომ აღარ გააგრძელა საგადასახადო დავა, რითაც ფაქტობრივად და-

ეთანხმა საშემოსავლო გადასახადის დარიცხვის პრინციპის. აღნიშნულთან დაკავშირებით კასატორი მიუთითებს იმუამად მოქმედი საგადასახადო კოდექსის 146-ე მუხლის მე-6 ნაწილზე, რომლის თანახმად, საგადასახადო ორგანოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება ნიშნავს მის საფუძველზე გამოცემული საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებას და პირიქით. ამდენად, კასატორის მითითებით, აუცილებლობას არ წარმოადგენდა შემოსავლების აღრიცხვის მეთოდთან დაკავშირებით ცალკე დავის წარმოება.

კასატორის განმარტებით, სასამართლოს გადაწყვეტლების უსაფუძვლობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ რევიზიის აქტი ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის პერიოდში როგორც შინაარსობრივად, ისე ციფრობრივად შეიცვალა და ცვლილებების შესაბამისად გამოიცემოდა ახალი საგადასახადო მოთხოვნები: 12.08.2009 წლის №41-109 საგადასახადო მოთხოვნა, 17.12.2010 წლის №209 საგადასახადო მოთხოვნა და 13.06.2012 წლის საგადასახადო მოთხოვნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 11 მაისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ა. ტ-ას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 14 ივნისის განჩინებით ა. ტ-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2013 წლის 20 სექტემბერს 12:30 საათზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ტ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაქმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და განსახილები სამართალურთითობის მიმართ გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს და მიიჩნევს, რომ კასატორის – ა. ტ-ას მიერ ვერ იქნა გაბათილებული სადავო საკითხის მიმართ სა-

აპელაციო სასამართლოს შეფასებები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში ა. ტ-ა სადავოდ ხდის და მოითხოვს სსიპ შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 17 დეკემბრის №209 საგადასახადო მოთხოვნის, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 13 ივნისის №29 საგადასახადო მოთხოვნის, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 4 მაისის №2194 ბრძანების ნაწილობრივ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2011 წლის 27 ივნისის №2382/11 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობას.

ა. ტ-ას სსიპ შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 17 დეკემბრის №209 საგადასახადო მოთხოვნით სსიპ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 4 მაისის №2194 ბრძანების საფუძველზე შეუმცირდა დარიცხული თანხები და საშემოსავლო გადასახადში გადასახდელად დაეკისრა ძირი თანხა – 15 399.00 ლარი, ჯარიმა – 7 484.00 ლარი და საურავი – 2 092.00 ლარი; მასვე დაეკისრა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 130-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა – 200 ლარი (ჯამში 25175.04 ლარი). ხოლო ა. ტ-ას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2011 წლის 27 ივნისის №2382/11 გადაწყვეტილების საფუძველზე კვლავ შეუმცირდა დარიცხული თანხები და ნარედგინა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 13 ივნისის №29 საგადასახადო მოთხოვნა, რომლითაც ა. ტ-ას საშემოსავლო გადასახადში ძირი თანხა 9956 ლარით, ხოლო ჯარიმა 5911 ლარით (სულ 15867 ლარით) შეუმცირდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში გაუგებრობას იწვევდა ა. ტ-ასთვის დარიცხული თანხის ოდენობა, კერძოდ, ერთის მხრივ, ნარდგენილი საგადასახადო მოთხოვნების მიხედვით მოსარჩევეს გადასახდელად 7216 ლარი ( $15399-9956=5443$  (ძირი თანხა);  $7484-5911=1537$  (ჯარიმა); 200 ლარი (სს-ის 130-ე მუხ.).) ეკისრებოდა; ხოლო, შეორეს მხრივ, სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2012 წლის 23 აპრილის №21-11/27544 წერილით კასატორს ეცნობა, რომ ა. ტ-ას დავალიანება 7357.66 ლარს შეადგენდა. ამასთან, სარჩელის ალდვრის დროისათვის დავის საგანს 11295.7 ლარი ნარმოადგენდა. საკასაციო სასამართლოში გამართულ სხდომებზე დაზუსტდა საშემოსავლო გადასახადში ა. ტ-ასთვის დარიცხული თანხები და საბოლოოდ მოსარჩელისათვის საშემოსავლო გადასახადში დარიცხული ძირი თანხა 5443 ლარით განისაზღვრა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს საშემოსავლო გადასახადის დარიცხვის კანონიერება წარმოადგენს. ამასთან, სადაცო გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის თარიღიდან – 2007 წლის 12 ნოემბრიდან, საშემოსავლო გადასახადის დეკლარირებისა და გადახდის ვალდებულება (ვინაიდან 2007 წლის 12 ნოემბრამდე პერიოდზე მოსარჩელეს მოეხნსა დარიცხული თანხები). მოსარჩელის მიზანია საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლება. გასაჩივრებული აქტების უკანონობას კი კასატორი იმით ასაბუთებს, რომ ფიზიკური პირი – ა. ტ-ა საერთოდ არ წარმოადგნდა საშემოსავლო გადასახადის გადამხდელ სუბიექტს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, დადგენილია, რომ ფიზიკური პირი – ა. ტ-ა წარმოადგენს შპს „...“ ერთადერთ დამფუძნებელს. ფიზიკური პირი – ა. ტ-ა საკუთრების უფლებით ფლობს უძრავ ნივთს – ქ. ფოთში, ... ქ. №11-ში მდებარე შენობასა და მის მიმდებარე 1178 კვ.მ. ფართის მინის ნაკვეთს. ფიზიკურ პირს – ა. ტ-ასა და შპს „...“ შორის 2005 წლიდან დადგებული იჯარის ხელშეკრულების თანახმად, ა. ტ-ას ამ იურიდიულ პირზე იჯარით აქვს გადაცემული ზემოხსენებული შენობა მისი მიმდებარე მინის ნაკვეთთან ერთად; შეთანხმების თანახმად, იჯარით აღებული ქონებით სარგებლობის სახაცვლოდ შპს „...“ კისრულობს ვალდებულებას ა. ტ-ას ნაცვლად გადაიხადოს ქონებისა და მინის გადასახადები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სწორედ იჯარის ხელშეკრულების არსებობა წარმოშობს ა. ტ-ასთავის საშემოსავლო გადასახადის ვალდებულებას. საკასაციო სასამართლო ეთანხმება ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას, რომ 2005 წლის 10 თებერვლის იჯარის ხელშეკრულება ა. ტ-ასთვის სარგებლიანია, შემოსავლის მომტანია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 2004 წლის საგადასახადო კოდექსის 165-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია რეზიდენტი ფიზიკური პირი; ამავე კოდექსის 166-ე მუხლის 1-ლი ნაწილით რეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასახელი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის; ხოლო, 175-ე მუხლის „კ“ პუნქტით ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს მიეკუთვნება: ლიზინგით, უზუფრუქტით,

იჯარით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით გაცემული ქონებიდან მიღებული შემოსავლები. 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია: ამ კოდექსით დადგენილი წესით აღრიცხვაზე დადგეს შესაბამის საგადასახადო ორგანოში ან დარეგისტრირდეს მენარმეთა და არასამწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; მე-100 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი (მათ შორის, მენარმე ფიზიკური პირი) ვალდებულია ამ კოდექსით გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობის დაწყებამდე, გარდა ისეთი ეკონომიკური საქმიანობისა, რომლის შედეგად მიღებული შემოსავალი ამ კოდექსის მიხედვით იბეგრება წყაროსთან ან განთავისუფლებულია დაბეგვრისაგან, განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების მიზნით. ამასთან, 218-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად, გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალება საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, სანარმო/ორგანიზაცია ან მენარმე ფიზიკური პირი, კერძოდ: სანარმო/ორგანიზაცია ან მენარმე ფიზიკური პირი, რომელიც განეული მომსახურების ღირებულებას უნაზღაურებს ფიზიკურ პირს, რომელსაც არ გააჩნია გადასახადის გადამხდელის მოწმობა. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების პოზიციას, რომ ა. ტ-ას 2007 წლის 12 ნოემბრამდე პერიოდში არ უნდა დაეკისროს გადასახადის გადახდის ვალდებულება; ხოლო მას შემდეგ, რაც მოსარჩელე დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში, როგორც გადასახადის გადამხდელი, რეგისტრაციის მომენტიდან სწორედ მას წარმოეშვა გადასახადების დეკლარირებისა და სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს საგადასახადო ორგანოს პოზიციას შემოსავლის აღრიცხვის მეთოდთან დაკავშირებით და მიუთითობს, რომ შემოსავლის აღრიცხვის მეთოდის ცვლილებასთან დაკავშირებით საკითხი დასმული იყო ა. ტ-ას მიერ 2009 წლის 2 სექტემბერს წარდგენილ საჩივარში, რომელზეც შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 7 ოქტომბრის №3429 ბრძანებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღნიშნულ ნაწილში საჩივრის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ხსენებული ბრძანებით რეგიონალურ ცენტრს დაეცალა სსიპ ლეგვან სამსარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განსაზღვრული იჯარის საბაზრო ფასის გათ-

ვალისწინებით გადაეანგარიშებინა კამერალური საგადასახადო შემოწმების აქტით დარიცხული თანხები და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის წარედგინა შესწორებული „საგადასახადო მოთხოვნა“. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ა. ტ-სა არ გაუსაჩივრებია საგადასახადო კოდექსის მე-8 კარით დადგენილი წესით ზემდგომ ორგანოში (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში ან სასამართლოში), რის გამოც იმ პერიოდში მოქმედი საგადასახადო კოდექსის 147-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად დანარჩენ ნაწილში (დარიცხვის მეთოდის გამოყენების ნაწილში) სადაც საკითხი დარჩა ძალაში. ამდენად, სადაც და გამოსარკვევი იყო მხოლოდ დარიცხული გადასახადების ოდენობა. შესაბამისად, 2010 წლის 12 დეკემბრის №209 საგადასახადო მოთხოვნაზე წარდგენილი საჩივრის განხილვის დროს შემოსავლების სამსახური უფლებამოსილი იყო შეემოწმებინა რამდენად სწორად განხორციელდა დარიცხული საშემოსავლო გადასახადის თანხების შემცირება, შემოსავლების სამსახურის მსჯელობის საგანს თანხების სწორად გადაანგარიშება წარმოადგენდა.

ასევე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ იმ პირობებში, როდესაც ფოთის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილებით შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება 200 ლარით დაჯარიმების საკითხზე, შემოსავლების სამსახურმა მაინც არ მოუხსნა აღნიშნული ჯარიმა მას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კასატორის აღნიშნული მსჯელობა არ შეესაბამება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, ვინაიდან, ფოთის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილება ეხება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 164-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად დარიცხულ ჯარიმას და არა საგადასახადო კოდექსის 130-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არც საქმის მასალებიდან გამომდინარეობს და არც კასატორის მიერ საკასაციო სასამართლოს სხდომებზე იქნა დასაბუთებული სადაც აქტების კანონთან შეუსაბამობა, რომ აღნიშნული აქტები მიღებულ იქნა კანონის მოთხოვნათა დარღვევით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადაც აქტებში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცე-

მის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან; შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის საფუძველი.

რაც შეეხება სახელმწიფო ბაჟის საკითხს, საკასაციო სასამართლო აღნიშნულ ნაწილში საფუძვლიანად მიიჩნევს კასატორის მოთხოვნას. საკასაციო სასამართლო მიუთითობს, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ინვალიდები – ყველა სარჩელზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ფოთის საქალაქო განყოფილების მიერ 2012 წლის 6 იანვარს ა. ტ-ას სახელზე გაცემული №05/18 ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ კასატორი – ა. ტ-ა მეორე ჯგუფის ინვალიდია და 2007 წლიდან შეზღუდული შესაძლებლობის გამო იღებს პენსიას. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ტ-ა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან. შესაბამისად, მ. ტ-ას უნდა დაუბრუნდეს ა. ტ-ას სასარგებლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 340 ლარის და თბილისის სააპელაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 290 ლარის ოდენობით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ტ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 29 თებერვლის განჩინება სასამართლო ხარჯების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; დაუბრუნდეს მ. ტ-ას ა. ტ-ას სასარგებლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 340 ლარის და თბილისის სააპელაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 290 ლარის ოდენობით; ხოლო დანარჩენ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 29 თებერვლის განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სა-

ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით  
და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ლ ი ტ ა:**

1. ა. ტ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობ-  
რივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-  
ტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 29 თებერვლის განჩი-  
ნება სასამართლო ხარჯების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ  
იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. დაუპრუნდეს მ. ტ-ას ა. ტ-ას სასარგებლოდ თბილისის სა-  
ქალაქო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 340 ლა-  
რის და თბილისის სააპელაციო სასამართლოში გადახდილი სა-  
ხელმწიფო ბაჟი – 290 ლარის ოდენობით;
4. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპე-  
ლაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის  
2012 წლის 29 თებერვლის განჩინება;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და  
არ საჩივრდება.

### **საგადასახადო დარიცხვის კანონიერება**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სახალი**

№ბს-723-708(კ-12) 15 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა;

**აღწერილობითი ნაწილი:**  
2012 წლის 16 იანვარს შპს „...“ სარჩელით მიმართა თბილისის  
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგი-

ას მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიმართ. მოსარჩელემ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2011 წლის 8 ივლისის №1302 ბრძანების, შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 8 ივლისის №006-156 საგადასახადო მოთხოვნისა და ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განმხილველი საბჭოს 2011 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სპეციალურ გამოკვლევათა და ექსპერტიზის დეპარტამენტმა ჩაატარა დოკუმენტური რევიზია, შემონმდა შპს „...“ ბიუჯეტთან ანგარიშმნორების საკითხი და 2011 წლის 27 ივნისს შედგა აქტი. აღნიშნული აქტის საფუძველზე შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა 2011 წლის 8 ივლისს გამოსცა №1302 ბრძანება და ამავე თარიღით გაიცა №006-156-ტი საგადასახადო მოთხოვნა. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე საწარმოს არასწორად დაერთხა გადასახადები, შესაბამისი საურავებით და ჯარიმებით. შპს „...“ აღნიშნული აქტები გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოში იმ საფუძვლით, რომ არ არსებობდა შპს „...“ არაპირდაპირი მეთოდით გადასახადების დარიცხვის არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი წინაპირობები. დავების განხილვის საბჭოს 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკავშირდებოდა ადმინისტრაციული საჩივარი, თუმცა საჩივრის ავტორის პრეტენზია არაპირდაპირი მეთოდით გადასახადების დარიცხვის უსწორობაზე არ იქნა გაზიარებული.

მოსარჩელე დაუსაბუთებლად მიიჩნევს შემონმების აქტით, შემდგომში საგადასახადო მოთხოვნისა და დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილებების დაფუძნებას მხოლოდ იმ ფაქტზე, რომ კომპანიაში წარმოებული ექსელის ფაილში შეყვანილი მონაცემები მიჩნეულ იქნა ე.წ. „შავ ჩანაწერებად“, ვინაიდან ამგვარი ინფორმაცია კომპანიაში მზადდებოდა საერთაშორისო ბიზნეს პრაქტიკაში საქონლის მოძრაობის სტატისტიკური ინფორმაციის შექმნის მიზნით, რაც მომდინარეობდა პროდუქციის მომწოდებელი ბიზნეს-პარტნიორების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელის მოთხოვნა არ დაკავშირდა; მოსარჩელეს – შპს „....“

უარი ეთქვა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობაზე.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ჩატარებული შპს „...“ დოკუმენტური რევიზიის 2011 წლის 27 ივნისის აქტის თანახმად, რევიზია შეეხო 2005-2011 წლების საანგარიშო პერიოდებს. რევიზიის პროცესში შემმოწმებელმა შეისწავლა და ერთმანეთს შეუდარა სანარმოს საბუღალტრო დოკუმენტაცია, საწარმოდან ამოღებული ე.წ. თაბახის ფურცლები და ე.წ. ექსელის ფაილები (ე.წ. შავი ჩანაწერები). საწარმოს დოკუმენტაციაში აღმოჩნდა 2010-2011 წლების 9 თვის მანძილზე ყოველდღიურად ნაწარმოები თაბახის ფურცლები, რომლებსაც ადგენდნენ საწარმოს თანამშრომლები. მასზე აისახებოდა ქ. თბილისში, ... გამზირზე მდებარე მაღაზიაში ყოველდღიურად რეალიზებული პროდუქციის დასახელება და ფასები (ლარში და ერთოში), აგრეთვე საწარმოს მიერ განეული ხარჯები (გაცემული ხელფასები, ტრანსპორტირების ხარჯი და ა.შ.). თაბახის ფურცლები დათარიღებულია კონკრეტული წლის, თვის და დღის თარიღით. შემმოწმებელმა აღნიშნული თაბახის ფურცლების მონაცემები შეუდარა საწარმოს ბუღალტერიაში არსებულ მონაცემებს და დაადგინა, რომ რიგ შემთხვევებში თაბახის ფურცლებზე ასახული მონაცემები საქონლის რეალიზაციის (აგრეთვე განეული ხარჯების) თაობაზე სრულად ემთხვეოდა ბუღალტრულ მონაცემებს, რიგ შემთხვევებში ბუღალტერიაში ნაჩვენები იყო უფრო ნაკლები სარეალიზაციო ფასები, ვიდრე თაბახის ფურცლებზე, რიგ შემთხვევებში თაბახის ფურცლებზე დაფიქსირებული რეალიზაციი (აგრეთვე განეული ხარჯები) საერთოდ არ იყო ასახული საწარმოს ბუღალტერიაში. გარდა ამისა, შემმოწმებელმა ე.წ. თაბახის ფურცლები შეადარა ექსელის ფაილის მონაცემებს და დაადგინა, რომ თაბახის ფურცლების მონაცემები სრული სიზუსტით იყო გადატანილი და ასახული ექსელის ფაილებში, თუმცა ექსელის ფაილებში გაცილებით მეტი ოდენობის რეალიზაცია იყო ასახული ვიდრე ე.წ. თაბახის ფურცლებზე. სხვა მსგავსი წყარო შემმოწმებელს არ ჰქონია ხელთ შესწავლის მიზნით. ექსელის ფაილი ნაწარმოებია თავად მოსარჩელის მიერ 2007 წლის სექტემბრის თვიდან 2011 წლის მაისის თვის ჩათვლით პერიოდში. აღნიშნული ექსელის ფაილი იყო წაშლილი მოსარჩელის კუთვნილ ერთ-ერთ კომპიუტერში, რომელიც აღადგინა საგამოძიებო სამსახურმა შემმოწმების პროცესში. შემმოწმებელმა

ექსელის ფაილის მონაცემები შეუდარა საწარმოს ბუღალტრულ მონაცემებს და დაადგინა, რომ საწარმოს ბუღალტერიაში ასახული მონაცემები, კერძოდ, რეალიზებული პროდუქციის ფასები იყო ექსელის ფაილში დაფიქსირებული შესაბამისი კონკრეტული დღის ვაჭრობის შედეგად გაყიდული პროდუქციის ფასზე უფრო დაბალი. რაც შეეხება ხარჯებს, ე.წ. თაბახის ფურცლებზე ასახული ხარჯები არ იყო ასახული საწარმოს ბუღალტერიაში, საწარმოს დეკლარაციების ანალიზმა ცხადყო, რომ საწარმოს დეკლარირებულ ხარჯზე უფრო მეტი ხარჯი ჰქონდა განეული სხვადასხვა საანგარიშო პერიოდებში. კერძოდ, რიგ შემთხვევებში საწარმო თავის თანამშრომლებზე ხელფასები გაცემული ჰქონდა აღურიცხავად.

შემონაბეჭელმა მიიჩნია, რომ 2007 წლის სექტემბრიდან 2011 წლის მაისამდე პერიოდში საზოგადოებას სამი სახის გადასახადის (დღგ, საშემოსავლო გადასახადი და სოციალური გადასახადი) მიხედვით უნდა დარიცხვოდა დამატებით თანხები ე.წ. „შავი ჩანაწერების“ (ანუ ექსელის ფაილების) მონაცემებზე დაყრდნობით. რაც შეეხება 2005 წლიდან 2007 წლის სექტემბრამდე პერიოდს, შემონაბეჭელმა საწარმოს საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით ანალოგიის პრინციპზე დაყრდნობით გამოიყენა 2007 წლის სექტემბრიდან 2011 წლის მაისამდე პერიოდში „შავი ჩანაწერების“ მიხედვით დაფიქსირებული შემოსავლების ზრდის (ფასნამატის) პროცენტული მაჩვენებლი, რომელიც საშუალოდ 62%-ს შეადგენს. შემონაბეჭელმა დაასკვნა, რომ საწარმო 2005-2011 წლებში არ აწარმოებდა ბუღალტრულ აღრიცხვას საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმით და წესით, რის გამოც შეუძლებელი იყო საგადასახადო ვალდებულებების სწორად განსაზღვრა; შემონაბეჭელმა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 104-ე მუხლზე დაყრდნობით პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით საწარმოს დამატებით გადასახადები დაუანგარიშა და დაარიცხა 2007 წლის სექტემბრიდან 2011 წლის მაისის ჩათვლით პერიოდზე ექსელის ფაილებში (ე.წ. „შავ ჩანაწერების“) ასახულ მონაცემებზე დაყრდნობით, ხოლო 2005 წლიდან 2007 წლის სექტემბრამდე პერიოდზე გაავრცელა ანალოგიის პრინციპი;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2011 წლის 27 ივნისის აქტის საფუძველზე შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა შეს „...“ მიმართ გამოსცა 2011 წლის 8 ივნისის №1302 ბრძანება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით გადასახადის თანხების და-

კისრების თაობაზე. შემოსავლების სამსახურმა შპს „...“ მიმართ 2011 წლის 8 ივნისს გამოსცა №006-156-ტი საგადასახადო მოთხოვნა, რომლის თანახმადაც მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელად დაეკისრა: 1) დამატებული ღირებულების გადასახადში – 1 117 885,88 ლარი (მათ შორის ძირითადია 576 573 ლარი, ჯარიმა – 228 364 ლარი, საურავი – 312 948,88 ლარი); 2) მოგების გადასახადში – 1 184 385,62 ლარი (მათ შორის ძირითადია 524 023 ლარი, ჯარიმა – 288 913 ლარი, საურავი – 371 449,62 ლარი); 3) სოციალური დაზღვევის გადასახადში – 567 070 ლარი (მათ შორის ძირითადია 227 639 ლარი, ჯარიმა – 98 589 ლარი, საურავი – 240 842 ლარი).

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2011 წლის 29 დეკემბრის №2662/2/11 გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სპეციალურ გამოკვლევათა და ექსპერტიზის დეპარტამენტმა 2012 წლის 11 იანვარს შეადგინა აქტი, რომლითაც შემცირდა იმავე საგამოძიებო სამსახურის 2011 წლის 27 ივნისის აქტით დარიცხული თანხები შემდეგნაირად: 1) დღგ-ში დარიცხული თანხა შემცირდა 307 663 ლარით, აქედან 188 585 ლარი არის ძირითადი თანხა, ხოლო 119 078 ლარი – ჯარიმა; 2) საშემოსავლო გადასახადში დარიცხული თანხა შემცირდა 274 350 ლარით, აქედან 153 734 ლარი არის ძირითადი თანხა, ხოლო 120 616 ლარი – ჯარიმა; 3) სოციალურ გადასახადში დარიცხული თანხა შემცირდა 216 464 ლარით, აქედან 153 233 ლარი არის ძირითადი თანხა, ხოლო 63 231 ლარი – ჯარიმა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭომ 2012 წლის 1 მარტს მიღებული გადაწყვეტილებით (საჩივარი №2662/2/11) გასაწორა იმავე დავების განხილვის საბჭოს 2011 წლის 29 დეკემბრის №2662/2/11 გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში დაშვებული უზუსტობა იმგვარად, რომ შპს „...“ საჩივრის განმხილველი დავების საბჭოს წევრებად მიუთითა დ. გ-ე (თავმჯდომარე), რ. კ-ა, მ. ბ-ი, გ. ლ-ე, ვ. პ-ი, დ. ქ-ი და დ. ჩ-ე; უსწორობის გასაწორებამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭომ თავისი 2011 წლის 29 დეკემბრის №2662/2/11 გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში მითითებული იყო, რომ საბჭომ შპს „...“ საჩივარი განიხილა შემდეგი შემადგენლობით: დ. გ-ე (თავმჯდომარე), რ. კ-ა, მ. ბ-ი, გ. ლ-ე, გ. პ-ა, დ. ქ-ი და დ. ჩ-ე.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სანარმოს შემოსავლები და ხარჯები სწორედ იმდენი იყო, რამდენიც მას დეკლარირებული

აქვს საგადასახადო ორგანოში წლების მიხედვით წარდგენილი დეკლარაციების მიხედვით. ამასთან, ექსელის ფაილებში აისახებოდა პროდუქციის შესათავაზებელი (სარეკომენდაციო) და არა სარეალიზაციო ფასები, ექსელის ფაილებს შედგენა არ ემსახურებოდა სანარმოს რეალური შემოსავლების აღრიცხვის მიზანს. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს არგუმენტი დავის გადაწყვეტაზე გავლენას ვერ მოახდენდა. ამასთან, გაიზიარა საგადასახადო ორგანოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ექსელის ფაილებში მითითებული ფასები ასახავდა სანარმოს რეალურ ბრუნვას, რეალურ შემოსავლებს. ამ ფაქტორის გამჭლავნებას ხელი შეუწყო თაბახის ფურცლებმა. კერძოდ, თაბახის ფურცლები გამოხატავდა კონკრეტული დღის რეალურ სურათს, რეალური რეალიზაციის ფაქტებს, რეალიზაციის რეალურ თანხებს (ანუ იმ თანხებს, რაც რეალურად შედიოდა სანარმოს სალაროში პროდუქციის გაყიდვის შედეგად), რეალურად განეულ ხარჯებს; თაბახის ფურცლებში არ აისახებოდა სარეკომენდაციო ფასები. შესაბამისად, თუკი ექსელის ფაილებში აბსოლუტური სიზუსტით გადადიოდა თაბახის ფურცლების მონაცემები სარეალიზაციო ფასის თაობაზე, ეს გარემოება საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ შემმონებელს ეჭვი შეეტანა ექსელის ფაილების შედგენის მიზნებსა და დანიშნულებაში, მით უმეტეს, რომ აღნიშნული ექსელის ფაილი მოსარჩელემ წაშალა და მისი აღდგენა შესაძლებელი გახდა მოგვიანებით თავად შემმონებლის მიერ შემმონების პროცესში. თაბახის ფურცლებზე ასახული ხარჯები არ იყო ასახული სანარმოს ბუღალტერიაში, სანარმოს დეკლარაციების ანალიზშა ცხადყო, რომ სანარმოს დეკლარირებულ ხარჯზე უფრო მეტი ხარჯი აქვს განეული სხვადასხვა საანგარიშო პერიოდებში; კერძოდ, რიგ შემთხვევებში სანარმოს თავის თანამშრომლებზე ხელფასები გაცემული პქონდა აღურიცხავად.

საქალაქო სასამართლომ საგადასახადო კოდექსის (2004 წლის რედაქცია) 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე, 199-ე მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილებზე, ასევე 104-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით დაასკვნა, რომ საგადასახადო ორგანოს, გადასახადების ოდენობის დაფგნის მიზნით, უფლება ჰქონდა, პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, თავად გადასახადის გადამხდელისგან ამოღებული დოკუმენტების საფუძველზე მოეხდინა გადასახადების გამოანგარიშება და დამატებით თანხების დარიცხვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 მარტის განჩინებით შეწყდა მო-

სარჩელის – შპს „...“ სარჩელისა გამო აღძრული №3/271-12 ად-  
მინისტრაციული საქმის წარმოება ნაწილობრივ, კერძოდ, სა-  
დავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-  
ტების ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის იმ ნა-  
წილში, რომელიც შეეხება მოსარჩელის საჩივრის დაქმაყოფი-  
ლების ნაწილში სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა-  
მართლებრივი აქტების ბათილად ცნობას.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის საჩივ-  
რის განხილვის შედეგად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს  
დაჭების განხილვის საბჭომ თავისი 2011 წლის 29 დეკემბრის  
№2662/2/11 გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა მო-  
სარჩელის საჩივარი, კერძოდ, ნაწილობრივ გააუქმა შემოსავ-  
ლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2011 წლის 8 ივ-  
ლისის №1302 ბრძანება და შემოსავლების სამსახურის 2011  
წლის 8 ივლისის №006-156-ტი საგადასახადო მოთხოვნა. საჩივ-  
რის ნაწილობრივ დაკმაყოფილებამ ფაქტობრივად განაპირობა  
საგამოძიებო სამსახურის 2011 წლის 27 ივნისის აქტით დარიც-  
ხული თანხების შემცირება 798 477 ლარით. ამ გარემოების გათ-  
ვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ად-  
მინისტრაციული აქტები – საქართველოს ფინანსთა სამინის-  
ტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის  
2011 წლის 8 ივლისის №1302 ბრძანება, საქართველოს ფინან-  
სთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 8 ივ-  
ლისის №006-156-ტი საგადასახადო მოთხოვნა და საქართვე-  
ლოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2011  
წლის 29 დეკემბრის №2662/2/11 გადაწყვეტილება იმ ნაწილში,  
რა ნაწილშიც დავების განხილვის საბჭომ დააკმაყოფილა ადმი-  
ნისტრაციული საჩივარი და გააუქმა ზემოხსენებული აქტები,  
მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს რაიმე სახის ზი-  
ანს არ აყენებდა. აღნიშნული გარემოება საქართველოს ადმი-  
ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწი-  
ლით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველს ქმნიდა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით შპს „...“ გაასაჩივრა.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა პალატის 2012 წლის 21 ივნისის განჩინებით შპს „...“ კერძო  
საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სა-  
ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის  
2012 წლის 27 მარტის განჩინება.

შპს „...“ ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინის-  
ტრაციულ საქმეთა კოლეგის 2012 წლის 27 მარტის გადაწყვე-  
ტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ივნისის განჩინებით შპს „....“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გაიზიარა პირ-ველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ასევე სამართლებრივი დასკვნები და მიიჩნია, რომ მოსარჩევლის მოთხოვნა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ იყო უსაფუძვლო და შესაბამისად, არ არსებობდა მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. მოსარჩევემ ვერც სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე ვერ წარადგინა რამე მტკიცებულება (სსსკ 102-ე მუხლი), იმ გარემოებების დასადგენად, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემული იქნა კანონის მოთხოვნათა ისეთი დარღვევით, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად შეიძლებოდა გამხდარიყო მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ივნისის განჩინება საკასაციო წესით შპს „....“ გაასაჩივრა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სადავო გადაწყვეტილება მიღებულია არსებითი გარემოებების არასათანადო გამოკვლევისა და მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილების საფუძველზე. კერძოდ, მათ, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოში დავის წარმოებისას, ისე სასამართლოში საქმის განხილვისას შავი ბუღალტერიის წარმოების თაობაზე არსებული მოსაზრების გასაბათილებლად, რომელიც ემყარებოდა საწარმოში არსებული ექსელის ფაილების არსებობას, წარადგინეს მტკიცებულებები აღნიშნული ფაილის მართლზომიერების შესახებ, რაც არ შეფასდა სათანადოდ. საქმის მასალებში ასევე არ მოიპოვება ის საბუღალტრო დოკუმენტაცია, რომელიც წლების განმავლობაში წარმოებულია შპს-ს მიერ, შემონმების პერიოდში იმყოფებოდა საგამოძიებო ორგანოში და რომელთა კვლევის საფუძველზეც უნდა დადგენილიყო საწარმოს მიერ გადასახადებს გადახდისაგან თავის არიდების ფაქტი.

კასატორი ასევე მიუთითებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2011 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილების უსწორობაზეც, რომელიც გამოვლენილ იქნა თავად შპს „....“ მიერ და ადმინისტრაციულმა ორგანომ სასა-

მართლოში დავის განხილვის დროს გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანით შეესწორა. კასატორი აღნიშნავს, რომ აღნიშნულმა ფაქტმა წარმოშვა ახალი დავა, რომლის დასრულებამდე შეუძლებელი იყო წინამდებარე საკითხის განხილვა, ვინაიდან ახალი სარჩელის პირობებში სადაც (2011 წლის 29 დეკემბრის) აქტს ემუქრებოდა ძალადაკარგულად ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 4 თებერვლის განჩინებით შპს „...“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიღდა იმ დასკანმდე, რომ შპს „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ივნისის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2011 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2011 წლის 8 ივლისის №1302 ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 8 ივლისის №006-156 საგადასახადო მოთხოვნა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაეკისროს შპს „...“ სასარგებლოდ მის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 19850 ლარის ანაზღაურება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407.2 მუხლის საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ გარემოებებს: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ სისხლის სამართლის საქმესთან

დაკავშირებით ჩატარებული შპს „...“ დოკუმენტური რევიზიის 2011 წლის 27 ივნისის აქტის თანახმად, რევიზია შეეხო 2005-2011 წლების საანგარიშო პერიოდებს. რევიზის პროცესში შემ-მონმებელმა შეისწავლა და ერთმანეთს შეუდარა სანარმოს სა-ბუღალტრო დოკუმენტაცია, სანარმოდან ამოღებული ე.წ. თა-ბახის ფურცლები და ე.წ. ექსელის ფაილები (ე.წ. შავი ჩანაწერები). სანარმოს დოკუმენტაციაში აღმოჩნდა 2010-2011 წლების 9 თვის მანძილზე ყოველდღიურად ნანარმოები თაბახის ფურ-ცლები, რომლებსაც ადგენდნენ სანარმოს თანამშრომლები. მასზე აისახებოდა ქ. თბილისში, ... გამზირზე მდებარე მაღაზი-აში ყოველდღიურად რეალიზებული პროდუქციის დასახელება და ფასები (ლარში და ევროში), აგრეთვე სანარმოს მიერ განეუ-ლი ხარჯები (გაცემული ხელფასები, ტრანსპორტირების ხარ-ჯი და ა.შ.). თაბახის ფურცლები დათარიღებულია კონკრეტუ-ლი წლის, თვის და დღის თარიღით. შემმონმებელმა აღნიშნული თაბახის ფურცლების მონაცემები შეუდარა სანარმოს ბუღალ-ტრიაში არსებულ მონაცემებს და დაადგინა, რომ რიგ შემთხვე-ვებში თაბახის ფურცლებზე ასახული მონაცემები სრულად ემ-თხვეოდა ბუღალტრულ მონაცემებს, რიგ შემთხვევებში ბუ-ღალტერიაში ნაჩვენები იყო უფრო ნაკლები სარეალიზაციო ფა-სები, ვიდრე თაბახის ფურცლებზე, რიგ შემთხვევებში თაბახის ფურცლებზე დაფიქსირებული რეალიზაცია (აგრეთვე განეუ-ლი ხარჯები) საერთოდ არ იყო ასახული სანარმოს ბუღალტე-რიაში. გარდა ამისა, შემმონმებელმა ე.წ. თაბახის ფურცლები შეადარა ექსელის ფაილის მონაცემებს და დაადგინა, რომ თა-ბახის ფურცლების მონაცემები სრული სიზუსტით იყო გადატა-ნილი და ასახული ექსელის ფაილებში. თუმცა ექსელის ფაილებ-ში გაცილებით მეტი ოდენობის რეალიზაცია იყო ასახული ვიდ-რე ე.წ. თაბახის ფურცლებზე. ექსელის ფაილი ნანარმოებია თა-ვად მოსარჩელის მიერ 2007 წლის სექტემბრიდან 2011 წლის მაისის ჩათვლით პერიოდში; აღნიშნული ექსელის ფაილი იყო ნაშლილი მოსარჩელის კუთვნილ ერთ-ერთ კომპიუტერში, რო-მელიც აღადგინა საგამოძიებო სამსახურმა შემონმების პრო-ცესში. შემმონმებელმა ექსელის ფაილის მონაცემები შეუდარა სანარმოს ბუღალტრულ მონაცემებს და დაადგინა, რომ სანარ-მოს ბუღალტერიაში ასახული მონაცემები, კერძოდ, რეალიზე-ბული პროდუქციის ფასები იყო ექსელის ფაილში დაფიქსირე-ბული შესაბამისი კონკრეტული დღის ვაჭრობის შედეგად გაყი-დული პროდუქციის ფასზე უფრო დაბალი. რაც შეეხება ხარ-ჯებს, ე.წ. თაბახის ფურცლებზე ასახული ხარჯები არ იყო ასა-ხული სანარმოს ბუღალტერიაში, სანარმოს დეკლარაციების ანა-

ლიზმა ცხადყო, რომ საწარმოს დეკლარირებულ ხარჯზე უფრო მეტი ხარჯი ჰქონდა განეული სხვადასხვა საანგარიშო პერიოდებში. კერძოდ, რიგ შემთხვევებში საწარმო თავის თანამშრომლებზე ხელფასები გაცემული ჰქონდა აღურიცხავად.

შემმოწმებელმა მიიჩნია, რომ 2007 წლის სექტემბრიდან 2011 წლის მაისამდე პერიოდში საზოგადოებას სამი სახის გადასახადის (დღგ-ის, საშემოსავლო გადასახადის და სოციალური გადასახადის) მიხედვით უნდა დარიცხვოდა დამატებით თანხები ე.წ. „შავი ჩანაწერების“ (ანუ ექსელის ფაილების) მონაცემებზე დაყრდნობით. რაც შეეხება 2005 წლიდან 2007 წლის სექტემბრამდე პერიოდს, შემმოწმებელმა საწარმოს საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით ანალოგიის პრინციპზე დაყრდნობით გამოიყენა 2007 წლის სექტემბრიდან 2011 წლის მაისამდე პერიოდში „შავი ჩანაწერების“ მიხედვით დაფიქსირებული შემოსავლების ზრდის (ფასნამატის) პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც საშუალოდ შეადგენდა 62%-ს. შემმოწმებელმა დასაკვნა, რომ საწარმო 2005-2011 წლებში არ აწარმოებდა ბუღალტრულ აღრიცხვას საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმით და წესით, რის გამოც შეუძლებელი იყო საგადასახადო ვალდებულებების სწორად განსაზღვრა. შემმოწმებელმა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 104-ე მუხლზე დაყრდნობით პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით საწარმოს დამატებით გადასახადები დაუანგარიშა და დაარიცხა 2007 წლის სექტემბრიდან 2011 წლის მაისის ჩათვლით პერიოდზე ექსელის ფაილებში (ე.წ. „შავ ჩანაწერების“) ასახულ მონაცემებზე დაყრდნობით, ხოლო 2005 წლიდან 2007 წლის სექტემბრამდე პერიოდზე გაავრცელა ანალოგიის პრინციპი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2011 წლის 27 ივნისის აქტის საფუძველზე შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა შპს „...“ მიმართ გამოსცა 2011 წლის 8 ივლისის №1302 ბრძანება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით გადასახადის თანხების დაკისრების თაობაზე. შემოსავლების სამსახურმა შპს „...“ მიმართ 2011 წლის 8 ივლისს გამოსცა №006-156 საგადასახადო მოთხოვნა, რომლის თანახმადაც მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელად დაეკისრა: 1) დამატებული ღირებულების გადასახადში – 1 117 885,88 ლარი (მათ შორის ძირითადია 576 573 ლარი, ჯარიმა – 228 364 ლარი, საურავი – 312 948,88 ლარი); 2) საშემოსავლო გადასახადში – 1 184 385,62 ლარი (მათ შორის ძირითადია 524 023 ლარი, ჯარიმა – 288 913 ლარი, საუ-

რაცი – 371 449,62 ლარი); 3) სოციალური დაზღვევის გადასახადში – 567 070 ლარი (მათ შორის ძირითადია 227 639 ლარი, ჯარიმა – 98 589 ლარი, საურავი – 240 842 ლარი), ამასთან, შემცირებას დაექვემდებარა მოგების გადასახადი – 45 528 ლარის ოფენობით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2011 წლის 29 დეკემბრის №2662/2/11 გადაწყვეტილებით შპს „...“ ადმინისტრაციული საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა პირველი, მე-2 და მე-4 დავის საგნების ნაწილში; ნაწილობრივ გაუქმდა აუდიტის დეპარტამენტის 2011 წლის №1302 ბრძანება და შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 8 ივლისის №006-156 საგადასახადო მოთხოვნა. დაევალა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამონიებო სამსახურს მოეხდინა აღნიშნულ ნაწილებში შემონმებით დარიცხული გადასახადების, ძირითადი და სანქციის თანხების შესაბამისი გადაანგარიშება და შემოსავლების სამსახურისათვის გაანგარიშების წარდგენა. შესაბამისად, სსიპ შემოსავლების სამსახურს დაევალა შესწორებული საგადასახადო მოთხოვნის წარდგენა. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, გაზიარებულ იქნა მომჩინაის პოზიცია 2007 წლიდან 2011 წლის მაისამდე საგადასახადო პერიოდისათვის, „შპი ჩანაწერების“ მიხედვით დადგენილი შემოსავლის ზრდის (ფასნამატის) პროცენტული მაჩვენებლის (62%) ანალოგის პრინციპით 2005, 2006 და 2007 წლის სექტემბრის თვემდე საგადასახადო პერიოდზე გავრცელება. ასევე მეორე საკითხი ეხებოდა შემონმებით დასაბეგრი ბრუნვების დღგ-ს ჩათვლით თანხებსა და დღგ-ს დეკლარირებულ დასაბეგრ ბრუნვებში დღგ-ს გარეშე თანხებს შორის სხვაობის გამო დღგ-ით გასაბეგრი თანხის გაზრდას. დავების განხილვის საბჭომ ასევე გაიზიარა მომჩინაის პოზიცია (მე-4 საკითხი) დასაბეგრი ბაზის გაანგარიშებისათვის ეროვნული ბანკის სავალუტო კურსის განსაზღვრასთან მიმართებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2011 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, 2012 წლის 11 იანვარს გამოიცა აქტი 2011 წლის 27 ივნისის აქტის კორექტირების თაობაზე. კორექტირების აქტის თანახმად, შპს „...“ 2011 წლის 27 ივნისის აქტით დარიცხული გადასახადები ექვემდებარება შემცირებას 798 477 ლარით, კერძოდ: 1) დღგ-ში დარიცხული თანხა შემცირდა 307 663 ლარით, აქედან 188 585 ლარი არის ძირითადი თანხა, ხოლო 119 078 ლარი – ჯარიმა; 2) საშემოსავლო გადასახადში დარიცხული თანხა შემცირდა 274 350 ლარით,

აქედან 153 734 ლარი არის ძირითადი თანხა, ხოლო 120 616 ლარი – ჯარიმა; 3) სოციალურ გადასახადში დარიცხული თანხა შემცირდა 216 464 ლარით, აქედან 153 233 ლარი არის ძირითადი თანხა, ხოლო 63 231 ლარი – ჯარიმა. მოგების გადასახადში აღდგენას დაექვემდებარა 30 647 ლარი, აქედან 2005 წელს – 6964 ლარი, 2006 წელს – 11 100 ლარი, 2007 წელს – 12 583 ლარი. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 მარტის განჩინებით ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში სადაც გასაჩივრებულ აქტებზე შეწყდა საქმის წარმოება და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მხოლოდ დარჩენილ ნაწილში. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 მარტის განჩინების ძალაში დატოვების თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ივნისს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება. ამდენად, საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული აქტების მხოლოდ იმ ნაწილზე იმსჯელებს, რომელიც შპს „...“ 01.08.2011 წ. ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებულ ნაწილს არ მოიცავს. ამასთან, საკასაციო პრეტენზია ფორმულირებულია იმგვარად, რომ როგორც ადმინისტრაციული ორგანოს, ისე სასამართლოს მხრიდან არასწორად იქნა შეფასებული სანარმოში არსებული ექსელის ფაილში ინფორმაციის ასახვა, რომელიც თავისი ბუნებით იყო „ერ სი პიფასები“, შპს ბულალტერიის წარმოებად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში დაცული მტკიცებულებების შეფასება ერთმნიშვნელოვნად არ განაპირობებს იმგვარი სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბების შესაძლებლობას, როგორადაც ეს მიჩნეულ იქნა ჯერ ადმინისტრაციული ორგანოს, ხოლო შემდგომში გასაჩივრებული განჩინებით. მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ 2007 წლის სექტემბრიდან 2011 წლის მაისამდე სანარმო ახორციელებდა ექსელის ფაილების შედგენას კონტენტული ბრენდების მიხედვით. ასევე წარმოდგენილია 2010-2011 წლების 9 თვის მანძილზე ყოველდღიურად ნანარმოები თაბახის ფურცლები, რომლებსაც ადგენდნენ სანარმოს თანამშრომლები. მხარეთა შორის დავას იწვევს სანარმოს მიერ ბულალტრული აღრიცხვის არასათანადო წარმოების ფაქტის დადგენა ექსელის ფაილის, ე.წ. შპს ჩანანერებზე დაყრდნობით. საგადასახადო კოდექსის (2004 წლის რედაქცია) 104.2 მუხლის თანახმად, თუ გადასახადის გადამხდელი არ ახორციელებს ბულალტრულ აღრიცხვას კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმითა და წესით ან

არ ახორციელებს მას საერთოდ, ან სააღრიცხვო დოკუმენტაცია დაკარგული ან/და განადგურებულია, რის გამოც შეუძლებელია დაბეგვრის ობიექტის, დაბეგვრასთან დაკავშირებული ობიექტისა და საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა, მაშინ საგადასახადო ორგანოს გადასახადის ოდენობის დადგენის მიზნით უფლება აქვს გადასახადის გადამხდელს გადასახადი დაარიცხოს არსებული მასალების საფუძველზე შესაბამისი ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით, პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით (აქტივების სიდიდის, საოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით, აგრეთვე სხვა მსგავსი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე). ამდენად, ექსელის ფაილსა და თაბახის ფურცლებზე წარმოებულ ჩანანერებში დაფგენილ შემოსავლებსა და სანარმოს მიერ დეკლარირებულ შემოსავლებს შორის სხვაობის არსებობა შემმონებლის მიერ შეფასებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის არასათანადო წარმოიებად. შესაბამისად, ექსელის ფაილი და თაბახის ფურცლები შეფასდა შავ ჩანანერებად, მათში დაფიქსირებული მონაცემები გამოყენებულ იქნა დარიცხვების საწარმოებლად. საქმეში დაცულია ჩერეკის ოქმი, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას „...“ ოფისიდან, გარდა სხვა მასალისა, ამიღებულ იქნა შპს „...“ საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, დეკლარაციები, საბუღალტრო დოკუმენტაცია და სხვა დოკუმენტები. საქმეში წარმოდგენილია საკასო აპარატის ჩეკები, გასავლის ზედდებულები, რომლებიც ასახავს კონკრეტული პროდუქციის რეალიზაციის ფაქტს და ღირებულებას. რიგი რეალიზაცია განხორციელებულია საბანკო მომსახურების გამოყენებით, ე.წ. ტერმინიალის მეშვეობით. ასევე საქმეს ერთვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, რაც წარმოადგენს მაცრი აღრიცხვის დოკუმენტს და მასში ასახულია როგორც ოპერაციის სახე, ასევე საქონლის ღირებულება, დღგ და სხვა მონაცემები. ამდენად, მხოლოდ ის ფაქტი, რომ კომპიუტერული სისტემის მეშვეობით თუ თაბახის ფურცელზე საწარმო ახდენს კონკრეტული ინფორმაციის დაფიქსირებას (თავმოყრას) არ ქმნის ერთმნიშვნელოვნად დასკვნის გაეთების შესაძლებლობას, რომ საწარმო ბუღალტრულ აღრიცხვას ანარმოებდა არასათანადოდ, ე.ი. სახეზე იყო შემოსავლების დაფარვა. მაკონტროლებელი ორგანო მართალია, უფლებამოსილია ბუღალტრული აღრიცხვის არასათანადო წარმოების დასადგენად იხელმძღვანელოს საწარმოში არსებული მასალებისა თუ მოპოვებული ნებისმიერი ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით, მაგრამ ამგვარი დას-

კვრის გაკეთება, მხოლოდ რაიმე ჩანაწერების მხედველობაში მიღებით, არ შეესაბამება საგადასახადო კონტროლის მიზნებს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სანარმოში არსებული ამა თუ იმ სახის ჩანაწერი, რომელიც იძლევა სანარმოს შემოსავლის ან ხარჯის დადგენის შესაძლებლობას, განხილულ უნდა იქნეს სხვა უფრუარ მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, რათა საგადასახადო კონტროლის მიზნით სრულყოფილად იქნეს გამოკვლეული სანარმოს მიერ წარმოებული ბუღალტრული აღრიცხვის სისწორე.

აღსანიშნავია, რომ საგამოძიებო სამსახური შპს „...“ მიერ აღურიცხავი შემოსავლების დასადგენად დაეყრდნო ე.წ. შავ ჩანაწერებს, რომლებიც ასახული იყო კონკრეტული ბრენდების მიხედვით პროდუქციის ყოველდღიური მოძრაობა (ნაშთი, მიღება, რეალიზაცია, უკან გატანა, ჩამოფასება და საბოლოო ნაშთი) სარეალიზაციო ფასებში. საზოგადოების თანამშრომლების დაკითხვისას მიცემული ჩვენებების შინაარსის გათვალისწინებით, აღნიშნულ ექსელის ფაილში მონაცემების თავმოყრა ხდებოდა საზოგადოების სხვადასხვა თანამშრომლების მიერ თაბახის ფურცლებზე ნანარმოები ინფორმაციის საფუძველზე, 2007 წლის წლებრივად აშშ დოლარში, ხოლო შემდეგ პერიოდში – ევროში. ამასთან, ოთხი დასახელების ბრენდი აღირიცხებოდა ეროვნულ ვალუტაში. ბოლოს ხდებოდა ყველა ბრენდის შეჯამება ერთიან მონაცემად. ამასთან, თაბახის ფურცლებზე ნანარმოებ ანალოგიურ ჩანაწერებში მითითებულია სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებიდან (... , ... , ... და სხვა) დროის გარკვეულ პერიოდში სანარმოში შესული თანხები. ფაილში ასახულ ჯამურ მონაცემებსა და დეკლარირებულს შორის სხვაობა მიჩნეულ იქნა აღურიცხავ შემოსავლებად. საქმეში წარმოდგენილია სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას გამოძიების მიერ შპს „...“ თანამშრომლების დაკითხვის ოქმები. საქმის სასამართლოში განხილვისას მტკიცებულებათ გამოკვლევის ეტაპზე ექსელის ფაილთან მიმრთებით სასამართლოს განმარტება მისცეს სანარმოს თანამშრომლებმა, რომლებმაც განმარტეს, რომ ექსელის ფაილებს გააჩნდათ მხოლოდ სტატისტიკური მნიშვნელობა და იგი იქმნებოდა კონკრეტული ბრენდის პროდუქციის მომწოდებელი ბიზნეს-პარტნიორებისათვის საჭირო სტატისტიკური მონაცემების თავმოყრის მიზნით. აღნიშნულის დასტურად წარმოდგენილ იქნა შპს „...“ და სხვადასხვა უცხოურ კომპანიებს შორის წარმოებული მიმოწერის ამსახველი მასალა, აღნიშნული ინფორმაციის მოთხოვნა-მინოდების თაობაზე. საქმეში ასევე წარმოდგენილია ამავე უცხოური კომპანიების დასტური, რომ

შპს „...“ მათი მოთხოვნით უხდებოდა მოემზადებინა ინფორმაცია – კონკრეტული ბრენდის პროდუქციის მიმოქცევის სტატისტიკა, შესათავაზებელი სარეალიზაციო ფასების მითითებით. საკასაციო პალატა მიუთითებს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ეტაპზე მოწმეთა დაკითხვის ოქმების შინაარსზე და აღნიშნავს, რომ აღნიშნულ ჩვენებებში დაფიქსირებული ინფორმაცია არ არის დადასტურებული სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გამამტყუნებელი განაჩენით, რომელიც მოწმეთა ჩვენებაში ასახული ქმედების მართლწინააღმდეგობას სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში დაადასტურებდა. ამდენად, მაკონტროლებელი ორგანო არ არის უფლებამოსილი სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხული მოწმის ჩვენებას მიანიჭოს უდავო მტკიცებითი ხასიათი, იგი უნდა შეფასდეს საგადასახადო კონტროლის მიზნებისათვის საბუღალტროებინომიკური, საფინანსო და სხვა მასალებში მითითებულ გარემოებათა გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ შპს „...“ დარიცხვის განხორციელების ერთ-ერთ საფუძვლად მითითებულია სანარმოს მიერ განეულ ხარჯებზე, რომლებიც აღემატებოდა სანარმოს მიერ დეკლარირებულ ხარჯებს. კერძოდ, თანამშრომლებზე ხელფასები გაცემული ჰქონდა აღურიცხავად, ასევე სანარმოს დირექტორის მიერ გატანილი თანხები, რაც მითითებული იყო თაბახის ფურცლებზე, არ შეესაბამებოდა სანარმოს შემოსავლებს. ამ უკანასკნელი ხარჯის შესაფასებლად შემოწმების აქტი ასევე მიუთითებს წლების მანძილზე სანარმოს დირექტორის საკრედიტო-სავალო ურთიერთობებზე და როგორც ინდ.მენარმის მიერ დეკლარირებულ შემოსავლებზე. საგადასახადო კოდექსის (2004 წლის რედაქცია) 104.1 მუხლის თანახმად, თუ რამე თანხა გამოიყენება კონკრეტული პირის ინტერესებისათვის, ჩაითვლება, რომ ეს თანხა მიღებული აქვს ამ პირს. შესაბამისად, საგადასახადო დარიცხვის მართებულობის დასადგენად უნდა გაიმიჯნოს სანარმოსა და დირექტორის, როგორც გადამხდელი ფიზიკური პირის როგორც ხარჯები, ისე შემოსავალი, უნდა დადგინდეს ამა თუ იმ თანხის წარმომავლობა და მისი კავშირი შესამოწმებელი სანარმოს მიერ მიღებულ შემოსავლებთან, მათი დაბეგვრის მართებულობის უზრუნველსაყოფად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ მოცემულ შემოხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-

თლებრივი აქტები გამოიცა საქმის გარემოებათა გამოკვლევი-სა და შეფასების გარეშე. ადმინისტრაციული საპროცესო კო-დექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნე-ლობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარე-შე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს სადაც აქ-ტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმი-ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგა-ნოს ვალდებულებას შეადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქო-ნე გარემოებათა გამოკვლევა. ადმინისტრაციული ორგანოს მი-ერ გადაუწყეტილება საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურ-თიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს მიღებული. აღნიშ-ნული ნორმიდან გამოდინარე, მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევის გარეშე აქტის გამოცემა წარმოადგენს სადაც სა-კითხის გადაუწყვეტლად მისი ბათილად ცნობის და ადმინის-ტრაციული ორგანოსათვის ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძველს. იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს სათანადოდ არ დაუდგენია ფაქტობრივი გარემოებე-ბი – სახეზეა აქტის გამოცემა ფაქტობრივი გარემოებების გა-მოკვლევისა და შეფასების გარეშე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს მიერ 2012 წლის 1 მარტს მიღებულ გადაუწყეტილებაზე (საჩივარი №2662/2/11), რომლითაც ადმინისტრაციულმა ორგანომ შეასწორა იმა-ვე დავების განხილვის საბჭოს 2011 წლის 29 დეკემბრის №2662/2/11 გადაუწყეტილების შესავალ ნაწილში დაშვებული უზუ-ტობა იმგვარად, რომ შპს „...“ საჩივრის განმხილველი დავების საბჭოს წევრებად მიუთითა დ. გ-ე (თავმჯდომარე), რ. კ-ა, მ. ბ-ი, გ. ლ-ე, ვ. პ-ი, დ. ქ-ი და დ. ჩ-ე; უსწორობის გასწორებამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბ-ჭომ თავისი 2011 წლის 29 დეკემბრის №2662/2/11 გადაუწყეტი-ლების შესავალ ნაწილში მითითებული იყო, რომ საბჭომ შპს „...“ საჩივარი განიხილა შემდეგი შემადგენლობით: დ. გ-ე (თავმჯდო-მარე), რ. კ-ა, მ. ბ-ი, გ. ლ-ე, გ. პ-ა, დ. ქ-ი და დ. ჩ-ე. მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო საჩივარში მითითებაა აღნიშნულ უსწო-რობაზე მოცემულ დავასთან მიმართებით, აღნიშნული ადმი-

ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოცემული დავის ფარგლებში განხილვის საგანი ვერ იქნება, ვინაიდან იგი დამოუკიდებლად გასაჩივრებულია დაინტერესებული მხარის მიერ. რაც შექება დავების განხილვის საბჭოს იმ გადაწყვეტილებას, რომელშიც შესწორდა უსწორობა, წარმოადგენს მოცემული დავის საგანს და საკითხის ადმინისტრაციულ ორგანოში გამოკვლევისათვის დაბრუნების გამო, სახეზეა დავების განხილვის საბჭოს 2011 წლის 29 დეკემბრის №2662/2/11 გადაწყვეტილების (საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში) ბათილად ცნობის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სადავო აქტების გამოცემისას უნდა გათვალისწინებულიყო ზემოთ მითითებული გარემოებები, რასაც შესაძლოა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება გამოეწვია. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონის ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. სზავ-ის 96-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისა გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამრთლებრივი აქტები გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა უგულებელყოფით, რაც მათი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული საკითხები საჭიროებს საწარმოს საფინანსო-ბუღალტრული და სხვა დოკუმენტაციის ერთობლივ, ურთიერთშეჯერებულ რევიზირებას, რაც მაკონტროლებელი ადმინისტრაციული ორგანოს სპეციფიკურ უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება, საკასაციო პალატა თვლის, რომ სადავო სამართალურთიერთობის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლი და სადავო საკითხის, – მოსარჩელისათვის თანხების დარიცხვის კანონიერების, გადაუწყვეტლად ბათი-

ლად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2011 წლის 8 ივლისის №1302 ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 8 ივლისის №006-156 საგადასახადო მოთხოვნა შპს „....“ თანხების დაკისრების თაობაზე. ასევე ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2011 წლის 29 დეკემბრის №2662/2/11 გადაწყვეტილება. შესაბამისად, სსიპ შემოსავლების სამსახურმა შპს „....“ მიმართ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, უნდა გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; ზემოაღნიშნული გარემოებების გამოკვლევა-შეფასების შემდგენ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ უნდა გაირკვეს სანარმოს ბუღალტრული აღრიცხვა შეესაბამება თუ არა იმ მოთხოვნებს, რომლებიც დადგენილია საგადასახადო კონტროლის მიზნებისათვის, სახეზე იყო თუ არა შემოსავლებისა და ხარჯების არასწორი აღრიცხვა და სხვა გარემოებები, რომელთაც მნიშვნელობა აქვს მოცემული საკითხის გადაწყვეტისათვის.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76-ის დადგენილებით დ. ბ-ი მიჩნეულ იქნა პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირად. საქმეში ასევე წარმოდგენილია მხარის განცხადებები (მიმართვები) საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტისადმი და ამავე კომიტეტის სხდომის ოქმებიდან ამონანერები. აღნიშნული მასალა საფუძვლად დაედო დ. ბ-ისათვის (შპს „....“ დირექტორისათვის) პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირის სტატუსის მინიჭებას. ასევე საქმეში წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომელშიც შემუშავებულია შპს „....“ მიმართ საგადასახადო სანქციის დაკისრების კანონიერებასთან დაკავშირებით. ამდენად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა წინამდებარებადან უნდა გადაწყვეტილებაში აღნიშნული გარემოებების გამოკვლევისას მხედველობაში უნდა მიიღოს ეს უკანასკნელი ფაქტიც და სადაც საკითხის გადაწყვეტისას, სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში უნდა შეაფასოს საწარმოს მიერ განხორციელებული საბუღალტრო აღრიცხვის მართლზომიერების გამოსავლენად.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად სახეზეა თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალა-

ტის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საკასაციო სასა-მართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუა-ლური წინაპირობები, რომლითაც შპს „...“ სარჩელი უნდა დაკმა-ყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული საპ-როცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მოსარჩელის მიერ სასამართლოში საქმის წარმოებისათვის გა-დახდილი სახელმწიფო ბაჟი მოპასუხე – სსიპ შემოსავლების სამსახურს უნდა დაეკისროს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაცი-ული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქარ-თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 411-ე მუხ-ლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. შპს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-ტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ივნისის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „...“ სარჩელი დაეკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამი-ნისტროს დავების განხილვის საბჭოს 2011 წლის 29 დეკემბრის №2662/2/11 გადაწყვეტილება; სადავო საკითხის გადაუწყვეტ-ლად ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამი-ნისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2011 წლის 8 ივლისის №1302 ბრძანება და საქართველოს ფი-ნანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 8 ივლისის №006-156 საგადასახადო მოთხოვნა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გა-მოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტი;
5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაეკისროს შპს „...“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 19 850 ლარის შპს „...“ ანაზღაურება;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## გადასახადისგან გათავისუფლება

### განჩინება

№ბს-733-717(ქ-12)

26 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

12.03.12წ. შპს „...“ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სა-  
სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სსიპ შემო-  
სავლების სამსახურის მიმართ, მოპასუხის 29.06.2011წ. №28 წი-  
ნიასნარი გადაწყვეტილების, 19.09.2011წ. №6908 გადაწყვეტი-  
ლების და 16.02.2012წ. №2049 გადაწყვეტილების ბათილად ცნო-  
ბის მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მან 09.02.2011წ. მიმართა შემო-  
სავლების სამსახურს და მოითხოვა წინასწარი გადაწყვეტილე-  
ბის მიღება ქონების გადასახადში საგადასახადო ვალდებულე-  
ბის სათანადოდ განსაზღვრის მიზნით, კერძოდ, მოსარჩელემ  
მიუთითა, რომ იგი წარმოადგენს საქართველოში მობილური კავ-  
შირგაბმულობის განმახორციელებელ ლიცენზირებულ კომპა-  
ნიას. საწარმოს ბარათზე ირიცხება სპეციალური დანიშნულე-  
ბის ძირითადი საშუალებები, რომლებიც გაერთიანებულია ორ  
ძირითად ჯგუფში: საკომუნიკაციო და საბაზისო სადგურების  
სისტემებში. ამ ჯგუფებში შემავალი ძირითადი საშუალებები  
ქმნიან ერთიან კავშირგაბმულობის სისტემას და უშუალოდ მო-  
ნაწილეობენ მოსარჩელის მიერ საკომუნიკაციო მომსახურების  
განევაში. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ საგადასახადო კოდექსის  
206-ე მუხლის 1-ლი წანილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მის  
სახელზე რიცხული ძირითადი საშუალებები უნდა გათავისუფ-  
ლდეს ქონების გადასახადისგან. სსიპ შემოსავლების სამსახუ-  
რის 05.07.2011წ. №28 წინასწარი გადაწყვეტილებით შპს „...“ გა-  
ნემარტა, რომ ქონების გადასახადისგან თავისუფლდება მხო-  
ლოდ საბაზო სადგურები, რადიოსარელეო აპარატურა, ოპტი-  
კური აპარატურა და ფიდერული ტრაქტი. დანარჩენი სისტემე-

ბი არ ექვემდებარებიან ქონების გადასახადისგან განთავისუფლებას. აღნიშნული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ. შპს „...“ ადმინისტრაციული საჩივარი შემოსავლების სამსახურის 19.09.2011წ. №6908 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში გაასაჩივრა, რომლის 24.10.2011წ. გადაწყვეტილებით საჩივარი დაკმაყოფილდა და იგი არსებითი განხილვისთვის დაუბრუნდა სსიპ შემოსავლების სამსახურს. შემოსავლების სამსახურის 27.01.2012წ. სხდომაზე ხელახლა მოხდა შპს „...“ საჩივრის განხილვა და მოსარჩელეს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე. შპს „...“ მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე მიიჩნევს, რომ შემოსავლების სამსახურის უარი უკანონოა და უნდა გაბათილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.05.2012წ. გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.08.2012წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე აღნიშნა, რომ დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისგან გათავისუფლებულია მიმოსვლის გზები, ელექტროგადამცემი ხაზები, აგრეთვე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების საკაბელო ხაზები. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება და აღნიშნა, რომ სარჩელში მითითებული რვა მოწყობილობა (მონაცემთა ბაზის რეგისტრი, ვიზიტორთა მონაცემთა ბაზა, კომუტატორი, IT პლატფორმა, უწყვეტი კვების წყარო, ანდა, სააპარატო კონტეინერი) სავალდებულო და აუცილებელია კავშირობამულობის სისტემის სათანადო ფუნქციონირებისთვის. მიუხედავად ამისა, საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე, ისინა არ წარმოადგენენ საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქონების არც ერთ სახეობას, რის გამოც დაუშვებელია მათი ქონების გადასახადის დარიცხვისგან განთავისუფლება. სააპელაციო პალატამ ასევე სსკ-ის 102-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება სადავო აქტების საქმის

გარემოებების გამოკვლევის გარეშე გამოცემის ფაქტი და მათი მომზადებისას კანონით განსაზღვრული წესების დარღვევა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.08.2012წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სარჩელში მითითებული 8 მოწყობილობა, საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე, არ წარმოადგენ საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქონების არც ერთ სახეობას, რის გამოც შპს „...“ არ უნდა განთავისუფლდეს ქონების გადასახადისაგან. სასამართლოს აღნიშნული მოტივაცია ეყრდნობა მხოლოდ მოპასუხის ზეპირ განმარტებებს და მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ დასაბუთებას. კასატორის მოსაზრებით სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მეცნიერ-სპეციალისტების მითითოთება იმის შესახებ, რომ საკომუნიკაციო და საბაზისო სადგურების სისტემებში იგულისხმება მათი შემადგენელი ის აუცილებელი ელემენტები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია კომუნიკაციის განხორციელება, მათ შორის სადაც მიჩნეული მოწყობილობები. განსახილველ საკითხებთან მიმართებით არც მოპასუხე მხარის პოზიცია იყო ცალსახა: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭომ გააუქმა შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება და საჩივარი უკანვე დაუბრუნა მას განსახილველად.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო ერთი მხრივ სადაც არ ხდის იმ ფაქტს, რომ სარჩელში მითითებული მოწყობილობები აუცილებელია კავშირგაბმულობის გამართულად ფუნქციონირებისთვის და მეორე მხრივ მიჩნევს, რომ საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე, ისინი არ წარმოადგენ საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, გადასახადის გადახდის-გან განთავისუფლებულ ქონებას. ამასთანავე, სააპელაციო პალატა არ უთითებს, რა იგულისხმება „საგადასახადო მიზნებში“ და კონკრეტულად რითი ენინააღმდეგება ამ „მიზნებს“ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამდენად, კასატორის მოსაზრებით სადაც განჩინებით უხეშად ირღვევა მხარის სამოქალაქო კოდექსის მე-8, მე-9, მე-10 მუხლებით და საგადასახა-

დო კოდექსის 39-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დაცული კანონიერი უფლებები და ინტერესები.

საკასაციო პალატაში 19.12.2013 წ. გამართულ სასამართლო სხდომაზე (15:37, 15:47 სთ-ზე), მოსარჩელის – შპს „...“ წარმომადგენელმა ი.ე-ამ დააზუსტა მოთხოვნა და აღნიშნა, რომ სადაც აქტების ბათილად ცნობასთან ერთად ითხოვს მითითებულ მოწყობილობებზე მოსარჩელის 2007-2011 წლებში რიცხული ქონების გადასახადისაგან განთავისუფლების სსიპ შემოსავლების სამსახურისთვის დავალებას.

მოწინააღდებებები შეარე – სსიპ შემოსავლების სამსახური არ დაეთანხმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და აღნიშნა, რომ სადაც აქტები კანონის მოთხოვნათა დაცვით არის გამოცემული.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსამარტებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად თვლის, რომ შპს „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ შპს „...“ 07.02.2011წ. განცხადებით მიმართა შემოსავლების სამსახურს კომპანიის ბალანსზე რიცხული საკომუნიკაციო სისტემების და საბაზო სადგურების სისტემების ქონების გადასახადისგან გათავისუფლების საკითხზე წინასწარი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით. სსიპ შემოსავლების სამსახურის 29.06.2011წ. №28 წინასწარი გადაწყვეტილებით ქონების გადასახადისგან განთავისუფლდა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ქონების ნაწილი: საბაზო სადგურები, რადიოსარელეო აპარატურა, ოპტიკური აპარატურა და ფიდერალური ტრაქტი. რაც შეეხება დანარჩენ მოწყობილობებს: მონაცემთა ბაზის რეგისტრს (HLR - Home Location register), ვიზიტორთა მონაცემთა ბაზას (VLR - Visitor location register), გეიოვეის (MGW - Media gateway), კომუტატორს, IT პლატფორმას, უნიკატი კვების წყაროს, ანდასა და სააპარატო კონტეინერს, – ისინი სსიპ შემოსავლების სამსახურმა არ მიიჩნია კავშირგაბმულობის ხაზებად და არ გაანთავისუფლა ქონების გადასახადისგან. წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანისას შემოსავლების სამსახურმა იხელმძღვანელა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 30.03.2011წ. №06/559-11 წერილით.

29.06.2011წ. №28 წინასწარი გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა შპს „...“. საჩივარს ერთვოდა სა-

ქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის პროფესორების – ჯ. ბ-ისა და ჯ. ხ-ას 08.07.2011წ. №110-3/2 წერილი, რომელშიც განმარტებულია, რომ მონაცემთა ბაზის რეგისტრი (HLR - Home Location register), ვიზიტორთა მონაცემთა ბაზა (VLR - Visitor location register), გეითვე (MGW - Media gateway), კომუტატორი, IT პლატფორმა, უწყვეტი კვების წყარო, ანდა და სააპარატო კონტრინი წარმოადგენენ ელექტროკავშირგაბმულობის ხაზების შემადგენელ ელემენტებს. საჩივარზე აგრეთვე თანდართული იყო „ა...“ 07.08.2011წ. წერილი, რომლის თანახმად, მითითებული პარატურა კავშირგაბმულობის ხაზის შემადგენელი ნაწილია. შემოსავლების სამსახურის 19.08.2011წ. №6908 ბრძანებით შპს „...“ ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ. საჩივარს, ზემოაღნიშნული დასკვნების გარდა, ერთვოდა სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 11.08.2011წ. №014498-2011/03 დასკვნა, რომლის თანახმად სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში შპს „...“ მიერ წერილობით წარმოადგენილი ტექნიკური წაკეთობები: მონაცემთა ბაზის რეგისტრი, ვიზიტორთა მონაცემთა ბაზა, გეითვე, სი პლატფორმა, უწყვეტი კვების წყარო, ანდა, სააპარატო კონტრინი და კომუტატური წარმოადგენენ ელექტროკავშირგაბმულობის ხაზების შემადგენელ და განუყოფელ ელემენტებს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 24.10.2011 №3105/2/11 გადაწყვეტილებით შპს „...“ საჩივარი წანილობრივ დაკმაყოფილდა, წანილობრივ გაუქმდა შემოსავლების სამსახურის 19.08.2011 №6908 ბრძანება და შპს „...“ მიერ მითითებული გარემოებების ხელახლი შესწავლის მოტივით ადმინისტრაციული საჩივარი არსებითი განხილვისთვის დაუბრუნდა შემოსავლების სამსახურს, რომლის 16.02.2012წ. №2049 ბრძანებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რის შემდეგაც შპს „...“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ და მოითხოვა: შემოსავლების სამსახურის 29.06.2011წ. №28 წინასწარი გადაწყვეტილების, 19.08.2011წ. №6908 გადაწყვეტილებისა და 26.02.2012წ. №2049 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, აგრეთვე მითითებულ მოწყობილობებზე შპს-ს ქონების გადასახადისგან განთავისუფლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.05.2012წ. გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩე-

ლი არ დაკმაყოფილდა, რაც უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.08.2012წ. განჩინებით. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად მიუთითეს, რომ მართალია დასახელებული მოწყობილობები სავალდებულო და აუცილებელია კავშირგაბმულობის სისტემის გამართულად ფუნქციონირებისთვის, თუმცა საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე ისინი არ წარმოადგენენ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქონების არც ერთ სახეობას, რის გამოც არ უნდა განთავისუფლდნენ ქონების გადასახადისაგან. საკასაციო პალატა მიიჩინებს, რომ მითითებული მოსაზრება დაუსაბუთებელია შემდეგ გარემოებათა გამო: საქმის მასალებით დასტურდება, რომ სსიპ შემოსავლების სამსახური შპს-ს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისას დაეყრდნო კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 30.03.2011წ. წერილს, რომლის საფუძველზე 4 მოწყობილობა (საბაზო სადგურები, რადიოსარელეო აპარატურა, ოპტიკური აპარატურა და ფიდერული ტრაქტი) განთავისუფლდა ქონების გადასახადისგან. ამავე წერილის ბოლო აბზაცში განმარტებულია, რომ ჩამონათვალი მოიცავს აგრეთვე მობილური კავშირგაბმულობის ქსელის შემადგენელ ფუნქციურ კვანძებს, რაც მთლიანობაში ქსელის ფიზიკური აგებისთვის, მისი ფუნქციონირების, აღრიცხვიანობის და მთლიანად სისტემის მართვის უზრუნველყოფისთვის არის განკუთვნილი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 25.10.2011წ. წერილში მითითებულია, რომ მოწყობილობის სახაზო საშუალებებისა და ნაგებობისათვის მიკუთვნების საკითხი უნდა განისაზღვროს კავშირგაბმულობის კონკრეტული ქსელის მიხედვით. სასამართლომ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წერილების სრული შესწავლის, შპს „...“ ქსელის თავისებურებების გამოკვლევის გარეშე და დანარჩენი 8 მოწყობილობის ქონების გადასახადისგან განთავისუფლებაზე უარის თქმის საფუძვლების დადგენის გარეშე, მოსარჩელეს უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძვლიანობას არ ადასტურებს სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ დასახელებული მოწყობილობები, საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე, არ ექვემდებარება ქონების გადასახადისგან განთავისუფლებას. არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლო აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებლად არ უთითებს რაიმე კონკრეტულ ნორმას ან არგუმენტს. სასამართლოს არ განუმარტავს რა იგულისხმება „სა-

გადასახადო მიზნებში“ ან რატომ არის დაუშვებელი ამ მიზნებიდან გამომდინარე სარჩელში დასახელებული მოწყობილობების ქონების გადასახადისგან განთავსუფლება. საგადასახადო კანონმდებლობა საერთოდ არ შეიცავს კავშირგაბმულობის ხაზის შემადგენელი ელემენტების განმარტებას. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 25.10.11წ. №02/2458 წერილში მითითებულია, რომ სადაც ელემენტების ჩამონათვალიდან უწყვეტი კვების წყარო, ანდა, კონტეინერი, მათი ფუნქციონალური დანიშნულებიდან გამომდინარე, მიეკუთვნება სახაზო საშუალებებს და ნაგებობებს, ხოლო მათდამი სხვა ელემენტების მიეკუთვნება, წერილის თანახმად, კავშირგაბმულობის კონკრეტული ქსელის მიხედვით უნდა განისაზღვროს, რასაც ადგილი არ ჰქონია.

სასამართლოს არ შეუფასებია აგრეთვე საქმეში წარმოდგენილი რიგი მტკიცებულებები, კერძოდ: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მეცნიერ-სპეციალისტების 08.07.2011წ. №110-3/2 დასკვნა, რომლის მიხედვით ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის სახაზო საშუალებები განეკუთვნება კავშირგაბმულობის ხაზებს და ყველა მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ამ ხაზების ერთიან ტექნოლოგიური კომპლექსის შემადგენლობაში, არიან მათი შემადგენელი და განუყოფელი ნაწილები, დასკვნის თანახმად, დასახელებული 8 მოწყობილობა წარმოადგენს ელექტრონული კავშირგაბმულობის ხაზების შემადგენელ ელემენტებს. მსგავსი მოსაზრებაა ასახული ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 11.08.2011წ. №014498-2011/03 დასკვნაშიც, რომლის მიხედვით, ყველა ეს მოწყობილობა არის კავშირგაბმულობის ქსელის სახაზო საშუალება. საქმეში დაცულია აგრეთვე „ა...“ 07.08.2011წ. წერილი, რომლის თანახმად აღჭურვილობა არის კავშირგაბმულობის ხაზის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი GSM სტანდარტის ქსელებისთვის. ქვედა ინსტანციის სასამართლოები დაეთანხმნენ, რომ სარჩელში მითითებული მოწყობილობები სავალდებულო და აუცილებელია კავშირგაბმულობის სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის. მიუხედავად ამისა, კონკრეტული ქსელის შესწავლისა და სათანადო არგუმენტაციის გარეშე, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ დასახელებული მოწყობილობები არ წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქონების არც ერთ სახეობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცე-

სო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, არც ერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასება ხდება მათი ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის საფუძველზე, რაც მტკიცებულებათა სწორი შეფასების აუცილებელი წინაპირობათაგანია. მტკიცებულებათა შეფასებას სასამართლო ახდენს ორი კრიტერიუმით: მათი სარწმუნობის თვალსაზრისით და, იმის მიხედვით, თუ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე რომელ ფაქტორივ გარემოებას ადასტურებს ესა თუ ის მტკიცებულება. სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასება გულისხმობს მტკიცებულებათა როგორც ინდივიდუალურ, ასევე ერთობლივ შეფასებას, მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ექსპერტის დასკვნის, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულების, შემოწმება და სათანადოდ შეფასება მტკიცების პროცესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ექსპერტიზის კვალიფიციური, ობიექტური დასკვნა სასამართლოს მიერ დასაბუთებული და კანონმქანაბამისი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაა, რაც თავის მხრივ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების რეალიზაციის ერთ-ერთი მთავარი გამოვლინებაა. სსკ-ის 172-ე მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსთვის სავალდებულო არ არის, თუმცა შისი უარყოფა ხდება სასამართლოს დასაბუთებული დასკვნის საფუძველზე, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა წარდგენილ დასკვნებსა და წერილებზე, აგრეთვე სათანადო საფუძვლის მითითების გარეშე უარყო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები. სასამართლოს, სპეციალური ცოდნის არქონის ან წარმოდგენილ მტკიცებულებათა არასარწმუნობის შემთხვევაში, გარემოებათა დამატებითი გამოკვლევის მიზნით, შეექლო გამოცემებინა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებანი (მაგ: მოწვია სპეციალისტი).

საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს „...“ სასარჩელო განცხადებით ითხოვდა მხოლოდ აქტების ბათილად ცნობას. ამასთანავე, წინასწარ გადაწყვეტილებათა გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ აქტების გამოცემაზე უარის თქმის შესახებ სადაცო აქტებით მოსარჩელე თავის მიზანს – ქონების გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ აქტის, მის მიმართ დანადგარებზე ქონების გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემას ვერ აღწევს. სააპელაციო ინსტანციაში აპელანტი – შპს „...“ ითხოვდა სადაცო აქტების ბათილად ცნობას, საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის

საფუძველზე აპელანტმა სასამართლოსგან მოითხოვა აგრეთვე ქონების გადასახადისგან გათავისუფლება. უკანასკნელი არ ემყარება კანონმდებლობის მოთხოვნებს, ვინაიდან საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლი ითვალისწინებს სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ წინასწარი გადაწყვეტილების მიღებას, ამასთანავე, დავის საგანს არ შეადგენს საგადასახადო ორგანოს რომელიმე აქტი გადასახადის კონკრეტული თანხის შპს „...“ დავისრებასთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლოს 19.12.13ნ. სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სადავო აქტების ბათილად ცნობასთან ერთად მოითხოვს სსიპ შემოსავლების სამსახურისთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას, რომლითაც შპს „...“ სარჩელში მითითებულ მოწყობილობებზე გათავისუფლდება ქონების გადასახადისაგან. საპროცესო კანონმდებლობა (სსკ-ის 83.2, 406 მუხ.) არ უშევბს საკასაციო ინსტანციაში სასარჩელო მოთხოვნის გაზრდას. ამდენად, სააპელაციო პალატამ უნდა დააზუსტოს დავის საგანი და განსახილველი სარჩელის სახეობა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ახალი აქტის გამოცემის მოთხოვნის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა განეკუთვნება სასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული შავალდებულებელი სარჩელის სახეობას, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას. სასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დაკმაყოფილების პირობებს ამავე კოდექსის 33-ე მუხლის 1-ლი ნაწილი შეიცავს, რომელიც სარჩელის დაკმაყოფილებას, ადმინისტრაციული ორგანოსთვის აქტის გამოცემის დავალებას უკავშირებს სარჩელის დასაშვებობის რამდენიმე პირობას, კერძოდ, სახეზე უნდა იყოს დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს უარი; უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე კანონს უნდა ეწინააღმდეგებოდეს, ამასთანავე უარი პირდაპირ და უშუალო ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას და ინტერესს. სარჩელის დაკმაყოფილება საჭიროებს მოცემული კუმულატიური პირობებიდან ყველას არსებობას. ქვედა ინსტანციის სასამართლოებს მოსარჩელის მიერ სასკ-ის 23-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნის დასაშვებობის და სასკ-ის 33-ე მუხლით გათვალისწინებული დაქმაყოფილების წინაპირობებზე და საფუძვლებზე არ უმსჯელიათ. ქვედა ინსტანციის სასამართლოებს არ უმსჯელიათ აგრეთვე წი-

ნასწარი გადაწყვეტილების გამოტანის პროცესუალური წინაპირობების არსებობაზე. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010წ. №996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილია წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემაზე უარის თქმის საფუძვლები, მათ შორის სახელდება პირის მიერ წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნა იმ საკითხზე ან/და იმ პერიოდზე, რომლის შემონმების მიზნითაც მას უკვე ჩაბარდა საგადასახადო შემონმების ჩატარების შესახებ სასამართლოს ან საგადასახადო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილება/შეტყობინება ან რომელიც უკვე შემონმებულია საგადასახადო ორგანოს მიერ (ინსტრუქციის 19.4 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები). საქართველოს უზენაეს სასამართლოში 19.12.2013წ. გამართულ სასამართლო სხდომაზე (15:39 სთ.) მოსარჩელის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს „....“ 2013 წლის აპრილში დაიწყო შემოწმება და ჯერ არ დასრულებულა. ამდენად საპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემაზე კანონისმიერი პროცედურული საფუძვლების არსებობაზე. სარჩელში დასახელებული მოწყობილობების კავშირგაბმულობის ხაზის განუყოფელ შემადგენელ წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის პროცესუალური შესაძლებლობა.

მოსარჩელე სარჩელით მოითხოვს სსიპ შემოსავლების სამსახურის 29.06.11წ. №28 წინასწარი გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, თუმცა ხსენებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში აღნიშნულია, რომ ქონების გადასახადი-საგან საგადასახადო კოდექსის 206.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გათავისუფლებულია საბაზო სადგურები, რადიოსარელეო აპარატურა, ოპტიკური აპარატურა და ფიდერული ტრაქტი, აღნიშნული დანადგარების, სხვა დანადგარებთან ერთად, გადასახადისაგან გათავისუფლებას მოითხოვდა შპს „....“. ამდენად სასარჩელო მოთხოვნა ამ წარმომადგენელის საჭიროებს დაზუსტებას, 29.06.11წ. №28 წინასწარი გადაწყვეტილება მოთხოვნის მიმართ მოსარჩელის უფლებას ეხება არა მთლიანად, არამედ იმ წარმომადგენელის მისი მოთხოვნა ქონების გადასახადისაგან დანარჩენი მოწყობილობების გათავისუფლებაზე.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლში 15.05.12წ. კანონით შეტანილი ცვლილებების თანახმად ქონების გადასახა-

დისაგან გათავისუფლებული ობიექტების ჩამონათვალი მნიშვნელოვნად შემცირდა. საგადასახადო კოდექსის 206.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თავდაპირველი რედაქცია ითვალისწინებდა მიმოსვლის გზების, საპარტო და საკაბელო საკომუნიკაციო ხაზების, მათ შორის, ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ხაზების ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებას. მოსარჩელე თვლის, რომ მის მიერ მითითებული დანადგარები კავშირგაბმულობის ხაზების შემადგენელი ელემენტებია. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელის დაკმაყოფილებაზეუარი თქვეს მხოლოდ 17.09.10წ. კოდექსის 206.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით. იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო კანონმდებლობას არ გააჩნია უკუქცევითი ძალა, ხოლო მოსარჩელე ითხოვდა 2007-2011 წწ. პერიოდის ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებას, სასამართლოს უნდა გამოევლია მოსარჩელის მოთხოვნის არა მხოლოდ 17.09.10წ. საგადასახადო კოდექსის, არამედ მანამდე მოქმედი კოდექსის ნორმების (276.1 მუხ.). მოთხოვნებისადმი შესაბამისობა. ამასთანავე, სასამართლოს არ დაუდგენია მანამდე მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით შემოსავლების სამსახურის წინასწარი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებით აღჭურვის მომენტი, 01.01.05 წ. ამოქმედებულ საგადასახადო კოდექსში შემოსავლების სამსახურის მიერ წინასწარი გადაწყვეტილების მიღება გათვალისწინებულ იქნა კოდექსში 21.07.10 წ. კანონით შეტანილი დამატებით, კერძოდ 47<sup>2</sup> მუხლით, სასამართლოს არ უმსჯელია ამჟამად მოქმედი კოდექსის 310.3 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, შემოსავლების სამსახურის ამ უფლებამოსილებისათვის უკუქცევითი ძალის მინიჭების შესაძლებლობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სათანადოდ არ დაასაბუთა გასაჩივრებული განჩინება, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს. საკასაციო პალატა საჭიროდ თვლის საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევას, სსკ-ის 377-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სრულყოფილ შემოწმებას. სსკ-ის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალა-

ქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახალი განხილვისათვის უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, რაც სსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...“ საკასაციო საჩივრი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 07.08.2012წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. საგადასახალო სამართალდარღვევა

**ა. დაჯარიმება სალარო აპარატის დაკარგვის ან  
გამოუყვენებლობის გამო**

**დაჯარიმება სალარო აპარატის დაკარგვის გამო**

### **განხილვა**

№ბს-417-406(კ-13)

25 თებერვალი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების  
ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

**მოსარჩევე:** შპს „...“ დირექტორი – მ. გ-ი

**მოპასუხე:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**სარჩელის სახე:** საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-  
ცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ  
სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

#### **სარჩელის საგანი:**

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 11 იანვრის  
საგადასახადო სამართალდარღვევის №0030092 და №030093  
ოქმების ბათილად ცნობა;

2. სსიპ შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 11 თებერვლის  
№5013 ბრძანების ბათილად ცნობა.

#### **სარჩელის საფუძველი:**

**ფაქტობრივი:** მოსარჩელის მითითებით, ქ. თბილისში, ... ქ.  
№...-ის, №1-ლი კორპუსის ბინა №23-ში რეგისტრირებულია და  
ფუნქციონირებს შპს „...“, რომელიც სავაჭრო ობიექტზე აღრიც-  
ხვას ახორციელებდა ორი საკონტროლო-სალარო აპარატის გა-  
მოყენებით კანონის მოთხოვნათა სრული შესაბამისობითა და  
დაცვით.

2011 წლის ბოლოს ობიექტზე მიყიდულ შემოსავლების სამ-  
სახურის წარმომადგენლები და მოითხოვეს, რომ მოქმედი სა-  
კონტროლო-სალარო აპარატები შეეცვალათ ახალი ტიპის, თა-

ნამედროვე აპარატებით, საწარმომ დადგენილ ვადაში დაარე-გისტრირა ახალი ტიპის ორი საკონტროლო-სალარო აპარატი. მოსარჩელის მტკიცებით, მან ვერ გაარკვია შემოსავლების სამ-სახურის წარმომადგენლებისგან რა უნდა ექნა ძველი სალარო აპარატებისათვის, მათ მხოლოდ აუხსნეს, რომ ვიზაიდან მათ ვერაფერში ვერ გამოიყენებდა, შეეძლო გადაეგდო კიდეც, მი-უხედავად ამისა ორივე საკონტროლო-სალარო აპარატი შეინა-ხა აბიექტის საწყობში.

მოსარჩელის მითითებით, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ 2012 წლის 12 მაისს ღამით ქ. ობილისში, ძლიერი წვიმების დროს დაიტბორა ქალაქის დიდი ნაწილი, მათ შორის, ... ქუჩაზე მდებარე შპს „...“ სავაჭრო ობიექტიც, რა დროსაც კომპანიას მიადგა საკმაოდ დიდი ზიანი. დაუძლეველი ძალის ლიკვიდაცი-ის ღონისძიებებში ჩაერთო პოლიცია, საგანგებო სიტუაციების სამსახური და სხვა. სავაჭრო ობიექტში თითქმის ყველაფერი განადგურდა. ფორსმაჟორულ ვითარებაში მიმდინარე სალიკ-ვიდაციო ღონისძიებებში, რომელიც რამოდენიმე დღე გაგრძელ-და, ბუნებრივია, ბევრი უცხო ადამიანიც მონაწილეობდა.

მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ დაკარგა ორივე ძველი ტიპის (ELVES MIKRO – F საქარხო №... და ELVES MIKRO – F №...) სა-კონტროლო-სალარო აპარატები, აღნიშნულის თაობაზე წერი-ლობით აცნობა, როგორც პოლიციას, ასევე შემოსავლების სამ-სახურს.

მოსარჩელის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ საკონ-ტროლო-სალარო აპარატების დაკარგვა გამოწვეული არ იყო მი-სი ბრალით, შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 11 იანვრის სამართალდარღვევის №0030092 და №030093 ოქმებით, საქარ-თველოს საგადასახადო კოდექსის 281.7 ნაწილის საფუძველ-ზე, სალარო-აპარატების დაკარგვისათვის დააჯარიმეს 3000-3000 ლარით.

აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმები გაასაჩივრა შემო-სავლების სამსახურში, რომლის 2013 წლის 11 თებერვლის №5013 ბრძანებით საჩივარი არ დაქმაყოფილდა.

**სამართლებრივი:** მოსარჩელის მითითებით, გასაჩივრებუ-ლი სამართლებრივი აქტები არაკანონიერია, ვინაიდან საგადა-სახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, პირს ამ კარით დადგენილი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ საგადასახადო სამართალდარღვევა გამოწვეულია დაუძლევე-ლი ძალის მოქმედების შედეგად. დაუძლეველ ძალად ითვლება ისეთი საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ამ კოდექსით დადგენილ ვალდებულებათა

შესრულებას და რომლის დადგომა არ არის დამოკიდებული პირის ნებაზე, მათ შორის: а)სტიქიური უბედურება (მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, ხანძარი და სხვა). ამასთან, საგადასახადო კოდექსში 2012 წლის 28 დეკემბერს №189 კანონით განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად და 270-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით „281-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის (გარდა განმეორებით ჩადენილისა) ფულადი ჯარიმის ნაცვლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გაფრთხილება“, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული წლის 1 იანვრიდან შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილმა პირებმა 2013 წლის 11 იანვარს შეადგინეს ორი საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი (№0030092 და №030093) და ორივე შემთხვევაში საგადასახადო სანქციის სახით გამოიყენეს ფულადი ჯარიმა, ამასთან, მოსარჩელს მტკიცებით, სამართალდარღვევის ოქმები შედგენილია კანონდარღვევით, კერძოდ, ოქმები შედგენილია არა სამართალდარღვევის ადგილას, არამედ შემოსავლების სამსახურში.

მოსარჩელის მტკიცებით, ასევე უკანონოა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 11 თებერვლის №5013 ბრძანება, ვინაიდან შემოსავლების სამსახურმა თავისი გადაწყვეტილება, როგორც საგადასახადო სანქციის შეფარდებისას ასევე, საჩივრის მოთხოვნის არ დაკმაყოფილების თაობაზე დააფუძნა იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე და არგუმენტებზე, რომლებიც არ ყოფილა სრულყოფილად გამოკვლეული და შესწავლილი. აქტები გამოცემულია დასაბუთების გარეშე, მოქმედი კანონმდებლობის უხევში უგულებელყოფით.

#### **მოპასუხის – სსიპ შემოსავლების სამსახურის შესაგებელი:**

შემოსავლების სამსახურმა საქალაქო სასამართლოში წარდგენილი შესაგებლით, სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ შპს „...“ ჩაიდინა საგადასახადო სამართალდარღვევა, კერძოდ, გადამხდელმა – შპს „...“ ვერ უზრუნველყო რეგისტრირებული სალარო აპარატების შენახვა. ასევე საქმეში არ არის წარმოდგენილი მოსარჩელის ბრალეულობის გამომრიცხავი საკმარისი მტკიცებულებები, მათ შორის, საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვის (მოპარვის) ფაქტზე არ ყოფილა აღძრული სისხლის სამართლის საქმე.

შემოსავლების სამსახურის მოსაზრებით, არ არსებობს გადასახადის გადამხდელის მიმართ 2013 წლის 22 იანვრის საგადასახადო სამართალდარღვევის №030092 და №030093 ოქმე-

ბით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე დაკისრებული ჯარიმების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

### **საქმის გარემოებები:**

2012 წლის 12 მაისს ძლიერი წვიმების შედეგად დაიტბორა ქ. თბილისში, ... ქ. №5-ის №1 კორპუსში მდებარე, შპს „...“ კუთვნილი კომერციული ფართი. ამოტუმბებითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა სანარმოს კუთვნილი საკონტროლო-სალარო აპარატები (ELVES MIKRO-F საქართველო №... და ELVES MIKRO-F საქართველო №...). მიუხედავად იმისა, რომ სალარო აპარატების დაკარგვა შპს „...“ დირექტორის განმარტებით, არ მომხდარა მისი ბრალით, საგადასახადო ორგანომ სსიპ შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 11 იანვრის საგადასახადო სამართალდარღვევის №0030092 და №030093 ოქმებით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281.7 მუხლის საფუძველზე დააჯარიმა 3000-3000 ლარით.

შპს „...“ დირექტორმა საჩივრით მიმართა შემოსავლების სამსახურს და მოითხოვა ზემოაღნიშნული სამართალდარღვევის ოქმებით დაკისრებული ჯარიმისგან გათავისუფლება, რომლის 2013 წლის 19 თებერვლის №5013 ბრძანებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ საქმის მასალებით დადგენილი არ იყო ის გარემოება, რომ საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვა გამოწვეული იყო სხვა პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, შესაბამისად, სამართალდარღვევის ოქმი შეესაბამებოდა საგადასახადო კანონმდებლობას და არ არსებობდა მეწარმის დაკისრებული სანქციისგან გათავისუფლების საფუძველი.

### **საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 11 იანვრის საგადასახადო სამართალდარღვევის №030092 და №030093 ოქმები და სსიპ შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 11 თებერვლის №5013 ბრძანება.

### **სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები:**

2013 წლის 3 იანვარს შპს „...“ დირექტორმა მ. გ-მა განცხადებით მიმართა სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტს და აცნობა, რომ 2012 წლის გაზაფხულზე ძლიერი წვიმის დროს დაიტბორა მისი კუთვნილი კომერციული ფარ-

თი. წყლის ამოტუმბერის შემდეგ გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა შპს „...“ კუთვნილი ორი საკონტროლო-სალარო აპარატი.

2013 წლის 11 იანვრის სსიპ შემოსავლების სამსახურის ინ-სპექტორების მიერ შპს „...“ მიმართ საკონტროლო-სალარო აპარატების (ELVES MIKRO-F საქარხნო №... და ELVES MIKRO-F საქარხნო №...) დაკარგვის ფაქტზე შედგა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმები №030092 და №030093, რომელთა შესაბამისად სანარმო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე დაჯარიმდა 3 000-3 000 ლარით.

2013 წლის 14 იანვარს შპს „...“ დირექტორმა საჩივრით მიმართა სსიპ შემოსავლების სამსახურს და მოითხოვა ამავე სამსახურის 2013 წლის 11 იანვრის სამართალდარღვევის ოქმების გაუქმება.

სსიპ შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 19 თებერვლის ბრძანებით შპს „...“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

#### **სასამართლოს მიერ სადაცოდ მიჩნეული ფაქტები:**

სადაცოა გასაჩივრებული აქტების კანონიერების საკითხი, კერძოდ, ის გარემოება, რომ საკონტროლო-სალარო აპარატების დაკარგვა გამოწვეული არ იყო მოსარჩელის ბრალით, არამედ სალარო აპარატების დაკარგვა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ 2012 წლის 12 მაისს ძლიერი წვიმების დროს დაიტბორა ქ. თბილისში, ... ქ. №...-ის №1-ლი კორპუსის კომერციული ფართი, რა დროსაც მოხდა ფართების დანაგვიანება და გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა შპს „...“ კუთვნილი 2 ცალი საკონტროლო-სალარო აპარატი.

**სასამართლოს დასკვნები –** – საქალაქო სასამართლო სარჩელის განხილვის, საქმეში არსებული მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტორივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმების და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

**სასამართლოს მიერ სადაცოდ მიჩნეული გარემოებების შეფასება:**

საქალაქო სასამართლომ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, დადგენილად მიიჩნია, რომ საკონტროლო-სალარო აპარატების (ELVES MIKRO-F საქარხნო №... და ELVES MIKRO-F საქარხნო №...) დაკარგვაში არ იკვეთება მოსარჩელის არათუგანზრახვა, არამედ გაუფრთხილებლობაც კი და არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია მტკიცებულებათა არასაკმარისობის თაო-

ბაზე, ვინაიდან, ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 11 იანვრის წერილით №11/1502-7 დასტურდებოდა, რომ 2012 წლის 14 მაისს ქ. თბილისის მერიის ცხელ ხაზზე შევიდა შეტყობინება, ქ. თბილისში, ... ქ. №...-ის №1-ლი კორპუსის დატბორვის შესახებ, რაც დასტურდება ასევე ქ. თბილისის მერიის სსპ საგანგებო და გა-დაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს 2013 წლის 20 თებერვლის №01/01/119 წერილითაც. ამასთან, საქალაქო სასა-მართლოს განმარტებით, საქმეში წარმოდგენილია საქართვე-ლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამ-მართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პილიციის მე-2 განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის მიერ 2013 წლის 20 თებერვალს გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურ-დება, რომ 2012 წლის 12 მაისს ძლიერი წვიმების დროს დაიტ-ბორა ქ. თბილისში, ... ქ. №...-ის კორპ. №1-ში მდებარე კომერცი-ული ფართი, რა დროსაც მოხდა ფართების დანაგვიანება და გა-ურკვეველ ვითარებაში დაიკარგა შპს „...“ კუთვნილი 2 ცალი სა-კონტროლო-სალარო აპარატი.

### **დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრი-ვი შეფასება:**

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს საგა-დასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-7 ნაწილი არ გულისხმობს პირისათვის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დაკისრებას. სა-გადასახადო კოდექსის 269-ე და სამართალდარღვევათა კოდექ-სის მე-10 და მე-11 მუხლების დებულებებით (ცალსახად არის დადგენილი ადმინისტრაციული (მათ შორის, საგადასახადო) სა-მართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაწესების საფუძ-ვლები, რომლის მიხედვითაც, პირს პასუხისმგებლობა ეკისრება მის მიერ ჩადგინილი მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფ-რთხილებელი ქმედებისათვის. ამდენად, დაუშვებელია პასუხის-მგებლობის დაკისრება მაშინ, როდესაც პირს არ ჩაუდენია მარ-თლსაწინააღმდეგო ქმედება, არ დაურღვევია კანონმდებლობით განმტკიცებული მართლწესრიგი, მასზე დაკისრებული მოვალე-ობები, არ შეულახავს სხვისი უფლებები და განზრახი ან გაუფ-რთხილებელი ქმედებით არ გამოუწვევია მართლსაწინააღმდე-გო შედეგი. საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-7 ნაწილ-ში მითითებული დათქმა სხვა პირის მიერ მართლსაწინააღმდე-გო ქმედების ჩადენაზე არ უნდა განიმარტოს ისე, თითქოს თუ სხვა პირის დანაშაულებრივი ქმედება არ არის დადგენილი, ნე-ბისმიერ შემთხვევაში სალარო აპარატის დაკარგვისათვის პასუ-ში უნდა აგოს გადასახადის გადამხდელმა.

„საკონტროლო-სალარო აპარატების ექსპლუატაციის (გამო-

ყენების) წესების და სალაროს ჩეკში შესატანი აუცილებელი რეკვიზიტების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 9 მარტის №186 ბრძანებით განსაზღვრული დებულებით (ძალადაკარგულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით, რომელიც მოქმედებდა შპს „...“ მიერ სალარო აპარატის დაკარგვის მომენტი), არ არის დადგენილი საკონტროლო-სალარო აპარატების შენახვის რაიმე სპეციალური წესი, რაც სავალდებულოდ უნდა დაიცვას მენარმემ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, გადასახადის გადამხდელს არ მოეთხოვება რაიმე განსაკუთრებული ღონისძიებების გატარება, სალარო აპარატის დაკარგვის თავიდან აცილების გამო, არამედ იგი ვალდებულია, მენარმისათვის დამახასიათებელი გულისხმიერებით გაუფრთხილდეს საკონტროლო-სალარო აპარატს და შეინახოს იგი ისეთ პირობებში, რომელიც გამორიცხავს სხვა პირთა უნებართვოდ დაშვებას მასთან, დაუფლებას ან სხვა გზით აპარატის გასვლას გადასახადის გადამხდელის მფლობელობიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, გამოიწვია თუ არა საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვა პირის, სულ მცირე, გაუფრთხილებელმა ქმედებამ, რაც შეიძლება გამოიხატოს აპარატის არასათანადო შენახვაში, უყურადღებოდ დატოვებაში და ა.შ., რასაც სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, მოსარჩელის მხრიდან აღილი არ ჰქონია.

ამასთან, გარდა ზემოაღნიშნულისა, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელეს პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილიც, რომლის შესაბამისად, პირს ამ კარით დადგენილი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ საგადასახადო სამართალდარღვევა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად. დაუძლეველ ძალად ითვლება ისეთი საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ამ კოდექსით დადგენილ ვალდებულებათა შესრულებას და რომლის დადგომა არ არის დამოკიდებული პირის ნებაზე, მათ შორის: ა) სტიქიური უბედურება (მინისტრა, წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, ხანძარი და სხვა); ბ) საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა, საგანგებო/საომარი მდგომარეობის გამოცხადება, აგ-

რეთვე სახელმწიფო ორგანოს სხვა გადაწყვეტილება; გ) მასობრივი არეულობა, გაფიცვა. კონკრეტულ შემთხვევაში კი, როგორც საქმის მასალებით დადგენილია, საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის – ძლიერი წვიმის შედეგად შპს „...“ კუთვნილი კომერციული ფართის დატბორვის ლიკვიდაციის სამუშაოების ჩატარების დროს ნივთების დაკარგვის გამო.

### **სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:**

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269.1, 281.7 მუხლებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10, მე-11 და მე-12 მუხლებით, „საკონტროლო-სალარო აპარატების ექსპლუატაციის (გამოყენების) წესების და სალაროს ჩეკში შესატანი აუცილებელი რეკვიზიტების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 9 მარტის №186 ბრძანებით.

**აპელანტი:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**მოწინააღმდეგე მხარე:** შპს „...“

### **აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

### **აპელაციის მოტივები:**

**ფაქტობრივი:** აპელანტის მითითებით, საქმის განხილვის დროს მოსარჩელემ წარმოადგინა მტკიცებულება, რომ ძლიერი წევიმის დროს მისი სათავსო დაიტბორა 2012 წლის 14 მაისს, აღნიშნული დასტურდება ქ. თბილისის მერიის მიერ გაცემული ცნობითაც, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2013 წლის 20 თებერვლის ცნობაში მითითებულია, რომ სათავსო დაიტბორა 2012 წლის 12 მაისს რა ინფორმაციასაც ეყრდნობა სასამართლო და სარჩელშიც მითითებულია, რომ სათავსო დაიტბორა 2012 წლის 12 მაისს და სასამართლომ სწორედ ეს ინფორმაცია ჩათვალა მტკიცებულებად და არა საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს 2013 წლის 20 თებერვლის №01/01/113 წერილი, ამდენად აღნიშნული წერილებიც ურთიერთგამორიცხავია და ისინი არ უნდა ჩაითვალოს მტკიცებულებად, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

ამასთან, მოსარჩელე თავის საჩივარში განმარტავს, რომ სა-

კონტროლო-სალარო აპარატების დაკარგვის შესახებ მან 2012 წლის მაისში გაიგო, ხოლო შემოსავლების სამსახურს აღნიშნულის შესახებ ინფორმაციით მიმართა 2013 წლის 3 იანვარს. ფაქტსა და ინფორმაციის შემოსავლების სამსახურისათვის მიწოდებას შორის დროის ინტერვალი თითქმის 7 თვეა.

აპელანტის მტკიცებით, კონკრეტულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ასევე დადასტურებული არ არის სხვა პირის მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ჰქონდა თუ არა ადგილი, რაც საგადასახადო კოდექსის 281.7 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებაა.

**სამართლებრივი:** აპელანტის მოსაზრებით, სააპელაციო სა-სამართლოს მითითება, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 9 მარტის №186 ბრძანებით დამტკიცებულ „საკონტროლო-სალარო აპარატების ექსპლუატაციის (გამოყენების) წესების და სალაროს ჩეკში შესატანი აუცილებელი რეკვიზიტების შესახებ“ დებულებაზე და მისი განმარტება იმგვარად, რომ გადასახადის გადამხდელისათვის არ არის დადგენილი რა-იმე სპეციალური წესი, რომელიც მას დაავალდებულებდა გაეტარებინა სპეციალური ღონისძიებები, რათა თავიდან აერიდებინა სალარო აპარატის დაკარგვა ან სხვაგვარი სახის დაზიანება, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, ვინაიდან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის შესაბამისად, განსაზღვრულია პასუხისმგებლობა საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესის დარღვევისათვის და მითითებულია პასუხისმგებლობის ზომა აღნიშნული სამართალდარღვევისათვის. აქედან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, უზრუნველყოს საკონტროლო-სალარო აპარატების დაკარგვის ან სხვაგვარი დაზიანების თავიდან აცილება. აპელანტის მტკიცებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269.1 მუხლის შესაბამისად, საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა. აპელანტის განმარტებით, სასამართლო აფასებს მხოლოდ პირის ვალდებულებას ქმედებასთან დაკავშირებით, მას არ აქვთ შეფასებული გადასახადის გადამხდელის უმოქმედობა, შეესრულებინა მისთვის დაკასრებული მოვალეობა დაეცვა საკონტროლო-სალარო აპარატები დაკარგვისაგან ან სხვა სახის დაზიანებისაგან. ამასთან, სასამართლო უთითებს, აღნიშნული მუხლის მე-5 ნაწილზეც, რომლის თანახმად, პირს ამ კარით დადგენილი პასუხისმგებლობა არ და-

ეკისრება, თუ საგადასახადო სამართალდარღვევა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად. დაუძლეველ ძალად ითვლება ისეთი საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ამ კოდექსით დადგენილ ვალდებულებათა შესრულებას და რომლის დადგომა არ არის დამოკიდებული პირის ნებაზე, მათ შორის: а) სტიქიური უბედურება (მინისტრა, წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, ხანძარი და სხვა); б) საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა, საგანგებო/საომარი მდგომარეობის გამოცხადება, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოს სხვა გადაწყვეტილება; გ) შასობრივი არეულობა, გაფიცვა. სასამართლოს მოსაზრებით, დაუძლეველ ძალად მიჩნეულია ძლიერი წვიმის შედეგად შეს „...“ კუთვნილი კომერციული ფართის დატბორვის ლიკვიდაციის სამუშაოების ჩატარება. აპელანტის მითითებით, იგი ეთანხმება სასამართლოს ამგვარ შეფასებას, მხოლოდ ნაწილობრივ, კერძოდ, იმ ნაწილში, სადაც სასამართლო წვიმას დაუძლეველ ძალად მიიჩნევს, მაგრამ გაუგებარია, რატომ შეიძლება მომდევნო დღეების განმავლობაში ჩატარებული სალიკვიდაციო სამუშაოები შეფასდეს დაუძლეველ ძალად. აპელანტის მტკიცებით, ამგვარი შეფასება ეწინააღმდეგება ამ მუხლით დადგენილ დანანესს, კერძოდ, გადასახადის გადამხდელს შესაძლებლობა ჰქონდა აეცილებინა დამდგარი შედეგი თავიდან გულისხმიერების გამოჩენით, ამავდროულად ის არ იყო მოკლებული ამ ქმედების განხორციელების.

#### **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 მაისის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება.

#### **გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მშჯელობა:**

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით განმარტა, რომ დავის სწორად გადაწყვეტის მიზნით მნიშვნელოვანია იმ გარემოების შეფასება მოსარჩელის მიერ ჩადენილია თუ არა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრული სამართალდარღვევა, რაც გამორიცხავს მის მიმართ მითითებული ნორმით განსაზღვრუ-

ლი სანქციის გამოყენების შესაძლებლობას. აღნიშნული ნორ-მით გათვალისწინებული ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშ-ვნელოვანია იმის დადგენა, გამოიწვია თუ არა საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვა პირის, სულ მცირე, გაუფრთხილე-ბელმა ქმედებამ, რაც შეიძლება გამოიხატოს აპარატის არასა-თანადო შენახვაში, უყურადღებოდ დატოვებაში. სააპელაციო პალატა არ იზიარებს აპელანტის საგადასახადო კოდექსის 281.7 მუხლის იმგვარ განმარტებას, რომ იგი პასუხისმგებლობის გა-მომრიცხავ გარემოებად ადგენს მხოლოდ შემთხვევას, როცა საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვა გამოწვეულია სხვა პირის მიერ ჩადენილი მართლსანინააღმდეგო ქმედებით და მი-უთითებს, საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის 1-ელ ნაწილ-ზე, რომლის შესაბამისად, საგადასახადო სამართალდარღვე-ვად ითვლება პირის მართლსანინააღმდეგო ქმედება (მოქმე-დება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალის-წინებულია პასუხისმგებლობა. ასევე ადმინისტრაციულ სამარ-თალდარღვევათა კოდექსის მე-10 და მე-11 მუხლების დებუ-ლებებით ცალსახად არის დადგენილი ადმინისტრაციული (მათ შორის, საგადასახადო) სამართალდარღვევისათვის პასუხის-მგებლობის დაწესების საფუძვლები, რომლის მიხედვითაც, პირს პასუხისმგებლობა ეკისრება შის მიერ ჩადენილი მართლსა-ნინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებისათვის. ამდენად, დაუშვებელია პასუხისმგებლობის დაკისრება მაშინ, როდესაც პირს არ ჩაუდენია მართლსანინააღმდეგო ქმედება, არ დაურღვევია კანონმდებლობით განმტკიცებული მარ-თლწესრიგი, მასზე დაკისრებული მოვალეობები, არ შეულახავს სხვისი უფლებები და განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედე-ბით არ გამოუწვევია მართლსანინააღმდეგო შედეგი. აღნიშნუ-ლიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სა-ქართველოს საგადასახადო კოდექსის 281.7 მუხლით გათვალის-წინებული ქმედების კვალიფიკიისათვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, გამოიწვია თუ არა საკონტროლო-სალარო აპა-რატის დაკარგვა სხვა პირის განზრახ ან გაუფრთხილებელმა ქმე-დებამ, რაც შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, აპარატის არა-სათანადოდ შენახვაში ან უყურადღებოდ დატოვებაში.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასა-მართლოს მოსაზრება, იმის თაობაზე, რომ სალარო-აპარატე-ბის დაკარგვაში არ იკვეთება მოსარჩევის როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი ბრალი, რაც საქართველოს საგადასა-ხადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინე-ბული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს

ქმნის.

ზემოაღნიშნულთან მიმართებაში სააპელაციო პალატა მიუ-  
თითებს, ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 11 იანვრის №11/1502-  
7 და ქ. თბილისის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სი-  
ტუაციების მართვის სააგენტოს 2013 წლის 20 თებერვლის №01/  
01/119 წერილებზე, რომლებიც ადასტურებენ ქ. თბილისში, ...  
ქ. №...-ის №1-ლ კორპუსში მდებარე კომერციული ფართის დატ-  
ბორვის ფაქტს. ამასთან, საქმეში წარმოდგენილია საქართვე-  
ლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამ-  
მართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-  
2 განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის მიერ 2013  
წლის 20 თებერვალს გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურ-  
დება, რომ 2012 წლის 12 მაისს ძლიერი წვიმების დროს დაიტ-  
ბორა ქ. თბილისში, ... ქ. №...-ის №1-ლი კორპუსის კომერციული  
ფართი, რა დროსაც დანაგვიანდა ფართები და გაურკვეველ ვი-  
თარებაში დაიკარგა შპს „...“ კუთვნილი 2 ცალი საკონტროლო-  
სალარო აპარატი. სააპელაციო პალატის განმარტებით, აპელან-  
ტის მიერ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების არასებო-  
ბის გამომრიცხავი მტკიცებულება ვერც საქალაქო და ვერც სა-  
აპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ვერ იქნა წარ-  
მოდგენილი.

სააპელაციო პალატის შეფასებით, ასევე მართებულია საქა-  
ლაქო სასამართლოს მიერ მოსარჩელის პასუხისმგებლობისა-  
გან გათავისუფლების საფუძვლად საქართველოს საგადასახა-  
დო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილზე მითითება, ვინაიდან  
დადგენილია, რომ საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვა  
გამოწვეულია დაუძლეველი ძალის – ძლიერი წვიმის შედეგად  
შპს „...“ კუთვნილი კომერციული ფართის დატბორვისა ლიკვი-  
დაციის სამუშაოების ჩატარებისას.

**კასატორი:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**მოწინააღმდეგე მხარე:** შპს „...“

**კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2013 წლის 31 მაისის განჩინების გაუქმება და  
ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმა-  
ყოფილებაზე უარის თქმა.

**კასაციის მოტივები/სამართლებრივი/:**

**პროცესუალური:** კასატორის მითითებით, სააპელაციო პა-  
ლატის მიერ დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპრო-  
ცესო კოდექსის 394-ე „ე“ და „ე“ ქვეპუნქტები, სასამართლო  
გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ

უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი.

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს და მიუთითებს, რომ გადასახადის გადამხდელი ვალდებულია შეასრულოს ყველა ის ვალდებულება, რომლის შესრულებასაც ავალდებულებს მას საგადასახადო კოდექსი, კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 43-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოს იმ დოკუმენტის შენახვა 6 წლის ვადით, რომლის საფუძველზეც ხდება გადასახადებით დახეგვრის ობიექტების აღრიცხვა და საგადასახადო დეკლარაციების შედგენა, აგრეთვე შემოსავლის/მოგების მიღების, განეული ხარჯებისა და გადახდილი ან/და დაკავებული გადასახადების დადასტურება, ამავე კოდექსის მე-8 მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად კი, „სააღრიცხვო დოკუმენტაცია ეს არის პირველადი დოკუმენტები (მათ შორის, პირველადი საგადასახადო დოკუმენტები), ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრები და სხვა დოკუმენტები, რომელთა საფუძველზედაც განისაზღვრება გადასახადებით დაბეგვრის ობიექტები, დაბეგვრასათან დაკავშირებული ობიექტები და დგინდება საგადასახადო ვალდებულებები“. კასატორის განმარტებით, სალარო-აპარატის მოხსნის თარიღიდან გადამხდელის სახელზე მისი რეგისტრაციის წინა 6 წლის მონაცემებზე სალარო აპარატის ფისკალურ მეხსიერებაში არსებული ჩანაწერები შემოსავლების სამსახურისა და გადამხდელებისათვის წარმოადგენს სააღრიცხვო დოკუმენტაციას. შესაბამისად, სალარო აპარატის მოხსნის თარიღიდან წინა 6 წლის საგადასახადო პერიოდებზე შემოწმების ჩატარების შემთხვევაში გადამხდელს შესაძლოა წარმოშობოდა ამ აპარატების ფისკალურ მეხსიერებაში არსებული ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება, შესაბამისად, ის ვალდებული იყო მენარმისათვის სათანადო გულისხმიერებით უზრუნველეყო და არ დაეკარგა საკონტროლო-სალარო აპარატები. სასამართლოს არგუმენტაცია, მასზეც, რომ გადასახადის გადამხდელისათვის ასეთი სპეციალური წესი არ არის დადგენილი, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, უზრუნველყოს საკონტროლო-სალარო აპარატების დაკარგვის ან სხვაგვარი დაზიანების თავიდან აცილება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269.1 მუხლის შესაბამისად, საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა. საგადასახადო სამართლდარღვევისათვის პირს პასუხისმგებლობა შეიძლება დაე-

კისროს მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლითა და წესით. კასატორის განმარტებით, სასამართლო აფასებს მხოლოდ პირის ვალდებულებას ქმედებასთან დაკავშირებით, მას არ აქვს შეფასებული გადასახადის გადამხდელის უმოქმედობა, შეესრულებინა მისთვის დაკისრებული მოვალეობა უზრუნველყოფისაგან ან სხვა სახის დაზიანებისაგან. ამის გარდა სასამართლო უთითებს, აღნიშნული მუხლის მე-5 ნაწილზეც, რომლის შესაბამისად, პირს ამ კარით დადგენილი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ საგადასახადო სამართალდარღვევა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად. დაუძლეველ ძალად ითვლება ისეთი საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ამ კოდექსით დადგენილ ვალდებულებათა შესრულებას და რომლის დადგომა არ არის დამოკიდებული პირის ნებაზე, მათ შორის: ა) სტიქიური უბედურება (მინისტრა, წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, ხანძარი და სხვა); ბ) საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა, საგანგებო/საომარი მდგომარეობის გამოცხადება, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოს სხვა გადაწყვეტილება; გ) მასობრივი არეულობა, გაფიცვა. სასამართლოს განმარტებით, დაუძლეველ ძალად უნდა შეფასდეს ძლიერი წვიმის შედეგად შპს „...“ კუთვნილი კომერციული ფართის დატბორვის ლიკვიდაციის სამუშაოების ჩატარება. კასატორი ეთანხმება სასამართლოს ამგვარ შეფასებას, მხოლოდ ნაწილობრივ, კერძოდ, იმ ნაწილში სადაც იგი წვიმას დაუძლეველ ძალად მიიჩნევს, მაგრამ გაუგებარია რატომ შეიძლება მომდევნო დღეების განმავლობაში ჩატარებული სალიკვიდაციო სამუშაოები შეფასდეს დაუძლეველ ძალად.

კასატორის მითითებით, საქმის განხილვის დროს მოსარჩელის მხრიდან წარმოდგენილი იყო მტკიცებულება, რომ ძლიერი წვიმის დროს მისი სათავსო დაიტბორა 2012 წლის 14 მაისს, მერიის მიერ გაცემული ცნობაც აღნიშნულს ადასტურებს, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2013 წლის 20 თებერვლის ცნობაში მითითებულია, რომ სათავსო დაიტბორა 2012 წლის 12 მაისს რა ინფორმაციასაც ეყრდნობა სასამართლო და სარჩელშიც მითითებულია, რომ სათავსო დაიტბორა 2012 წლის 12 მაისს და სასამართლომ სწორედ ეს ინფორმაცია ჩათვალა მტკიცებულებად და არა საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს 2013 წლის 20 თებერვლის №01/01/113 წერილი, ამდენად, აღნიშნული წერილები ურთიერთგამომრიცხავია და ისინი არ უნდა ჩაითვალოს მტკიცებულებად, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

ამასთან, მოსარჩელე თავის ადმინისტრაციულ საჩივარში განმარტავს, რომ საკონტროლო-სალარო აპარატების დაკარგვის ფაქტი მან 2012 წლის მაისში აღმოაჩინა, ხოლო შემოსავლების სამსახურს აღნიშნულის შესახებ ინფორმაციით მიმართა 2013 წლის 3 იანვარს.

კასატორის განმარტებით, გარემოებების დაზუსტების მიზნით, შემოსავლების სამსახურმა 2013 წლის 26 აპრილს მიმართაქ. თბილისის მერიის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს, 2013 წლის 2 მაისის წერილით ირკვევა, რომ მეპატრონის მიერ გაუქმდა გამოძახება და მათ ... ქ. №... კორპ. №1-ში არავითარი სამუშაოები არ ჩაუტარებიათ. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების თაობაზე, წერილი წარდგენილი იქნა სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ სასამართლომ აღნიშნული არ გაითვალისწინა, ვინაიდან სასამართლო ძირითადად დაეყრდნო შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-2 განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებლის ცნობას.

კასატორის მითითებით, შემოსავლების სამსახურმა 2013 წლის 24 ივნისს №21-04/48921 წერილით მიმართა ვაკე-საბურთალოს პოლიციის განყოფილებასაც, იმის თაობაზე, თუ როდის აცხობა გადამხდელმა პოლიციის განყოფილებას საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვის შესახებ. 2013 წლის 9 ივნისის პასუხიდან ირკვევა, რომ გადამხდელმა „შპს „...“ დირექტორმა მ. გ-მა პოლიციას განცხადებით მიმართა 2012 წლის 25 დეკემბერს და აღნიშნულ განცხადებაში მიუთითა, რომ მაისის თვეში წვიმის დროს დაიტბორა სავაჭრო ობიექტი და სამაშველო რაზმის მიერ გათავისუფლების დროს დაიკარგა ორი ცალი სალარო აპარატი და ითხოვა ცნობის გაცემა, საქმეში არსებული პოლიციის ცნობა გაიცა 2013 წლის 20 თებერვალს, რომელშიც აღნიშნულია, რომ 2012 წლის 12 მაისს ძლიერი წვიმის დროს დაიტბორა კომერციული ფართი და გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა სალარო აპარატები, ხოლო კასატორის მითითებით, ქ. თბილისის მერიის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს წერილის თანახმად, მათ საერთოდ არ ჩაუტარებიათ არანაირი სამუშაოები. კასატორის განმარტებით, ვინაიდან წერილი საინფორმაციო ხასიათისაა, იგი ვერ ჩათვლება მტკიცებულებად და სასამართლომ არ გაამახვილა ყურადღება.

კასატორის განმარტებით, ასევე არასწორია სასამართლოს მიერ სსიპ შემოსავლების სამსახურისათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრება, ვინაიდან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოები გათავისუფლებუ-

ლი არიან ბაჟის გადახდისაგან.

შპს „...“ დირექტორმა წარმოდგენილი მოსაზრებით მოითხოვა საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებით არ არსებობს აღმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის არცერთი წინაპირობა.

სსიპ შემოსავლების სამსახურმა საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მოსაზრებით მოითხოვა მისი საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წანამძღვრები:

საკასაციო სასამართლომ მიჩნია, რომ საქმე დასაშვებია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც აბსოლუტური კასაცია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრი უნდა დაკამაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2 და 394 „ე“ მუხლების მოთხოვნები; სასამართლომ დავა გადაწყვიტა ისე, რომ საერთოდ არ გამოუკვლევია და არ დაუდგენია ფაქტობრივი გარემოებები, არ გამოუყენებია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილება და ოფიციალობის პრინციპის უგულებელყოფით დაადგინა საქმეზე დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საკასაციო საჩივრის მოტივი განსახილველ საქმეში, რამაც შექმნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული

აბსოლუტური კასაციის წანამძღვრები, არის საგულისხმო და განსაკუთრებული სამართლებრივი თვალსაზრისით, რამაც მოცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი, კერძოდ, სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლომ სამართლებრივი შეფასება მისცეს:

1. სასამართლო ორგანოების მიერ პირის საჯარო სამართლებრივი ვალდებულებების შეუსრულებლობისას პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების დამადასტურებელი ფაქტების გამოკვლევისა და დადგენის კანონიერებას;

2. საგადასახადო საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული საკონტროლო-სალარო აპარატის იურიდიულ სტატუსს და მისი გამოყენება-შენახვის ადმინისტრირების კანონიერების საკითხს.

3. საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვის შემთხვევაში – მართლასანიანაღმდეგი ქმედების შემადგენლობის განსაზღვრას, შემთხვევის სამართლდარღვევად მიჩნევას და სამართლებრივი კვალიფიკაციის მიცემისას ქმედების განზრახი ან გაუფრთხილებელი ხასიათის გათვალისწინებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასებები და სასამართლო დასკვნები სასარგებლო იქნება, როგორც საგადასახადო ორგანოების მოხელეებისათვის და საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირების (საგადასახადო კოდექსის 49.6 მუხლით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით საქართველოს საგადასახადო ორგანოს კომპეტენციისთვის მიეუთვნებული საგადასახადო კონტროლის ცალკეული სახეები შესაძლებელია, განახორციელოს სხვა პირმა) მმართველობითი საქმიანობისათვის, ასევე საგადასახადო სამართალურთიერთობათა მონაწილეთათვის, რამდენადაც ადმინისტრაციული სამართლის კერძო წანილი – საგადასახადო სამართალი აწესრიგებს გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, განსაზღვრავს საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, უფლებამოსილი ორგანოსა და მისი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დაცის გადაწყვეტის წესს, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. ამდენად, საგადასახადო სამართლის აღნიშ-

ნული ინსტიტუტების სწორი გაგება-გამოყენება უშუალოდ განაპირობებს ადამიანთა ყოფას, საზოგადოებრივი წესრიგის ხარისხსა და კულტურას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნა სახელმძღვანელო გახდება სახელმწიფოში არსებული ადმინისტრაციული ორგანოებისათვის და მათი პრაქტიკისათვის, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალურთობებში შესაბამისი სასამართლო განმარტება ხელს შეუწყობს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოებს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულ და გადაწყვეტილ იქნა საპროცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნების უგულებელყოფით, სასამართლო აქტი საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, არ არის გაქარწყლებული აპელანტის მოსაზრებები, ისე არის მიჩნეული დაუსაბუთებლად და კანონმდებლის ჩამოყალიბებაში, ისე არის მიჩნეული დაუსაბუთებლად და კანონმდებლის ჩამოყალიბებაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აპსოლუტური კასაციის შემთხვევაში კონკრეტული საქმე მოიცავს საპროცესო საფუძველს, რომელზედაც შესაძლებელია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის დებულებათა ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბება ან კანონის ხარვეზის აღმოფხვრა.

აგრეთვე, ისეთ შემთხვევაშიც, როცა თავიდან უნდა იქნას აცილებული სასამართლო პრაქტიკაში მკვეთრი, უხეში განსხვავების დანერგვა, თუმცა გადამწყვეტია ისიც, თუ რა მნიშვნელობა აქვს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ერთიანი სასამართლო პრაქტიკისთვის. აღიარებულია, რომ სამართლის ნორმის განმარტებისას ან გამოყენებისას დაშვებული მატერიალური და ფორმალური შეცდომა მაშინ სცილდება ცალკეული შემთხვევების ფარგლებს და სერიოზულად ვნებს საზოგადო ინტერესებს, როდესაც ეს შეცდომა მასშტაბურია და არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მის საფუძველზე შეირყეს ნდობა მართლმასაჯულების მიმართ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3. მუხლის „გ“ ქვეპუნქტით ხელმძღვანელობით სტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეზე №ბს-52-52(კ-08) მ. ხ-ის სარჩელისა გამო მოპასუხის საქართველოს ფი-

ნანსთა სამინისტროს საბაზო დეპარტამენტის მიმართ, 2008 წლის 25 მარტის საკასაციო სასამართლომ იმსჯელა სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთ მითითებული საპროცესო ნორმით მინიჭებული კომპეტენციის კვალიფიციური გამოყენების შესახებ, კერძოდ:

„სასკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტის მიხედვით: სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უფლებად რჩება გასაჩივრებული გადაწყვეტილება და თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსაჯულებას. მითითებული ნორმით დადგენილი პროცესუალური უფლებამოსილების გამოყენება არ უნდა მოვიდეს ნინააღმდეგობაში ამავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრულ სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციასა და კომპეტენციასთან, ვინაიდან სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორციელების არსი მდგომარეობს სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების ვალდებულების დადგენით. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების ვალდებულება პროცესუალურ-სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით უცილობლად გულისხმობს და მოიაზრებს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც აგებულია მხარეთა დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივარს აკუთვნებს მხარის უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, ამასთან, სწორედ მხარის ამ საპროცესო უფლების რეალიზაცია თანაზომიერია მხარისავე საპროცესო ვალდებულებასთან – დაასაბუთოს საჩივარი, კერძოდ, სსსკ-ის 368-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ე) და ვ) ქვეპუნქტებში მითითებულია თუ რა უნდა იყოს ასახული სააპელაციო საჩივრის შინაარსში. მხარის ამგვარი პროცესუალური ვალდებულება შეიცავს მხარის საპროცესო უფლებრივ გარანტიას, ზემდგომმა სასა-

მართლომ შეაფასოს მისი საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, გაიზიაროს ან უარყოს, გააქარწყლოს ისინი იურიდიულად არგუმენტირებული სახით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენება ზემომითითებული საპროცესო ნორმების ობიექტური შინაარსის კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, სააპელაციო სამართალნარმოების გახდის ზედაპირულს და განაპირობებს მის უკიდურესად ფორმალისტურ ხასიათს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სააპელაციო სამართალნარმოების არსა და მართლმსაჯულების პრინციპებთან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საპროცესო ნორმა შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს მხარის პროცესუალური უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება უნდა შეიზღუდოს, რათა არ მოხდეს მხარის საპროცესო უფლების იგნორირება, უკიდურეს შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული საპროცესო ზედამხედველობა განუხორციელებელი დარჩება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105.2 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სასამართლომ თითოეული საქმის განხილვისას უნდა მოიპოვოს მტკიცებულებები, სარწმუნოდ დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

### **საქმის მასალებით დადგენილია:**

შპს „...“ რეგისტრირებულია ქ. თბილისში, ... ქ. №... კორპ. 1 ბინა 23-ში და ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას.

შპს „...“ 2011 წელს ძეგლი საკონტროლო-სალარო აპარატები (ELVES MIKRO-F საქართველო №... და ELVES MIKRO-F საქართველო №...) შეცვალა ახალი ტიპის საკონტროლო-სალარო აპარატებით, ძეგლი სალარო აპარატები შეინახეს ობიექტში.

2012 წლის მაისის თვეში ქ. თბილისში მოსული ძლიერი წვიმების დროს დაიტბორა ქალაქის დიდი ნაწილი, მათ შორის, ... ქუჩაზე მდებარე შპს „...“, ჩატარდა ამოტუმბვითი სამუშაოები.

მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ დაიკარგა ორივე ძეგლი ტიპის (ELVES MIKRO-F საქართველო №... და ELVES MIKRO-F №...) სალარო აპარატები, აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცნობა, როგორც პოლიციას, ასევე შემოსავლების სამსახურს.

შპს „...“ შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 11 იანვრის

სამართლდარღვევის №0030092 და №030093 ოქმებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281.7 ნაწილის საფუძველზე, სალარო-აპარატების დაკარგვისათვის, დაჯარიმდა 3000-3000 ლარით.

საწარმომ აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმები გაასახივოდა შემოსავლების სამსახურში, რომლის 2013 წლის 11 თებერვლის №5013 ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივარი არდაკმაყოფილდა.

საქმის მასალების შესაბამისად: ქ. თბილისის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს წერილის თანახმად, „ქ. თბილისის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოში 2012 წლის 14 მაისს ქ. თბილისის მერიის ცხელი ხაზის ოპერატორის მიერ შემოსულია ინფორმაცია ქ. თბილისში, ... ქ. №... კორპ. №1-ში დატბორილი კომერციული ფართის ამოტუმბვასთან დაკავშირებით“.

ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 11 იანვრის ნერილის შესაბა-  
მისად: „2013 წლის 10 იანვრის №11/1502-7 განცხადების პასუ-  
ხად, რომლითაც ითხოვდით საჯარო ინფორმაციას გაცნობებთ,  
რომ ქ. თბილისის მერიის ცხელ ხაზზე 2012 წლის 14 მაისს, და-  
ფიქტურულია ზარი, რომელიც განხორციელდა სატელეფონო  
ნომრიდან 599 ... .... . მოქალაქემ განაცხადა, რომ მის სავაჭრო  
ფართში, რომელიც მდებარეობს მისამართზე ქ. თბილისში, ... ქ.  
№..., კორპ. №1, დგას წყალი და ესაჭიროება დახმარება მის ამო-  
ტუმბვასთან დაკვშირებით. აღნიშნული ინფორმაცია, ქ. თბი-  
ლისის მერიის ცხელი ხაზის ოპერატორის მიერ, გადაეცა ქ. თბი-  
ლისის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების  
სააგენტოს მორიგეო თერიტორიას“.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობის შესაბამისად, 2012 წლის 12 მაისს, ძლიერი წევმების დროს დაიტბორა ქ. თბილისში, ... ქ. №..., კორპ. 1 კომერციული ფართები, რა დროსაც მოხდა ფართების დანაგვიანება და გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა შპს „...“ კუთხით 2 ცალი საკონტროლო-სალარო აპარატი.

2013 წლის 2 მაისის ქ. თბილისის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს წერილიდან ირკვევა, რომ: „ქ. თბილისის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ გადამოწმებულ იქნა ინფორმაცია 2012 წლის 14 მაისს მერიის ცხელი ხაზი-დან შემოსული ... ქ. №..., კორპ. №1-ში დატბორილი კომერციული ფართის ამოტუმბეჭასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მე-

პატრონის მიერ გაუქმებულ იქნა გამოძახება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ ვერ შევძლებთ განვისაზღვროთ შპს „....“ მიყენებული ზარალი.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელე შპს „....“ სადაცოდ გახადა სამართალდარღვევის საერთოდ ჩადენის ფაქტი, მიჩინია რა, რომ საკონტროლო – სალარო აპარატის დაკარგვა გამოწვეული არ იყო მისი ბრალით, არამედ ეს გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის, კერძოდ, ძლიერი წვიმების შედეგად ობიექტის დატბორვის გამო.

სადაცო სამართალურთიერთობა წარმოშობილია საგადასახადო სამართალდარღვევათა სფეროში, გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საგადასახადო სამართალდარღვევები საქართველოში მოწესრიგებულია საგადასახადო კოდექსით, რომელიც განსაზღვრავს საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებსა და საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლით განსაზღვრული ქმედების საგადასახადო სამართალდარღვევად მიჩნევისა და საგადასახადო პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპები, რომლის მიხედვით საგადასახადო სამართალდარღვევად ჩაითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა. საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პირს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლითა და წესით. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, საგადასახადო პასუხისმგებლობა არის კონკრეტული საგადასახადო სამართალდარღვევის ჩამდენი პირის ვალდებულება, საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით, პასუხი აგოს მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის. მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც არღვევს საგადასახადო კანონმდებლობის წორმებს. საგადასახადო კოდექსი ასევე ითვალისწინებს საგადასახადო პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებებსაც, კერძოდ, ზემოაღნიშნული მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პირს ამ კარით დადგენილი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ საგადასახადო სამართალდარღვევა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად.

საკასაციო სასამართლო წინამდებარე განჩინების მიღებისას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეზე ბს-138-132(კ-10) შპს „....“ სარჩელისა გამო მოპასუხების

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ამავე სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, ამავე სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის მიმართ, 2010 წლის 29 ივნისის განჩინებაში ჩამოყალიბებულ სასამართლო დასკვნებს. აღნიშნულ განჩინებაში საკასაციო სასამართლომ იმსჯელა დაუძლეველი ძალის, როგორც საჯარო სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხველ გარემოებასთან დაკავშირებით, კერძოდ: „საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში დაუძლეველი ძალა ძირითადად განიხილება, როგორც სხვადასხვა სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულებებში მხარეთა მხრიდან თავისი მოვალეობების შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან გამომრიცხველი გარემოება. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ მოვლენის გაგება მოცემულია სხვადასხვა ლექსიკონებსა და ნორმატიულ დოკუმენტებში შესაბამისი სახით.

თავად დაუძლეველი ძალის ცნება (ვის მაჯორ, ფორსე მაჯეურე, აცტ თფ გოდ) უკვე ათასწლეულია არსებობს და ნიშნავს ზეძალას „ლვთის ჩანაფიქრს“, ბედს, შემთხვევას, თავისი ძალით ადამიანურ ძალებს აღმატებულს, რომელიც მას წინ უნდა აღუდგეს, ამიტომაც ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან. ეს ცნება ცნობილი იყო კლასიკური პერიოდის რომაული კერძო სამართლისთვის, კონტინენტური ეკროპის ქვეყნების სამოქალაქო სამართლისთვის, ანგლო-ამერიკული სამოქალაქო სამართლისთვის (ფორს-მაჟორული დათქმები ხელშეკრულებაში).

საერთაშორისო კერძო სამართლის ფარგლებში დაუძლეველი ძალის გაგება მოცემულია „საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ 1980 წლის 11 აპრილის ვენის კონვენციის 79-ე მუხლში, სადაც მითითებულია: „მხარე არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერი თავისი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თუ დაამტკიცებს, რომ ეს გამოწვეული იყო მის კონტროლს მიღმა მყოფი შემთხვევით და რომ მისგან შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას ამგვარის კონივრული მოლოდინი“.

საერთაშორისო საჯარო სამართალში ფორს-მაჟორის ქვეშ (იურიდიულ პრაქტიკაში ტრადიციულად ეს ორი გაგება ერთიანდება) იგულისხმება სიტუაცია, რომლის დროსაც სუბიექტი იძულებულია იმოქმედოს საერთაშორისო ვალდებულებების გვერდის ავლით დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგების ან კონტროლს ვერდაქვემდებარებული გაუთვალისწინებელი მოვლენის გამო.

საკასაციო სასამართლო ფორს-მაჟორულ გარემოებასთან

დაკავშირებით განმარტავს შემდეგს: დაუძლეველი ძალის შე-დეგად ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე მისდაუნებურად ხდება ზიანის მიმყენებელი მეორე მხარისათვის.

დაუძლეველი ძალის განსაზღვრების საერთო პრინციპს გა-ნეუთვნება გარემოებათა ობიექტური და სუბიექტური ხასია-თი – ფაქტორების ზემოქმედება, რომელიც ვალდებულებათა შესრულების დაბრკოლება ხდება, უნდა იყოს ობიექტური და აბსოლუტური, ანუ უნდა ეხებოდეს არა მხოლოდ ზიანის მიმყე-ნებელს, არამედ იგი უნდა ვრცელდებოდეს ყველაზე. შესრუ-ლების შეუძლებლობა უნდა იყოს აბსოლუტური და არა მხოლოდ ვალდებული პირის შემაფერხებელი.

კანონმდებლობასა და პრაქტიკაში დაუძლეველ ძალას გა-ნაკუთვნებენ სტიქიურ უბედურებებს (მინისტრა, წყალდიდო-ბა) ან სხვა გარემოებებს, რომლებიც შეუძლებელია გაითვალის-წინო ან აღკვეთო (ან შესაძლებელია გათვალისწინება, მაგრამ შეუძლებელია მისი აღკვეთი) ადამიანთა ცოდნისა და ტექნი-კური შესაძლებლობების თანამედროვე დონის გათვალისწინე-ბით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს: ყველა სამოქალაქო-სამართლებრივ სისტემებში დაუძლეველი ძალა ითვლება პა-სუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად.

სამოქალაქო სამართალში – საგანგებო, გაუთვალისწინებე-ლი, შეთანხმების მონაწილეთა ნებისა და მოქმედებისგან და-მოუკიდებელი გარემოებაა, რომლებიც ვერ იქნება გათვალის-წინებული, აღკვეთილი ან აღმოფხვრილი, მაგ. სტიქიური უბე-დურება.

საერთო ჯამში, ფორს-მაჟორი შეიძლება დაიყოს ორ ჯგუ-ფად:

1. დაუძლეველი ძალა (მოკლე ვადიანი შემთხვევა)
2. იურიდიული ფორს-მაჟორი (განგრძობადი შემთხვევა)

ფორს-მაჟორად არ მიიჩნევა გარემოებები, რომლებიც თა-ვისი არსით არის კომერციული რისკი, მაგ. სიძნელეები არახელ-საყრელ კონიუნქტურასთან, ფასების ცვალებადობასთან და ა.შ. დაკავშირებით.

ფორს-მაჟორული გარემოებები ათავისუფლებენ კონტრა-ჰენტს მატერიალური პასუხისმგებლობისაგან სახელშეკრულე-ბო ვალდებულებების დაუცველობისას, იმ პირობით, რომ ის და-უყოვნებლივ აცნობებს პარტნიორს დაუძლეველი გარემოებე-ბის დადგომის შესახებ და განახლებს ვალდებულებათა შეს-რულებას მათი ზემოქმედების შეწყვეტისთანავე.

იურიდიულ ფორს-მაჟორს განეკუთვნება უმაღლეს სახელ-

მწიფო ორგანოთა გადაწყვეტილებები (იმპორტ-ექსპორტის აკრძალვები, სავალუტო შეზღუდვები და სხვ.) გაფიცვები, ომები, რევოლუციები და მსგავსი შემთხვევები.

იურიდიული ფორს-მაჟორის ცნებას არ გააჩნია ზუსტი განსაზღვრება. როგორც წესი, კონტრაპენტები ხელშეკრულებაში ითვალისწინებენ გაუთვალისწინებელ შემთხვევებს და მათი სამართლებრივი შედეგების პირობებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ფორს-მაჟორული გარემოებები ასევე იჩენენ თავს საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში და აქაც იგი განიხილება, როგორც საჯარო სამართლებრივი ვალდებულებების შეუსრულებლობისას პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება“.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილით ფორს-მაჟორი განიხილება, როგორც საგადასახადო სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება, კერძოდ, ამ კარით დადგენილი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს, თუ საგადასახადო სამართალდარღვევა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად. დაუძლეველ ძალად ითვლება ისეთი საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ამ კოდექსით დადგენილ ვალდებულებათა შესრულებას და რომლის დადგომა არ არის დამოკიდებული პირის ნებაზე, მათ შორის:

ა) სტიქიური უბედურება (მინისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, ხანძარი და სხვა);

ბ) საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა, საგანგებო/საომარი მდგომარეობის გამოცხადება, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოს სხვა გადაწყვეტილება;

გ) მასობრივი არეულობა, გაფიცვა.

აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, გარემოება ჩაითვლება საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვალდებულების შესრულების დამაბრკოლებელ გარემოებად, თუ მოცემულ პირობებში მისი გადალახვა შეუძლებელი იყო და ადგილი ჰქონდა საგანგებო ან განსაკუთრებულ გარემოებას. ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, გადასახადის გადამხდელის საგადასახადო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისას აუცილებლად უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი დაუძლეველი ძალის მოქმედებასა და საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობას შორის.

საგადასახადო კოდექსი ასევე აწესებს პასუხისმგებლობის ზომებს საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების

დარღვევისათვის, კერძოდ, 281-ე მუხლის მე-7 ნაწილი აწესებს პასუხისმგებლობის ზომას, გადასახადის გადამხდელის მიერ საკონტროლო-სალარო აპარატის (გარდა GPRS-ის და CRYPTO-ს მოდულის ფისკალური საკონტროლო-სალარო აპარატებისა) და-კარგვისათვის: „გადასახადის გადამხდელის მიერ საკონტრო-ლო-სალარო აპარატის (გარდა GPRS-ის და CRYPTO-ს მოდულის ფისკალური საკონტროლო-სალარო აპარატებისა) დაკარგვა, თუ დადგენილი არ არის, რომ ეს გამოწვეულია სხვა პირის მიერ ჩა-დენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, – იწვევს გადასახა-დის გადამხდელის დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გადასახადის გადამ-ხდელს საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვის გამო პა-სუხისმგებლობა არ დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ სალარო-აპარატის დაკარგვა გამოწვეული იყო სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, ანუ საკანონ-მდებლო ნორმა ცალსახად ადგენს, რომ სახეზე უნდა იყოს კა-ნონმდებლობის შესაბამისად დადგენილი და დადასტურებუ-ლი ფაქტი, რომ მენარმეს საკონტროლო-სალარო აპარატის და-კარგვაში ბრალი არ მიუძღვის, მისი დაკარგვა არ გამოუწვევია მის დაუდევარ ქმედებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი სა-თანადო პასუხისმგებლობით არ მოეკიდა საკონტროლო-სალა-რო აპარატის შენახვას, არამედ მისი დაკარგვა გამოწვეულია სხვა პირის ბრალეული ქმედებით ან დაუძლეველი ძალის არსე-ბობით. ამგვარი ფაქტის დაუდევნლობის შემთხვევაში ქმედე-ბის/უმოქმედობის კვალიფიკიტისათვის საგადასახადო კოდექ-სის 281.7 ნაწილის გამოყენება კანონსაწინააღმდეგოა, რამდე-ნადაც ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ნორმათშე-ფარდებას წინ უსწრებს ფაქტების გამოკვლევა-დადგენა-შე-ფასების სტადია, რაც ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს კანო-ნით აღწერილ შემთხვევას. ადმინისტრაციული წარმოების მი-ზანი კანონიერი გადაწყვეტილების მიღებაა, რომლის უზრუნ-ველსაყოფად იგი ორ მნიშვნელოვან საფეხურს შეიცავს:

1. საქმის ირგვლივ ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლე-ვა-დადგენა-შეფასება და

2. დადგენილი ფაქტების სამართლებრივი შეფასების საფუძ-ველზე ქმედების კვალიფიკაცია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ეროვნული სასა-მართლო ორგანოების მიერ პირის საჯარო სამართლებრივი ვალ-დებულებების შეუსრულებლობისას პასუხისმგებლობის გამომ-რიცხველი გარემოებების დამადასტურებელი ფაქტების გამოკ-ვლევისა და დადგენის კანონიერება უშუალოდ არის დაკავში-

რებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების ობიექტურ შეფასებასთან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლებმა ისე დაადგინეს სამართალდარღვევის – სალარო აპარატების დაკარგვა, ჩადენა დაუძლეველი ძალის გამო, რომ ობიექტურად არ გამოუკვლევიათ და არ დაუდგენიათ საქმის ფაქტობრივი გარემოებები, შესაბამისად საქმეზე დაადგინეს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რითაც უხეშად დაარღვიეს ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალნარმოების პრინციპული მოთხოვნები, სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და სრული გამოკვლევის ვალდებულების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დაეგბს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს.

საქმის გარემოებების გამორკვევა და ფაქტების დადგენა მართლმსაჯულების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს, სწორედ დადგენილი ფაქტების საფუძველზე ხდება ნორმათშეფარდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში. აღნიშნული პრინციპის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნას ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლები).

ადმინისტრაციული სამართალნარმოების უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ოფიციალობის პრინციპი განსაზღვრავს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების როლს. ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში, განსხვავებით სამოქალაქო სამართალნარმოებისგან სასამართლო პროცესუალური აქტივობის ცენტრში იმყოფება, ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი სა-

ჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი ად-მინისტრაციულ საპროცესო სამართალში სასამართლოს აკის-რებს საპროცესო სამართალურთიერთობაში მხარეთა საპრო-ცესო უფლებებში ბალანსის მიღწევისთვის აუცილებელ საპრო-ცესო მოქმედებების შესრულებას.

ოფიციალობის პრინციპზე დაყრდნობით სასამართლო უფ-ლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 4); სამოქა-ლაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფ-ლებამოსილების გარდა, საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები (ადმინისტრა-ციული საპროცესო კოდექსის მუხლი 19).

ადმინისტრაციული სასამართლოს ეს უფლებამოსილება კა-ნონმდებლის მიერ განმტკიცებულია ადმინისტრაციული საპ-როცესო კოდექსის მე-20 მუხლში ადმინისტრაციულ ორგანო-თა ვალდებულების დადგენით, წარუდგინოს სასამართლოს საქ-მის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენ-ტები და სხვა ინფორმაცია.

სასამართლოს უფლებამოსილება – თავისი ინიციატივით მო-იპოვოს მტკიცებულებები ან ინფორმაცია, ნიშნავს, რომ სასა-მართლომ უნდა განსაზღვროს შემთხვევები, როდესაც საფ-რთხე ემუქრება მართლმსაჯულების ძირითად პრინციპს – მხა-რეთა თანასწორობის /ანუ თანაბარი შესაძლებლობა – დაიცვან თავიანთი უფლებები/ რეალიზაციას საჯარო სამართლებრივი დავების მონაწილეთა სუბორდინაციული მდგომარეობიდან გა-მომდინარე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის არსები-თად /ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით/ გან-მხილველი სასამართლოების მიერ ოფიციალობის პრინციპის მეშვეობით საქმის გარემოებათა დამატებითი გამოკვლევა, მტკიცებულებათა მოპოვება სახელმწიფოში დღეისათვის არ-სებული სამართლებრივი კულტურის პირობებში არის უპირო-ბო აუცილებლობა, ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაზე სრულფასოვანი სასამართლო კონტროლის განხორციელები-სათვის, რის გარეშეც სამართლებრივი სახელმწიფოს, როგორც ღირებულებითი სიკეთით სარგებლობა შესაძლებელია ვერ მი-იღწეს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ მოცემული დავის გა-დაწყვეტისას სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულია

სსსკ-ის 105.2. მუხლის მოთხოვნები, რომლის მიხედვით სასა-მართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყო-ველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცუმული საქმის განხილვისას სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია საქმის მასალები, დადგენილად მიჩნეული გარემოებები არ ჰპო-ვებს დადასტურებას შესაბამისი მტკიცებულებებით, საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს კი არ მიეცა ობიექტური შეფასება, შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილებებში ჩამოყალი-ბებული დასკვნები არ გამომდინარეობს საქმის მასალების სა-ფუძვლიანი გამოკვლევისა და შესწავლიდან.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვემდგომი ინსტან-ციის სასამართლოების მსჯელობას დაუძლეველი ძალის გამო გადასახადის გადამხდელის პასუხისმგებლობისაგან გათავი-სულების თაობაზე, ვინაიდან ქვემდგომი სასამართლოების მსჯელობა და დასკვნები ენინააღმდეგება საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, როგორც საქმის მასალე-ბითა და საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი დოკუმენ-ტებით დასტურდება, 2012 წლის 12-13 მაისს ღამეს მართლაც დედაქალაქში მოვიდა უხვი ატმოსფერული ნალექები, რის შე-დეგადაც დაიტბორა დედაქალაქის დიდი ნაწილი. ქვემდგომმა სასამართლოებმა დადასტურებულად მიიჩნიეს, რომ ამ დროს დაიტბორა შეს „...“ სავაჭრო ობიექტიც, და გაიზიარეს მეწარმის ზეპირი განმარტება, ობიექტის დატბორვის მომენტში სალარო აპარატების დაკარგვის თაობაზე, თუმცა, აღნიშნულის დამა-დასტურებელი რაიმე სხვა მტკიცებულება საქმეში დაცული არ არის.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის XV-XX თავების საფუძველ-ზე განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გან-საზღვრულია მტკიცებულებათა სახეები: წერილობითი, ზეპი-რი და ნივთიერი სახის მტკიცებულებები. სსსკ-ის 105-ე მუხ-ლით დადგენილია სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფა-სების სტანდარტი, კერძოდ, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა (ნაწილი 1). სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არ-სებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის კრიტიკას ქვემდგომი სასამართლოების მიერ საქმის გარემოებების არა-სათანადო გამოკვლევა-შეფასებისა და შედეგად, დაუსაბუთე-ბელი გადაწყვეტილებების გამოტანის თაობაზე, შემდეგ გარე-მოებათა გამო: გაუგებარია რას ეყრდნობიან სასამართლო ორ-განობი, როცა დადგენილ ფაქტად მიიჩნევენ ობიექტის დატ-ბორვის მომენტში სალარო აპარატების დაკარგვას, ვინაიდან სამართლნარმოების კანონისმიერი სტანდარტით ამგვარი დას-კვნა უნდა გამომდინარეობდეს საქმეში დაცული დოკუმენტე-ბიდან. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში არ არსებობს წერი-ლობითი სახის მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს:

1. მოსარჩელის ობიექტი ნამდვილად დაიტბორა 12-13 მაი-სის წვიმის დროს;

2. ობიექტზე არ მისულა არცერთი ადმინისტრაციული ორ-განოს სამაშველო ან დამხმარე სამსახური;

3. არ არსებობს თუნდაც ერთი ადმინისტრაციული ორგანოს სამაშველო სამსახურის მიერ შედგენილი ობიექტის დატბორ-ვის შედეგად დაზიანებული ან დაკარგული ნივთების ადგილზე აღნერის ნუსხა;

4. შესაბამისად, არ არსებობს ობიექტის დატბორვის შედე-გად დაზიანებული ან დაკარგული ნივთების აღნერის ნუსხის ჩამონათვალში სალარო აპარატები.

ამავდროულად, საქმეში დაცულ მტკიცებულებებს – ქ. თბი-ლისის მერიის წერილს, რომლითაც დასტურდება, რომ შპს „...“ დიორექტორმა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დახ-მარებისათვის მიმართა 2 დღის შემდეგ – 2012 წლის 14 მაისს, ასევე, ქ. თბილისის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს წერილს (რომლიდანაც ირ-კვევა, რომ ქ. თბილისში, ... ქ. №...-ში, კორპ. 1-ში დატბორილი ფართის ამოტუმბვასთან დაკავშირებით მეპატრონემ გააუქმა გამოძახება), სასამართლომ საერთოდ აუარა გვერდი, არ შეა-მოწმა მათი უტყუარობა, გამორიცხავდა თუ არა მათი შინაარსი სხვა მტკიცებულებათა სანდობას და ა. შ.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამარ-თლომ საერთოდ არ იმსჯელა საქმეში დაცულ წერილობით მტკი-ცებულებებზე, არ გაუქარწყლებია მათი სანდობა სხვა მტკი-ცებულებებზე დაყრდნობით, არ მისცა სამართლებრივი შეფა-სება, რითაც უხეშად დაარღვია სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვ-ნა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასა-მართლოს მიერ გაზიარებული ზეპირი სახის მტკიცებულება –

მხარის ახსნა-განმარტება არ არის შეჯერებული სხვა არცერთი სახის, თუნდაც, ასევე, ზეპირი სახის მტკიცებულებასთან. სა-სამართლოს არ დაუკითხია არცერთი მოწმე, დატბორვის თვით-მხილველი, ან მოწმე, რომელიც დაადასტურებდა ამ ობიექტზე სალარო აპარატების შენახვის ფაქტს. ამგვარი მიღომით, ასე-თივე წარმატებით შეიძლება დადგენილად იქნას მიჩნეული ნე-ბისმიერი ნივთის დაკარგვის ფაქტი, რაც სრულიად შეუსაბა-მოა სამართლნარმოების ამოცანებთან და მიზანთან. საკასა-ციო სასამართლო მტკიცებულებათა გამოკვლევა-შეფასების ამგვარი სტანდარტის დამკვიდრებას აფასებს, როგორც უკა-ნონის და უკიდურესად საზიანოს მართლმსაჯულების განმხორ-ციელებელი ორგანოების ავტორიტეტისათვის, რამდენადაც სა-სამართლოს ყველა საპროცესო მოქმედება საპროცესო წესე-ბის ზედმინევნით დაცვით უნდა ჩატარდეს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი გან-ხილვისას უნდა გამოიკვლიოს: როდის დატოვა შეტყობინება შპს „...“ წარმომადგენლმა ქ. თბილისის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოში, ამ შეტყო-ბინების შედეგად განხორციელდა თუ არა ამოტუმბვითი სამუ-შაოები; 2013 წლის 2 მაისის ქ. თბილისის მერიის სსიპ საგანგე-ბო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს წერი-ლიდან ირკვევა, რომ მოსარჩევემ ჯერ დარეკა ... ქ. №..., კორპ. №1-ში დატბორილი კომერციული ფართის ამოტუმბვასთან და-კავშირებით, ხოლო შემდეგ ისევ გააუქმა გამოძახება, სააპე-ლაციო სასამართლომ ასევე უნდა გამოარკვიოს თუ რამ გამო-ინვია მენარმის ამგვარი ქმედება; სრულფასოვნად შეისწავლოს ს.ფ. 19-ზე განთავსებული საქართველოს შინაგან საქმეთა სა-მინისტროს ცნობა, რომლის მიხედვით: „2012 წლის 12 მაისს, ძლიერი წვიმების დროს დაიტბორა ქ. თბილისში, ... ქ. №..., კორპ. 1 კომერციული ფართები, რა დროსაც მოხდა ფართების დანაგ-ვიანება და გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა შპს „...“ კუთ-ვნილი 2 ცალი საკონტროლო – სალარო აპარატი“ – და გამოარ-კვიოს, ცნობაზე ხელმომწერი თანამდებობის პირის მოწმედ და-კითხვის მეშვეობით, ვის მოწოდებულ და რომელ მონაცემებს ეყრდნობა შსს მოხელე, ობიექტის დატბორვისა და დატბორვის შედეგად 2 სალარო აპარატის დაკარგვის ფაქტის აღწერა-და-ფიქსირებისას, მიცემული ჩვენების შეფასებისას კი გადაამოწ-მოს ფაქტები მტკიცებულებათა ერთობლიობათა საფუძველ-ზე.

აგრეთვე, მოსარჩელის მტკიცებით, მან საკონტროლო-სა-ლარო აპარატები დაკარგა 2012 წლის მაისის თვეში, ხოლო შე-

მოსავლების სამსახურს კი აღნიშნულის თაობაზე აცნობა მხოლოდ 2013 წლის 14 იანვარს №194/21-11 წერილით. სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, მენარმემ რატომ არ აცნობა შემოსავლების სამსახურს სალარო აპარატების დაკარგვისთანავე, მით უფრო იმ ვითარებაში, როცა საკასაციო სასამართლოში შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილის მიხედვით ირკვევა, რომ შემოსავლების სამსახურის საარქივო სამართველოს 2014 წლის 18 თებერვლის №17481-21-02 ინფორმაციით დადგენილია, რომ შპს „...“ დაკარგული სალარო აპარატების ფისკალური მეხსიერების ბლოკები საარქივო სამმართველოში არ ინახება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სარწმუნოდ უნდა გამოარკვიოს: რამ განაპირობა მოსარჩელის საკონტროლო-სალარო აპარატების დაკარგვა, არის თუ არა სახეზე მენარმის ბრალის გამომრიცხავი გარემოებები. ზემომითითებული გარემოებების სრულფასოვანი გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია მართებულად იქნას მიჩნეული სააპელაციო პალატის დასკვნა – პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრების გაზიარებასთან დაკავშირებით, რომ „სალარო-აპარატების დაკარგვაში არ იკვეთება მოსარჩელის როგორც გაზრდაში, ასევე გაუფრთხილებელი ბრალი, რაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს ქმნის“.

საგადასახადო საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული საკონტროლო-სალარო აპარატის იურიდიული სტატუსის და მისი გამოყენება-შენახვის ადმინისტრირების კანონიერებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, საკონტროლო-სალარო აპარატი წარმოადგენს სახელმწიფოს კონტროლის ინსტრუმენტს ნაღდი ფულის ბრუნვაზე და გადასახადის გადამხდელის მიერ მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას შესაბამისი მონაცემების თავისიდროულად აღრიცხვაზე. საკონტროლო-სალარო აპარატი განკუთვნილია მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას მიწოდებული საქონლის (მომსახურების) რეგისტრაციისათვის და შესაბამისი მონაცემების აღრიცხვისათვის. არსებობს ფისკალური და არაფისკალური საკონტროლო-სალარო აპარატი, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან მეხსიერებით. ფისკალური მეხსიერების საკონტროლო-სალარო აპარატს გააჩნია ინფორმაციის მატარებელი, რაც არ იძლევა მონაცემების წაშლის საშუალებას, ასევე გააჩნია ქვეყნის ფისკალური კა-

ნონმდებლობით გათვალისწინებული კონსტრუქციის სხვა განსაკუთრებულობა. საკონტროლო-სალარო აპარატის ფისკალურ მეხსიერებაში გროვდება ამ საკონტროლო-სალარო აპარატის მეშვეობით განხორციელებული ყველა ოპერაციის შესახებ მონაცემები.

საგადასახადო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებული არიან განახორციელონ საკონტროლო-სალარო აპარატების რეგისტრაცია, რაც გულისხმობს მასზე ფისკალური მეხსიერების ჩართვას და მონაცემთან ერთიან კომპიუტერულ ბაზაში საკონტროლო-სალარო აპარატების სარეგისტრაციო მონაცემების ასახვას. სახელმწიფო რეესტრიდან საკონტროლო-სალარო აპარატის მოდელების ამოღების შემთხვევაში, რეგისტრაციიდან უნდა მოიხსნას ძეველი მოდელის საკონტროლო-სალარო აპარატი და რეგისტრუციაში გატარდეს და გადასახადის გადამხდელის ობიექტზე დარეგისტრირდეს ახალი ტიპის საკონტროლო-სალარო აპარატი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ საკონტროლო-სალარო აპარატი განეკუთვნება საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 22-ე ნაწილთ დეფინირებულ სააღრიცხვო დოკუმენტაციას, მისი დანიშნულებიდან გამომდინარე, შესაბამისად, ამავე კოდექსის 43-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ვ) ქვეპუნქტით დადგენილი გადასახადის გადამხდელის ვალდებულება – უზრუნველყოს ამ ქვეპუნქტის ჩამონათვალში მოცემული დოკუმენტების შენახვა 6 წლის ვადის განმავლობაში, მოცავს საკონტროლო-სალარო აპარატის შენახვის ვალდებულებასაც.

საპელაციო სასამართლომ საერთოდ არ მისცა შეფასება თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობას, რომ საგადასახადო კანონმდებლობა, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 9 მარტის №186 ბრძანებით არ არის დადგენილი საკონტროლო-სალარო აპარატების შენახვის რაიმე სპეციალური წესი, რაც სავალდებულოდ უნდა დაიცვას მეწარმემ. ამდენად, გადასახადის გადამხდელს არ მოეთხოვება რაიმე განსაკუთრებული ღონისძიებების გატარება, რათა თავიდან აიცილოს სალარო აპარატის დაკარგვა, არამედ იგი ვალდებულია, მენარმისთვის დამახასიათებელი გულისხმიერებით გაუფრთხილდეს საკონტროლო-სალარო აპარატს და შეინახოს იგი ისეთ პირობებში, რომელიც გამორიცხავს სხვა პირთა უნებართვოდ დაშვებას მასთან, დაუფლებას და ა.შ., საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გაუგებარია სასამართლოს მსჯელობის ლოგიკა, რაში მდგომარეობს გადასახადის გადამხდელისთვის

საკონტროლო-სალარო აპარატის შენახვის რაიმე სპეციალური წესის დადგენის საჭიროება, ან რას გულისხმობს სასამართლო „შენახვის სპეციალურ წესში“, და ასეთის ნორმატიულად არ-დადგენა ათავისუფლებს თუ არა გადამხდელს საკონტროლო-სალარო აპარატის შენახვის ვალდებულებისაგან. მსჯელობა არ ატარებს დასრულებულ ხსიათს, რამდენადაც სასამართლოს იგი დასკვნის სახით არ ჩამოუყალიბებია. მეტიც, მსჯელობის მეორე ნაწილში საპირისპირო აზრია განვითარებული თუმცა, სასამართლო დასკვნის სახით შეჯამებული არც ის არ არის.

საკასაციო სასამართლო დასქნენს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს ნივთის შენახვის ზოგად სტანდარტს, ასე, მაგ: 170.3 მუხლი, რომლის შესაბამისად: „სარგებლობის უფლება მოიცავს ასევე შესაძლებლობას, არ ისარგებლოს პირმა თავისი ნივთით. კანონით შეიძლება დაწესდეს სარგებლობის ან მოვლისა და შენახვის ვალდებულება, თუკი ამ ნივთის გამოუყენებლობა ან მოუვლელობა ხელყოფს საზოგადო ინტერესებს. ამ შემთხვევაში მესაკუთრეს შეიძლება ან თვითონ დაეკისროს ვალდებულების შესრულება, ან შესაბამისი სასყიდლით ნივთის გადაცემა სხვა პირის სარგებლობაში“. მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, მესაკუთრეს შესაძლებელია დაევალოს მისი საკუთრების შენახვის ვალდებულებაც, თუ მისი საკუთრებაში არსებული ნივთი განსაკუთრებულ, სოციალურ, ეკონომიკურ ფასეულობას ნარმოადგენს. კონკრეტულ შემთხვევაში კი, როგორც აღვნიშნეთ, საკონტროლო-სალარო აპარატის ფისკალურ მეხსიერებაში გროვდება საკონტროლო-სალარო აპარატის მეშვეობით განხორციელებული ყველა ოპერაციის შესახებ მონაცემები, რომელიც საგადასახადო სამსახურისათვის ნარმოადგენს სააღრიცხვო დოკუმენტაციას, საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე, ანუ სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად, ხორციელდება მენარმის საგადასახადო კონტროლი, ე.ი. სააღრიცხვო დოკუმენტაციის შეიცავს ნებისმიერ წერილობითი (მათ შორის, ელექტრონული) ფორმით შესრულებულ საბუთს, რომელსაც კავშირი აქვს დაბეგვრასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, საკონტროლო-სალარო აპარატი ნარმოადგენს უმნიშვნელოვანესი მმართველობითი ღონისძიების – საგადასახადო ადმინისტრირების ერთ-ერთ განსაკუთრებულ სახეს, მეწარმე ვალდებულია განსაკუთრებული გულისხმიერებით შეინახოს საკონტროლო სალარო-აპარატი და ამისთვის არ არის აუცილებელი საგადასახადო კანონმდებლობით შემუშავებული შენახვის წესებისა და პირობების დადგენა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა უზრუნველყოს საქმის გარემოებების სრულფასოვანი და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე სასამართლო დავის კანონიერად და მიუკერძოებლად გადაწყვეტა, საპროცესო და მატერიალური კანონმდებლობის განუხრელი დაცვით.

კასატიონის მოტივი, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრების უკანონობასთან მიმართებით საკასაციო სასამართლოს მიერ ვერ იქნება გაზიარებული სსკ-ის 55-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის საფუძველზე, თუმცა, საქმის ხელახლა განხილვისას საპროცესო სასამართლომ საპროცესო ხარჯები საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად უნდა გადაანაწილოს საქმეზე გადაწყვეტილების დადგენისას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412.2 მუხლის თანახმად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესულური და სამართლებრივი საფუძვლები, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემოაღნიშნული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მიქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ლ ა:**

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადაანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## დაჯარიმება სალარო აპარატის გამოუყენებლობის გამო

### განხილვა

№პს-530-511(ქ-13)

4 თებერვალი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომსესენებელი),  
გ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების  
ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩევე: ი/მ „დ. ბ-ე“

მოპასუხე: სსიპ შემოსავლების სამსახური

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-  
ცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-  
სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

#### სარჩელის საგანი:

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 28 თებერვლის  
საგადასახადო სამართალდარღვევის №007396 ოქმის ბათილად  
ცნობა;
2. სსიპ შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 5 ივლისის  
№11057 ბრძანების ბათილად ცნობა.

#### სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოსარჩელის განმარტებით, ქ. თბილისში, ...  
ქ. №24-ში მისი საქმიანობის ადგილზე მივიდა ორი პიროვნება  
(როგორც შემდგომ გაირკვა, აღნიშნული პიროვნებები იყვნენ  
საგადასახადო ორგანოს თანამშრომლები) და შესთავაზეს მი-  
ნის ბოთლების გაყიდვა, ვინაიდან იგი არ ახდენდა მინის ბოთ-  
ლების რეალიზაციას, უარი განუცხადა, რის შემდეგაც დატო-  
ვეს ტერიტორია.

გარკვეული პერიოდის შემდეგ შეიტყო, რომ მის მიმართ შე-  
უდევნიათ სამართალდარღვევის №007396 ოქმი, რომლის შე-  
საბამისადაც მომხმარებელთან ნალდი ფულით ანგარიშსნორე-  
ბისას საკონტროლო-სალარო აპარატის წესების დარღვევის გა-  
მო, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის 1-

ლი ნაწილის საფუძველზე, დაჯარიმდა 500 ლარით.

აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმი მოსარჩელემ გაასაჩივრა შემოსავლების სამსახურში, რომლის 2013 წლის 5 ივლის №11057 ბრძანებით საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ი/ზ „დ. ბ-ეს“ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმით დაკისრებული 500 ლარის ნაცვლად, ჯარიმის სახით განესაზღვრა 200 ლარი.

მოსარჩელის მტკიცებით, ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები უკანონოა, ვინაიდან იგი არ ახდენდა ბოთლების რეალიზაციას, იგი მხოლოდ ასაწყობებდა მათ, შესაბამისად, ამ დროს არ ჰქონდა ურთიერთობა მომხმარებელთან და არ ახდენდა რაიმე სახით ვინმესთან ფულად ანგარიშ-სწორებას, რის გამოც მას არ სჭირდებოდა სალარო აპარატი. ამასთან, სამართალდარღვევის ოქმის შედგენა არ მომხდარა ადგილზე.

**სამართლებრივი:** მოსარჩელემ მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, მე-60<sup>1</sup>, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და საგადასახადო კოდექსის 269-ე, 271.4 და 281-ე მუხლებზე.

**მოპასუხის –** სსიპ შემოსავლების სამსახურის შესაგებელი: **ფაქტობრივი:** მოპასუხეს შესაგებელში ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებული არ აქვთ.

**სამართლებრივი:** მოპასუხის განმარტებით, სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და არ არსებობს მათი ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

მოპასუხის მითითებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულია იმ პირთა ჩამონათვალი, რომლებიც გათავისუფლებული არიან საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან. ი/ზ „დ. ბ-ე“ არ ისა აღნიშნულ პირთა კატეგორიაში. სამართალდარღვევის მომენტისთვის საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად – მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობა იწვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. აღნიშნული დავა განიხილა შემოსავლების სამსახურმა და ი/ზ „დ. ბ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; კერძოდ, საგადასახადო ორგანომ იხელ-მძღვანელა საგადასახადო კოდექსის 270-ე მუხლის მე-7 ნაწილით, შეუმცირა საგადასახადო სანქცია და განუსაზღვრა ჯა-

რიმა 200 ლარის ოდენობით.

### **საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუ- ციო/:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 2013 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით ი/ზ „დ.  
ბ-ის“ სარჩელი დაქმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც საკითხის  
გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ შემოსავლების  
სამსახურის 2012 წლის 28 თებერვლის საგადასახადო სამარ-  
თალდარღვევის №007396 ოქმი და სსიპ შემოსავლების სამსა-  
ხურის 2012 წლის 5 ივლისის №11057 ბრძანება და სსიპ შემო-  
სავლების სამსახურს დაევალა, საქმისათვის არსებითი მნიშ-  
ვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების  
შემდეგ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი  
თვის ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის გამოცემა.

### **სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები:**

2012 წლის 28 თებერვალს, სსიპ შემოსავლების სამსახურის  
საგადასახადო პრევენციის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ  
ი/ზ „დ. ბ-ის“ მიმართ მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშ-  
სწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის წესების დარღვე-  
ვის გამო, შედგა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი  
№007396, რომლითაც მეწარმე, საქართველოს საგადასახადო  
კოდექსის 281-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, დაჯარიმ-  
და 500 ლარით.

ი/ზ „დ. ბ-ებ“ 2012 წლის 28 თებერვლის საგადასახადო სა-  
მართალდარღვევის ოქმი გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამ-  
სახურში, რომლის 2012 წლის 5 ივლისის ბრძანებით საჩივარი  
დაქმაყოფილდა ნაწილობრივ, ი/ზ „დ. ბ-ეს“ 2012 წლის 28 თე-  
ბერვლის საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმით დაკის-  
რებული 500 ლარის ნაცვლად, ჯარიმის სახით განესაზღვრა 200  
ლარი.

### **სასამართლოს მიერ სადაცოდ მიჩნეული ფაქტები:**

სადაცოა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრი-  
ვი აქტების კანონიერების საკითხი.

სასამართლოს დასკვნები – საქალაქო სასამართლო სარ-  
ჩელის განხილვის, საქმეში არსებული მასალების გაცნობის,  
მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობ-  
რივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმების და საქ-  
მეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების  
შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი უნდა დაქმაყო-  
ფილდეს ნაწილობრივ.

## დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით დამტკიცებული საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებს განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმეების საქმისწარმოების წესის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვის მიზანია გადასახადის გადამხდელის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის გამოყვენა (მათ შორის: მომხმარებლებთან ნალი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესის დარღვევა; საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევის გამოვლენა; საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევის ფაქტის დადგენა და სხვ.) ამავე წესის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად კი, საკონტროლო შესყიდვის განხორციელებისას შესაძლებელია პროცედურის განხორციელება შეწყდეს შეთავაზებით, თუ ამ ეტაპზე საქონლის/მომსახურების ფასი დადგენილია ან/და მოპოვებულია შესაბამისი მტკიცებულებები, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, საკონტროლო შესყიდვა შეიძლება დასრულდეს შეთავაზებით, თუ პროცედურის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის თანდასწრებით განხორციელდა სხვა პირისათვის საქონლის/მომსახურების მიწოდება (ფასის დაფიქსირებით) და შესაძლებელია ამ ფაქტზე ოქმის შედგენა სათანადო ფორმით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საგადასახადო ორგანოს თანამშრომლები ვალდებული იყვნენ, საგადასახადო სამართალდარღვევა გამოევლინათ არა საკონტროლო შესყიდვის შეთავაზებით, არამედ საკონტროლო შესყიდვა დაესრულებინათ და ამავე წესის მე-13 მუხლის დადგენილი წესის შესაბამისად შეედგანათ ოქმი საკონტროლო შესყიდვის შედეგების შესახებ, რომლის შენიშვნაშიც დამატებით უნდა მიეთითებინათ საკონტროლო შესყიდვისას გამოვლენილი ფაქტები და გარემოებები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონია.

ნოდა საქმესთან დაკავშირებით.

საგადასახადო ორგანოს თანამშრომლები ასევე ვალდებულ-ნი არიან, საკონტროლო შესყიდვის განხორციელებისთანავე გა-დასახადის გადამხდელს წარუდგინონ თავისი პირადობის და-მადასტურებელი (სამსახურებრივი) მოწმობა, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ინდივიდუალური ადმინისტრა-ციულ-სამართლებრივი აქტი საკონტროლო შესყიდვის ჩატარე-ბის შესახებ, კონკრეტულ შემთხვევაში კი, როგორც საქმის მა-სალებით დასტურდება, საგადასახადო ორგანოს თანმშრომ-ლებს არა თუ არ დაუცავთ აღნიშნული პროცედურა, არამედ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შესახე-ბაც, არ მიუწოდებიათ ინფორმაცია მოსარჩელისათვის, რაც სა-ქალაქო სასამართლოს განმარტებით, საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე, არის პირის პასუ-ხისმებლობისგან გათავისუფლების საფუძველი.

საქალაქო სასამართლოს შეფასებით, საგადასახადო ორგა-ნობ გადაწყვეტილება მიიღო ისე, რომ არ უმსჯელია საგადასა-ხადო სამართალდარღვევის გამოვლენის დროს კანონმდებლო-ბით დადგენილი პროცედურების დარღვევებზე და არ გაუთვა-ლისწინებია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხ-ლის მე-6 ნაწილის მოთხოვნები.

### **სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:**

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კო-დექსის მე-2, 53-ე, მე-60<sup>1</sup>, 96-ე მუხლებით, საქართველოს საგა-დასახადო კოდექსის 269-ე, 271.4, 271.6, 281.7 მუხლებით (სა-დავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) და „საგადასახადო კონ-ტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასა-ხადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეუ-ლობათა ჩამონერის, საგადასახადო დავალინების გადახდევი-ნების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სა-მართალდარღვევათა საქმეების საქმისწარმოების წესის შესა-ხებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემ-ბრის №994 ბრძანებით.

**აპელანტი:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**მოწინააღმდეგე მხარე:** ი/მ „დ. ბ-ე“

**აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიის 2013 წლის 13 მაისის გადაწყვეტილების გაუქ-მება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩე-

ლის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

**აპელაციის მოტივები:**

**ფაქტობრივი:** აპელანტს ფაქტობრივ გარემოებებზე პრე-ტენზია მითითებული არ აქვს.

**სამართლებრივი:** აპელანტის მითითებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 49-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია საგადასახადო ორგანოს უფლებები, ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საგადასახადო ორგანო ვალდებულია, ჩაატაროს საგადასახადო შემონმება, უზრუნველყოს გადასახადის გადამხდელის მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების დაცვის კონტროლი და მათი დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი პირების მიმართ გაატაროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები. ამავე კოდექსის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად კი საგადასახადო ორგანოს ეკისრება კონტროლი გაუწიოს გამოყენების წესების დაცვას.

საგადასახადო კოდექსის 259-ე მუხლის თანახმად, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით განახორციელონ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაზე, საკონტროლო პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამონერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე, რომლის მიხედვითაც ასევე დადგენილია საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლების უფლება სხვადასხვა ღონისძიების გამოყენებით მოახდინონ სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენა. განსაზღვრულია, საკონტროლო შესყიდვის გატარების წესები, დადგენილია პროცედურა, რომელიც დაცულ იქნა საგადასახადო ორგანოს თანამშრომლების მიერ, შესაბამისად, სასამართლოს მითითება, რომ დარღვეული იყო აღნიშნული ბრძანების მოთხოვნები, სამართლებრივ საფუძვლებს მოკლებულია.

ამასთან, საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციის შესაბამისად, პირი დარეგისტრირებულია რეესტრში 08.02.1999 წლს გადასახდელის გადამხდელად, სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია 2012 წლის 28 თებერვალს, ხოლო სამართალდარღვევის ჩადენიდან დაახლოებით 5 თვის გასვლის

შემდეგ, კერძოდ კი 5.07.2012 წელს დაირეგისტრირა საკონტროლო-სალარო აპარატი (იხილეთ დანართი), რითაც დასტურდება, ი/მ „დ. ბ-ის“ მიერ სამენარმეო საქმიანობის საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე განხორციელების ფაქტი.

აპელანტის განმარტებით, თუ საქალაქო სასამართლო ზე-მოაღნიშნულ გარემოებას არ მიიჩნევდა დადგენილად, შეეძლო საკუთარი ინიციატივით საქმის არსებითი განხილვის დროს, დაეკითხა ოქმის შემდგენი პირები, ანუ პროცედურის განმახორციელებელი პირები. მათი დაკითხვისა და განმარტების გარეშე გაურკვეველია, თუ როგორ მოხდა იმ კონკრეტული ფაქტების დადგენა, რომლებიც საფუძველი გახდა ი/მ „დ. ბ-ის“ სარჩელის დაკმაყოფილებისა.

პირი საქმიანობის დაწყებისთანავე ვალდებულია, დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელად და იქონიოს საკონტროლო-სალარო აპარატი, რაც დარღვეულ იქნა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვინაიდან ი/მ „დ. ბ-ემ“ საქმის არსებითი განხილვის დროს თავად განაცხადა, რომ ახდენდა ბოთლების დასაწყობებას შემდგომი რეალიზაციის მიზნით, შესაბამისად, მას ვალდებულება ჰქონდა, რომ გამოეყენებინა საკონტროლო-სალარო აპარატი, რაც მოცემულ შემთხვევაში არ განხორციელებულა.

აპელანტის განმარტებით, საგადასახადო ორგანომ საქმის ადმინისტრაციული წესით წარმოების დროს სრულყოფილად შეისწავლა საქმის გარემოებები და მიიღო კანონიერი გადაწყვეტილება, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული აქტების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება.

**გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:**

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა და სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძლები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და

394-ე მუხლების შემადგენლობას და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

**კასატორი:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**მოწინააღმდეგე მხარე:** ი/მ „დ. ბ-ე“

**კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივნისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი საკასაციო საჩივარს ამყარებდა ძირითადად იმავე საფუძვლებზე, რაზეც მიუთითებდა სააპელაციო საჩივარში.

**საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის და-საშვებობის პროცესუალური წანამდღვრები:**

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე დასაშვებია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც აბსულუტური კასაცია.

### **სამოტივაციო წანილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა კანონიერების შემოწმების და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკამაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივნისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო საჩივრის მოტივი – განსახილველ დავაში საგადასახადო საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვის განხორციელების პროცედურების, კერძოდ, მომხმარებელთან ნალიდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისათვის საგადასახადო მონიტორინგის მეშვეობით ქმედების კვალიფიკაციის კანონიერების საკითხი, რამაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით შექმნა აბსოლუტური კასაციის წანამდღვრები, არის საგულისხმო და განსაკუთრებული, რამაც მოცემულ საქმეს მია-

ნიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს რამდენად კანონშესაბამისია შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების მიერ საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვის განხორციელება, რამდენად ხდება პროცედურების დაცვა, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა, დადგენა, შემთხვევის სამართალდამრღვევად მიჩნევა და ადეკვატური სამართლებრივი კვალიფიკაციის მიცემა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასებები და სასამართლო დასკვნები სასარგებლო იქნება, როგორც საგადასახადო ორგანოების მოხელეებისათვის და საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირების (საგადასახადო კოდექსის 49.6 მუხლით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით საქართველოს საგადასახადო ორგანოს კომპეტენციისთვის) მიკუთვნებული საგადასახადო კონტროლის ცალკეული სახეები შესაძლებელია განახორციელოს სხვა პირმა) მმართველობითა საქმიანობისათვის, ასევე საგადასახადო სამართალუროირთობათა მონაწილეთათვის, რამდენადაც ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილი – საგადასახადო სამართალი ანესრიგებს გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, განსაზღვრავს საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, უფლებამოსილი ორგანოსა და მისი თანამდებობის პირების არამართლზომიერქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დაცის გადაწყვეტის წესს, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. ამდენად, საგადასახადო სამართლის აღნიშნული ინსტიტუტების სწორი გაგება-გამოყენება უშუალოდ განაპირობებს ადამიანთა ყოფას, საზოგადოებრივი წესრიგის ხარისხსა და კულტურას.

ამავდროულად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვის განხორციელებისას, რამდენადაც იგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანესი მმართველობითი ღონისძიების – საგადასახადო ადმინისტრირების ერთ-ერთ განსაკუთრებულ სახეს, საქმის გარემოებათა სწორი გამოკვლევა და კვალიფიკაცია უშუალო კავშირშია ადამიანის, როგორც მატერიალური, ასევე პროცედურული უფლე-

ბების უზრუნველყოფასთან, მმართველობის კანონიერებისა და კანონიერი ნდობის უფლების პრინციპების განხორციელებასთან.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნა სახელმძღვანელო გახდება სახელმწიფოში არსებული ადმინისტრაციული ორგანოებისათვის და მათი პრაქტიკისათვის, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობებში შესაბამისი სასამართლო განმარტება ხელს შეუწყობს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოებს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2012 წლის 28 თებერვალს სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ ი/ზ „დ. ბ-ე“ საგადასახადო სამართალდარღვევის №007396 ოქმის საფუძველზე, ი/ზ „დ. ბ-ე“ დაჯარიმდა 500 ლარით, საკონტროლო-სალარო პპარატის გარეშე მომხმარებელთან ფულადი ანგარიშსნორებისათვის.

აღნირშული საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი ი/ზ „დ. ბ-ებ“ გაასაჩიგრა სსიპ შემოსავლების სამსახურში, რომლის 2012 წლის 5 ივლისის ბრძანებით საჩიგრარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ი/ზ „დ. ბ-ეს“ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმით დაკისრებული 500 ლარის ხაცვლად, ჯარიშის სახით განისაზღვრა 200 ლარი.

სადაც სამართალურთიერთობა წარმოშობილია საგადასახადო სამართალდარღვევათა სფეროში, გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის. საგადასახადო შემოწება განახორციელეს კერძო ინსპექტორებმა.

საკასაციო სასამართლო განმარტებას, რომ საგადასახადო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული საქმეები საქართველოში მოწესრიგებულია საგადასახადო კოდექსითა და „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-შატერიალური ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით, რომლებიც განსაზღვრავენ საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევის, საგადასახადო ორგანოებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ კონტროლის განხორციელების (მიმდინარე კონ-

ტროლის, საგადასახადო შემოწმების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამონერის, საგადასახადო დაცვალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების და სამართალდარღვევების საქმისნარმოების) პროცედურების, აგრეთვე გადასახადის გადამხდელის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 49-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული პირის დასკვნის შესაბამისად, საგადასახადო ანგარიშების განხორციელების წესს, საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებსა და საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევასათვის პასუხისმგებლობას.

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ჩამონერის, საგადასახადო დაცვალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისნარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების მე-9<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის ადგილზე უფლებამოსილი პირის/პირების მიმაგრებით განახორციელოს საგადასახადო მონიტორინგი, რომლის მიზანია გადასახადის გადამხდელის მიერ ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ძირითადი სახის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შექნის, გახარჯვის, დანაკარგების, აგრეთვე მზა პროდუქციის (სახეობების მიხედვით) მიწოდების დამოუკიდებელი რაოდენობრივი აღრიცხვა და ასეთი აღრიცხვის შესახებ მონაცემების მოპოვება ან/და დაბეგვრის ობიექტის ან მასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაფარვის/დამალვის შესაძლო რისკების გამოვლენა. ამავე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 49-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეერულების საფუძველზე, საგადასახადო მონიტორინგი შეიძლება განახორციელოს სხვა პირმა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სწორედ საგადასახადო კონტროლის განხორციელების სახეა საკონტროლო შესყიდვა, რომლის ერთ-ერთი მიზანია გადასახადის გადამხდელის მიერ „საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის გამოვლენა (მათ შორის: მომხმარებლებთან ნალით ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების გადამხდელის გადასახადო კოდექსის 49-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეერულების საფუძველზე, საგადასახადო მონიტორინგი შეიძლება განახორციელოს სხვა პირმა.

ბის წესების დარღვევა; საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის გამოყენების წესების დარღვევის გამოვლენა; საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევის ფაქტის დადგენა და სხვ.) /საგადასახადო კოდექსის 258-ე მუხლი, „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

აღნიშნული ნორმატიული დანაწესებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, საგადასახადო ორგანო გადამხდელის მიერ მიღებული შემოსავლების რეალური მოცულობის დადგენის მიზნით ახდენს საკონტროლო შესყიდვას ან საკონტროლო შესყიდვის შეთავაზებას.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში არსებული საგადასახადო სამართალდარღვევის №007396 ოქმით დასტურდება, რომ სამართალდარღვევის გამოვლენა მოხდა საკონტროლო შესყიდვის შეთავაზებით.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კანონმდებლობით ასევე მოწერილი არის შესაძლებელი საკონტროლო შესყიდვის პროცედურის განხორციელების შეწყვეტა საკონტროლო შესყიდვის შეთავაზების გზით, კერძოდ, ამგვარი მოქმედება განსაზღვრულია „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების მე-12 მუხლით, რომლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, „საკონტროლო შესყიდვის განხორციელებისას შესაძლებელია, პროცედურის განხორციელება შეწყდეს შეთავაზებით, თუ ამ ეტაპზე საქონლის/მომსახურების ფასი დადგენილია ან/და მოპოვებულია შესაბამისი მტკიცებულებები, ხოლო მე-2 მუხლის თანახმად, „საკონტროლო შესყიდვა შეიძლება დასრულდეს შეთავაზებით, თუ:

ა) მიღებულია ბე (ავანსი);  
ბ) გამოწერილია ანგარიში, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტუ-  
რა ან სასაქონლო ზედნადები;

გ) გაფორმებულია ხელშეკრულება ან სხვა დოკუმენტი სა-  
ქონლის განვადებით, ნასყიდობით ან სხვა სახით გასხვისების  
შესახებ;

(დ) პროცედურის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის  
თანდასწრებით განხორციელდა სხვა პირისათვის საქონლის/  
მომსახურების მიწოდება (ფასის დაფიქსირებით) და შესაძლე-  
ბელია ამ ფაქტზე ოქმის შედგენა სათანადო ფორმით”.

კონკრეტულ შემთხვევაში, კი როგორც საქმის მასალებით  
დასტურდება, რომ არც ერთ ზემოაღნიშნულ შემთხვევას ად-  
გილი არ ჰქონია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სა-  
სამართლოს შეფასებით, სსიპ შემოსავლების სამსახურმა ხე-  
ლახალი განხილვისას უნდა იმსჯელოს საგადასახადო ორგანოს  
თანამშრომლებს სამართალდარღვევა უნდა გამოევლინათ სა-  
კონტროლო შესყიდვის შეთავაზებით, თუ საკონტროლო შეს-  
ყიდვის დასრულებით.

საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მიხედვით საგადა-  
სახადო სამართალდარღვევად ჩაითვლება პირის მართლსაწი-  
ნააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვი-  
საც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა. სა-  
გადასახადო სამართალდარღვევისათვის პირს პასუხისმგებლო-  
ბა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი სა-  
ფუძვლითა და წესით.

ამავე კოდექსის 281.3 მუხლის შესაბამისად, მომხმარებელ-  
თან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-საღარი  
აპარატის გამოყენებლობა ინვენტ გადასახადის გადამხდელის  
დაჯარიმებას 500 ლარით (2012 წელს მოქმედი რედაქციით).

საგადასახადო კოდექსის 49.6 მუხლით საქართველოს საგა-  
დასახადო კანონმდებლობით საქართველოს საგადასახადო ორ-  
განოს კომპეტენციისათვის მიკუთვნებული საგადასახადო  
კონტროლის ცალკეული სახეები შესაძლებელია განახორციე-  
ლოს სხვა პირმა. ამავე კოდექსის 271.2 მუხლის თანახმად, სა-  
გადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას საგადასახა-  
დო ორგანოს უფლებამოსილი პირი ან ზემოაღნიშნულ მუხლში  
მითითებული პირი ადგენს საგადასახადო სამართალდარღვე-  
ვის ოქმს. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საგადასა-  
ხადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი  
პირი სამართალდარღვევის ადგილზე განიხილავს საგადასახა-  
დო სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევ პირს

ადგილზევე უფარდებს საგადასახადო სანქციას. ამ შემთხვევაში პირს შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრება საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, რომელიც ითვლება საგადასახადო მოთხოვნად, ხოლო მე-6 პუნქტის შესაბამისად, კი თუ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი არ არის ასახული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე მონაცემი ან საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი, შედგენილია კანონის დარღვევით, შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელი ან დავის განმხილველი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას პირის საგადასახადო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის დანაწესებიდან და თავად სამართალდარღვევის ოქმის, როგორც იურიდიული დოკუმენტის მნიშვნელობიდან გამომდინარეობს, რომ მისი შედგენა აუცილებელია სწორედ სამართალდარღვევის ადგილზე. სამართალდარღვევის ოქმით ფიქსირდება სამართალდარღვევის ფაქტი, გარემოებები, მონაწილე პირები და იმავდროულად იგი წარმოადგენს ერთ-ერთ და სარმუნო მტკიცებულებას სამართალდარღვევის მოცემულ დროსა და ადგილას, მოცემულ ვითარებაში გამოვლენისა და ამ ფაქტის მონაწილე პირების შესახებ. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის არა სამართალდარღვევის გამოვლენის ადგილზე შედგენა წარმოადგენს პროცედურის არსებით დარღვევას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ ი/მ „დ. ბ-ის“ საჩივრის განხილვისას, მართალია, მოხდა შეფარდებული სანქციის შემცირება და ჯარიმა განესაზღვრა 200 ლარის ოდენობით, მაგრამ ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის ხელახლი განხილვისას უნდა შეისწავლოს საერთოდ იყო თუ არა ი/მ „დ. ბ-ე“ სამართალდამრღვევი, ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის ხელახლი განხილვისას სარწმუნოდ უნდა გამოიკვლიოს საგადასახადო ორგანოს თანამშრომელს საკონტროლო შესყიდვის შეთავაზების გზით უნდა დაესრულებინა თუ არა საკონტროლო შესყიდვის პროცედურა, სახეზე იყო თუ არა „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ჩამონერის, საგადასახადო დაგაღიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების მე-12 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე შემთხვევა, კერძოდ, „დ“ ქვეპუნქტი, ადმინისტრაციულმა ორგანომ ხელახალი განხილვისას უნდა გამოიყვლიოს ნამდვილად ეწეოდა თუ არა მოსარჩევე ბოთლების რეალიზაციას, თუ ახდენდა მხოლოდ მის დასაწყობებას, როგორც ამას თავად აღნიშნავს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ კერძო ინსპექტორებს არ შეუსყიდიათ ბოთლები, მხოლოდ ის ფაქტი, რომ მათ მოითხოვეს ბოთლების შესყიდვა, ვერ გახდება პირის სამართალდამრღვევად მიჩნევის საფუძველი, საგადასახადო ორგანომ უნდა გამოიკვლიოს, ხომ არ იყო სახეზე მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი შემთხვევა, კერძოდ, საგადასახადო ორგანოს მოხელეების, (ვიდრე ისინი განახორციელებდნენ საკონტროლო შესყიდვას) თანდასწრებით შეიძინა თუ არა სხვა პირმა საქონელი, ხოლო მოსარჩევემ მიჰყიდა საქონელი სალარო აპარატის გამოყენების გარეშე. საგადასახადო ორგანომ უტყუარად უნდა დაადგინოს საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

შემოსავლების სამსახურს საჩივრის განხილვისას, არ გამოუკვლევია ის გარემოება, მართლაც ჰქონდა თუ არა ადგილი სამართალდარღვევის ოქმის სხვა ადგილას შედგენას, როგორც ამას ამტკიცებს მოსარჩევე.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლის თანახმად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და დამრღვევის დასჯა ემსახურება მმართველობის კანონიერებას, საჯარო წესრიგს, ხოლო პროცედურული მოქმედებების ჩატარების ვალდებულება – კერძო ინტერესის – ადამიანის უფლების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფას. ასეთის იგნორირების პირობებში ირღვევა ადმინისტრაციული სამართლის ასევე უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი – კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი.

საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს სარჩელის

ფარგლებიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს საგადასახადო მონიტორინგის განხორციელების ფუნქციის სხვა პირზე დელე-გირების საკანონმდებლო დანაწესის რაციონალურობისა და მიზანშენონილობის სამართლებრივი შეფასება, თუმცა მიაჩნია, რომ სამართლებრივი შეფასება აუცილებლად უნდა მიეცეს კერძო ინსპექტორის, როგორც დელეგირებული სუბიექტის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ხარისხს, კვალიფიციას და კანონთან შესაბამისობას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სსიპ შემოსავლების სამსახური კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას, რა დროსაც საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული პირის უფლებები წარმოშობს საჯარო ფუნქციის განმახორციელებელი პირების საჯარო ვალდებულებას – სრულად უზრუნველყონ პირის უფლებების რეალიზაციისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შემოსავლების სამსახურის დელეგირებული ფუნქციის განმახორციელებელი კერძო საგადასახადო ინსპექტორების მიმართ სრულად უნდა გავრცელდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 9 თებერვლის განჩინებაში ჩამოყალიბებული შეფასებები და დასკვნები (ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-1250-1194(კ-09) შპს „...“ სარჩელისა გამო მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური (ცენტრის მიმართ), რომელიც ეხება საჯარო მოსამსახურეთა ქცევის სტანდარტის დადგენას, კერძოდ, სასამართლომ მითითებულ საქმეზე დაადგინა: „სწორედ საჯარო სამსახურის სისტემის და ყოველი საჯარო მოსამსახურის როლის ჯეროვანი გაცნობიერება დაედო საფუძვლად ამ სფეროში საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბებას და ზრუნვას მათი დამკვიდრებისთვის. ასე მაგალითად, 1979 წლის 17 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ანსამბლების მიერ მიღებულ იქნა მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი, რომლის 1-ლი მუხლის თანახმად, მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირი მუდმივად ასრულებენ კანონით მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, ემსახურებიან საზოგადოებას და ყველა პირს იცავენ უკანონო ქმედებისგან მათი პროფესიასთვის საჭირო პასუხისმგებლობის მაღალი დონით. მე-2 მუხლის თანახმად, მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირი თავიანთი მოვალეობის შესრულებისას პატივს სცემენ და იცავენ ადამიანურ ღირსებას, ადამიანის უფლებებს ყველა პირის მიმართ. მე-8

მუხლის თანახმად კი, მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირი პატივს სცემენ კანონს და მოცემულ კოდექსს იყენებენ ხელთ არსებულ საშუალებებს და ყოველმხრივ აღკვეთენ და ენინააღმდეგებიან მათ დარღვევას.

ადამიანის უფლებები, რომლის დაცვის ვალდებულებაც გააჩნია საჯარო მოხელეს თავიანთი მოვალეობის შესრულებისას დადგენილია და დაცულია ეროვნული და საერთაშორისო სამართლით. შესაბამის საერთაშორისო დოკუმენტებს განეკუთვნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ა.შ. აუცილებელია, დაცული იყოს წინასწორობა ერთი მხრივ, იმ დანესებულების შინაგანი დისციპლინის დაცვის აუცილებლობისათვის, რომელზეც დამოკიდებულია საზოგადოება და მეორე მხრივ, ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევასთან ბრძოლის აუცილებლობისათვის. საზოგადოებისადმი სამსახური მოიცავს საზოგადოების იმ წევრებისათვის სამსახურისა და დახმარების განვევას, რომელიც პირადი, ეკონომიკური, სოციალური ან სხვა განსაკუთრებული ხასიათის მიზეზებით საჭიროებენ დაუყოვნებლივ დახმარებას.

ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის მიზანი სწორედ იმგვარი წორმატიული სტანდარტების შექმნაა, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვას /ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 1.2. მუხლი/.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო სამსახურს, მიუხედავად ერთიანი სისტემური ბუნებისა, ფუნქციური მრავალფეროვნება ახასიათებს. იქნება ეს – მართლწესრიგის დაცვის, საპაუო-საგადასახადო სისტემის, სამხედრო სამსახურის, თუ თვითმმართველობის სფერო, ყოველ მათგანს განსხვავებული სპეციფიკა გააჩნია, თუმცა საერთო აქვთ მიზანი და ამოცახა – ზრუნვა საზოგადოების ინტერესების საკეთილდღეოდ".

საკასაციო სასამართლოს მითითებით, როგორც შემოსავლების სამსახურის №11057 ბრძანებიდან ირკვევა, ი/ზ „დ. ბ-ის“ ობიექტზე იმყოფებოდნენ კერძო საგადასახადო ინსპექტორები, კერძო საგადასახადო ინსპექტორების მიერ განხორციელებული მოქმედების პასუხისმგებლობის საკითხის შეფასებისას საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ შეფასებებსა და დასკვნებს (ადმინისტრაციულ საქმეზე საქმე №ძს-695-681(კ-12) ი/ზ „ნ. ბ-ის“ სარჩელისა გამო

მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ) კერძოდ: „საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ხელახლა უნდა ჩატაროს ადმინისტრაციული წარმოება და გამოიკვლიოს კერძო საგადასახადო ინსპექტორმა რატომ არ შეადგინა სამართალდარღვევის ადგილზე ოქმი, რა ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობდა და რატომ არ იქნა მითითებული აღნიშნულის თაობაზე ოქმში, რამდენად არის კერძო საგადასახადო ინსპექტორის ინსტიტუტის /თითოეული პერსონა/ აღჭურვილი იმ უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია საჯარო ფუნქციის კანონშესაბამისი და კვალიფიციური განხორციელებისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დელეგირებული ფუნქციის განმხორციელებელი პირის მოქმედებაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო, რომ ამგვარი სერვისის განხორციელება განსაკუთრებული და სისტემური ზედამხედველობის, მონიტორინგის საგანი უნდა იყოს, რამდენადაც საჯარო ფუნქციის შესრულების კანონიერი და კვალიფიციური ხასიათი განაპირობებს საგადასახადო ორგანოებისადმი ნდობას, მის ავტორიტეტს, ამავდროულად გადასახადების გადამხდელთა კანონით დაცული ინტერესი – საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა და კონტროლი განხორციელდეს კანონით ზუსტად განსაზღვრული წესით და ფარგლებში, არის პატივსადები, დაცვის ღირსი და საგადასახადო სამსახურებმა ყველა გონივრული ზომა უნდა მიიღონ საგადასახადო კონტროლის კეთილსინდისიერი და კანონიერი განხორციელებისათვის“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უფლებამოსილება სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი, განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს იგი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი

ინტერესი – მოცემულ შემთხვევაში სადაცოა – ადამიანის უფლების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადაცო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სწორად გამოიყენეს დავის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადაცო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ასევე არსებითად არის დარღვეული მისი მომზადების კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის მიხედვით დავის გადაუწყვეტლად, აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს.

რაც შეეხება, კასატორის მოსაზრებას, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრებასთან მიმართებაში, აღნიშნულზე საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 53.1. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ამავე კოდექსის 55.1 მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი დაკისრება მოპასუხებს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროცესობრიულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37.1. მუხლის თანახმად კი, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოს გარეშე ხარჯები. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. ამდენად, ამ ნაწილშიც დაუსაბუთებელია იურიდიული თვალსაზრისით და არ ექვემდებარება გაზიარებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონიერად და ობიექტურად გადაწყვეტებული დავა, შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტ

ტილების გაუქმების სამართლებრივი წინაპირობები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **დაჯარიმება სალარო აპარატის გამოუყენებლობის გამო**

#### **განრიცხვა**

№ბს-421-410(კ-13)

25 თებერვალი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

### **აღნერილობითი ნაწილი:**

მოსარჩევე: ი/მ „ლ. ც-ა“

მოპასუხე: სსიპ შემოსავლების სამსახური

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

**სარჩელის საგანი:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 5 ოქტომბრის №005–180 საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობა;

2. სსიპ შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 19 დეკემბრის №7952 ბრძანების ბათილად ცნობა.

3. თბილისის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 4 აგვისტოს ქონებაზე ყადალის დადების შესახებ №14/04/-23678 ბრძანების ბათილად ცნობა.

### **სარჩელის საფუძველი:**

**ფაქტობრივი:** მოსარჩელის მითითებით, 2006 წლის 29 ივნისს დარეგისტრირდა ინდივიდუალურ მეწარმედ თბილისის საგადასახადო ინსპექციაში (საიდუმტიფიკაციო კოდი – ...) და ენერდა სამეცარმეო საქმიანობას, კერძოდ, ქ. თბილისში, ... ქ. № 48-ში გახსნილი ჰქონდა მეორადი საქონლის მაღაზია.

მოსარჩელის მითითებით, 2007 წლის 14 სექტემბერს დილით აღნიშნული მაღაზია გახსნა, ისე რომ არ გაუკეთებია წარწერა „ღიაა“ და მაღაზიაში დატოვა მეგობარი ნ. კ-ე. როდესაც დაბრუნდა, მას მაღაზიაში დახვდა ორი პიროვნება, რომლებიც იყვნენ საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები და მის მიმართ ადგენდნენ სამართალდარღვევის ოქმს, სალარო-აპარატის გაუმართაობის თაობაზე, რაზედაც გაუწია წინააღმდეგობა, ვინაიდან საკონტროლო-სალარო აპარატზე არანაირი დარღვევა არ ჰქონია, ხოლო ის ფაქტი, რომ საკონტროლო-სალარო აპარატი არ იყო მუშა მდგომარეობაში, გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ წინა დღეს როდესაც მუშაობა დაამთავრა, გათავდა ჩეკის ლენტიც და ლენტის ჩაყენება მეორე დღისთვის გადადო. მისი მხრიდან რაიმე სახის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. აღნიშნულის დასადასტურებლად, ოქმის შემდგენ პირებს აჩვენა წინა დღის სალაროს დახურვის ჩეკი და ასევე ახალი ლენტი, რომლის ჩადებასაც იმ დილით აპირებდა. მიუხედავად აღნიშნულისა, საგადასახადო ორგანოს თანამშრომლებმა შეადგინეს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი №315982, რომელსაც ხელი არ მოაწერა და მიაწერა შენიშვნა, რაც იყო რეალურად. საგადასახადო ორგანოს თანამშრომლებმა მას ძალით გადასცეს აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც მეორე დღეს დაკარგა საფულესთან ერთად.

2007 წლის 9 ნოემბერს ოქმი გაასაჩივრა საგადასახადო ინსპექციაში, სადაც მას განუმარტეს, რომ საჩივრის თაობაზე წერილობით პასუხს მიიღებდა ფოსტის მეშვეობით, მაგრამ პასუხით რა რეაგირება მოჰყვა მის საჩივარს, არ მიუღია. მოსარჩელი

ლის განმარტებით, მან ჩათვალა, რომ მის მიმართ გამოტანილი ჯარიმა იყო გაუქმებული. რეალურად ჯარიმის არსებობის შესახებ მისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ 2010 წელს, როდესაც მაღაზიის დახურვის მიზნით მივიდა საგადასახადო ორგანოში და იქ შეიტყო, რომ მას როგორც გადასახადის გადამხდელს ერიცხებოდა საგადასახადო დავალინება 500 ლარის ოდენობით და ამასთან, საგადასახადო ორგანოს 2010 წლის 4 აგვისტოს №14/04-23678 ბრძანების საფუძველზე დაყადალებული იყო მისი მეუღლის ქონება.

მოსარჩელემ 2012 წლის 27 დეკემბერს საჩივრით მიმართა შემოსავლების სამსახურს და მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 5 ოქტომბრის №005-180 საგადასახადო მოთხოვნისა და 2010 წლის 4 აგვისტოს №14/04-23678 ბრძანების ქონებაზე ყადალის დადების თაობაზე, ბათილად ცნობა.

შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 31 იანვრის №3403 ბრძანებით 2012 წლის 27 დეკემბრის საჩივრი 2007 წლის 5 ოქტომბრის №005-180 საგადასახადო მოთხოვნით გათვალისწინებული ჯარიმის გაუქმების მოთხოვნის ნაწილში დარჩა განუხილველი, იმ მოტივით, რომ შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 19 დეკემბრის №7951 ბრძანებით ლ. ც-ას უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე; ხოლო მოთხოვნა 2010 წლის 4 აგვისტოს ქონებაზე ყადალის დადების შესახებ №14/04-23678 ბრძანების გაუქმების ნაწილში არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლის გამო.

მოსარჩელის განმარტებით, მას 2007 წლის 5 ოქტომბრის №005-180 საგადასახადო მოთხოვნის გაუქმების თაობაზე შემოსავლების სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ ჩაბარებია, რითაც დაირღვა, როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ასევე საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები.

**სამართლებრივი:** მოსარჩელემ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 1.2, მე-4, მე-5, მე-7 და მე-60<sup>1</sup>, 77-ე, 83.1, 95-ე და 96-ე 97-100-ე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2, მე-3, მე-4 მე-9 მე-12, მე-14, მე-15, 17.1 და 26-ე და საგადასახადო კოდექსის 45-ე, 46-ე, 48-ე, 50-ე და 51.1-ის ..გ“ და 52.1 მუხლები.

**მოპასუხის – სსიპ შემოსავლების სამსახურის შესაგებელი:**  
**ფაქტობრივი:** შემოსავლების სამსახურმა სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ 2007 წლის 5 ოქტომბრის №005-180 „საგადა-

სახადო მოთხოვნა“ 2007 წლის 9 ნოემბერს შემოსავლების სამსახურში გაასაჩივრა ი/მ „ლ. ც-ამ“, რომლის 2007 წლის 19 დეკემბრის №7951 ბრძანებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს განმარტებით, საგადასახადო კოდექსის 301-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნტის თანახმად, ვინაიდან შემოსავლების სამსახურს 2007 წლის 5 ოქტომბრის №005-180 საგადასახადო მოთხოვნის გაუქმების თაობაზე ერთხელ უკვე მიღებული ჰქონდა შემოსავლების სამსახურს გადაწყვეტილება იგი უფლებამოსილი იყო, არ განეხილა ამ ნაწილში ხელმორედ წარდგენილი საჩივარი.

მოწინააღმდეგე მხარის მითითებით, 2010 წლის 4 აგვისტოს „ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ“ №14/04-23678 ბრძანების ი/მ „ლ. ც-ასთვის“ ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი არ იძებნება.

**სამართლებრივი:** მოწინააღმდეგე მხარემ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა საგადასახადო კოდექსის (2011 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქციის) 87-ე, 157-ე მუხლებზე და განმარტა, რომ ი/მ „ლ. ც-ას“ მიმართ 2010 წლის 4 აგვისტოს „ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ“ №14/04-23678 ბრძანება გამოცემულა კანონმდებლობის სრული დაცვით და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

**საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით ი/მ „ლ. ც-ას“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 5 ოქტომბრის №005-180 საგადასახადო მოთხოვნა, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 19 დეკემბრის №7952 ბრძანება, თბილისის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 4 აგვისტოს ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ №14/04-23678 ბრძანება და მოპასუხებს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გადაწყვეტილების კანონიერ დალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

**სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები:**

2007 წლის 14 სექტემბერს, ი/მ „ლ. ც-ას“ მიმართ შედგა სა-

გადასახადო სამართალდარღვევის ოქმი №315982, ხოლო 2007 წლის 5 ოქტომბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 5 ოქტომბრის №005–180 საგადასახადო მოთხოვნის თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ი/ზ „ლ. ც-ა“ დაჯარიმდა 500 ლარით.

2007 წლის 9 ნოემბერს ზემოაღნიშნული საგადასახადო მოთხოვნა ი/ზ „ლ. ც-ამ“ გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციაში.

სსიპ შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 19 დეკემბრის №7952 ბრძანებით ი/ზ „ლ. ც-ას“ 2007 წლის 9 ნოემბრის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 4 აგვისტოს ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ №14/04/-23678 ბრძანებით ყადაღადა დაედო ი/ზ „ლ. ც-ას“ ქონებას მდებარეს: ქ. თბილისი, ... რაიონი, ... ქუჩა №8.

2010 წლის 26 ოქტომბრის შედარების აქტის თანახმად, 2010 წლის 2 იანვრიდან 2010 წლის 26 ოქტომბრამდე პერიოდში ი/ზ „ლ. ც-ას“ ერთცხება დავალიანება 500 ლარის ოდენობით (გადასახადის დასახელება – სალარო აპარატი).

შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 31 იანვრის №3403 ბრძანებით ლ. ც-ას 2012 წლის 27 დეკემბრის საჩივარი 2007 წლის 5 ოქტომბრის №005–180 საგადასახადო მოთხოვნით გათვალისწინებული ჯარიმის გაუქმების მოთხოვნის ნაწილში დარჩა განუხილველი იმ მოტივით, რომ შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 19 დეკემბრის №7951 ბრძანებით ლ. ც-ას უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე; ხოლო ლ. ც-ას მოთხოვნა 2010 წლის 4 აგვისტოს ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ №14/04-23678 ბრძანების გაუქმების ნაწილში არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო.

#### **სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:**

სადავოა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება.

სასამართლოს დასკვნები – საქალაქო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, შემოსავლების სამსახური წარმოადგენს საკონტროლო-სალარო აპარატების მი-

ლებასა და გამოყენებაზე კონტროლის განმახორციელებელ ად-  
მინისტრაციულ ორგანოს, რომელიც საკონტროლო-სალარო  
აპარატების გამოყენების წესის დარღვევის შემთხვევაში უფ-  
ლებამოსილია შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარ-  
ღვევის ოქმი.

ამასთან, სადაც პერიოდში მოქმედი საგადასახადო კოდექ-  
სით 123-ე მუხლით რეგლამენტირებულია საგადასახადო სამარ-  
თალდარღვევისა და პასუხისმგებლობის საკითხი, აღნიშნული  
მუხლის პირველი ნაწილით საგადასახადო სამართალდარღვე-  
ვად ითვლება გადასახადის გადამხდელის/ საგადასახადო აგენ-  
ტის ან სხვა ვალდებული პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედე-  
ბა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით  
გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა. ამავე კოდექსის 126-  
ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საგადასახადო სანქცია არის  
პასუხისმგებლობის ზომა ჩადენილი საგადასახადო სამართალ-  
დარღვევისათვის.

ამავე პერიოდში მოქმედი საგადასახადო კოდექსის 139-ე  
მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მომხმარებლებთან ნაღდი ფუ-  
ლით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატების  
გამოუყენებლობა იწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმეში არსებული სა-  
ქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახუ-  
რის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის საგადასახადო სა-  
მართალდარღვევათა ოქმისა და მის საფუძველზე შედგენილი  
2007 წლის 5 ოქტომბრის №005-180 საგადასახადო მოთხოვნის  
თანახმად, მოსარჩელე საქართველოს საგადასახადო კოდექ-  
სის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე დაჯარიმდა 500  
ლარით. რაც მოსარჩელე 2007 წლის 9 ნოემბერს, გაასაჩირია  
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახუ-  
რის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციაში, სადაც განუ-  
მარტეს, რომ საჩირის თაობაზე წერილობით პასუხს მიიღებდა  
ფოსტის მეშვეობით, მაგრამ პასუხი, თუ რა რეაგირება მოჰყვა  
მის საჩირას, არ მიუღია. სსიპ შემოსავლების სამსახურის 2007  
წლის 19 დეკემბრის №7952 ბრძანების თაობაზე, რომლითაც არ  
დაცმაყოფილდა ი/მ „ლ. ც-ას“ 2007 წლის 9 ნოემბრის საჩირა  
და ის, რომ მას ერიცხებოდა საგადასახადო დავალიანება 500  
ლარის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურის თბილი-  
სის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 4 აგვისტოს №14/04/  
-23678 ბრძანების – ქონებაზე (ს/ნ ...; იურიდიული მისამართი:  
ქ. თბილისი, ... რაიონი, ... ქ. №8) ქონებას (მატერიალურ ან/და  
არამატერიალურ აქტივებს) ყადაღის დადების თაობაზე მან შე-

იტყო მხოლოდ 2010 წელს, როდესაც მაღაზიის დახურვის მიზნით მივიღა საგადასახადო ორგანოში.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, თბილისის საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლებმა სამართალდარღვევის ოქმის შედგენის საფუძვლად მიუთითეს ის გარემოება, რომ გადასახადის გადამხდელის საკონტროლო-სალარო აპარატი იყო გაუმართავ მდგომარეობაში (არ ჰქონდა ლენტა), რის გამოც ადგილი ჰქონდა საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ დარღვევას (მომხმარებლებთან ნალდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენებლობას), ამასთან, ლ. ც-ას მიერ წარდგენილი საჩივრის საფუძველზე შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 19 დეკემბრის №7952 ბრძანებაში ი/მ „ლ. ც-ას“ დაჯარიმების საფუძვლად მითითებულია მაღაზიაში ნალდი ფულით ანგარიშსწორება საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების გარეშე, რაც არის საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა და აღნიშნული ნორმით დაჯარიმების საფუძველი. ამდენად, სამართალდარღვევის ოქმში და ბრძანებაში დაფიქსირებულია დარღვევის სხვადასხვა სახე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 45-ე მუხლის (სადაც პერიოდში მოქმედი კოდექსი) დანაწესიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, კანონმდებლობა იმპერატიულად ითვალისწინებს გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო სამართალდარღვევის თაობაზე შედგენილი ნებისმიერი დოკუმენტის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობის (გაგზავნა/გადაცემა) სავალდებულობას. კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის მსალებმი არ მოიპოვება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 19 დეკემბრის №7952 ბრძანების ადრესატისათვის – ი/მ „ლ. ც-ასათვის“ კანონით დადგენილი წესით გაცნობის (ფოსტის შეშვეობით გაგზავნის, ან გადაცემის) დამადასტურებელი მტკიცებულება. მან მხოლოდ სასამართლოში მისი სარჩელის განხილვისას, ადმინისტრაციული ორგანოს – სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოების მასალების წარმოდგენის შემდეგ შეძლო მისი გაცნობა.

საქალაქო სასამართლო საქართველოს საგადასახადო კოდექსის (სადაც აქტის, კერძოდ, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ბრძანების გამოცემის დროისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსი) 87-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, მიუთითებს, რომ გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის

დადება წარმოადგენს საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომლის გამოყენების შესაძლებლობაც, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, საგადასახადო ორგანოს ეძლევა იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელს აქვს აღიარებული საგადასახადო ვალდებულება.

საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელე ლ. ც-ას სავაჭრო ობიექტი – მაღაზია – მდებარეობდა ქ. თბილისში, ... ქ. 48-ში, აღნიშნული მისამართი იყო მითითებული ი/მ „ლ. ც-ას“ სარეგისტრაციო დოკუმენტაციაშიც. შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 4 აგვისტოს ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ №14/04/-23678 ბრძანების თანახმად, ყადაღა დაედო ი/მ „ლ. ც-ას“ (ს/ხ ...; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ... რაიონი, ... ქ. №8) ქონებას (მატერიალურ ან/და არამატერიალურ აქტივებს. საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონანწერის თანახმად, ქ. თბილისში, ... ქ. №8-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2 ნაწილის მესაკუთრეა ლ. ც-ა. უფლების რეგისტრაციის თარიღია 2011 წლის 8 აგვისტო. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტებია: სააღრიცხვო ბარათი №020422 აღრიცხულია 1940 წელს; სამკვიდრო მონმობა №100807627, დამოწმების თარიღი: 2010 წლის 13 აგვისტო; სამკვიდრო მონმობა №110150925, დამოწმების თარიღი: 2011 წლის 21 თებერვალი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს შეფასებით, ქონება, რომელზეც მოხდა მოსარჩელის საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად ყადაღის დადება, ყადაღის დადების მომენტისათვის არ წარმოადგენდა ლ. ც-ას საკუთრებას და საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიება – ქონებაზე ყადაღის დადება განხორციელდა კანონშეუსაბამოდ. ამასთან, ბრძანებაში ი/მ „ლ. ც-ას“ იურიდიული მისამართი მითითებული იქნა არასწორად.

საქალაქო სასამართლო მიუთითებს იმ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომელიც სადაც სამართალურთიერთობის რეგულირების სფეროში განხორციელდა. საგადასახადო კოდექსის 270-ე მუხლის მე-7 ნაწილმა განსაზღვრა საგადასახადო სამართალდარღვევის, კერძოდ, სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისათვის სამართალდამრღვევის მიმართ საჯარიმო თანხის დაკისრების ნაცვლად გაფრთხილების გამოყენების შესაძლებლობა, სათანადო პირობების არსებობისას.

სასამართლოს განმარტებით, საერთო წესის თანახმად, სა-

გადასახადო კანონმდებლობას არ აქვს უკუქცევითი ძალა და საგადასახადო დაბეგვრისათვის გამოიყენება საგადასახადო კანონმდებლობის ოფიციალურად გამოქვეყნებული და ძალაში შესული ის ნორმატიული აქტები, რომელებიც მოქმედებს საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღისათვის (საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი), თუმცა, მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია არა საგადასახადო დაბეგვრის, არამედ საგადასახადო სამართალდარღვევის პასუხისმგებლობის კანონიერება.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის – ი/მ „ლ. ც-ას“ მიმართ გამოვლენილი საგადასახადო სამართალდარღვევა არ იყო განმეორებითი, მისი განზრახვა არ მოიცავდა საქმიანობას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების გარეშე და სამართალდარღვევის შედეგნის მომენტში სალარო აპარატის გაუმართაობა გამოწვეული იყო მხოლოდ მისი გაუფრთხილებელი მოქმედების შედეგად. ამასთან, ადგილი არ ჰქონის გარეშე რაიმე საქონლის გაყიდვას, რასაც სადაცოდ არც მოპასუხე მხარე არ ხდის. აღნიშნული გარემოებები კი ერთობლიობაში ქმნის ლ. ც-ას მიერ ჩადენილი ქმედებისათვის ნაკლებად მკაცრი სანქციის – გაფრთხილების და არა ჯარიმის გამოყენების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს შეფასებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ხელახლა უნდა განიხილოს ლ. ც-ას, მიმართ სანქციის გამოყენების საკითხი, ჩადენილი სამართალდარღვევის სიმძიმის, ჩამდენის პიროვნების, გათვალისწინებით (იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ლ. ც-ას მიერ გახსნილ ობიექტში სალარო აპარატის გაუმართაობა, ანუ ჩეკის არარსებობა გამოწვეული იყო არა მისი განზრახი ქმედებით, არამედ გაუფრთხილებლიბით) და უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება ლ. ც-ას მიმართ გაფრთხილების გამოყენების თაობაზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 270-ე მუხლის მე-7 ნაწილის დღეს მოქმედი რედაქციის შესაბამისად.

### **სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:**

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსითა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

**აპელანტი:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**მონინააღმდეგე მხარე:** ი/მ „ლ. ც-ა“

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

### აპელაციის მოტივები:

**ფაქტობრივი:** აპელანტის მითითებით, საქალაქო სასამართლო გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის საფუძვლად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ გადასახადის გადამხდელს საკონტროლო-სალარო აპარატი იყო გაუმართავ მდგომარეობაში (არ ჰქონდა ღენტი), რის გამოც ადგილი ჰქონდა საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ დარღვევას მომხმარებელთან ნალით ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატების გამოუყენებლობას), ხოლო ი/ზ „ლ. ც-ას“ მიერ ნარდგენილი საჩივრის საფუძველზე შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 19 დეკემბრის №7952 ბრძანებაში ი/ზ „ლ. ც-ას“ დაჯარიმების საფუძვლად მითითებულია მაღალაზი ნალით ფულით ანგარიშსწორება საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების გარეშე. ალნიშნულს არ ეთანხმება აპელანტი და უთითებს, რომ საგადასახადო ორგანოს თანამშრომელთა მიერ შედგენილ ოქმში მითითებულია მხოლოდ საკონტროლო-სალარო აპარატის გაუმართავ მდგომარეობაში ყოფნის და საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის დარღვევის შესახებ და არა დაკონკრეტული, თუ რომელი პუნქტი იქნა დარღვეული. ამდენად, არ არსებობდა ოქმისა და შემოსავლების სამსახურის №7952 ბრძანებაში მითითებული შემადგენლობის საწინააღმდეგო გარემოება.

რაც შეეხება ადმინისტრაციული აქტის თაობაზე ლ. ც-ას ინფორმირებულობას, აპელანტის მითითებით, გადამხდელის მხრიდან 2007 წლის 9 ნოემბრის ოქმის გასაჩივრება ადასტურებდა, რომ მისთვის ცნობილი იყო ალნიშნული აქტის შესახებ, ხოლო მისი კანონით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრება დაგალიანების აღიარებულად ჩათვლის ვალდებულებას ქმნიდა საგადასახადო ორგანოსათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტის მტკიცებით ი/ზ „ლ. ც-ას“ მიმართ „საგადასახადო მოთხოვნა“ და ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ბრძანება გამოცემული იყო საგადასახადო კანონმდებლობის დაცვით და არ არსებობდა მათი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

**სამართლებრივი:** აპელანტი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებდა საგადა-

სახადო კოდექსის (2011 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქციის) 87-ე, 157-ე მუხლებზე.

### **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 12 ივნისის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2013 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება.

### **გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:**

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით განმარტა, რომ სადაც პერიოდში მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 45-ე და 46-ე მუხლების დეფინიციიდან გამომდინარე, საგადასახადო კანონმდებლობა იმპერატიულად განსაზღვრავდა გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო სამართლდარღვევის თაობაზე შედგენილი ნებისმიერი დოკუმენტის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობის (გაგზავნა/გადაცემა) სავალდებულობას, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად, უსაფუძვლოა აპელანტის აპელირება სსიპ შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 19 დეკემბრის №7952 ბრძანების კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე.

ამასთან, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 19 დეკემბრის №7952 ბრძანებასა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში დაჯარიმების საფუძვლად მითითებულია სხვადასხვა გარემოებები. კერძოდ, პირველ შემთხვევაში ი/ზ „ლ. ც-ას“ დაჯარიმების საფუძლად მითითებულია მაღაზიაში ნაღდი ფულით ანგარიშსწორება საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების გარეშე, ხოლო ოქმში მითითებულია გადასახადის გადამხდელის საკონტროლო-სალარო აპარატის გაუმართავ მდგომარეობაში ყოვნის ფაქტი. რაც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, წარმოადგენს ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტობრივ გარემოებას და ბადებს საფუძვლიან ეჭვს მოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საქმის მასალების არასრულყოფილად შესწავლისა და გამოკლევის გარეშე გამოცემის თაობაზე.

რაც შეეხება ქონებაზე ყადალის დადების შესახებ თბილი-

სის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 4 აგვისტოს №14/04-23678 ბრძანების კანონმდებლობასთან შესაბამისობას, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ქონებაზე ყადაღის დადება მოხდა აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობის პირობებში და მიუთითა, სადაც აქტის (თბილისის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 4 აგვისტოს №14/04-23678 ბრძანების) გამოცემის დროისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსის 87-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ყადაღა დაადოს გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საკუთრებაში არსებულ ან/და ბალანსზე რიცხულ (გარდა ლიზინგით მიღებული ქონებისა და იმ ქონებისა, რომელიც სხვა პირის საკუთრებაა) ნებისმიერ ქონებას, მათ შორის, მოძრავ, უძრავ, არამატერიალურ ქონებას, აღიარებული საგადასახადო დავალიანების მოცულობის ფარგლებში. კონკრეტულ შემთხვევაში კი, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, არ არსებობს ი/მ „ლ. ც-ას“ მიერ აღიარებული საგადასახადო დავალიანება, უფრო მეტიც, საქმეში არსებული მასალების საფუძველზე დგინდება, რომ სადაც ადმინისტრაციული აქტით ყადაღა დაედო ქონებას, რომელიც ყადაღის დადების მომენტისათვის არ იყო მის საკუთრებაში აღრიცხული.

**კასატორი:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**მოწინააღმდეგე მხარე:** ი/მ „ლ. ც-ა“

**კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 12 ივნისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

**კასაციის მოტივები:**

**პროცესუალური:** კასატორის მითითებით გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობას შემოწმება შეუძლებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე“ ქვეპუნქტის თანახმად განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

**მატერიალური:** კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ განჩინების გამოტანისას არ გამოიყენა კანონი, რო-

მელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 157-ე მუხლი, რომელიც ცალსახად ადასტურებს შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული ქმედების, კერძოდ, „ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის ბრძანების კანონიერებას. საგადასახადო კოდექსის 157-ე მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, ი/θ „ლ. ცას“ მიერ საგადასახადო დავალიანება აღიარებულად ითვლება, ვინაიდან, მან 2007 წლის 19 დეკემბრის №7952 ბრძანება კანონმდებლობით დადგენილ 5-დღიან ვადაში არ გაასაჩივრა. შესაბამისად, „ქონების ყადაღის დადების შესახებ“ 2010 წლის 4 აგვისტოს №14/04-23678 ბრძანება გამოცემულია კანონმდებლობის სრული დაცვით.

კასამართლის მითითებით, ასევე არამართებულია სააპელაციო სასამართლოს შეფასება იმასთან მიმართებაში, რომ შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 19 დეკემბრის №7952 ბრძანება-სა და ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა ოქმში სხვადასხვა საფუძვლებია მითითებული და აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული აქტები გამოცემულია საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის „საგადასახადო კონტროლის განხორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ჩამონერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ლონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ №994 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად. ამ ბრძანების მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენებლობა გულისხმობს იმ შემთხვევას, როდესაც პირს გააჩნია საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული საკონტროლო-სალარო აპარატი, რომელიც შეტანილია რეესტრში, საკონტროლო -სალარო აპარატზე ჩართულია ფისკალური მეხსიერება, მაგრამ მომხმარებელთან ნალიდი ფულით ანგარიშსწორებისას არ ხდება ვაჭრობის/მომსახურების ყველა პერაციაზე სალარო აპარატის გამოყენება, რაც თავის მხრივ, მოიცავს იმ მომენტს, რომ მომხმარებელისაგან ყოველი ფულის მიღებაზე (გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონმდებლობის შესაბამისად ასეთი ოპერაცია ან პირი თავისუფლდება სალარო-აპარატის გამოყენების ვალდებულებისაგან) საკონტროლო-სალარო აპარატში ამობეჭდილი უნდა იყოს ჩეკი. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მოლარე-ოპერატორი ვალდებულია, მუშაობის დაწყებამდე უზ-

რუნველყოს საკონტროლო-სალარო აპარატში შესაბამისი ლენ-ტების ჩადება.

რაც შეეხება სამართალდარღვევის ოქმში იმის მითითებას, რომ საკონტროლო-სალარო აპარატი იყო გაუმართავ მდგომარეობაში ანუ ლენტა არ იყო ჩადებული, აღნიშნული წარმოადგენს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც საკონტროლო შესყიდვისას ინსპექტორმა ჩეკის ამოურტყმელობის შედეგად გამოავლინა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საკონტროლო სალარო აპარატში ლენტას ჩადება სავალდებულოა, რადგან ნალი ფულით ანგარისნორება საკონტროლო სალარო აპარატს გამოყენებით აღნიშნულის გარეშე ვერ მოხდება.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წანამდლვრები:

საკასაციო სასამართლომ მიჩნია, რომ საქმე დასაშვებია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც აბსოლუტური კასაცია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემონმების შედეგად მივიღდა იმ დასკვნამდე, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შესაბამისად, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 12 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2 მუხლის და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები; სასამართლომ დავა გადაწყვიტა ისე, რომ საერთოდ არ გამოუკვლევია და არ დაუდგენია ფაქტობრივი გარემოებები, არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება საქმის მასალებს, არ გამოუყენებია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილება და ოფიციალობის პრინციპის უგულებელყოფით დაადგინა საქმეზე დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო საჩივრის მოტივი – განსახილველ დავაში საგა-

დასახადო საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით გან-  
საზღვრული საკონტროლო-სალარო აპარატის რეალიზაციის და  
საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვის განხორცი-  
ელების პროცედურების, კერძოდ, საკონტროლო-სალარო აპა-  
რატის გამართულ და მუშა მდგომარეობაში ყოფნის დარღვევი-  
სათვის საგადასახადო მონიტორინგის მეშვეობით ქმედების  
კვალიფიკაციის კანონიერების საკითხი, რამაც საკასაციო სა-  
სამართლოს მოსაზრებით შექმნა აბსოლუტური კასაციის წანამ-  
ძღვრები, არის საგულისხმო და განსაკუთრებული, რამაც მო-  
ცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვა-  
როვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნე-  
ლოვანი საქმის სტატუსი, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს  
მიერ სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს:

1. რამდენად კანონშესაბამისად ხორციელდება შემოსავლე-  
ბის სამსახურის თანამშრომლების მიერ საკონტროლო – სალა-  
რო აპარატების გამართულობის შემოწმება, პროცედურების  
დაცვა, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა, დად-  
გნა, შემთხვევის სამართალდამრღვევად მიჩნევა და ადეკვა-  
ტური სამართლებრივი კვალიფიკაციის მიცემა.

2. ქვემდგომი სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული  
ორგანოების დისკრეციული უფლებამოსილების პირობებში მი-  
ღებული (მისაღები) გადაწყვეტილების კანონიერების შემოწ-  
მებისას სასამართლო კონტროლის განხორციელების ფარგლე-  
ბი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე  
ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასებები და სასამართლო  
დასკვნები სასარგებლო იქნება, როგორც საგადასახადო ორგანოს უფლე-  
ბამოსილი პირების (საგადასახადო კოდექსის 49.6 მუხლით სა-  
ქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით საქართველოს  
საგადასახადო ორგანოს კომპეტენციისთვის მიკუთვნებული სა-  
გადასახადო კონტროლის (ცალკეული სახეები შესაძლებელია,  
განახორციელოს სხვა პირმა) მმართველობითი საქმიანობისათ-  
ვის, ასევე საგადასახადო სამართალურთიერთობათა მონაწი-  
ლეთათვის, რამდენადაც ადმინისტრაციული სამართლის კერ-  
ძო ნაწილი – საგადასახადო სამართალი ანუსრიგებს გადასახა-  
დის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებ-  
რივ მდგომარეობას, განსაზღვრავს საგადასახადო სამართალ-  
დარღვევის სახეებს, საქართველოს საგადასახადო კანონმდებ-  
ლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, უფლებამოსილი  
ორგანოსა და მისი თანამდებობის პირების არამართლზომიერ

ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დაცის გადაწყვეტის წესს, არეგულირებს საგადასახადო ვალ-დებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. ამდენად, საგადასახადო სამართლის აღნიშ-ნული ინსტიტუტების სწორი გაგება-გამოყენება უშუალოდ გა-ნაპირობებს ადამიანთა ყოფას, საზოგადოებრივი წესრიგის ხა-რისხსა და კულტურას.

ამავდროულად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სა-ქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვის განხორციე-ლებისას (რამდენადაც იგი განეკუთვნება უმნიშვნელოვანესი მმართველობითი ღონისძიების – საგადასახადო ადმინისტრი-რების ერთ-ერთ განსაკუთრებული პროცედურის ტიპს), საქ-მის გარემოებათა სწორი გამოკვლევა და კვალიფიკაცია უშუა-ლო კავშირშია ადამიანის, როგორც მატერიალური, ასევე პრო-ცედურული უფლებების უზრუნველყოფასთან, მმართველობის კანონიერებისა და კანონიერი ნდობის უფლების პრინციპების განხორციელებასთან.

ადმინისტრაციული ორგანოების დისკრეციული უფლებამო-სილების პირობებში მიღებული გადაწყვეტილებების კანონიე-რებასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაეს სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში განიმარტა, განსახილველ შემ-თხვევაში შეფასება უნდა მიეცეს ქვემდგომი სასამართლოე-ბის სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს ამ ინსტიტუტ-თან დაკავშირებით.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნა სახელმძღვანელო გახდება სახელმწიფოში არსებული ადმინის-ტრაციული ორგანოებისათვის და მათი პრაქტიკისათვის, ხო-ლო ადმინისტრაციულ სამართალურთო იერთობებში შესაბამისი სასამართლო განმარტება ხელს შეუწყობს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოებს ერთგვაროვანი სასამარ-თლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასა-მართლოს მიერ საქმე განხილულ და გადაწყვეტილ იქნა საპრო-ცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნების უგულებელყოფით, სასამართლო აქტი საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას სააპელა-ციო საჩივრის მოტივებზე, არ არის გაქართყლებული აპელან-ტის მოსაზრებები, ისე არის მიჩნეული დაუსაბუთებლად და კა-ნონშეუსაბამოდ.

სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა რა გასაჩივ-რებული გადაწყვეტილება, დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით

მინიჭებული საპროცესო უფლებამოსილების გამოყენებას, თუმცა არ უმსჯელია ამ სახის სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წინაპირობების არსებობასა და შესაბამისად კანონიერებაზე, რითაც უგულებელყო ზემდგომი სასამართლოს ფუნქცია – სააპელაციო წესით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებათა კანონიერების შემოწმება ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო წინამდებარე განჩინების მიღებისას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეზე ბს-220-210(კ-06) დ. მ-ის სარჩელისა გამო მოპასუხის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, 2006 წლის 4 ივლისის განჩინებაში ჩამოყალიბებულ სასამართლო პრაქტიკას, რომლის მიხედვით საკასაციო სასამართლომ იმსჯელა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის კვალიფიციური გამოყენების შესახებ, კერძოდ: „საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უფლებამოსილება სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული აქტი, განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოყვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს იგი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოყვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა და სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა

ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტი და დაავალოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს ახალი აქტი. ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების კომპეტენცია სასამართლოს გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე, მხოლოდ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილ მოთხოვნათა დაცვით.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, კონკრეტულ შემთხვევაში არამართებულია სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენება, ვინაიდან საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადაც ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლებმა ობიექტური შეფასება არ მისცეს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოები არ არის გამოკვლეული, შესაბამისად, მითითებულ საკითხებზე არ არის გადმოცემული სასამართლო მსჯელობები და დასკვნები. სასამართლოთა დასკვნა – ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენების საჭიროების შესახებ სრულიად დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს საპროცესო კანონით განსაზღვრული დანაწესის ნამდვილი შინაარსიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამონტმებს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ საქმეს განიხილავს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ისე მათი სამართლებრივი შეფასების კუთხით. სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს დაადგინოს ახალი ფაქტები, ხოლო საქმის მონაწილე პირებს უფლება აქვთ პირველ ინსტანციაში უკვე განხილულთან ერთად სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ანუ სააპელაციო სასამართლო, საკასაციო ინ-

სტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, შებოჭილი არაა პროცესუალური შესაძლებლობით, საქმეზე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, გამოითხოვოს და შეაფასოს მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს სსსკ-ის 385.2 მუხლის შესაბამისად, სრული პროცესუალური უფლებამოსილება პქონდა თავად გადაეწყვიტა დავა და არ გაეზიარებინა საქალაქო სასამართლოს დასკვნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენებასთან მიმართებაში, ვინაიდან, გასაჩივრებული აქტების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იყო დარღვეული აქტის გამოცემის ის პროცედურები, რაც უპირობოდ შეემნიდა საქმის ადმინისტრაციულ ორგანოში დაბრუნების წინაპირობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო საკასაციო სასამართლოს მიერ დამკიდრებული სასამართლო პრაქტიკა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3. მუხლის „გ“ ქვეპუნქტით ხელმძღვანელობით სტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეზე №ბს-52-52(კ-08) მ. ხ-ის სარჩელისა გამო მოპასუხის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაზო დეპარტამენტის მიმართ, 2008 წლის 25 მარტის საკასაციო სასამართლომ იმსჯელა სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთ მითითებული საპროცესო ნორმით მინიჭებული კომპეტენციის კვალიფიციური გამოყენების შესახებ, კერძოდ:

„სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ“ ქვეპუნქტის მიხედვით: სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელად რჩება გასაჩივრებული გადაწყვეტილება და თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსაჯულებას. მითითებული ნორმით დადგენილი პროცესუალური უფლებამოსილების გამოყენება არ უნდა მოვიდეს წინ.

ნააღმდეგობაში ამავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრულ სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციასა და კომპეტენციასთან, ვინაიდან სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორციელების არსი მდგომარეობს სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების ვალდებულების დადგენით. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების ვალდებულება პროცესუალურ-სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით უცილობლად გულისხმობს და მოიაზრებს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც აგებულია მხარეთა დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივარს აკუთვნებს მხარის უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, ამასთან, სწორედ მხარის ამ საპროცესო უფლების რეალიზაცია თანაზომიერია მხარისავე საპროცესო ვალდებულებასთან – დაასაბუთოს საჩივარი, კერძოდ, სსსკ-ის 368-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ე) და ვ) ქვეპუნქტებში მითითებულია თუ რა უნდა იყოს ასახული სააპელაციო საჩივრის შინაარსში. მხარის ამგვარი პროცესუალური ვალდებულება შეიცავს მხარის საპროცესო უფლებრივ გარანტიას, ზემდგომმა სასამართლომ შეაფასოს მისი საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, გაიზიაროს ან უარყოს, გააქარწყლოს ისინი იურიდიულად არგუმენტირებული სახით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენება ზემომითითებული საპროცესო ნორმების ობიექტური შინაარსის კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, სააპელაციო სამართალწარმოების გახდის ზედაპირულს და განაპირობებს მის უკიდურესად ფორმალისტურ ხასიათს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სააპელაციო სამართალწარმოების არსა და მართლმსაჯულების პრინციპებთან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საპროცესო ნორმა შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს მხარის პროცესუალური უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება უნდა შეიზღუდოს, რათა არ მოხდეს მხარის საპროცესო უფლების იგნორება, უკიდურეს შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული საპროცესო ზედამხედველობა განუხორციელებელი დარჩება“.

ამდენად, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105.2 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სასა-მართლომ საქმის განხილვისას უნდა მოიპოვოს მტკიცებულე-ბები, სარწმუნოდ დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებე-ბი, მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანოს დას-კვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსე-ბობის ან არარსებობის შესახებ.

სადავო სამართალურთიერთობა წარმოშობილია საგადასა-ხადო სამართალდარღვევათა სფეროში, გადასახადის გადამ-ხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ი/მ „ლ. ც-ას“, 2006 წლის 29 ივნისს დარეგისტრირდა ინდივიდუალურ მენარმედ თბილი-სის საგადასახადო ინსპექციაში (საიდენტიფიკაციო კოდი – ...) და ენტოდა სამეწარმეო საქმიანობას, კერძოდ, მეორადი საქონ-ლის რეალიზაციას.

2007 წლის 14 სექტემბერს, ი/მ „ლ. ც-ას“ (საიდენტიფიკაციო კოდი – ...) კუთხით საგაფრო თბილები, რომელიც მდებარეობ-და ქ. თბილისში, ... ქ. №48-ში ქ. თბილისის საგადასახადო ინ-სპექციის თანამშრომლების მიერ აღმოჩენილ იქნა, რომ გადა-სახადის გადამხდელის საკონტროლო-სალარო აპარატი იყო გა-უმართავ მდგომარეობაში (არ ჰქონდა ლენტა), რაზედაც შედგა საგადასახადო სამართალდარღვევათა ოქმი №315982, ხოლო 2007 წლის 5 ოქტომბერს, საქართველოს ფინანსთა სამინის-ტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 5 ოქტომბრის №005-180 საგადასახადო მოთხოვნის თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ი/მ „ლ. ც-ა“ დაჯა-რიმდა 500 ლარით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამ-სახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 5 ოქტომბრის №005-180 საგადასახადო მოთხოვნა ლ. ც-ას ჩა-ბარდა 2007 წლის 22 ოქტომბერს, რაც გაასაჩივრა საქართვე-ლოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, რომ-ლის 2007 წლის 19 დეკემბრის №7952 ბრძანებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენ-ტრის 2010 წლის 4 აგვისტოს ქონებაზე ყადალის დადების შესა-ხებ №14/04/-23678 ბრძანებით, ყადალა დაედო ი/მ „ლ. ც-ას“ ქონებას (ს/ს 104512635; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ... რაიონი, ... ქ. №8).

2010 წლის 26 ოქტომბრის შედარების აქტის თანახმად, 2010

ნლის 2 იანვრიდან 2010 ნლის 26 ოქტომბრამდე პერიოდში ი/მ „ლ. ც-ას“ ერიცხებოდა დავალიანება 500 ლარის ოფენობით (გადასახადის დასახელება – სალარო აპარატი).

ი/მ „ლ. ც-ას“ 2012 ნლის 27 დეკემბერს საჩივრით მიმართა შემოსავლების სამსახურს და მოითხოვა ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 ნლის 5 ოქტომბრის №005-180 საგადასახადო მოთხოვნისა და შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის 2010 ნლის 4 აგვისტოს ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ №14/04-23678 ბრძანების გაუქმება.

შემოსავლების სამსახურის 2013 ნლის 31 იანვრის №3403 ბრძანებით ი/მ „ლ. ც-ას“ 2012 ნლის 27 დეკემბრის საჩივრი 2007 ნლის 5 ოქტომბრის №005-180 საგადასახადო მოთხოვნით გათვალისწინებული ჯარიმის გაუქმების მოთხოვნის ნაწილში დარჩა განუხილველი, იმ მოტივთ, რომ შემოსავლების სამსახურის 2007 ნლის 19 დეკემბრის №7951 ბრძანებით ლ. ც-ას უარი ეთქვა საჩივრის დაგმაყოფილებაზე, ხოლო მოთხოვნა 2010 ნლის 4 აგვისტოს ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ №14/04-23678 ბრძანების გაუქმების ნაწილში არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო.

საჯარო რეეტრის ამონაწერის თანახმად, ქ. თბილისში, ... ქ. №8-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2 ნაწილის მესაკუთრეა ლ. ც-ა. უფლების რეგისტრაციის თარიღია 2011 ნლის 8 აგვისტო. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტებია: სააღრიცხვო ბარათი №020422, აღრიცხულია 1940 წელს; სამკვიდრო მოწმობა №100807627, დამოწმების თარიღი: 2010 ნლის 13 აგვისტო; სამკვიდრო მოწმობა №110150925, დამოწმების თარიღი: 2011 ნლის 21 თებერვალი.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩევე ი/მ „ლ. ც-ას“ სადავოდ გახადა სამართალდარღვევის საერთოდ ჩადენის ფაქტი, მიაჩნია რა, რომ მას საკონტროლო-სალარო აპარატზე არანაირი დარღვევა არ ჰქონია.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დროს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 106.1 მუხლის შესაბამისად, რომელიც შეიცავს ზოგად დებულებებს გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურებთან დაკავშირებით, გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურები ტარდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ, საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის მო-

ტივირებული ბრძანებით. ამავე კოდექსის 110.1 მუხლის თანახმად, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ სასამართლოს (წინასწარი სასამართლო კონტროლი – ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII<sup>1</sup> თავით დადგენილი უფლებამოსილება) გადაწყვეტილების გარეშე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით განახორციელონ საგადასახადო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ფარგლებში საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 27 თებერვლის №145 ბრძანებით დამტკიცებული „საგადასახადო ორგანოების მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის 4.5 მუხლის შესაბამისად, საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების განახორციელების დროს საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე მუშაობის ან მისი გამოუყენებლობის ფაქტის დადგენის მიზნით, საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლის პროცედურები და ამ მიზნით შეასრულოს შესაბამისი მოქმედებები მხოლოდ ობიექტის ხელმძღვანელისათვის, ხოლო მისი ადგილზე არ ყოფნის პირობებში, ობიექტის ტერიტორიაზე მომუშავე ნებისმიერი პირისათვის სამსახურებრივი მოწმობისა და მისი უფლებამოსილების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წარდგენის შემდეგ.

სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დროს მოქმედი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 10 მარტის №186 ბრძანების „საკონტროლო-სალარო აპარატების ექსპლუატაციის (გამოყენების) წესებისა და სალაროს ჩეკში შესატანი აუცილებელი რეკვიზიტების დამტკიცების შესახებ“ 1-ლი მუხლის თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილისა და 97.1 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, გაწერილია საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებელთან ნაღდი ფულად ანგარიშსწორებაზე დასაშვები საკონტროლო-სალარო აპარატების ექსპლუატაციის (გამოყენების) პროცედურები და სალაროს ჩეკში შესატანი აუცილებელი რეკვიზიტები. ამ ბრძანების მე-7 მუხლში ჩამოთვლილია ის პირობები, რომელიც სავალდებულოა საკონტროლო-სალარო აპარატის გამართული ექსპლუატაციისათვის, კერძოდ „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, უზრუნველყოს სალარო აპარატის ტექნიკურად გა-

მართულ მდგომარეობაში ექსპლუატაცია. ხოლო მე-8 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი კი ავალდებულებს მოლარე-ოპერატორს მუშაობის დაწყებამდე უზრუნველყოს საკონტროლო-სალარო აპარატში ლენტის ჩადება.

1. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს.

საქმის გარემოებების გამორკვევა და ფაქტების დადგენა მართლმსაჯულების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს, სწორედ დადგენილი ფაქტების საფუძველზე ხდება ნორმათშეფარდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში. აღნიშნული პრინციპის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნას ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლები).

ადმინისტრაციული სამართალწარმოების უმნიშვნელოვანესი პრინციპი - ოფიციალობის პრინციპი განსაზღვრავს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების როლს. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისგან სასამართლო პროცესუალური აქტივობის ცენტრში იმყოფება, ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში სასამართლოს აკისრებს საპროცესო სამართალურთიერთობაში მხარეთა საპროცესო უფლებებში ბალანსის მიღწევისთვის აუცილებელ საპროცესო მოქმედებების შესრულებას.

ოფიციალობის პრინციპზე დაყრდნობით სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად

(ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 4); სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 19).

ადმინისტრაციული სასამართლოს ეს უფლებამოსილება კანონმდებლის მიერ განმტკიცებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლში ადმინისტრაციულ ორგანოთა ვალდებულების დადგენით, წარუდგინოს სასამართლოს საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

სასამართლოს უფლებამოსილება – თავისი ინიციატივით მოიპოვოს მტკიცებულებები ან ინფორმაცია, ნიშნავს, რომ სასამართლომ უნდა განსაზღვროს შემთხვევები, როდესაც საფრთხე ემუქრება მართლმსაჯულების ძირითად პრინციპს – მხარეთა თანასწორობის /ანუ თანაბარი შესაძლებლობა – დაიცვან თავიანთი უფლებები/ რეალიზაციას საჯარო სამართლებრივი დავების მონაწილეთა სუბორდინაციული მდგომარეობიდან გამოდინარე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის არსებითად /ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით/ განმხილველი სასამართლოების მიერ ოფიციალობის პრინციპის მეშვეობით საქმის გარემოებათა დამატებითი გამოკვლევა, მტკიცებულებათა მოპოვება სახელმწიფოში დღეისათვის არსებული სამართლებრივი კულტურის პირობებში არის უპირობო აუცილებლობა, ადმინისტრაციულ დავათა კანონიერად გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაზე სრულფასოვანი სასამართლო კონტროლის განხორციელებისათვის, რის გარეშეც სამართლებრივი სახელმწიფოს, როგორც ღირებულებითი სიკეთით სარგებლობა შესაძლებელია ვერ მიიღწეს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ საესებით უგულებელყო ადმინისტრაციული მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი, საჯარო ინტერესის უზრუნველმყოფი უფლებამოსილება. კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს არ მიუღია ზომები, დამატებითი მტკიცებულებების, ინფორმაციის მოსაპოვებლად, მაშინ, როცა ისედაც მოცემული დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, მტკიცებულებათა წრე უკიდურესად შეზღუდულია.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის XV-XIX თავების საფუძველზე განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გან-

საზღვრულია მტკიცებულებათა სახეები: წერილობითი, ზეპირი და ნივთიერი სახის მტკიცებულებები. სსსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილია სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი, კერძოდ, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა (წანილი 1). სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში სახეზეა მხოლოდ ერთი წერილობითი ხასიათის მტკიცებულება – ადმინისტრაციული (საგადასახადო) სამართალდარღვევის ოქმი, მტკიცებულება იმდენად, რამდენადაც მასშია აღნერილი, გამოვლენილი სამართალდარღვევის ფაქტი, პირობები, დამრღვევი სუბიექტი. ამავდროულად, აღნიშნული ოქმის საფუძველზე მიღებული საგადასახადო მოთხოვნა წარმოადგენს დავის საგანს, რამდენადაც მოსარჩელე სადაცოდ ხდის მის კანონიერებას, აქტში აღნერილი იურიდიული ფაქტის ნამდვილობის კონტექსტით ანუ სწორედ ერთადერთ წერილობით მტკიცებულებაში აღნერილი, გადმოცემული ფაქტი წარმოადგენს სადაცოს და მტკიცების საგანს.

მტკიცებულებათა ამგვარი სიმწირის პირობებში სასამართლო ვალდებულია, თავისი ინიციატივით გამოიკვლიოს, არსებობს თუ არა სადაცოდ გამხდარი გარემოების სხვა უშუალო მტკიცებულებები მაშინ, როცა სასამართლომ არ შეაფასა თავად მოსარჩელის ახსნა-განმარტება, არ გამოიკვლია საგადასახადო ორგანოს თანამშრომლების მიუკერძობლობა, ობიექტურობა, მით უფრო მაშინ, როდესაც საგადასახადო ორგანოს თანამშრომლები მაღაზიაში შევიდნენ, არ მოუთხოვიათ რაიმეს შეძენა, ისე დააფიქსირეს ის გარემოება, რომ სალარო აპარატი იყო გაუმართავი და მოსარჩელე დააჯარიმეს საგადასახადო კოდექსის (იმ დროს მოქმედი) 139.4 მუხლის, მომზარებელთან ანგარიშსწორებისას სალარო აპარატის გამოუყენებლობის გამო.

საკასაციო სასამართლო საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 წანილის შინაარსის საფუძველზე განმარტავს, რომ საკანონმდებლო ნოველით დადგენილი პასუხისმგებლობა გადასახადის გადამხდელის ქმედების, კონკრეტული მოქმედების ფაქტობრივ შემადგენლობას მოითხოვს, კერძოდ, „მომხმარებელთან ნალით ფულით ანგარიშსწორებისას სალარო აპარატის გამოუყენებლობა“ უნდა იყოს სახეზე. აღნიშნული ნორმით

დადგენილი სანქციის შეფარდება კანონის მიხედვით დასაშვებია მაშინ, როცა მერარმე –

1. მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშს წორების პროცესშია;

2. არ იყენებს სალარო აპარატს.

ამდენად, საკანონმდებლო წორმა ცალსახად ადგენს, რომ სახეზე უნდა იყოს მენარმის საქმიანობაში ორი ფაქტობრივი გარემოების ერთობლიობა – 1. აქტიური მოქმედება – ანგარიშს წორება და 2. უმოქმედობა – სალარო აპარატის გამოუყენებლობა. ამგვარი ერთობლიობის დაუდგენლობის შემთხვევაში ქმედების/უმოქმედობის კვალიფიკაციისთვის საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილის მისადაგება კანონსანინაალმდეგოა, რამდენადც ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ნორმათშეფარდების პროცესს წინ უსწრებს ფაქტების გამოკვლევა-დადგენა-შეფასების სტადია, რაც ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს კანონით აღნერილ შემთხვევას. ადმინისტრაციული წარმოების მიზანი კანონიერი გადაწყვეტილების მიღებაა, რომლის უზრუნველსაყოფად იგი ორ მნიშვნელოვან საფეხურს შეიცავს:

1. საქმის ირგვლივ ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა-დადგენა-შეფასება და 2. დადგენილი ფაქტების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე ქმედების კვალიფიკაცია.

წინაალმდეგ შემთხვევაში, ნორმათშეფარდება თვითნებურ ხასიათს იძენს და თავად ხდება კანონსანინაალმდეგო მოვლენა.

საქმეზე დადგენილი და სადაცო აქტში აღნერილი ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად არ დასტურდება მენარმის ქმედებაში საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილით აღნერილი და დადგენილი ქმედების კვალიფიკაციისთვის სავალდებულო ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, აქედან გამომდინარე, სამართლის ნორმის შეფარდების კანონიერება.

აღნიშნულის გამო, შეუსაბამოა მოცემულ საქმეზე ქვემდგომ სასამართლოთა სამართლებრივი შეფასებები და დასკვნები, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს ი/ზ „ლ. ც-ას“ ქმედებაში საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილით აღნერილი და დადგენილი ქმედების კვალიფიკაციისთვის სავალდებულო ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობის არსებობა-არარსებობის საკითხი. როგორ გამოავლინეს და დაადგინეს საგადასახადო ორგანოს თანამშრომლებმა მითითებული

ნორმით განსაზღვრული ქმედების შემადგენლობის დამადასტურებელი ფაქტები. რამდენად კანონშესაბამისია ქმედების კვალიფიკაცია სადაცო აქტში აღნერილი ფაქტების საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს, რამდენად კეთილსინდისიერი იყო მენარმე ახსნა-განმარტების დროს, საგადასახადო აღმინისტრირების მიზნი-დან გამომდინარე, მის მიერ სალარო აპარატში ლენტის არ ჩა-დება გულისხმობს თუ არა, რომ იგი ვაჭრობდა ან ივაჭრებდა ჩეკის გარეშე, ანუ ამგვარი განზრახვა გააჩნდა, თუ ეს ფაქტი განპირობებულია ყოფითი დაუდევრობით, სალარო აპარატში ლენტის არ ჩადება გაგებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ მე-ნარმეს საერთოდ არ გააჩნია სალარო აპარატი, ანუ ეს ფაქტი თავისი შედეგებით უტოლდება თუ არა სალარო აპარატის არ-ქონას, რაც საგადასახადო კოდექსის მიხედვით სანქცირებულ ქმედებას წარმოადგენს ანუ სასამართლომ უნდა იმსჯელოს მო-სარჩელის ქმედება, როგორც ეს სადაცო აქტშია აღნერილი, გა-ნეკუთვნება თუ არა კანონით დადგენილ სამართალდარღვევა-თა კატეგორიას.

სასამართლოს არ უმსჯელია საქართველოს ფინანსთა მინის-ტრის 2006 წლის 10 მარტის № 186 ბრძანებით დამტკიცებული „საკონტროლო-სალარო აპარატების ექსპლუატაციის (გამოყე-ნების) წესებისა და სალაროს ჩეკში შესატანი აუცილებელი რეკ-ვიზიტების დამტკიცების შესახებ“ მე-7 მუხლის „ზ“ ქვეპუნ-ქტის დანაწესი – გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, უზ-რუნველყოს სალარო აპარატის ტექნიკურად გამართულ მდგო-მარეობაში ექსპულატაცია. ხოლო მე-8 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი ვალდებულების – მოლარე-ოპერატორმა მუშაობის დაწყებამდე უზრუნველყოს საკონტროლო – სალარო აპარატ-ში ლენტის ჩადება, იგნორირების პირობებში სანქცირებულია თუ არა კონკრეტული სამართლის ნორმით.

საკასაციო სასამართლო მოცემული საქმის სტატუსიდან გა-მომდინარე აღნიშნავს, რომ ზემომითითებული ნორმატიულ-ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული გა-დასახადის გადამხდელის ვალდებულებები შეიცავს სამენარ-მეო საქმიანობის ორგანიზებისა და დისციპლინის სტანდარტს, რომლის დაცვის შემოწება, თავის მხრივ, საგადასახადო კონ-ტროლის განმხორციელებელ მოხელეებს ავალდებულებს გა-მოიკვლიონ, რა გარემოებებით იყო გამოწვეული სალარო აპა-რატის ღია მაღაზიაში გაუმართავ მდგომარეობაში ქონა. ფაქ-ტობრივი გარემოებების ზედმინევნით ობიექტური და კვალი-ფიციური გამოკვლევა განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს

ისეთი დაბალი სამართლებრივი კულტურის, შესაბამისი სამეწარმეო ორგანიზების და საზოგადოდ, პიროვნების საჯარო წესრიგისადმი დამოკიდებულების დაბალი ხარისხის პირობებში, როგორსაც წარმოადგენს დღევანდელი საქართველოს საზოგადოების დიდი უმრავლესობა.

საგადასახადო მოხელეებმა ამგვარ ვითარებაში უნდა გამოიყვლიონ მენარმის, როგორც გადასახადის გადამხდელის ისტორია, რამდენად კეთილსინდისიერია იგი საგადასახადო სისტემის წინაშე და ერთობლიობაში მიეცეს შეფასება მის ქმედებას (უმოქმედობას). წინააღმდეგ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, საგადასახადო მოხელეთა ხისტმა, ცალსახადამოკიდებულებამ, რომელთა გადაწყვეტილებები დღევანდელ სოციალური ვითარების ფონზე კანონით დადგენილი მაღალი ფინანსური სანქციების შეფარდებას იწვევს, შესაძლოა, განაპირობოს მცირე მენარმეთა ისედაც რთული მდგომარეობის იმ მასშტაბით გამწვავება, რომ უკიდურესად შეუმცირდეთ ბრუნვაუნარიანობა ან სულაც გამოიწვიოს მათი გაკოტრება, რაც სრულებით შეუძლებელია, საქართველოს მმართველობითი, კერძოდ, საგადასახადო პოლიტიკის ინტერესში იყოს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ პირის სამართალდამრღვევად მიჩნევა, მისი ქმედების/უმოქმედობის გამორკვევა, შეფასება, დადგენა უმნიშვნელოვანესი და ურთულესი სამართლებრივი ღონისძიებაა, რის გამოც ნორმათშემფარდებელი საგადასახადო მოხელეები აღჭურვილი უნდა იყვნენ საფუძვლიანი იურიდიული ცოდნით, მაღალ დონეზე უნდა ფლობდნენ ფაქტობრივ გარემოებათა გამოკვლევის, დადგენის ტექნიკას, შესაბამის აუცილებელ სათანადო უნარ-ჩვევებს. აღნიშნულის მისაღწევად საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა უნდა გაატარონ მასშტაბური სამართლებრივი, ტექნიკური, პროფესიული სწავლების ინტენსიური ღონისძიებები, მათ შორის, საგადასახადო ადმინისტრირების ადეკვატური პოლიტიკის შემუშავების, დაგეგმვისა და განხორციელების მეთოდების განსაზღვრით, რათა თავიდან იქნეს აცილებული საგადასახადო კონტროლის ფუნქციის არაჯეროვანი შესრულება, რაც ადამიანის/იურიდიული პირის უფლებების დარღვევის მიზეზი ხდება და უცილობლად ინვესტიციების საზოგადოების სხვადასხვა ფენების განწყობის ტრანსფორმირებას საკუთარი მმართველობითი სისტემის მიმართ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საგადასახადო ადმინისტრირების პოლიტიკის ადეკვატურობა საზოგადოების წევრების სამართლებრივი კულტურისადმი, დისკიპლინისად-

მი დამოკიდებულების ხარისხის გათვალისწინებასა და მისი პოზიტიური ეფექტურის (ამაღლებაში) მიღწევის მიზნის დასახვაში გამოიხატება. განვითარებადი სახელმწიფოს სტატუსით ფუნქციონირების პირობებში კანონიერი მმართველობის სტანდარტის უზრუნველსაყოფად საგადასახადო ადმინისტრირების ამოცანას წარმოადგენს მეწარმეთა და საზოგადოდ, გადასახადის გადამხდელთა ცნობიერებისა და მართლშეგნების ამაღლება, გაზრდა, საერთო თანაცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთების ჩამოყალიბება და დამკიდრება. საგადასახადო ადმინისტრირება საზოგადოების საჯარო ინტერესებისადმი საერთო განწყობისა და სოლიდარობის მიღწევას და ჩამოყალიბებას უნდა ემსახურებოდეს. სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის იდეით ფუნქციონირებად მმართველობით სისტემაში დაუშვებელია ადმინისტრირებას კამპანიური ხასიათი გააჩნდეს საბიუჯეტო შემოსავლების შევსებისა და მობილიზების მიზნით, რამაც ქვეყნის საგადასახადო სისტემაში ტენდენციის სახე მიიღო და შესაბამისად აისახა სამეცნიერო საქმიანობის თავისუფლებისა და განვითარების მასშტაბებსა და ხარისხზე.

საკასაციო სასამართლო საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილში დეფინირებული ტერმინის – საგადასახადო ადმინისტრირება, რომლის მიხედვით: „გადასახადების გამოაწერისებასთან, გადახდასთან და დეკლარირებასთან, საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე გადასახადის გადამხდელთა/საგადასახადო აგენტთა აღრიცხვასთან, ინფორმირებასთან და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფორმების, მეთოდებისა და წესების ერთობლიობა, რომლებსაც საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში (2007 წელს მოქმედი რედაქციით) – განმარტავს, რომ კანონმდებელი აღნიშნულ ფუნქციასა და პროცედურას სწორედ სისტემატიზირებულ და მეთოდურად დაგეგმილ ღონისძიებათა კომპლექსად მოიაზრებს, რომლის კვალიფიციური და ჯეროვანი აღსრულება საგადასახადო ორგანოების საჯარო ვალდებულებას წარმოადგენს.

2. საკასაციო სასამართლო სამართლებრივ შეფასებას აძლევს რა ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოების მიერ გადაწყვეტილებებში (რომლის მიხედვით სასამართლოებმა გამოიყენეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლით მიზნებული უფლებამოსილება და დაავალეს მოპასუხეს ახალი აქტის გამოცემა) ადმინისტრაციულ ორგანოსთვის მითითებას, რომ მეწარმის მიმართ გამოიყენონ საქართველოს საგადა-

სახადო კოდექსის 270-ე მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრული სანქცია – გაფრთხილება, მიაჩნია კანონმქუსაბამოდ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი, კერძოდ, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.

ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას შებოჭილია კანონიერების პრინციპით, კონკრეტულად, კანონისმიერი დათქმის პრინციპით, რომელიც, თავის მხრივ, კონსტიტუციაში განმტკიცებულია დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და პირის ძირითადი უფლებების დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე.

ამასთან, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობიდან გამომდინარე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 7.2. მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება, გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოების მიერ საკითხის ასეთი გადაწყვეტა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის ინსტიტუტის – დისკრეციული უფლებამოსილების მეტად ზედაპირული გაგებიდან; ამგვარი მსჯელობა საერთოდ გამორიცხავს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების სპეციფიკას და ფორმალურ ნიშნამდე დაჰყავს მმართველობითი ორგანოების როლის არსი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვემდგომი სასამართლოების მსჯელობა და დასკვნები ენინააღმდეგება ადმინისტრაციული მართლმსაჯულების როლსა და ამოცანებს, კერძოდ, სასამართლოებმა სადაცო აქტი მიიჩნიეს უკანონოდ, როგორც საქმის გარემოებების გამოკვლევის გარეშე გამოცემული და დააგვალეს ახალი აქტის გამოცემა, საქალაქო სასამართლო მსჯელობს, რომ „სამართალდარღვევის ოქმსა და ბრძანებაში დაფიქსირებულია დარღვევის სხვადასხვა სახე, რაც ბადებს სა-

ფუძვლიან ეჭვს, რომ საგადასახადო ორგანოს მიერ საკითხის შესწავლა არ მომხდარა საქმის მასალების სრულყოფილად შესწავლისა და გამოკვლევის საფუძველზე“, ხოლო შემდგომ: „სასამართლო მიღის დასკვნამდე, რომ ლ. ც-ას განზრახვა არ მოიცავდა საქმიანობას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების გარეშე და სამართალდარღვევის შედგენის მომენტში სალარო აპარატის გაუმართაობა გამოწვეული იქნა მხოლოდ მისი გაუფრთხილებელი მოქმედების შედეგად. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ადგილი არ ჰქონია ჩეკის გარეშე რაიმე საქონლის გაყიდვას და რასაც სადაც მოპასუხე მხარე არ ხდის. აღნიშნული გარემოებები კი ერთობლიობაში ქმნის ლ. ც-ას მიერ ჩადენილი ქმედებისათვის ნაკლებად მკაცრი სანქციის – გაფრთხილების და არა ჯარიმის გამოყენების შესაძლებლობას, საქალაქო სასამართლოს ეს მსჯელობა საერთოდ არ არის შეფასებული სააპელაციო სასამართლოს მიერ.

ერთი მხრივ, საქალაქო სასამართლოს მსჯელობა წინააღმდეგობრივია, როცა დაადგინა, რომ ი.მ. „ლ. ც-ას“ მიერ „ადგილი არ ჰქონია ჩეკის გარეშე რაიმე საქონლის გაყიდვას და რასაც სადაც მოპასუხე მხარე არ ხდის.“ და ამავდროულად დაასკვნა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში განიხილოს და უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება მენარმის მიმართ გაფრთხილების გამოყენების თაობაზე, საგადასახადო კოდექსის 270-ე მუხლის დღეს მოქმედი რედაქციის შესაბამისად „გაუგებარია, თუ მენარმის ქმედებაში არ არის სამართალდარღვევის შემადგენლობა, საერთოდ რატომ უნდა შეეფარდოს ასეთისთვის გათვალისწინებული სანქციის რომელიმე, თუნდაც ყველაზე დაბალი ზომა.

მეორე მხრივ სასამართლოს მითითება – „ადმინისტრაციულმა ორგანომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში განიხილოს და უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება მენარმის მიმართ გაფრთხილების გამოყენების თაობაზე, საგადასახადო კოდექსის 270-ე მუხლის დღეს მოქმედი რედაქციის შესაბამისად“, წარმოადგენს როგორც ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტის დისკრეციული უფლებამოსილების არსისა და ბუნების იგნორირებას და მის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას სასამართლო კონტროლის და ასევე, საკუთრივ, სასამართლო ხელისუფლების როლისა და უფლებამოსილების საკანონმდებლო ფარგლების გაცდენას.

საკანონი სასამართლო განმარტავს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დისკრეციული უფლებამოსილების განხორცი-

ელების კანონიერებაზე მსჯელობისას უნდა გამოიკვლიონ რამ-დენად დასაბუთებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სა-კიოხის შერჩეული გადაწყვეტა, რაც თავის მხრივ, უნდა ეფუძ-ნებოდეს საქმეზე ფაქტების ობიექტურ გამოკვლევა-დადგე-ნა-შეფასებას. სასამართლო ამონმებს არა შერჩეული გადაწყვე-ტილების მიზანშეწონილობას, არამედ მის კანონიერება-დასა-ბუთებულობას, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დაასაბუ-თოს, რომ მიღებული გადაწყვეტილება ყველაზე მისაღები, ოპ-ტიმალური იყო არსებული შესაძლებლობებიდან და არა თავად განუსაზღვრონ ორგანოს რამდენიმე ალტერნატიული ღონის-ძიებიდან რომელი უნდა გამოიყენოს. სასამართლო ამონმებს არა შერჩეული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას, არამედ, მის კანონიერება-დასაბუთებულობას. აღნიშნულიდან გამომ-დინარე, სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებუ-ლი გადაწყვეტილების კანონიერებაზე ვრცელდება იმ მასშტა-ბით, რომ სასამართლომ უნდა შეაფასოს სადაცო გადაწყვეტი-ლებაში გამოყენებულია თუ არა საკითხის გადაწყვეტის ყვე-ლაზე მისაღები საშუალება და დასაბუთებულია თუ არა გამო-ყენებული ღონისძიების ყველაზე მისაღები ხასიათი შესაძლო ალტერნატიულ ღონისძიებებთან შედარებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამგვარი „კარნახი“ სასამართლო ორგანოების მხრიდან წარმოადგენს ადმინისტრა-ციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გან-ხორციელებაში შეჭრას და გამოიწვევს სასამართლოს მხრიდან მმართველობითი ღონისძიებების შერჩევას ანუ მართვას და მი-სი კონსტიტუციური ფუნქციის – ადმინისტრაციული ორგანოე-ბის გადაწყვეტილებებზე სასამართლო კონტროლის განხორ-ციელების ფარგლების გადამეტებას, რამდენადაც სასამართლო ორგანოების პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს სრული სასამართლო კონტროლის განხორციელება მმართველობითი ორგანოების საქმიანობაზე, მათი გადაწყვეტილების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმების მეშვეობით, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციურ ფუნქციას და ემსახურება უმნიშვნელოვანე-სი კონსტიტუციური – ხელისუფლების დანაწილების და ურთი-ერთ განონასწორების პრინციპის რეალიზაციას.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პოზი-ციას შემდეგზე: „სამართალდარღვევის ოქმი №315982 მითი-თება იმისა, რომ საკონტროლო-სალარო აპარატი იყო გაუმარ-თავ მდგომარეობაში ანუ ლენტა არ იყო ჩადებული, წარმოად-

გენს ფაქტებსა და გარემოებას, რომელიც საკონტროლო შესყიდვისას ინსპექტორმა ჩეკის ამოურტყმელობის შედეგად გამოვლინა”, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ამ მტკიცების დამადასტურებელ გარემოებებს კასატორი ვერ უთითებს, საკონტროლო შესყიდვის თაობაზე არ არის მითითებული არც სამართალდარღვევის ოქმში, კერძოდ, თუ შემოსავლების სამსახურის ინსპექტორმა განახორციელა საკონტროლო შესყიდვა, მას მენარმე უნდა დაეჯარიმებინა სალარო აპარატიდან ჩეკის ამოურტყმელობის გამო და სამართალდარღვევის ოქმში უნდა გაეკეთებინა ამგვარი მითითება და არა სალარო აპარატის გაუმართავ მდგომარეობაში ყოფნის გამო, როგორც ეს აღნერილია სამართალდარღვევის ოქმი. სამართალდარღვევის ოქმით ფიქსირდება სამართალდარღვევის ფაქტი, გარემოებები, მონაწილე პირები და იმავდროულად იგი წარმოადგენს ერთ-ერთ და სარწმუნო მტკიცებულებას სამართალდარღვევის მოცემულ დროსა და ადგილას, მოცემულ ვითარებაში გამოვლენისა და ამ ფაქტის მონაწილე პირების შესახებ და მასში ზედმინევნით ზუსტად უნდა იყოს აღნერილი სამართალდარღვევის გამოვლენის ფაქტი. მით უფრო იმ ვითარებაში, როდესაც საქმის მასალებით არ დასტურდება შემოსავლების სამსახურის ინსპექტორის მიერ საკონტროლო შესყიდვის პროცედურის ჩატარება, ან ის ფაქტი, რომ (ვიდრე ისინი განახორციელებდნენ საკონტროლო შესყიდვას) თანდასწრებით შეიძინა თუ არა სხვა პირმა საქონელი, ხოლო მოსარჩელებ მიჰყიდა საქონელი სალარო აპარატის გამოყენების გარეშე.

რაც შეეხება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ თბილისის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 4 აგვისტოს №14/04-23678 ბრძანების კანონმდებლობასთან შესაბამისობას, საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, ი/მ „ლ. ც-ა“ წარმოადგენს თუ არა სამართალდამრღვევს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს ზემოაღნიშნული აქტის კანონიერების შემოწმება.

შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412.2 მუხლის თანახმად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემოაღნიშნული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებ-

ლობის შესაბამისად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სისპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 12 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილელად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **დაჯარიმება სალარო აპარატის დაკარგვის გამო**

#### **განერიცება**

№ბს-413-402(კ-13)

4 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

### **აღნერილობითი ნაწილი:**

მოსარჩევე: შპს „...“

მოპასუხე: სისპ შემოსავლების სამსახური

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

#### **სარჩელის საგანი:**

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 20 დეკემბრის საგადასახადო სამართალდარღვევის №026786 ოქმის ბათილად ცნობა;
2. სსიპ შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 19 თებერვლის №6459 ბრძანების ბათილად ცნობა.

#### **სარჩელის საფუძველი:**

**ფაქტობრივი:** მოსარჩელის მითითებით, შპს „...“ 2008 წლის 1 აგვისტოს შეაჩერა სამეწარმეო საქმიანობა, რის შესახებაც იმავე წლის 7 აგვისტოს აცნობა ქ. თბილისის საგადასახადო ინ-სპექციას. ამის შემდეგ დახურა ობიექტი, მდებარე ქ. თბილის-ში, დ. №109. სანარმოს ქონება გადაიტანა სახლში. გადატანილ ნივთებში იყო ასევე სანარმოზე რიცხული სალარო აპარატი □□□-□□, საქარხნო ნომრით ..., რომელიც დაიკარგა ინვენტა-რის გადაზიდვისას. სალარო აპარატის დაკარგვის ფაქტი აღმო-აჩინა დაკარგვიდან რამოდენიმე დღეში.

2010 წელს, როდესაც სანარმომ განახლა სამეწარმეო საქ-მიანობა, შეიძინა ახალი სალარო აპარატი, ვინაიდან ზემოაღ-ნიშნული აპარატი ამოღებული იყო ხმარებიდან.

2012 წელს დაევალა სალარო აპარატის – □□□-□□, საქარ-ხნო ნომერი ..., რევისტრაციიდან მოხსნა, რის შემდეგაც მო-სარჩელის განმარტებით, მან სალარო აპარატის დაკარგვის თა-ობაზე განაცხადა შინაგან საქმეთა ორგანოში და ასევე აცნობა შემოსავლების სამსახურს.

2012 წლის 20 დეკემბრის სამართალდარღვევის ოქმით №026786 სალარო აპარატის დაკარგვისათვის დაჯარიმდა – 3000 ლარით, საგადასახადო კოდექსის 281.7 მუხლის შესაბამი-სად.

მოსარჩელის მტკიცებით, შემოსავლების სამსახურის მიერ სამართალდარღვევის ოქმის შედგენა არაკანონიერია, ვინაიდან სალარო აპარატი დაიკარგა 2008 წლის 7 აგვისტოს, იმ დროს მოქმედი საგადასახადო კოდექსით კი სალარო აპარატის და-კარგვა არ ითვლებოდა საგადასახადო სამართალდარღვევად. ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლე-ბის სამსახურის 2007 წლის 25 დეკემბრის №800 ბრძანებით სა-ლარო აპარატი (□□□-□□ საქარხნო ნომერი ...) ამოღებულია ხმა-რებიდან 2008 წლის 25 დეკემბრიდან.

მოსარჩელის მტკიცებით, შპს „...“ დაჯარიმდა 2010 წელს მი-ღებული კანონის საფუძველზე ისეთი სალარო აპარატის და-კარგვისათვის, რომელიც 2008 წლიდან ბრუნვაში აღარ იყო და

ის არ შეიძლება ჩაითვალოს სალარო აპარატად. შესაბამისად, შემოსავლების სამსახურის მიერ სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას ადგილი ჰქონდა კანონის უკუქმედებით გამოყენებას, რომელიც ამძიმებს შპს „...“ მდგომარეობას და აკისრებს პასუხისმგებლობას ისეთი ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის მომქნეტში სამართალდარღვევად არ ითვლებოდა.

**სამართლებრივი:** მოსარჩელებ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლებზე.

**მოპასუხის – სსიპ შემოსავლების სამსახურის შესაგებელი:**

**ფაქტობრივი:** მოპასუხის მითითებით, შპს „...“ მიმართ სამართალდარღვევის ოქმის შედგენის დროს არ იყო დადასტურებული, რომ საკონტროლო-სალარო აპარატი დაიკარგა სხვა პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, შესაბამისად, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიციერმა საგადასახადო კოდექსის 281.7 მუხლის საფუძველზე, მართებულად დააჯარიმა შპს „...“.

**სამართლებრივი:** საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, გადასახადის გადაშედელის მიერ საკონტროლო სალარო აპარატის (გარდა ჩელში-ის და ჩლეიტშ-ს მოდულის ფისკალური საკონტროლო-სალარო აპარატისისა) დაკარგვა, თუ დადგენილი არ არის, რომ ეს გამოწვეულია სხვა პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით – ინვეცია გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით, ამავე კოდექსის 269-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა.

მოპასუხის შტკიცებით, საქმეზე არსებული მასალებით დასტურდება, რომ შპს „...“ ჩაიდინა საგადასახადო სამართალდარღვევა საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვის სახით. ამასთან, არ არის დადასტურებული, რომ საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვა გამოწვეული იყო ნამდვილად სხვა პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, რაც ჯარიმის გაუქმების საფუძველი გახდებოდა.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ არსებული მასალები არასაკმარისია იმისათვის, რომ ზუსტად დადგინდეს ზემოაღნიშნული საკონტროლო-სალარო აპარატის და-

კარგვის თარიღი, ვინაიდან აღნიშნულის შესახებ შესაბამის ორგანოში შპს „...“ მიერ გაცხადებული არ ყოფილა 2012 წლამდე, მით უფრო, რომ საწარმომ საქმიანობა განაახლა 2010 წელს და შეიძინა ახალი სალარო აპარატი. შესაბამისად, არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძვლები.

**საქმის გარემოებები:**

შპს „...“ 2008 წლის 1 აგვისტოს შეაჩერა სამენარმეო საქმიანობა, რის შესახებაც იმავე წლის 7 აგვისტოს აცნობა ქ. თბილის საგადასახადო ინსპექციას. ამის შემდეგ დახურა ობიექტი, მდებარე ქ. თბილისში, ... №109. საწარმოს ქონება შპს „...“ დირექტორმა გადაიტანა სახლში. გადატანილ ნივთებში იყო ასევე საწარმოზე რიცხული სალარო აპარატი მართვის სამართლებრივი აპარატი ამოღებული იყო ხმარებიდან.

2010 წელს, როდესაც საწარმომ განაახლა სამენარმეო საქმიანობა, შეიძინა ახალი სალარო აპარატი, ვინაიდან ზემოაღნიშნული აპარატი ამოღებული იყო ხმარებიდან.

2012 წელს მენარმებს დაევალათ სალარო აპარატის (მართვის საქარხო ნომერი ...) რეგისტრაციიდან მოხსნა, რის შემდეგაც მოსარჩელემ სალარო აპარატის დაკარვის თაობაზე განაცხადა შინაგან საქმეთა ორგანოებში და აცნობა შემოსავლების სამსახურს. შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 20 დეკემბრის სამართალდარღვევის №026786 ოქმით საგადასახადო კოდექსის 281.7 მუხლის შესაბამისად, სალარო აპარატის დაკარგვისთვის დაჯარიმდა – 3000 ლარით.

2012 წლის 21 დეკემბერს შპს „...“ საჩივრით მიმართა სსიპ შემოსავლების სამსახურს და მოითხოვა 2012 წლის 20 დეკემბრის სამართალდარღვევის ოქმის გაუქმება, რომლის 2013 წლის 19 თებერვლის №6459 ბრძანებით შპს „...“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შემოსავლების სამსახურმა დადასტურებულად მიიჩინა, რომ შპს „...“ ჩაიდინა სამართალდარღვევა და დაკისრებული ჯარიმის გაუქმების საფუძველი არ არსებობდა.

**საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 20 დეკემბრის საგადასახადო სამართალდარღვევის №026786 ოქმი და 2013 წლის 19 თებერვლის №6459 ბრძანება და სსიპ შემოსავლების სამსახურს დაევალა საქმი-

სათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები:

2012 წლის 20 დეკემბრის სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის იფიცირების საგადასახადო სამართალდარღვევის №026786 ოქმით შპს „...“ საკონტროლო-სალარო აპარატის (□□□-□□ საქარხნო №...) დაკარგვის გამო, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე, დაჯარიმდა – 3 000 ლარით.

სსიპ შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 19 თებერვლის №6459 ბრძანებით შპს „...“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ სადაცვოდ მიჩნეული ფაქტები:

საქალაქო სასამართლომ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, დადგენილად მიიჩნია, რომ საკონტროლო-სალარო აპარატის (□□□-□□ საქარხნო №...) დაკარგვაში არ იკვეთება მოსარჩელის არათუ განზრახვა, არამედ გაუფრთხილებლობაც კი, რის გამოც არ გაიზიარა სსიპ შემოსავლების სამსახურის პოზიცია მტკიცებულებათა არასაკმარისობის თაობაზე, ვინაიდან შპს „...“ დირექტორმა საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვის ფაქტი განაცხადა ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის სამართველოს პოლიციის მე-3 განყოფილებაში.

სასამართლოს დასკვნები – საქალაქო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ; სადაცვო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 20 დეკემბრის საგადასახადო სამართალდარღვევის №026786 ოქმი და 2013 წლის 19 თებერვლის №6459 ბრძანება და სსიპ შემოსავლების სამსახურს დაევალა საქმი-სათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

**დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-7 ნაწილი არ გულისხმობს პირისათვის ბრალის გარეშე ჰასუნისმგებლობის დაკისრებას. საგადასახადო კოდექსის 269-ე და სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 და მე-11 მუხლების დებულებებით ცალ-

სახად არის დადგენილი ადმინისტრაციული (მათ შორის, საგადასახადო) სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაწესების საფუძვლები, რომლის მიხედვითაც, პირს პასუხისმგებლობა ეკისრება მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებისათვის. ამდენად, დაუშვებელია პასუხისმგებლობის დაკისრება მაშინ, როდესაც პირს არ ჩაუდენია მართლსაწინააღმდეგო ქმედება, არ დაურღვევია კანონმდებლობით განმტკიცებული მართლწესრიგი, მასზე დაკისრებული მოვალეობები, არ შეულახავს სხვისი უფლებები და განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით არ გამოუწვევა მართლსაწინააღმდეგო შედეგი. საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-7 ნაწილში მითითებული დათქმა სხვა პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაზე არ უნდა განიმარტოს ისე, თითქოს თუ სხვა პირის დანაშაულებრივი ქმედება არ არის დადგენილი, ნებისმიერ შემთხვევაში სალარო აპარატის დაკარგვისათვის პასუხი უნდა აკოს გადასახადის გადამხდელმა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით დამტკიცებული „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამონერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ლონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმეების საქმისნარმოების დამტკიცების შესახებ“ დებულებით არ არის დადგენილი საკონტროლო-სალარო აპარატების შენახვის რაიმე სპეციალური ზესი, რაც სავალდებულოდ უნდა დაიცვას მენარქებრ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს შეფასებით, გადასახადის გადამხდელს არ მოეთხოვება რაიმე განსაკუთრებული ლონისძიებების გატარება, საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვის თავიდან აცილების გამო, მაგრამ იგი ვალდებულია, მეწარმი-სათვის დამახასიათებელი გულისხმიერებით გაუფრთხილდეს საკონტროლო-სალარო აპარატის და შეინახოს იგი ისეთ პირობებში, რომელიც გამორიცხავს სხვა პირთა უნებართვოდ დაშვებას მასთან, დაუფლებას ან სხვა გზით აპარატის გასვლას გადასახადის გადამხდელის მფლობელობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, გამოიწვია თუ არა

საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვა პირის, სულ მცირე, გაუფრთხილებელმა ქმედებამ, რაც შეიძლება გამოიხატოს აპარატის არასათანადო შენახვაში, უყურადღებოდ დატოვებაში და ა.შ., რასაც სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, მოსარჩელის მხრიდან ადგილი არ ჰქონია. ამასთან, საქალაქო სასამართლოს შეფასებით, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საკონტროლო-სალარო აპარატი, რომლის დაკარგვის გამოც შედგა საგადასახადო სამართლდარღვევის ოქმი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 25 დეკემბრის №8000 ბრძანებით 2008 წლის 15 იანვრიდან ამოღებულია სახელმწიფო რეესტრიდან და საგადასახადო ინსპექტორებს აეკრძალათ მათი რეგისტრაცია, ხოლო ინსპექციებში უკვე რეგისტრირებული სახელმწიფო რეესტრიდან ამოღებული საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენება ნებადართული იყო აღნიშნული ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საგადასახადო ორგანოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-7 ნაწილი არ უნდა გაევრცელებინა მის ქმედებაზე, ვინაიდან საკონტროლო-სალარო აპარატი დაკარგა 2008 წლის აგვისტოში, ამ დროს მოქმედი საგადასახადო კოდექსი კი არ აღენდა პასუხისმგებლობას აღნიშნული ქმედებისთვის და განმარტა, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის წარმოშობამდე, კერძოდ კი, 2009 წლის 1 დეკემბრამდე, საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვის ფაქტს. საკონტროლო-სალარო აპარატის 2008 წლის აგვისტოში დაკარგვის ფაქტი მოსარჩელის სუბიექტური შეხედულების გარდა სხვა მტკიცებულებებით არ დასტურდება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად კი, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სადავო ინდივიდუალური აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რადგან საქმის მასა-

ლებით დასტურდება, რომ საგადასახადო ორგანოს არ გამოუკვლევია საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვაში შპს „....“ ბრალი, ასევე არ გაუთვალისწინებია ის გარემოება, რომ საკონტროლო-სალარო აპარატი, რომლის დაკარგვის გამოც შედგა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 25 დეკემბრის №8000 ბრძანებით 2008 წლის 15 იანვრიდან ამოღებული იყო სამოქალაქო ბრუნვიდან.

#### **სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:**

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269.1, 281.7 მუხლებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10, მე-11 და მე-12 მუხლებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალინანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმეების საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“.

**აპელაციის შემოსავლების სამსახური**

**მონიცაალმდეგე მხარე: შპს „....“**

#### **აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 7 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

#### **აპელაციის მოტივები:**

**ფაქტობრივი:** აპელანტის მითითებით, გადამხდელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან არ დგინდება, რომ საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვა გამოწვეულია სხვა პირის მიერ ჩადენილი მართლაწინააღმდეგო ქმედებით, ხოლო სკის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას. ამასთან, მოსარჩელის განმარტებით, მან 2008 წლის საწარმოს ქონების გადატანისას დაკარგა საწარმოს პალანსზე რიცხული სალარო აპარატი, მიუხედავად ამისა მისი მხრიდან შესაბამის რეაგირებას ადგილი არ ჰქონდა, უფრო მეტიც, მისი განმარტებით, მან დაკარგვის ფაქტი რამოდენიმე დღეში აღ

მოაჩინა, ხოლო შესაბამის ორგანოებს მიმართა მოგვიანებით, კერძოდ, 2012 წელს ანუ 4 წლის შემდეგ.

**სამართლებრივი:** აპელანტის განმარტებით, შპს „...“ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, მართებულად შეეფარდა სანქცია, რადგან გადასახადის გადამხდელის მიერ საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვა, თუ დადგენილი არ არის, რომ ეს გამოწვეულია სხვა პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით – ინვეციური გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით.

აპელანტის მტკიცებით, კანონშეუსაბამოა ასევე შემოსავლების სამსახურისათვის ბაჟის დაკისრება, ვინაიდან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, შემოსავლების სამსახური გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო ნაწილი/:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 20 ივნისის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება.

**გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:**

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების კვალიფიკირების მნიშვნელოვანია იმის დადგენა, გამოიწვია თუ არა საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვა პირის, სულ მცირე, გაუფრთხილებელმა ქმედებამ, რაც შეიძლება გამოიხატოს აპარატის არასათანადო შენახვაში, უყურადღებოდ დატოვებაში და ა.შ., რასაც სააპელაციო პალატის მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, მოსარჩელის მხრიდან ადგილი არ ჰქონია. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საკონტროლო-სალარო აპარატი, რომლის დაკარგვის გამოც შედგა საგადასახადო სამართლდარღვევის ოქმი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 25 დეკემბრის №8000

ბრძანებით, 2008 წლის 15 იანვრიდან, ამოღებულია სახელმწიფო რეესტრიდან და საგადასახადო ინსპექტორებს აეკრძალათ მათი რეგისტრაცია, ხოლო ინსპექციებში უკვე რეგისტრირებული სახელმწიფო რეესტრიდან ამოღებული საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენება ნებადართული იყო აღნიშნული ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში. საპელაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული ფაქტობრივი გამოყებების გათვალისწინებით საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ სადაც აქტების გამოცემისას მოპასუხის მიერ დარღვეული იყო კანონის ნორმები და გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რადგან საქმის მასალებით დასტურდება, რომ საგადასახადო ორგანოს არ გამოუკვლევია საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვაში შპს „....“ ბრალი, ასევე არ გაუთვალისწინებია ის გარემოება, რომ საკონტროლო-სალარო აპარატი, რომლის დაკარგვის გამოც შედგა საგადასახადო სამართლდარღვევის ოქმი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 25 დეკემბრის №8000 ბრძანებით, 2008 წლის 15 იანვრიდან, ამოღებულია სამოქალაქო ბრუნვიდან.

სააპელაციო პალატის შეფასებით, აპელანტმა ვერ გააბათილა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები.

**კასატორი:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**მოწინააღმდეგე მხარე:** შპს „....“

**კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 20 ივნისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე ურის თქმა.

**კასაციის მოტივები/სამართლებრივი/:**

**პროცესუალური:** კასატორის მითითებით, სააპელაციო პალატის მიერ დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე „ე“ და „ე“ პუნქტები, სასამართლომ განჩინების მიღებისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი.

კასატორი ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, იმ ნაწილში, რომ თუ პირის გაუფრთხილებლიობა არ დასტურდება, დაუშვებელია მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება, თუმცა განსახილველ შემთხვევაში გადამხდელის

მიერ სახეზე იყო აშკარა გაუფრთხილებლობა, ვინაიდან გადამხდელი არსებული მასალებით ვერ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ნამდვილად დაკარგულია საკონტროლო-სალარო აპარატი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ან მესამე პირის ქმედებით, ამასთან აშკარაა, რომ გადამხდელი მენარმისათვის აუცილებელი გულისხმიერებით არ მოეძყრო საკონტროლო-სალარო აპარატს, რამაც მისი დაკარგვა გამოიწვია.

კასატორის მტკიცებით, მოსარჩელემ 2008 წელს საწარმოს ქონების გადატანისას დაკარგა საწარმოს ბალანსზე რიცხული სალარო აპარატი და დაკარგვის ფაქტი, მისივე განმარტებით, აღმოაჩინა რამდენიმე დღეში, ხოლო შესაბამის ორგანოებს აღნიშნულის თაობაზე აცნობა მოგვიანებით, კერძოდ, 2012 წელს ანუ 4 ნოემბერის შემდეგ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს. იმისათვის, რომ გადამხდელი გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან, მან უნდა დაამტკიცოს, რომ საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვა გამოწვეული იყო სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. იქიდან გამომდინარე, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან არ დასტურდება, რომ სალარო აპარატის დაკარგვა გამოწვეულია სხვა პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს მიერ გადამხდელისათვის შეფარდებული სანქცია მართლზომიერია და შესაბამისად, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ჯარიმის დაკისრების შესახებ აქმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ჩამონერის, საგადასახადო დაგაბლინების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებით სისი შემოსავლების სამსახურმა მოითხოვა მისი საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა, შემოსავლების სამსახურის განმარტებით, კონკრეტული სამართალდარღვევის საქმისთვის არ აქვს არსებითი მნიშვნელობა სამართალდარღვევის ქმედება გაუფრთხილებლობით იყო ჩადენილი თუ განზრახ,

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, არამედ საგადასახადო სამართალდარღვევის ფაქტს, ხოლო საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის განხილვა წარმოებს საგადასახადო კოდექსის ნორმების გამოყენებით და არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული წესით.

რაც შეეხება უშუალოდ საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვის ფაქტს, მოსაზრების ავტორის მტკიცებით, მართალია, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით არ არის დადგენილი საკონტროლო-სალარო აპარატის შენახვისათვის გათვალისწინებული სპეციალური წესი, თუმცა გადამხდელი ვალდებულია, მენარმისათვის დამახასიათებელი გულისხმიერებით გაუფრთხილდეს საკონტროლო-სალარო აპარატს და შეინახოს იგი ისეთ პირობებში რომელიც გამორიცხავს სხვა პირთა უნებართვოდ დაშვებას მასთან, დაუფლებას ან სხვა გზით საკონტროლო-სალარო აპარატის გასვლას გადასახადის გადამხდელის მფლობელობიდან. სადაც პერიოდში მოქმედი საქართველოს ფინანსთა მინისტრის №147-ე ბრძანება „საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსნორებისას გამოსაყენებელი საკონტროლო-სალარო აპარატის მიმართ წაყენებული ტექნიკური მოთხოვნებისა და სახელმწიფო რეესტრის წარმოების წესის“ დამტკიცების შესახებ დადგინდა, რომ საკონტროლო-სალარო აპარატის, მისი ფისკალური მეხსიერების და ფისკალური მონაცემების ცნებას, რომლის თანახმად, საკონტროლო-სალარო აპარატი არის „ფისკალური მეხსიერების და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მქონე როგორც დამოუკიდებლად მომუშავე, ასევე პროგრამულ-ტექნიკურ კომპლექსში ჩართული ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც გამიზნულია მომხმარებლის მიერ რეგისტრაციისთვის, მათი შენახვისთვის და შესაბამისი ანგარიშგებით დოკუმენტების ფორმირებისათვის ამობეჭდვის გზით (მათ შორის, სპეციალური მოწყობილობების საშუალებით), ფისკალური მეხსიერება – საკონტროლო-სალარო აპარატში არსებული პროგრამულ-აპარატული საშუალებების კომპლექსის, რომელიც უზრუნველყოფს ენერგოდამოუკიდებულ მეხსიერებაში საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგებისათვის საჭირო ყოველდღიური ინფორმაციის უკორექტივო რეგისტრაციას და ხანგრძლივ შენახვას“, ხოლო ფისკალური მონაცემები – მომხმარებელებთან ნაღდი ფულით განხორციელებული გადახდების შესახებ ჩეკებზე და ფისკალურ მეხსიერებაში დაფიქსირებული მონაცემები“.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად: „სსა-ის მოდელისათვის გამოყენების სფეროს განსაზღვრა ხდება რეესტრში შეტანის დროს სსა-ის ტექნიკურ-ფუნქციონალური შესაძლებლობების თაობაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით“, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანხმად კი, რეესტრში შეიტანება სსა-ის ისეთი მოდელი, რომლის ტექნიკური და ფუნქციონალური შესაძლებლობები აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს და გააჩნია: ა) პროგრამული პაროლი საგადასახადო ორგანიზაციის და გადასახადის გადამხდელისათვის ან/და მარკირებული გასაღები, ჩეკის ამობეჭდვის შესაძლებლობა, მოლარის ინდიკატორი, გამყიდველის და მყიდველის ინდიკატორი, ფულის უჯრა (მყიდველის ინდიკატორის და ფულის უჯრასთან დაკავშირებული მოთხოვნები არ ვრცელდება პორტაციული სსა-ების მიმართ);

ბ) ფისკალური მეხსიერება, რომელშიც აპარატი უზრუნველყოფს ყოველდღიური ანგარიშების ფიქსირებას და მათ შენახვას არანაკლებ 6 წლის განმავლობაში;

გ) ავტომატური ბლოკირება, თუ მოლარემ არ მიიღო ფისკალური მეხსიერებიდან დღიური ანგარიში“;

საგადასახადო კოდექსის 43-ე მუხლის 1-ლის ნაწილის „გ“ და „ვა“ ქვეპუნქტები ადგენენ გადასახადის გადამხდელის ვალდებულებას, უზრუნველყოს იმ დოკუმენტების შენახვა 6 წლის ვადით, რომლის საფუძველზეც ხდება გადასახადებით დაბეგვრის ობიექტების აღრიცხვა და საგადასახადო დეკლარაციების შედგენა, აგრეთვე შემოსავლის/მოგების მიღების, განეული ხარჯებისა და გადახდილი ან/ და დაკავებული გადასახადების დადასტურება. შესაბამისად, საკონტროლო-სალარო აპარატის ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე შპს „...“ ვალდებული იყო, შეენახა იგი საწარმოს საგადასახადო ვალდებულებების სწორად განსაზღვრის მიზნით 6 წლის განმავლობაში, აღნიშნული ნორმა არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლებს არ გამოყენებით.

მოსაზრების ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის გამოყენება კონკრეტულ შემთხვევაში არამართებულია, ვინაიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის სახით არსებობს სპეციალური კანონი მოცემული შემთხვევის მოსაწესრიგბლად და კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ნორმები.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ შპს „...“ არანაირი მტკიცებუ-

ლება არ წარმოუდგენია, რომელიც დაადასტურებდა, რომ აღნიშნული საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვა გამოწვეული იყო სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. შესაბამისად, შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული ქმედება სრულიად კანონიერია.

### **საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის და-საშვებობის პროცესუალური ნანამდღვრები:**

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე დასაშვებია ად-მინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც აბსოლუტური კასაცია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს ნანილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 20 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გა-დაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ და-არღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2 და 394 „ე“ მუხლების მოთხოვნები; სა-სამართლომ დავა გადაწყვიტა ისე, რომ საერთოდ არ გამოუკ-ვლევია და არ დაუდგენია ფაქტობრივი გარემოებები, არ გამოუყენებია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილება და ოფიციალობის პრინციპის უგულებელყოფით დაადგინა საქმე-ზე დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საკასაციო საჩივრის მოტივი განსახილველ საქმეში, რამაც შექმნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული აბსოლუტური კასაციის წანამდღვრები, არის საგულისხმო და განსაკუთრებული სამართლებრივი თვალსაზრისით, რამაც მოცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვა-როვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნე-

ლოვანი საქმის სტატუსი, კერძოდ, სამართლის განვითარები-სათვის მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლომ სამართლებ-რივი შეფასება მისცეს:

1. სასამართლო ორგანოების მიერ პირის საჯარო სამარ-თლებრივი ვალდებულებების შეუსრულებლობისას პასუხის-მგებლობის გამომრიცხველი გარემოებების დამადასტურებე-ლი ფაქტების გამოკვლევისა და დადგენის კანონიერებას;

2. საგადასახადო საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქ-ტებით განსაზღვრული საკონტროლო-სალარო აპარატის იური-დიულ სტატუსს და მისი გამოყენება-შენახვის ადმინისტრირე-ბის კანონიერების საკითხს.

3. საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვის შემთხვევა-ში – მართლისაწინააღმდეგო ქმედების შემადგენლობის განსაზ-ღვრას, შემთხვევის სამართლდარღვევად მიჩნევას და სამარ-თლებრივი კვალიფიკაციის მიცემისას ქმედების განზრახი ან გაუფრთხილებელი ხასიათის გათვალისწინებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ მოცემულ საქმეზე ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასებები და სასამართლო დასკვნები სასარგებლო იქნება, როგორც საგადასახადო ორგა-ნოების მოხელეებისათვის და საგადასახადო ორგანოს უფლე-ბამოსილი პირების (საგადასახადო კოდექსის 49.6 მუხლით სა-ქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით საქართველოს საგადასახადო ორგანოს კომპეტენციისთვის მიკუთვნებული სა-გადასახადო კონტროლის (კალეკული სახეები შესაძლებელია, განახორციელოს სხვა პირმა) მმართველობითი საქმიანობისათ-ვის, ასევე საგადასახადო სამართალურთიერთობათა მონაწი-ლეთათვის, რამდენადაც ადმინისტრაციული სამართლის კერ-დო ნაწილი – საგადასახადო სამართალი აწესრიგებს გადასახა-დის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებ-რივ მდგომარეობას, განსაზღვრავს საგადასახადო სამართალ-დარღვევის სახეებს, საქართველოს საგადასახადო კანონმდებ-ლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, უფლებამოსილი ორგანოსა და მისი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესა და პირობებს, საგადასახადო დაცვის გადაწყვეტის წესს, არეგულირებს საგადასახადო ვალ-დებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. ამდენად, საგადასახადო სამართლის აღნიშ-ნული ინსტიტუტების სწორი გაგება-გამოყენება უშუალოდ გა-ნაპირობებს ადამიანთა ყოფას, საზოგადოებრივი წესრიგის ხა-რისხსა და კულტურას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნა

სახელმძღვანელო გახდება სახელმწიფოში არსებული ადმინისტრაციული ორგანოებისათვის და მათი პრაქტიკისათვის, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობებში შესაბამისი სასამართლო განმარტება ხელს შეუწყობს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოებს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულ და გადაწყვეტილ იქნა საპროცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნების უგულებელყოფით, სასამართლო აქტი საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, არ არის გაქარწყლებული აპელანტის მოსაზრებები, ისე არის მიჩნეული დაუსაბუთებლად და კანონშეუსაბამოდ.

სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა რა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, დაეთანხმა საქარაქო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით მიზიდული საპროცესო უფლებამოსილების გამოყენებას, თუმცა არ უმსჯელია ამ სახის სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წინაპირობების არსებობასა და შესაბამისად კანონიერებაზე, რითაც უგულებელყო ზემდგომი სასამართლოს ფუნქცია – სააპელაციო წესით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებათა კანონიერების შემოწმება ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო წინამდებარე განჩინების მიღებისას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეზე №ბს-220-210(კ-06) დ. მ-ის სარჩელისა გამო მოპასუხის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, 2006 წლის 4 ივნისის განჩინებაში ჩამოყალიბებულ სასამართლო პრაქტიკას, რომლის მიხედვით საკასაციო სასამართლომ იმსჯელა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის კვალიფიციური გამოყენების შესახებ, კერძოდ: „საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უფლებამოსილება სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი, განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გა-

რეშე, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს იგი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა და სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტი და დაავალოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს ახალი აქტი. ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების კომპეტენცია სასამართლოს გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე, მხოლოდ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილ მოთხოვნათა დაცვით.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, კონკრეტულ შემთხვევაში არამართებულია სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენება, ვინაიდან საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადაც ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა ობიექტური შეფასება არ მისცეს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, საპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ არის გამოკვლეული, შესაბამისად, მითითებულ

საკითხებზე არ არის გადმოცემული სასამართლო მსჯელობები და დასკვნები. სასამართლოთა დასკვნა – ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენების საჭიროების შესახებ სრულად დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს საპროცესო კანონით განსაზღვრული დანაწესის ნამდვილი შინაარსიდან, ამასთან, სასამართლოებმა არ მიუთითეს ადმინისტრაციული ორგანოს თუ რა ფაქტების გამოკვლევაა საჭირო ახალი ინდივიდუალური ად-მინისტრაციული აქტის გამოცემისას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამონმებს, როგორც ფაქტობრივი, ისე სასამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ საქმეს განიხილავს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ისე მათი სამართლებრივი შეფასების კუთხით. სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს დაადგინოს ახალი ფაქტები, ხილო საქმის მონაწილე პირებს უფლება აქვთ პირველ ინსტანციაში უკვე განხილულთან ერთად სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ანუ სააპელაციო სასამართლო, საკასაციო ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, შებოჭილი არაა პროცესუალური შესაძლებლობით, საქმეზე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, გამოითხოვოს და შეაფასოს მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩინია, რომ სააპელაციო სასამართლოს სსსკ-ის 385.2 მუხლის შესაბამისად, სრული პროცესუალური უფლებამოსილება ჰქონდა თავად გადაწყვეტითა დავა და არ გაეზიარებინა საქალაქო სასამართლოს დასკვნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენებასთან მიმართებაში, ვინაიდან, გასაჩივრებული აქტების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იყო დარღვეული აქტის გამოცემის ის პროცედურები, რაც უპირობოდ შექმნიდა საქმის ადმინისტრაციულ ორგანოში დაბრუნების წინაპირობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინია, რომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3. მუხლის „გ“ ქვეპუნქტით ხელმძღვანელობით სტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეზე №ბს-52-52(კ-08) მ. ხ-ის სარჩელისა გამო მოპასუხის საქართველოს ფი-

ნანსთა სამინისტროს საბაზო დეპარტამენტის მიმართ, 2008 წლის 25 მარტის საკასაციო სასამართლომ იმსჯელა სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთ მითითებული საპროცესო ნორმით მინიჭებული კომპეტენციის კვალიფიციური გამოყენების შესახებ, კერძოდ:

„სასკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტის მიხედვით: სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უფლებად რჩება გასაჩივრებული გადაწყვეტილება და თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსაჯულებას. მითითებული ნორმით დადგენილი პროცესუალური უფლებამოსილების გამოყენება არ უნდა მოვიდეს ნინააღმდეგობაში ამავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრულ სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციასა და კომპეტენციასთან, ვინაიდან სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორციელების არსი მდგომარეობს სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების ვალდებულების დადგენით. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების ვალდებულება პროცესუალურ-სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით უცილობლად გულისხმობს და მოიაზრებს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც აგებულია მხარეთა დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივარს აკუთვნებს მხარის უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, ამასთან, სწორედ მხარის ამ საპროცესო უფლების რეალიზაცია თანაზომიერია მხარისავე საპროცესო ვალდებულებასთან – დაასაბუთოს საჩივარი, კერძოდ, სსსკ-ის 368-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ე) და ვ) ქვეპუნქტებში მითითებულია თუ რა უნდა იყოს ასახული სააპელაციო საჩივრის შინაარსში. მხარის ამგვარი პროცესუალური ვალდებულება შეიცავს მხარის საპროცესო უფლებრივ გარანტიას, ზემდგომმა სასა-

მართლომ შეაფასოს მისი საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, გაიზიაროს ან უარყოს, გააქარწყლოს ისინი იურიდიულად არგუმენტირებული სახით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენება ზემომითოთებული საპროცესო ნორმების ობიექტური შინაარსის კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, სააპელაციო სამართალნარმოების გახდის ზედაპირულს და განაპირობებს მის უკიდურესად ფორმალისტურ ხასიათს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სააპელაციო სამართალნარმოების არსა და მართლმსაჯულების პრინციპებთან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საპროცესო ნორმა შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს მხარის პროცესუალური უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება უნდა შეიზღუდოს, რათა არ მოხდეს მხარის საპროცესო უფლების იგნორირება, უკიდურეს შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული საპროცესო ზედამხედველობა განუხორციელებელი დარჩება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105.2 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სასამართლომ თითოეული საქმის განხილვისას უნდა მოიპოვოს მტკიცებულებები, სარწმუნოდ დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საქმის მასალების შესაბამისად: შპს „...“ 1999 წლის 10 აგვისტოს დარეგისტრირდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად თბილისის საგადასახადო ინსპექციაში (საიდენტიფიკაციო კოდი – ...).

2008 წლის 1 აგვისტოს სანარმომ, კერძოდ, სილამაზის სალომა მდებარე, ქ. თბილისში, ... №109 შეწყვიტა ფუნქციონირება აღნიშნულის გამო სანარმოს ქონება გადაიტანა სახლში, მათ შორის იყო სანარმოზე რიცხული სალარო აპარატი მართვისათვის, საქართველოს ნორმით და საქართველოს სამსახურში წარდგენილი განცხადების შესახებ.

მოვკიანებით, რამდენიმე დღეში (2008 წელს) მოსარჩელემ აღმოაჩინა, რომ ინვენტარის გადაზიდვისას დაკარგა სალარო აპარატი მართვისათვის, საქართველოს სამსახურში წარდგენილი განცხადების შესახებ.

შემოსავლების სამსახურში წარდგენილ განცხადებაში კი, მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ 2008 წელს, შპს „...“ სილამაზის სალონის დახურვის გამო სალონის ინვენტარის გადატანის მო-

მენტში დაკარგა სალარო-აპარატი ღღღღღ საქართველოს ნომერი ..., რაც აღმოჩენინა მოგვიანებით. მისივე განმარტებით, როდე-საც 2010 წელს განახლა სამენარმეო საქმიანობა აღნიშნული სალარო აპარატი არც მოუძებნია, ვინაიდან, იგი 2008 წლიდან ამოღებული იყო ხმარებიდან, „2012 წლის ოქტომბერში აღმო-გაჩინეთ, რომ სალარო აპარატი ღღღღღ დაკარგული იყო, რის შესახებაც განვიცხადე შინაგან საქმეთა სამინისტროში, შესა-ბამისი ცნობა შს-დან თან ახლავს განცხადებას“.

შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 20 დეკემბრის სამარ-თალდარღვევის №... ოქტომბერში, საქართველოს საგადასახადო კო-დესის 281.7 ნაწილის საფუძველზე, სალარო აპარატის დაკარ-გვისათვის, შპს „...“ დაჯარიმდა 3000 ლარით.

საწარმომ აღნიშნული სამართალდარღვევის ოქტომბერში გაასაჩივ-რა შემოსავლების სამსახურში, რომლის 2013 წლის 19 თებერ-ვლის №6459 ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკ-მაყოფილდა.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელე შპს „...“ სადაცოდ გახადა სამართალდარღვევის საერთოდ ჩადენის ფაქ-ტი, მაინარი რა, რომ საკონტროლო – სალარო აპარატის დაკარ-გვა გამოწვეული არ იყო მისი ბრალით, ამასთან, სალარო აპარა-ტი დაკარგა 2008 წლის 7 აგვისტოს და იმ დროს მოქმედი საგა-დასახადო კოდექსით საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარ-გვა არ ითვლებოდა საგადასახადო სამართალდარღვევად და აღნიშნული ქმედებისათვის არ იყო გათვალისწინებული სან-ქცია, ამიტომ შპს არ უნდა დაჯარიმდებულიყო, ვინაიდან კანო-ნის უკუმოქმედების გამოყენებით მათი მდგომარეობა მძიმდე-ბა, მით უფრო მაშინ, როცა 2008 წლიდან სალარო აპარატი ამო-ღებული იყო ბრუნვიდან.

სადაცოდ სამართალურთოერთობა წარმოშობილია საგადასა-ხადო სამართალდარღვევათა სფეროში, გადასახადის გადამ-ხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საგადასახადო სამართალდარღვევები საქართველოში მოწესრიგებულია საგა-დასახადო კოდექსით, რომელიც განსაზღვრავს საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებსა და საგადასახადო კანონმდებ-ლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას. კერძოდ, საგადა-სახადო კოდექსის 269-ე მუხლით განსაზღვრული ქმედების სა-გადასახადო სამართალდარღვევად მიჩნევისა და საგადასახა-დო პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპები, რომლის მიხედ-ვით საგადასახადო სამართალდარღვევად ჩაითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა),

რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა. საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პირს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლითა და წესით. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, საგადასახადო პასუხისმგებლობა არის კონკრეტული საგადასახადო სამართალდარღვევის ჩამდენი პირის ვალდებულება, საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით, პასუხი აგოს მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის. მართლსაწინააღმდეგოა ქმედება, რომელიც არღვევს საგადასახადო კანონმდებლობის ნორმებს. საკასაციო სასამართლის განმარტებით, საგადასახადო პასუხისმგებლობის დაკისრებისას შესაფასებელია ქმედების (უმოქმედობის) მომენტი (დრო), აღნიშნული მოწესრიგებულია ზემოაღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის თანახმად: „საგადასახადო სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროს, თუ კანონით გაუქმებულია ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა ასეთი ქმედების ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა, ხოლო თუ შემოღებულია ან დამძიმებულია პასუხისმგებლობა, გამოიყენება ქმედების ჩადენის მომენტისათვის არსებული ნორმა“. ე.ი. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, საგადასახადო სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ აქტებს აქვთ უკავებითი ძალა, ე.ი. ვრცელდება ამ აქტის გამოცემამდე ჩადენილ სამართალდარღვევებზეც. სანქციის შეფარდების დროს, თუ გაუქმებული ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა სამართალდარღვევის ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ხორმა. სანქციის შეფარდების დრო მოიცავს არამხოლოდ აღმინისტრაციული ორგანოს მიერ მისი გამოყენების დროს, არამედ ზემდგომი ორგანოების ან სასამართლოს მიერ სანქციის გამოყენების კანონიერების შემოწმების პერიოდს. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმის დადგენა თუ როდის ჩაიდინა პირმა სამართალდარღვევა. აღნიშნული კი უნდა დადგინდეს ფაქტების სწორად და ზუსტად გამორკვევის გზით. საქმეში წარმოდგენილია შპს „....“ დირექტორის პ. ს-ის განცხადება, რომლიდანაც ირკვევა, რომ გადასახადის გადამხდელმა სალარო-აპარატის დაკარგვის შესახებ შეიტყო 2012 წელს და აღნიშნულის თაობაზე შემოსავლების სამსახურს და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს აცნობა 2012 წელს, ამიტომ, საკასაციო სასამართლო ამ ნაწილში იზიარებს, ქვემდგომი სასამართლოების შეფასებას, რომ მენარმეზე უნდა გავრცელდეს 2012 წელს მოქმედი საგა-

დასახადო კოდექსის რედაქცია, რომელმაც შემოილო პასუხისმგებლობა საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვისათვის, რამდენადაც მტკიცების ტვირთი თუ რომელი სამართლებრივი ნორმის მოქმედების პერიოდში განხორციელდა შესაფასებელი (დასაკვალიფიცირებელი) ქმედება აწევს მხარეს.

1. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძვლზე. ე.ი ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს.

საქმის გარემოებების გამორკვევა და ფაქტების დადგენა მართლმსაჯულების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს, სწორედ დადგენილი ფაქტების საფუძველზე ხდება ნორმათშეფარდება.

საპრეალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში. აღნიშნული პრინციპის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნას ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლები).

ადმინისტრაციული სამართალწარმოების უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ოფიციალობის პრინციპი განსაზღვრავს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების როლს. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისგან სასამართლო პროცესუალური აქტივობის ცენტრში იმყოფება, ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალურთიერთობაში სასამართლოს აკისრებს საპროცესო მხარეთა საპროცესო უფლებებში ბალანსის მიღწევისთვის აუცილებელ საპროცესო მოქმედების შესრულებას.

ოფიციალობის პრინციპზე დაყრდნობით სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება

დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 4); სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 19).

ადმინისტრაციული სასამართლოს ეს უფლებამოსილება კანონმდებლის მიერ განმტკიცებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლში ადმინისტრაციულ ორგანოთა ვალდებულების დადგენით, წარუდგინოს სასამართლოს საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

სასამართლოს უფლებამოსილება – თავისი ინიციატივით მოიპოვოს მტკიცებულებები ან ინფორმაცია, ნიშნავს, რომ სასამართლომ უნდა განსაზღვროს შემთხვევები, როდესაც საფრთხე ემუქრება მართლმსაჯულების ძირითად პრინციპს – მხარეთა თანასწორობის /ანუ თანაბარი შესაძლებლობა – დაცვან თავიანთი უფლებები/ რეალიზაციას საჯარო სამართლებრივი დავების მონაწილეთა სუბორდინაციული მდგომარეობიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის არსებითად /ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით/ განმხილველი სასამართლოების მიერ ოფიციალობის პრინციპის მეშვეობით საქმის გარემოებათა დამატებითი გამოკვლევა, მტკიცებულებათა მოპოვება სახელმწიფოში დღეისათვის არსებული სამართლებრივი კულტურის პირობებში არის უპირობო აუცილებლობა, ადმინისტრაციულ დავათა კანონიერად გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაზე სრულფასოვანი სასამართლო კონტროლის განხორციელებისათვის, რის გარეშეც სამართლებრივი სახელმწიფოს, როგორც ღირებულებითი სიკეთით სარგებლობა შესაძლებელია ვერ მიიღწეს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ საესებით უგულებელყო ადმინისტრაციული მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი, საჯარო ინტერესის უზრუნველყოფი უფლებამოსილება. კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს არ მოულია ზომები, დამატებითი მტკიცებულებების, ინფორმაციის მოსაპოვებლად, მაშინ, როცა ისედაც მოცემული დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, მტკიცებულებათა წრე უკიდურესად შეზღუდულია.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის XV-XX თავების საფუძველ-

ზე განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია მტკიცებულებათა სახეები: წერილობითი, ზეპირი და ნივთიერი სახის მტკიცებულებები. სსსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილია სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი, კერძოდ, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა (წანილი 1). სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

2. საგადასახადო საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული საკონტროლო-სალარო აპარატის იურიდიული სტატუსის და მისი გამოყენება-შენახვის ადმინისტრირების კანონიერებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, საკონტროლო-სალარო აპარატი წარმოადგენს სახელმწიფოს კონტროლის ინსტრუმენტს ნაღდი ფულის ბრუნვაზე და გადასახადის გადამხდელის მიერ მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას შესაბამისი მონაცემების თავისდროულად აღრიცხვაზე. საკონტროლო-სალარო აპარატი განკუთვნილია მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას მიწოდებული საქონლის (მომსახურების) რეგისტრაციისათვის და შესაბამისი მონაცემების აღრიცხვისათვის. არსებობს ფისკალური და არაფისკალური საკონტროლო-სალარო აპარატი, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან მეხსიერებით. ფისკალური მეხსიერების საკონტროლო-სალარო აპარატის გააჩნია ინფორმაციის მატარებელი, რაც არ იძლევა მონაცემების წაშლის საშუალებას, ასევე გააჩნია ქვეყნის ფისკალური კანონმდებლობით გათვალისწინებული კონსტრუქციის სხვა განსაკუთრებულობა. საკონტროლო-სალარო აპარატის ფისკალურ მეხსიერებაში გროვდება ამ საკონტროლო-სალარო აპარატის მეშვეობით განხორციელებული ყველა ოპერაციის შესახებ მონაცემები.

საგადასახადო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებული არიან განახორციელონ საკონტროლო-სალარო აპარატების რეგისტრაცია, რაც გულისხმობს მასზე ფისკალური მეხსიერების ჩართვას და მონაცემთა ერთიან კომპიუტერულ ბაზაში საკონტროლო-სალარო აპარატების სარეგისტრაციო მონაცემების ასახვას. სახელმწიფო რეესტრიდან საკონტროლო-სალარო აპარატის მოდელების ამოღების შემთხვევაში, რეგისტრაციიდან უნდა მოიხსნას ძველი მოდელის საკონ-

ტროლო-სალარო აპარატი და რეგისტრაციაში გატარდეს და გა-დასახადის გადამხდელის ობიექტზე დარეგისტრირდეს ახალი ტიპის საკონტროლო-სალარო აპარატი.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საკონტროლო-სა-ლარო აპარატი განეკუთვნება საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 22-ე ნაწილით დეფინირებულ სააღრიცხვო დოკუმენ-ტაციას, მისი დანიშნულებიდან გამომდინარე, შესაბამისად, ამავე კოდექსის 43-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ვ) ქვეპუნქტით დაფენილი გადასახადის გადამხდელის ვალდებულება – უზ-რუნველყოს ამ ქვეპუნქტის ჩამოხათვალში მოცემული დოკუ-მენტების შენახვა 6 წლის ვადის განმავლობაში, მოიცავს სა-კონტროლო-სალარო აპარატის შენახვის ვალდებულებასაც. მი-უხედავად, მისარომ საკონტროლო-სალარო აპარატი 2008 წლი-დან ამოღებული იყო ბრუნვიდან, იგი როგორც ავლიშნეთ წარ-მოადგენს საგადასახადო კანონმდებლობაში მნიშვნელოვნ სა-აღრიცხვო დოკუმენტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამარ-თლოს მიაჩნია, მიუხედავად იმისა, კანონმდებლობა საკონტრო-ლო-სალარო აპარატის შენახვის რაიმე სპეციალური წესს აწე-სებს, თუ არა, მენარმე ვალდებულია განსაკუთრებული გულის-ხმიერებით მოეკიდოს მის შენახვას და აღნიშნულთან შიმარ-თებაში, მიუთითებს რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს ნივთის შენახვის ზოგად სტანდარტს, ასე, მაგ: 170.3 მუხლი, რომლის შესაბამისად: „სარგებლობის უფლება მო-იცავს ასევე შესაძლებლობას, არ ისარგებლოს პირმა თავისი ნივთით. კანონით შეიძლება დაწესდეს სარგებლობის ან მოვ-ლისა და შენახვის ვალდებულება, თუკი ამ ნივთის გამოუყე-ნებლობა ან მოუვლებლობა ხელყოფს საზოგადო ინტერესებს. ამ შემთხვევაში მესაკუთრეს შეიძლება ან თვითონ დაეკისროს ვალდებულების შესრულება, ან შესაბამისი სასყიდლით ნივთის გადაცემა სხვა პირის სარგებლობაში“. მითითებული ნორმის და-ნაწესიდან გამომდინარე, მესაკუთრეს შესაძლებელია დაეგა-ლოს მისი საკუთრების შენახვის ვალდებულებაც, თუ მისი სა-კუთრებაში არსებული ნივთი განსაკუთრებულ, სოციალურ, ეკონომიკურ ფასეულობას წარმოადგენს. კონკრეტულ შემ-თხვევაში კი, როგორც აღვნიშნეთ, საკონტროლო-სალარო აპა-რატის ფისკალურ მეხსიერებაში გროვდება საკონტროლო-სა-ლარო აპარატის მეშვეობით განხორციელებული ყველა ოპერა-ციის შესახებ მონაცემები, რომელიც საგადასახადო სამსახუ-რისათვის წარმოადგენს სააღრიცხვო დოკუმენტაციას, საგა-დასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე,

ანუ საალრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად, ხორციელდება მეწარმის საგადასახადო კონტროლი, ე.ი. საალრიცხვო დოკუმენტაცია შეიცავს ნებისმიერ წერილობითი (მათ შორის, ელექტრონული) ფორმით შესრულებულ საბუთს, რომელსაც კავშირი აქვს დაპეგვრასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, საკონტროლო-სალარო აპარატი წარმოადგენს უმნიშვნელოვანესი მმართველობითი ღონისძიების – საგადასახადო ადმინისტრირების ერთ-ერთ განსაკუთრებულ სახეს, მეწარმე ვალდებულია განსაკუთრებული გულისხმიერებით შეინახოს საკონტროლო-სალარო აპარატი და ამისთვის არ არის აუცილებელი საგადასახადო კანონმდებლობით შემუშავებული შენახვის წესებისა და პირობების დადგენა.

3. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავის კანონიერად გადაწყვეტილისათვის პრინციპულია გარკვეული საწარმოს ქმედების, რომელიც საგადასახადო ორგანოებმა დააკვალიფიცირეს სამართალდარღვევად, ბრალეულობის საკითხი, რასაც აწესრიგებს საგადასახადო კანონმდებლობა, კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-7 ნაწილი აწესებს პასუხისმგებლობის ზომას, გადასახადის გადამხდელის მიერ საკონტროლო-სალარო აპარატის (გარდა GPRS-ის და CRYPTO-ს მოდულის ფისკალური საკონტროლო-სალარო აპარატებისა) დაკარგვისათვის: „გადასახადის გადამხდელის მიერ საკონტროლო-სალარო აპარატის (გარდა GPRS-ის და CRYPTO-ს მოდულის ფისკალური საკონტროლო-სალარო აპარატებისა) დაკარგვა, თუ დადგენილი არ არის, რომ ეს გამოწვეულია სხვა პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, – იწვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელს საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვის გამო პასუხისმგებლობა არ დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ სალარო აპარატის დაკარგვა გამოწვეული იყო სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, ანუ საკანონმდებლო ნორმა ცალსახად ადგენს, რომ სახეზე უნდა იყოს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი და დადასტურებული ფაქტი, რომ მეწარმეს საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვაში ბრალი არ მიუძღვის, მისი დაკარგვა არ გამოუწვევია მის დაუდევარ ქმედებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი სათანადო პასუხისმგებლობით არ მოეკიდა საკონტროლო-სალარო აპარატის შენხევას, არამედ მისი დაკარგვა გამოწვეულია სხვა პირის ბრალეული ქმედებით ან დაუძლეველი ძალის არსებობით. ამგვარი ფაქტის დაუდგენლობის შემთხვევაში ქმედე-

ბის/უმოქმედობის კვალიფიკაციისათვის საგადასახადო კოდექსის 281.7 ნაწილის გამოყენება კანონსაწინააღმდეგოა, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ნორმათშეფარდებას ნინ უსწრებს ფაქტების გამოკვლევა-დადგენა-შეფასების სტადია, რაც ზუსტად უნდა შესაბამებოდეს კანონით აღნერილ შემთხვევას. ადმინისტრაციული წარმოების მიზანი კანონიერი გადაწყვეტილების მიღებაა, რომლის უზრუნველსაყოფად იგი ორ მნიშვნელოვან საფეხურს შეიცავს:

1. საქმის ირგვლივ ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა-დადგენა-შეფასება და
2. დადგენილი ფაქტების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე ქმედების კვალიფიკაცია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ეროვნული სასამართლო ორგანოების მიერ პირის საჯარო სამართლებრივი ვალდებულებების შეუსრულებლობისას პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების დამადასტურებელი ფაქტების გამოკვლევისა და დადგენის კანონიერება უშუალოდ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების იბიექტურ შეფასებასთან.

საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმებისას მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნები, სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნები, საქმის გარემოებები არ არის გამოკვლეული ჯეროვნად, საქმის მასალები შეფასებულია ზედაპირულად, შესაბამისად, სასამართლო დასკვნები წინააღმდეგობრივია, კერძოდ, სასამართლოს მსჯელობა მოსარჩელის არაბრალეულობის შესახებ სრულიად დაუსაბუთებელია, რამდენადაც იგი არ ემყარება საქმეზე ობიექტურად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. ასე მაგ. საქალაქო სასამართლო უთითებს, რომ სახეზე არ არის მოსარჩელის არათუ განზრახვა, არამედ გაუფრთხილებლობაც კი, რასაც სრულიად დაეთანხმა სააპელაციო სასამართლო, თუმცა, შესაბამისი დასაბუთებული მსჯელობის გარეშე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოები არაკვალიფიციურად აფასებენ პირის ბრალეულობის საკითხს, რამდენადაც ამ საკითხის შეფასებისას ეყრდნობიან მხოლოდ ზეპირი სახის მტკიცებულებებს – მხარის ახსნა-განმარტებას, რომელიც არ არის შეჯერებული სხვა არც ერთი სახის, თუნდაც, ასევე, ზეპირი სახის მტკიცებულებასთან. სასამართლოს არ დაუკითხია არც ერთი მოწმე, რომელიც დაადასტურებდა ინ-

ვენტარის გადაზიდვის მომენტში სალარო აპარატის დაკარგვის ფაქტს. ამგვარი მიდგომით, ასეთივე წარმატებით შეიძლება დადგენილად იქნას მიჩნეული ნებისმიერი ნივთის დაკარგვის ფაქტი, რაც სრულიად შეუსაბამოა სამართალწარმოების ამოცანებთან და მიზანთან. საკასაციო სასამართლო მტკიცებულებათა გამოკვლევა-შეფასების ამგვარი სტანდარტის დამკვიდრებას აფასებს, როგორც უკანონოს და უკიდურესად საზიანოს მართლმსაჯულების განმხორციელებელი ორგანოების ავტორიტეტისათვის, რამდენადაც სასამართლოს ყველა საპროცესო მოქმედება საპროცესო წესების ზედმინევნით დაცვით უნდა ჩატარდეს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გამოიკვლიოს: მენარმის მიერ საგადასახადო კანონმდებლობით განსაკუთრებული სტატუსის მქონე სააღრიცხვო დოკუმენტის დაკარგვა გამოწვეულია განზრახი თუ გაუფრთხილებელი ბრალით, რაც შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა იყოს სარწმუნოდ დადასტურებული, რამდენადაც მენარმე თავად აღიარებს სალარო აპარატის დაკარგვის ფაქტს. სასამართლომ უნდა დაადგინოს, მენარმე ინახავდა თუ არა მას სათანადო გულისხმიერებით და თუ დადგინდება, რომ დაკარგვა არ გამოუწვევია მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას ან დაუძლეველ ძალას, იმჯელოს თუ რა მტკიცებულებები გამორიცხავს მენარმის გაუფრთხილებლობას, რამდენადაც საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით: „საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა. საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პირს პასუხისმგებლობა, შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლითა და წესით“. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საგადასახადო სამართალდარღვევათა განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემადგენლობის მოთხოვნები. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეზე №ბს-544-535(კ-12) გ. ბ-ის სარჩელისა გამო მოპასუხების: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმარ-

თველოს მიმართ, 2013 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებაში ჩა-მოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და სასამართლო დასკვნებს, კერძოდ: „საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის, რომელ-შიც დეფინირებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება, განმარტავს: ქმედება, რომლითც გამოხატულია პოზიტიური თუ ნეგატიური ფორმით, ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევად (გადაცდომად) კვალიფიცირდება თუ სახეზეა შემ-დეგი ერთობლიობა: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრი-გის, საეუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლე-ბების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსა-წინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამავე კოდექსით განსაზღვრულია ადმინისტრაციული პასუხის-მგებლობის გამომრიცხველი გარემოებები:

1. ადმინისტრაციული ქმედუნარიანობა /მუხლი 13. /;
2. აუცილებელი მოგერიება /მუხლი 18. /;
3. უკიდურესი აუცილებლობა /მუხლი 19. /;
4. შეურაცხადობა /მუხლი 20. /“

„ადმინისტრაციული სახელელის შემფარდებელი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციული სამართალ-დარღვევის შემთხვევის გამოვლენისას საქმის ფაქტობრივი გა-რემოქმების გამოკვლევა, დადგენა, შემთხვევის მონაწილის სა-მართალდამრღვევად მიჩნევა, ადეკვატური სამართლებრივი კვალიფიკირების მოხდენა და სამართალდამრღვევისთვის სან-ქციის შეფარდება აუცილებლად მოიცავს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების, ისევე, რო-გორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხის-მგებლობის შემამსუბურებელ ან დამამიმებელ გარემოებათა გამოკვლევა-დადგენასა და შეფასებას. სწორედ, ადმინისტრა-ციული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობის პირობებში შეიძლება პირს შეეფარდოს ადმინისტრაციული სახდელი, რომლის დადების ზოგადი წესების თა-ნახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახედე-ლი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაცი-ულ სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრა-ციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შე-საბამისობით /მუხლი 33. 1/.

ხოლო, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით სახდელის და-

დებისას შეფასების საგანს წარმოადგენს – ჩადენილი სამართლდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლდარღვევისათვის სახდელის დადება უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპის – კანონიერების პრინციპის ზედმინევნით დაცვის საფუძველზე“.

საგადასახადო კოდექსის 281.7 მუხლით გათვალისწინებული სამართლდარღვევის კვალიფიკაცია და მისი შეფარდება პირისთვის, შეუძლებელი და შესაბამისად, კანონსაწინააღმდეგო იქნება პირის ბრალეულობის განსაზღვრის გარეშე. სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს არის თუ არა სახეზე ისეთი ობიექტური გარემოება, რამაც შეიძლება გამორიცხოს მენარმის ბრალეულობის საკითხი, რამდენადც პირის ბრალის გარეშე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემადგენლობა სახეზე არ არის. მხოლოდ ამ ფატქების გამოკვლევა-დადგენის შემდეგ მენარმეს შეიძლება დაეკისროს ან არ დაეკისროს პასუხისმგებლობა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა უზრუნველყოს საქმის გარემოებების სრულფასოვანი და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე სასამართლო დავის კანონიერად და მიუკერძოებლად გადაწყვეტა, საპროცესო და მატერიალური კანონმდებლობის განუხრელი დაცვით.

კასატორის მოტივი, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრების უკანონობასთან მიმართებით საკასაციო სასამართლოს მიერ ვერ იქნება გაზიარებული სსსკ-ის 55-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის საფუძველზე, თუმცა, საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ საპროცესო ხარჯები საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად უნდა გადაახანილოს საქმეზე გადაწყვეტილების დადგენისას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412.2 მუხლის თანახმად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოკვლიბოს ზემოაღნიშნული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებ-

ლობის შესაბამისად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 20 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილებულად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **პ. სხვა სახის პარიგები**

**დაჯარიმება საქონლის სასაქონლო ზედნადების  
გარეშე ტრანსპორტირების გამო**

### **განხილვა**

№ბს-48-43(2კ-13)

18 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**  
**მოსარჩევე:** ი/მ „ლ.ჩ-ი“

**მოპასუხეები:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ შემოსავლების სამსახური

**სარჩელის სახე:** საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

#### **სარჩელის საგანი:**

1. 2012 წლის 4 მაისის №002366 საგადასახადო სამართალ-დარღვევის ოქმის ბათილად ცნობა;

2. შემოსავლების სამსახურის საგადასახადო პრევენციის დე-პარტამენტის №272/05 ბრძანების ბათილად ცნობა;

3. შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 25 ივნისის №10420 ბრძანების ბათილად ცნობა;

4. შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 8 მაისის №081-6 ბრძანების ბათილად ცნობა;

5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული და-ვების განხილვის საბჭოს 2012 წლის 16 ივლისის №03/52517 გა-დაწყეტილების ბათილად ცნობა.

#### **სარჩელის საფუძველი:**

**ფაქტობრივი:** 2012 წლის 4 მაისს შემოსავლების სამსახურის პრევენციის დეპარტამენტის მონიტორინგის თანამშრომლის მიერ ი/ზ „ლ.ჩ.-ის“ მიმართ შედგა საგადასახადო სამართალ-დარღვევის ოქმი №002366, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად და სანქციის სახით შეეფარდა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, მასზედ, რომ ი/ზ „ლ.ჩ.-ის“ წარმომადგენელი – ი. დ-ე ახორციელებდა 60 ცალი პურის (ლირებული 30 ლარად) დისტრიბუციას სასაქონლო ზედ-ნადების გარეშე.

შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 7 მაისის №272/05 ბრძანებით კი, ცვლილება შევიდა №002366 სამართალ-დარღვევის ოქმში და სანქციის სახით მოსარჩელეს შეეფარდა 5000 ლარი.

ზემოაღნიშნული აქტები მოსარჩელემ გაასაჩივრა შემოსავლების სამსახურში, რომლის 2012 წლის 25 ივნისის №10420 ბრძანებით საჩივრი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული ბრძანება ი/ზ „ლ.ჩ.-მა“ გაასაჩივრა ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში, რომლის 2012 წლის 20 ივლისის №03/53517 გადაწყვეტილებით საჩივრი არ დაკმაყოფილდა.

შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 8 მაისის №081-6 საგადასახადო მოთხოვნით მოსარჩელე ი/ზ „ლ.ჩ.-ს“ გადასახდე-

ლად დაეკისრა სულ 5 000 ლარის გადახდა.

მოსარჩელის განმარტებით, ი. დ-ე არ არის მისი დისტრიბუტორი და შესაბამისად არ ევალებოდა სასაქონლო ზედნადების გამოწერა, 2012 წლის 4 მაისს ი. დ-ემ ნამდვილად იყიდა მის კუთვნილ საცხობში 60 ცალი პური, რომლის ღირებულება ჯამში შეადგნდა – 30 ლარს, რაზედაც ამონწერა სალარო-აპარატის ჩეკიც. ერთი ცალი პური ღირდა 50 თეთრი.

**სამართლებრივი:** მოსარჩელე ინდივიდუალური მენარმე „ლ.ჩ-ი“ სასარჩელო მოთხოვნების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის 1-ლ ნაწილს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების 69-ე მუხლის 1-ლ პუნქტს.

#### **მოპასუხის შესავალებლი:**

**ფაქტობრივი:** მოპასუხე შემოსავლების სამსახურმა სარჩელი არ ცნო, მიიჩნია, რომ სარჩელი დაუსაბუთებელია და იგი არ უნდა დაკავილდეს უსაფუძლობის გამო.

მოპასუხის მითითებით, მოსარჩელე ი/მ „ლ.ჩ-ს“ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია დაეკისრა იმის გამო, რომ მისი წარმომადგენელი ი. დ-ე სასაქონლო ზედნადების გარეშე ახორციელებდა საქონლის (60 ცალი პური) დისტრიბუციას ვატომანქანით (ვაზ 21063, სახელმწიფო ნომერი ...). ი. დ-ე პურის შეძენისას იხდიდა 45 თეთრს, მაგრამ იღებდა 50 თეთრის გადახდის ჩეკს და შემდეგ პურის რეალიზაციას ახდენდა 0.05 თეთრის დანამატით.

**სამართლებრივი:** მოპასუხის განმარტებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის №994-ე ბრძანების 72-ე მუხლის 1-ლ პუნქტის, თანახმად, საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა, თუ სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ან მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის საბაზო ღირებულება არ აღემატება 10 000 ლარს. აგრეთვე ამავე ბრძანების 70-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ოქმი გასაცნობად წარედგინება სამართალდამრღვევს, თუ იგი ესწრება მის შედგენას. სამართალდამრღვევ პირს უფლება აქვს წარადგინოს განმარტებები და შენიშვნები, რომლებიც აისახება ოქმი ან დაერთვება მას. თუ სამართალდამრღვევი უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე ან ჩაბარებაზე, უფლებამოსილი პირის მიერ ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. მოპასუ-

ხის მტკიცებით, სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას არც სამართალდამრღვევს და არც ი. დ-ეს არ დაუფიქსირებიათ რა-იმე მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ი. დ-ე არ წარმოადგენს ლ.ჩ-ის დისტრიბუტორს.

### **საქმის გარემოებები:**

მოსარჩელის განმარტებით, 2012 წლის 4 მაისს ი. დ-ემ ი/ზ „ლ.ჩ-ის“ კუთვნილ პურის საცხობში შეიძინა 60 ცალი პური, რომ-ლის ღირებულებაც შეადგენდა 30 ლარს და რაზეც ამობეჭდა საკონტროლო-სალარო აპარატის ჩეკი. ერთი პურის ღირებუ-ლება შეადგენდა 50 თეთრს.

აღნიშნულზე შემოსავლების სამსახურის პრევენციის დე-პარტამენტის მონიტორინგის თანამშრომლის მიერ ი/მ „ლ.ჩ-ის“ მიმართ შედგა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი №002366, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხ-ლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად და სანქციის სახით შეეფარდა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, მასზედ, რომ ი/მ „ლ.ჩ-ის“ წარ-მომადგენელი – ი. დ-ე ახორციელებდა 60 ცალი პურის (ღირე-ბული 30 ლარად) დისტრიბუციას სასაქონლო ზედნადების გა-რეშე.

მოსარჩელის განმარტებით, ი. დ-ე არ არის მისი დისტრიბუ-ტორი და შესაბამისად არ ევალებოდა სასაქონლო ზედნადების გამოწერა.

სამართალდარღვევის ოქმი მოსარჩელემ ადმინისტრაციუ-ლი წესით ჯერ გაასაჩივრა სისი შემოსავლების სამსახურში, რომლის 2012 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო შემდგომ საქართველოს ფინანსთა სა-მინისტროს დავების განხილვის საბჭოში, რომლის 2012 წლის 20 ივლისის №03/53517 გადაწყვეტილებით ი/მ „ლ.ჩ-ის“ საჩივა-რი არ დაკმაყოფილდა.

მოპასუხე მხარის მტკიცებით, ი. დ-ე ახორციელებდა მოსარ-ჩელის პურის საცხობში გამომცხვარი პურის დისტრიბუციას, მან შეიძინა 60 ცალი პური, იმ მიზნით, რომ შემდგომ მოეხდინა მისი რეალიზაცია სხვადასხვა ადგილებში; მოპასუხის განმარ-ტებით, ი. დ-ემ ერთ პურში გადაიხადა არა 50 თეთრი, არამედ 45 თეთრი, თუმცა საკონტროლო-სალარო აპარატის ჩეკში ნაც-ვლად 45 თეთრისა მიეთითა 50 თეთრი, იმ მოტივით, რომ ი. დ-ეს შესძლებოდა პურის რეალიზაცია 00,05 თეთრის ფასნამატით.

საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა ი. დ-ემ განმარტა, რომ 2012 წლის 4 მაისს ნამდვილად იყიდა ი/მ „ლ.ჩ-ის“ პურის საც-ხობში 60 ცალი პური, რაშიც გადაიხადა 30 ლარი, ასევე დაადას-ტურა, რომ ერთი ცალი პური ღირდა 00,50 თეთრი, ი. ჩ-ს მის-

თვის პური არასდროს მიუყიდია 00,45 თეთრად. მან ასევე განმარტა, რომ პური შეიძინა შემდგომი რეალიზაციის მიზნით, იგი საცხობში ნაყიდ პურს შემდგომში ყიდდა 00,05 თეთრის ფასნამატით. მისი განმარტებით იგი არ არის ი/მ „ლ.ჩ.-ის“ დისტრიბუტორი.

### **რაიონული/საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/ სარეზოლუციო:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ინდ. მეწარმე „ლ.ჩ.-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი 2012 წლის 4 მაისის №002366 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი; შემოსავლების სამსახურის საგადასახადო პრევენციის დეპარტამენტის №272/05 ბრძანება; შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 25 ივნისის №10420 ბრძანება, შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 8 მაისის №081-6 ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2012 წლის 16 ივნისის №03/52517 გადაწყვეტილება.

#### **სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:**

2012 წლის 4 მაისს შემოსავლების სამსახურის პრევენციის დეპარტამენტის მონიტორინგის თანამშრომლის მიერ ი/მ „ლ.ჩ.-ის“ მიმართ შედგენილ იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი №002366 საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად და სანქციის სახით განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 07 მაისის №272/05 ბრძანებით კი ცვლილება შევიდა 2012 წლის 4 მაისს №002366 სამართალდარღვევის ოქმში და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად სანქციის სახით მოსარჩელეს შეეფარდა 5000 ლარი.

შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2012 წლის 8 მაისის №081-საგადასახადო მოთხოვნის შესაბამისად, ი/მ ლ.ჩ.-ი “გადასახდელად დაეკისრა 5000 ლარი.

შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 25 ივნისის №10420 ბრძანებით ი/მ „ლ.ჩ.-ის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2012 წლის 20 ივნისის №03/53517 გადაწყვეტილებით ასევე არ დაკმაყოფილდა ი/მ „ლ.ჩ.-ის“ საჩივარი შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 25 ივნისის №10420 ბრძანებისა და შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 8 მაისის №081-6 საგადასახადო მოთხოვნის გაუქმების თაობაზე.

### **სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:**

სადავო არის თუ არა ი. დ-ე მოსარჩელის – ი/მ „ლ.ჩ.-ის“ დისტრიბუტორი და ახორციელებდა თუ არა იგი საწარმოში გამომცხვარი პურის დისტრიბუციას ოქმის შედგენის დღეს – 2012 წლის 4 მაისს.

### **მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება:**

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის შესაბამისად, მოპასუხე – ადმინისტრაციულმა ორგანომ სასამართლოს ვერ წარუდგინა შესაბამისი სახისა და შინაარსის მტკიცებულებები, რომლებიც სარჩელის უსაფუძვლობასა და დაუსაბუთებულობას ცხადყოფდა.

საქმეზე შექრებული მტკიცებულებების ერთობლიობის ანალიზისა და ურთიერთშეჯერების გზით სასამართლომ მიიჩნია, რომ 2012 წლის 4 მაისის მდგომარეობით ი. დ-ე არ ახორციელებდა ინდ. მეწარმე „ლ.ჩ.-ის“ საცხობში გამომცხვარი პურის დისტრიბუციას.

### **სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:**

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს საგადასახადო (2010 წლის რედაქცია) კოდექსის 286-ე მუხლის I ნაწილით განსაზღვრულია, რომ სამეწარმეო საქმინობისთვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გამოუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა, თუ სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ან მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 10 000 ლარს – ინვევს პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით. იმავე 286-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – ინვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ 2012 წლის 4 მაისის მდგომარეობით ი. დ-ე არ ახორციელებდა ინდ. მეწარმე „ლ.ჩ.-ის“ საცხობში გამომცხვარი პურის დისტრიბუციას, მოსარჩელეს, იმის მიუხედავად თუ რა ოდენობის პური შეიძინა ი. დ-ემ მის კუთვნილ საცხობში, არ ევალებოდა ი. დის მიმართ სასაქონლო ზედნადების გამოწერა, ხოლო ი. დ-ეს – ამ სასაქონლო ზედნადების ქონა.

### **აპელაციის 1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**

### **აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/**

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 26 სექტემ-

ბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების  
მიღება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

#### **აპელაციის მოტივები:**

**ფაქტობრივი:** აპელანტის წარმომადგენელი მიუთითებს,  
რომ სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას გადასახადის გა-  
დამხდელსა და ი. დ-ეს არ დაუფიქსირებიათ, რომ ი. დ-ე არ წარ-  
მოადგენდა ი/ზ „ლ.ჩ-ის“ დისტრიბუტორს.

**სამართლებრივი:** აპელანტის წარმომადგენელი აღნიშნავს,  
რომ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გა-  
მოეყენებინა; გადაწყვეტილება არ არის იურიდიულად საკმა-  
რისად დასაბუთებული.

აპელანტის წარმომადგენელი არ ეთანხმება სასამართლოს  
მსჯელობას ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბ-  
ჭოს მიერ სხდომის ოქმის შედგენის წესის დარღვევისა და მისი  
სათანადო მტკიცებულებად არ ჩათვლის შესახებ და აღნიშნავს,  
რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ სასამართლოში საქმის გან-  
ხილვისას წარდგენილი 2012 წლის 16 ივნისის №55 სხდომის  
ოქმი აკმაყოფილებს „დავის განმხილველი ორგანოების რეგლა-  
მენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011  
წლის 14 დეკემბრის №473 დადგენილების 26-ე მუხლს. ამას-  
თან, მოსარჩელეს რაიმე სახის შენიშვნა სხდომის ოქმის მიმართ  
არ დაუფიქსირებია.

#### **II აპელანტი – სსიპ შემოსავლების სამსახური**

#### **მონიცააღმდეგე მხარე – ი/მ „ლ.ჩ-ი“**

#### **აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/**

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 26 სექტემ-  
ბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების  
მიღება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

#### **სააპელაციო საჩივრის მოტივები:**

**ფაქტობრივი:** აპელანტის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ  
ი. დ-ე წამდვილად ახორციელებდა საქონლის დისტრიბუციას,  
ვინაიდან მოსარჩელე შხარის მიერ ფინანსთა სამინისტროსათ-  
ვის წარდგენილ ახსნა-განმარტებაში აღნიშნულია, რომ ი. დ-ე  
პურის შეძენისას იხდიდა 45 თეთრს, იღებდა 50 თეთრის ჩეკს,  
ხოლო მის რეალიზაციას ახდენდა 5 თეთრის დანამატით. აგ-  
რეთვე, სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას გადასახადის  
გადამხდელსა და ი. დ-ეს არ დაუფიქსირებიათ, რომ ი. დ-ე არ  
წარმოადგენდა ი/ზ „ჩ-ის“ დისტრიბუტორს.

**სამართლებრივი:** სასამართლოს გადაწყვეტილება არის  
უსაფუძვლო და იურიდიულად დაუსაბუთებელი. სასამართლომ  
სრულყოფილად არ შეაფასა საქმის ფაქტობრივი და სამარ-

თლებრივი გარემოებები.

### **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზო-ლუციო/**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ – შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება.

### **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

სააპელაციო პალატა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის 1-ლი ნაწილის განმარტების შედეგად მიუთითებს, რომ თუ მყიდველი ფიზიკური პირი საქონლის შეძენის დროს არ მოითხოვს სასაქონლო ზედნადებს, საქონლის მიმზოდებელს, ზედნადების გამოუწერლობისთვის სანქცია არ დაეკისრება. პალატა დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს დასკვნას, რომ მიუხედავად, იმისა, თუ რა რაოდენობის პური შეიძინა ი. დ-ებ ინდივიდუალური მენარმე „ლ.ჩ.-ის“ კუთვნილ საცხობში, მას არ ევალებოდა ი. დ-ის მიმართ სასაქონლო ზედნადების გამოხერა, ხოლო ი. დ-ეს – ამ სასაქონლო ზედნადების თან ქონა, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია, რომ ი. დ-ე არ წარმოადგენდა ინდივიდუალური მენარმე „ლ.ჩ.-ის“ დისტრიბუტორს, შესაბამისად 2012 წლის 04 მაისის მდგომარეობით, იგი არ ახორციელებდა ინდ. მენარმე „ლ.ჩ.-ის“ საცხობში გამომცხვარი პურის დისტრიბუციას.

**კასატორი:** 1. სსიპ შემოსავლების სამსახური

**სარჩელზე მოპასუხე – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**

**მოწინააღმდეგე მხარე: ი/მ „ლ.ჩ.-ი“**

**კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

**კასაციის მოტივები: სამართლებრივი:**

**პროცესუალური:** კასატორის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საქმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის

”ე“ და „ე<sup>1</sup>“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

**მატერიალური:** კასატორის განმარტებით, მოსარჩელეს და-ეკისრა საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმა იმის გამო, რომ მისი წარმომადგენელი ო. დ-ე ახორციელებდა სასაქონლო ზედნადების გარეშე საქონლის (60 ცალი პურის) დისტრიბუციას ავტომანქანით (გაზ 21063, სახელმწიფო ნომე-რი ...).

ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დავის განხილვისას შემ-მოწმებელმა დააზუსტა, რომ ო. დ-ე ახორციელებდა საქონლის (პურის) მიწოდებას, რა დროსაც გაირკვა, რომ მას გააჩნდა სა-საქონლო ზედნადები, მაგრამ წარუდგინა საკონტროლო-სალა-რო აპარატის ჩეკი, რომელსაც იყენებდა მიწოდებისას და რომ-ლიდანაც დაზუსტდა გადამხდელის ვინაობა. კასატორის გან-მარტებით, საქმესთან დაკავშირებული გარემოების შესწავლით დადგინდა, რომ ო. დ-ე ახდენდა ო/მ „ლ.ჩ.-ის“ კუთვნილ ობიექ-ტში (საცხობში) პურის შესყიდვას და მის მიწოდებას მაღაზია-ში. დადგენილად იქნა მიჩნეული რომ იგი ახორციელებდა სა-ქონლის დისტრიბუციას. გადამხდელის განცხადებით, სამარ-თალდარღვევის გამოვლენის დღეს, ო. დ-ემ რამოდენიმეჯერ შეიძინა პურის შეძენა, რისთვისაც რამოდენიმეჯერ იქნა ამო-ბეჭდილი ჩეკი მოთხოვნილ ოდენობებზე.

კასატორის განმარტებით, საქმის ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვისას გაირკვა, რომ ო. დ-ე პურის შეძენისას იხდიდა 45 თეთრს, მაგრამ 50 თეთრის გადახდის ჩეკს იღებდა სალარო-აპარატიდან და შესაბამისად ამ ფასად ახდენდა შემ-დგომ მიწოდებას. ამასთან, როგორც თავად ო/მ „ლ.ჩ.-ის“ მიერ წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაშია აღნიშნული ო. დ-ე, შეძე-ნილი პურის გაყიდვას ახდენდა 5 თეთრის ნამატით. ამდენად ირკვევა, რომ ო. დ-ე ახორციელებდა საქონლის (პურის) დის-ტრიბუციას.

კასატორის განმარტებით, საქრთველოს ფინანსთა მინის-ტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994-ე ბრძანებს 70-ე მუხლის მე-4 ნანილის შესაბამისად, ოქმი გასაცნობად წარედგინება სა-მართალდამრღვევ პირს, თუ იგი ესწრება მის შედგენას. სამა-რათალდამრღვევ პირს უფლება აქვს წარმოადგინოს განმარ-ტებები და შენიშვნები, რომლებიც აისახება ოქმი ან დაერთვე-ბა მას. თუ სამართალდამრღვევი პირი უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე ან ჩაბარებაზე, უფლებამოსილი პირის მიერ ოქ-მში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

**სამართლებრივი:** კასატორის განმარტებით, სადაცო აქტე-ბი გამოცემულია საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლისა და

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლომატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების 72-ე მუხლის შესაბამისად.

**II კასატორი:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო  
სარჩელზე მოპასუხე – სსიპ შემოსავლების სამსახური  
მოწინააღმდეგე მხარე: ი/მ „ლ.ჩ.-ი“  
**კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/**  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

**კასაციის მოტივები:** სამართლებრივი:  
**პროცესუალური:** კასატორის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საქმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე“<sup>1</sup> ქვეპუნქტების შესაბამისად.

**მატერიალური:** კასატორის განმარტებით, არამართებულია სასამართლოს მსჯელობა, რომ ი/მ „ლ.ჩ.-ის“ მხრიდან სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, რომ დარღვეული იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2012 წლის 16 ივნისის №55 სხდომის ოქმის შედგენის პრინციპი, რის გამოც მას ვერ ექნებოდა მტკიცებულების ძალა.

კასატორის მითითებით, სასამართლში საქმის განხილვისას მათ მიერ წარდგენილი 2012 წლის 16 ივნისის №55 სხდომის ოქმი, რომელიც აკმაყოფილებს „დავის განმხილველი ორგანოების რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 დეკემბრის №473 დადგენილების 26-ე მუხლს და ამასთან, მხარეს არ გამოუთქვამს და არ დაუფიქსირებია რაიმე სახის შენიშვნა (პრეტენზია) არსებული სხდომის ოქმის მიმართ.

რაც შეეხება ჯარიმის დარიცხვის მართლზომიერებას, კასატორის განმარტებით, აღნიშნული განხორციელდა კანონმდებლობის სრული დაცვით, დავების განხილვის საბჭოს სხდო-

მაზე შემმოწმებელმა დააზუსტა, რომ ი. დ-ე ახორციელებდა საქონლის (პურის) მიწოდებას, რა დროსაც გაირკვა, რომ მას არ გააჩნდა სასაქონლო ზედნადები, მაგრამ ჰქონდა საკონტროლო-სალარო აპარატის ჩეკი, რომელსაც იყენებდა მიწოდებისას და რომლიდანაც დაზუსტდა გადამხდელის ვინაობა. კასატორის მითითებით, დადგენილია, რომ ი. დ-ე ახდენდა ი/მ „ლ.ჩ.-ის“ კუთვნილ ობიექტში (საცხობში) პურის შესყიდვას და მის მიწოდებას მაღაზიაში. ამდენად მიჩნეულ იქნა, რომ იგი ახორციელებდა საქონლის დისტრიბუციას და წარმოადგენდა ი/მ „ლ.ჩ.-ის“ წარმომადგენელს. ამასთან, არც სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას არც გადამხდელს და არც ი. დ-ეს არ დაუფიქსირებიათ, რომ ი. დ-ე არ წარმოადგენდა ი/მ „ლ.ჩ.-ის“ დისტრიბუტორს.

**სამართლებრივი:** კასატორის განმარტებით, სადავო აქტები გამოცემულია საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 დეკემბრის №473 დადგენილებისა და „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალინანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისნარმობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების 72-ე მუხლის შესაბამისად.

ი/მ „ლ.ჩ.-ის“ წარმომადგენელმა წერილობითი მოსაზრებით მოითხოვა საკასაციო საჩივრების დაუშვებლად ცნობა.

წერილობითი მოსაზრებით სსიპ შემოსავლების სამსახურმა მოითხოვა სსპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრების დასაშვებად ცნობა, ვინაიდან, მისი მოსაზრებით საკასაციო საჩივრები აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის მოთხოვნას.

**საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წანამძღვრები:** (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორების სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძ-

ვლების თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად როგორც აბსოლუტური კასაცია.

საკასაციო სასამართლოს 2013 წლის 18 ივნისის სასამართლო სხდომაზე კასატორებმა მოითხოვეს მათი საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილება, ხოლო ი/ზ „ლ.ჩ.-ის“ წარმომადგენელმა მოითხოვა საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა (18.06.13 სხდომის ოქმი).

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემონმების შედეგად მივიდა იმ დაკვირვად, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს; შესაბამისად, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

კასაციის დაშვების წანამდღვარის განმარტება კონკრეტულ საქმეზე: წინამდებარე საქმე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ საკასაციო სასამართლომ უნდა განმარტოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის და კანონქვემდებარე აქტების რიგი მუხლები და შეაფასოს კანონის შინაარსთან რამდენად შესაბამისად იყენებს მათ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში მყოფი ადმინისტრაციული ორგანოები.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საკასაციო საჩივრის მოტივი განსახილებელ საქმეში, რამაც შექმნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული აბსოლუტური კასაციის წანამდღვრები, არის საგულისხმო და განსაკუთრებული სამართლებრივი თვალსაზრისით, რამაც მოცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი. სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლომ განმარტოს, საგადასახადო სამართლურთიეროთათა სფეროში კანონიერი სამართლებეფის საკითხი, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს რამდენად კანონშესაბამისად ხდება საგადასახადო ორგანოების მხრიდან მენარმის მიერ სასაქონლო ზედნადების გაუცემლობასთან, მიღებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული საკითხის ფაქტორივი გა-

რემონტების გამოკვლევა, დადგენა და ადეკვატური სამართლებრივი კვალიფიკაციის მიცემა. სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შეფასება დამოკიდებულია სუბიექტის განსაზღვრაზე, თუ ვის უფლება-მოვალეობებს წარმოადგენს სასაქონლო ზედნადების გაცემა.

საკასაციო სასამართლომ უნდა შეფასოს საგადასახადო სამართალდარღვევის ფაქტების გამოკვლევისა და შეფასების კანონშესაბამისობის საკითხი, რაც მოითხოვს, როგორც საგადასახადო კოდექსის, ასევე „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალინების გადახდევინების უზრუნველყოფის ლონისძიების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების ნორმების ანალიზსა და სამართლებრივი შეფასების მოხდენას, თუ რამდენად არის დაცული ბალანსი საგადასახადო სამსახურებსა და მეწარმის ვალდებულებებთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასებები და სასამართლო დასკვნები სასარგებლო იქნება, როგორც საგადასახადო ორგანიზების, საგადასახადო მოხელეთა მმართველობითი საქმიანობისათვის, ასევე საგადასახადო სამართლურთიერთობათა მონაწილეთათვის, კერძოდ, მეწარმეთათვის, რამდენადაც საგადასახადო სამართალი, რომელიც განეცუთვნება ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებულ ნაწილს, ანესროგებს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, განსაზღვრავს საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, უფლებამოსილი ორგანოსა და მისი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დავის გადაწყვეტის წესს, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. ამდენად, აღნიშნული სამართლის ინსტიტუტების სწორი გაგება-გამოყენება უშუალოდ განაპირობებს ადამიანთა ყოფას, საზოგადოებრივი წესრიგის ხარისხსა და კულტუ-

რას.

ამავდროულად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საგადასახადო პროცედურების ჩატარებისას საქმის გარემოებათა სწორი გამოკვლევა და კვალიფიკაცია უშუალო კავშირშია ადამიანის, კონკრეტულ შემთხვევაში, მენარმის, როგორც მატერიალური, ასევე პროცედურული უფლებების უზრუნველყოფასთან, მმართველობის კანონიერებისა და კანონიერი ნდობის უფლების პრინციპების განხორციელებასთან. როგორც საკასაციო სასამართლოს მიერ სტატისტიკური ინფორმაციის სახით გამოთხვილი საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის 20.05.2013წ. №51480-21-12 ცნობით გამოირკვა ანალოგიური სამართალდარღვევის გამოვლენის ფაქტები 2012 წლისთვის შეადგენს 870, ხოლო 2013 წლის 1 იანვრიდან საქმის განხილვის მომენტისთვის – 1242 შემთხვევას, რაზეც შედგენილია სამართალდარღვევის ოქმი.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნა სახელმძღვანელო გახდება სახელმწიფოში არსებული ადმინისტრაციული ორგანოებისათვის და მათი პრაქტიკისათვის, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობებში შესაბამისი სასამართლო განმარტება ხელს შეუწყობს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოებს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

სადაც სამართალურთიერთობა წარმოშობილია საგადასახადო სამართალდარღვევათა სფეროში, გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის. კერძოდ, მოცემულ სამართალურთიერთობაში საგადასახადო ორგანოს თანამშრომელმა ი/მ „ლ.ჩ-ის“ დააჯარიმა იმ მოტივით, რომ მისი წარმომადგენელი ეწეოდა პურის დისტრიბუციას სასაქონლო ზედნადების გარეშე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მიერ, სსსკ-ის 407-ე მუხლის შესაბამისად, წამოყენებული არ არის დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, კერძოდ:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2012 წლის 4 მაისს შემოსავლების სამსახურის პრევენციის დეპარტამენტის მონიტორინგის თანამშრომლის მიერ ი/მ „ლ.ჩ-ის“ მიმართ შედგენილ იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი №002366, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად და სანქციის სახით განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლა-

რის ოდენობით, აღნიშნული ოქმის შედგენის საფუძველი იყო ის გარემოება, რომ 2012 წლის 4 მაისს ი. დ-ემ ი/მ „ლ.ჩ-ის“ პუ-რის საცხობში შეიძინა 60 ცალი პური, მოპასუხე ადმინისტრა-ციული ორგანოს თანამშრომლებმა მიიჩნიეს, რომ ი. დ-ე ახორ-ციელებდა დისტრიბუციას სასაქონლო ზედნადების გარეშე.

შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 7 მაისის №272/05 ბრძანებით კი ცვლილება შევიდა 2012 წლის 4 მაისს №002366 სამართალდარღვევის ოქმში და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად სანქციის სახით მოსარჩელეს შეეფარდა 5000 ლარი, აღნიშნული ბრძანე-ბის გამოცემის საფუძველი გახდა ის, რომ ი/მ „ლ.ჩ-ს“ 2011 წლის 13 სექტემბრის საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის სა-ფუძველზე ერთხელ უკვე დაეკისრა ჯარიმა საგადასახადო სა-მართალდარღვევისთვის.

შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2012 წლის 8 მაისის №081-საგადასახადო მოთხოვნის შესაბამი-სად, ი/მ „ლ.ჩ-ს“ გადასახდელად დაეკისრა 5000 ლარი.

შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 25 ივნისის №10420 ბრძანებით ი/მ „ლ.ჩ-ის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2012 წლის 20 ივლისის №03/53517 გადაწყვეტილებით ასევე არ დაკმაყოფილდა ი/მ „ლ.ჩ-ის“ საჩივარი შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 25 ივნისის №10420 ბრძანებისა და შე-მოსავლების სამსახურის 2012 წლის 8 მაისის №081-6 საგადასა-ხადო მოთხოვნის გაუქმების თაობაზე.

ნინამდებარე დავის კანონიერად გადაწყვეტისთვის აუცი-ლებელია განიმარტოს რა დასკვნა გამომდინარეობს საგადასა-ხადო კოდექსის 136-ე, 286-ე მუხლებისა და „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგა-დასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტრო-ლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფა-სეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახ-დევინების უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისნარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების 72.1 მუხლის შინაარსიდან.

საგადასახადო კოდექსის 136.4 მუხლით განსაზღვრულია, რომ „სამეწარმეო საქმიანობისათვის ქვეყნის შიგნით საქონლის ტრანსპორტირებისას, ხოლო საქონლის მიწოდებისას – მყიდ-ველის მოთხოვნის შემთხვევაში (გარდა სპეციალური დამატე-ბული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურების მიხედ-

ვით განხორციელებული მიწოდებისა, რომლებიც მოიცავს სა-საქონლო ზედნადებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს) სა-საქონლო ზედნადები უნდა გამოიწეროს საქართველოს ფინან-სთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმითა და წესით. ამასთა-ნავე, საქონლის მიწოდებისას მყიდველის მოთხოვნის შემთხვე-ვაში სასაქონლო ზედნადების გამოწერისას აკრძალულია საქონ-ლის სასაქონლო ზედნადების გარეშე შენახვა“.

საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მიხედვით კი, საგა-დასახადო სამართალდარღვევად ჩაითვლება პირის მართლსა-წინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლის-თვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა. საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პირს პასუხისმგებ-ლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლითა და წესით.

ამავე კოდექსის (2012 წლის 4 მაისის მდგომარეობით) 286.1 მუხლის შესაბამისად, სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონ-ლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდ-ველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა, თუ სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებუ-ლი ან მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის საბაზრო ღირე-ბულება არ აღემატება 10 000 ლარს იწვევს პირის დაჯარიმებას – 1000 ლარით, ხოლო პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით – იწვევს პირის დაჯარიმე-ბას 5 000 ლარის ოდენობით.

საქონლის დოკუმენტის გარეშე ტრასპორტირების/შეძენის ფაქტის გამოვლენის საკითხს აწესრიგებს ასევე „საგადასახა-დო კონტროლის განხაზორციელებელი პირის შერჩევისა და სა-გადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონ-ტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გა-დახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელე-ბის, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკი-ცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანება, რომლის 72.1 მუხლის თანახ-მად: საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირებად/შე-ძენად განიხილება სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სა-საქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონ-ლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა, თუ სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ან

მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 10 000 ლარს“, ამავე მუხლით განსაზღვრულია, რომ საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირება/შეძენის ფაქტის გამოვლენის უფლებამოსილება აქვთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფლებამოსილ პირებს, რომლებიც ზემოაღნიშნული ფაქტის გამოვლენის შემთხვევამი ადგენერ შესაბამის ოქმს.

ამავე ბრძანების 69.1 მუხლის შესაბამისად, საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ამ უმოქმედობა), რომლისთვისაც საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა.

საგადასახადო კოდექსის (2012 წლის 4 მაისის მდგომარეობით) 286.1 მუხლით განსაზღვრული სანქციის შეფარდებისთვის აუცილებელია დადგინდეს, თუ ვინ არის ქმედების სუბიექტი, რომლის გამორკვევა შეუძლებელია ნორმის ფუნქციის, მიზნისა და სტრუქტურის ანალიზის გარეშე. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, კანონმდებელი სამართალდარღვევად აკვალიფიცირებს შემდეგ შემთხვევებს:

1. სამენარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება;
2. მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა;
3. საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა.

სამივე შემთხვევა ექვემდებარება სანქცირებას 1000 ლარით, თუ სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ან მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის საბაზრო ღირებულება 10 000 ლარის ფარგლებშია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ I – სამენარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, და III შემთხვევაში – საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა, ნათელია, რომ ნორმის სუბიექტად გვევლინება საქონლის შემძენი, ხოლო, II შემთხვევაში – მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა, ცხადია, რომ დამრღვევი პირი – საქონლის გამყიდველია.

განსახილველ შემთხვევაში, საქონლის გამყიდველი, ი/მ „ლ.ჩ-ი“ დაჯარიმდა I შემთხვევის – სამენარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების საფუძვლით, რომელიც საკასაციო სასამართლოს

სხდომაზე კასატორ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის ვ. შ-ს მიერ ახსნილი იქნა იმ ლოგიკით, რომ ეს ორი სუბიექტი, გამყიდველი და შემძენი, თვისობრივად წარმოადგენს ერთ იურიდიულ პირს, ვინაიდან შემძენი წარმოადგენს გამყიდველის – ი/მ „ლ.ჩ.-ის“ დისტრიბუტორს, ანუ თანამშრომელს. გამყიდველი კი ვალდებულია გამოწეროს ზედნადები თავის დისტრიბუტორზე, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

ზემოაღნიშნული მუხლების შინაარსის ანალიზიდან საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ სასაქონლო ზედნადები უნდა გაიცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც საქონლის მიმღები (მყიდველი) პირი ეწევა სამენარმეო საქმიანობას და მიღებული საქონლის შემდგომი რეალიზაციით იგი ნახულობს მოგებას ან იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის მიმცემი (გამყიდველი) მის მიერ დაქირავებული თანამშრომლის, დისტრიბუტორის, მეშვეობით ახორციელებს საქონლის ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირებას, ე.ი. გამყიდველი (მენარმე) ყველა შემთხვევაში არ არის ვალდებული – გამოწეროს სასაქონლო ზედნადები, მას ამგვარი ვალდებულება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი წარუდგენს მენარმის დამადასტურებელ დოკუმენტს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტიანობის და ეკონომიურობის უზრუნველსაყოფად საგადასახადო კანონმდებლობით შესაძლებელია დადგინდეს საგადასახადო ადმინისტრირების ცალკეული სტადიების მენარმე სუბიექტებზე დელეგირების შემთხვევები, ასე, მაგ: საშემოსავლო გადასახადის ადმინისტრირების ფუნქციის დამსაქმებელზე გადატანა და სხვ., მაგრამ ისე, რომ ყველა შემთხვევაში, ეს ტვირთი არ შეიძლება აღემატებოდეს მენარმის შესაძლებლობებს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საგადასახადო ადმინისტრირება ურთულესი მმართველობითი საქმიანობაა თავისი სამართლებრივი ბუნებითა და დატვირთვით და ამისთვის ადეკვატური ტექნიკური შესაძლებლობები და სამართლებრივი ცოდნის ფლობა აუცილებელია. იმ ვითარებაში, თუ მენარმე იქნებოდა ვალდებული – განსაზღვროს პროდუქტის შემძენი სამენარმეო საქმიანობის განმხორციელებელი პირია თუ არა, რის შედეგადაც მან აუცილებლად უნდა გასცეს სასაქონლო ზედნადები, აღნიშნული სამართლებრივი ტვირთი პრაქტიკულად გამოიწვევდა მენარმეების, განსაკუთრებით კი მცირე მენარმეების სამენარმეო საქმიანობის სრულ პარალიზებას, რადგან საქონლის გამყიდველს ფაქტიურად დაეკისრებოდა ყოველი შემძენის მიმართ დაკვირვების, ფაქტების შეგ-

როვების და სამართლებრივი შეფასების მოხდენის ვალდებულება, რაც პრაქტიკულად სრულებით არაგონივრული იქნებოდა. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ამგვარი სამართლებრივი მიდგომა – სრულმასშტაბიანი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვალდებულების მენარმეზე დაკისრება არარაციონალურია, აზრს უკარგავს საგადასახადო ბიუროკრატიის და შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამართულად ფუნქციონირებისათვის სოლიდური სახელმწიფო სახსრების გადებას, რომელიც ისევ გადასახადის (მათ შორის, მენარმეთა) გადამხდელთა შენატანების მეშვეობით ხორციელდება.

საგადასახადო ადმინისტრირების სამართლებრივი ბუნების რთული შემადგენლობის გათვალისწინებით, კანონმდებელს არ მოუხდენია ამ ფუნქციის შესრულების მენარმე სუბიექტებზე დელეგირება. სავსებით ლოგიკურად, კანონით განერილია საგადასახადო ადმინისტრირების განმხორციელებელი საგადასახადო მოხელეების კომპეტენცია საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისთვის საჭირო პროცედურული მოქმედებების წესების, ფორმებისა და საშუალებების გამოყენების თაობაზე, კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 286.1 ნაწილით განსაზღვრული სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით ამავე მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად: „საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომელს უფლება აქვს, გააჩეროს პირი და სატრანსპორტო საშუალება, მოსთხოვოს მას პირადობის დამადასტურებელი საბუთი, სატრანსპორტო საშუალებისა და საქონლის თანმხლები საბუთები, მოახდინოს სატრანსპორტო საშუალების ვიზუალური დათვალიერება. შესაბამისი პირისა და სატრანსპორტო საშუალების მძღოლის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომელს უფლება აქვს, გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები“. საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ადგენს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს. აღნიშნული ნორმის დანაწესი ცალსახად ადასტურებს, საგადასახადო წესრიგის უზრუნველსაყოფად რამდენად ფართოა მოხელის კომპეტენციის და ფაქტობრივ გარემოებათა გამოკვლევის, შეფასებისა და დადგენის დიაპაზონი.

საკასაციო სასამართლო „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმღინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამონერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნ-

ველყოფის ღონისძიების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების ნესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების 72.1 მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 136-ე, 286-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ საქონლის მიწიდებელს (გამყიდველს) სასაქონლო ზედნადების გამოწერის ვალდებულება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზედნადებს მოითხოვს საქონლის მიმღები (მყიდველი) ან იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის გადაცემა ხდება სხვა პირისათვის დისტრიბუციისათვის.

საკასაციო სასამართლო იზიარებს, სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა რაოდენობის პური შეიძინა ო. დ-ემ ი/მ „ლ.ჩ-ის“ კუთვნილ საცხობში, მას არ ევალებოდა ო. დ-ის მიმართ სასაქონლო ზედნადების გამოწერა, ხოლო ო. დ-ეს ამ სასაქონლო ზედნადების თან ქონა, ვინაიდან, ო. დ-ე არ წარმოადგენდა ი/მ „ლ.ჩ-ის“ დისტრიბუტორს და ვერ გაიზიარებს კასატორების მოსაზრებას იმასთან მიმართებაში, რომ ო. დ-ე წარმოადგენდა ი/მ „ლ.ჩ-ის“ დისტრიბუტორს და დადასტურებულად მიაჩნია, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ ო. დ-ე არ წარმოადგენდა ი/მ „ლ.ჩ-ის“ დისტრიბუტორს. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ ფაქტის დამტკიცების ტვირთი სადაც აქტების გამომიცემ ადმინისტრაციულ ორგანოთა საპროცესო მოვალეობას განეკუთვნება.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულთან მიმართებაში განმარტავს, რომ ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარეულ იურიდიულ შედეგს.

საქმის გარემოებების გამორკვევა და ფაქტების დადგენა მართლმსაჯულების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს, სწორედ დადგენილი ფაქტების საფუძველზე ხდება ნორმათშეფარდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინე-

ბით სრულად გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში. აღნიშნული პრინციპის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნას ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნას დადასტურებული ეს ფაქტები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლები).

ადმინისტრაციული სამართალწარმოების უმნიშვნელოვანები პრინციპი – ოფიციალობის პრინციპი განსაზღვრავს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების როლს. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისგან სასამართლო პროცესუალური აქტივობის ცენტრში იმყოფება, ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში სასამართლოს აკისრებს საპროცესო სამართალუროთიერთობაში მხარეთა საპროცესო უფლებებში ბალანსის მიღწევისთვის აუცილებელ საპროცესო მოქმედებების შესრულებას.

ოფიციალობის პრინციპზე დაყრდნობით სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 4); სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 19).

ადმინისტრაციული სასამართლოს ეს უფლებამოსილება კანონმდებლის მიერ განმტკიცებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლში ადმინისტრაციულ ორგანოთა ვალდებულების დადგენით, წარუდგინოს სასამართლოს საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

სასამართლოს უფლებამოსილება – თავისი ინიციატივით მოიპოვოს მტკიცებულებები ან ინფორმაცია, ნიშნავს, რომ სასამართლომ უნდა განსაზღვროს შემთხვევები, როდესაც საფრთხე ემუქრება მართლმსაჯულების ძირითად პრინციპს – მხარეთა თანასწორობის /ანუ თანაბარი შესაძლებლობა – დაიცვან თავიანთი უფლებები/ რეალიზაციას საჯარო სამართლებრივი დაების მონაწილეთა სუბორდინაციული მდგომარეობიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს საქართველოს უზე-

ნაესი სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინებაში / საქმეზე ზ. 6-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის – თბილისის საპატრულო პოლიციის მიმართ / ჩამოყალიბებულ სამართლებრივ დასკვნებს და განმარტებებს და კვლავაც იზიარებს მას: „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის I პუნქტის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია დასაბუთოს თვითი სარჩელი, ნარადგინოს თავისი შესაგებელი და შესაბამისი მტკიცებულებები. მითითებული დებულება ადგენს მხარეთა საპროცესო მოვალეობებს ადმინისტრაციულ სამართლნარმოებაში, რაც უზრუნველყოფს მხარეთა შეჯიბრებითობს პრინციპის სრულყოფილ რეალიზაციას. აქვე, კანონი ადგენს საგამონაკლისო შემთხვევას, კერძოდ, როცა დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლზომიერების შემოწმება, მტკიცების ტვირთი გადადის აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოზე – მოპასუხე სუბიექტზე. საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ დამტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილება აქტთან დაკავშირებულ სარჩელის წარდგენისას არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ მოსარჩელე საერთოდ თავისუფლდება სარჩელის დასაბუთების ვალდებულებისაგან, ანუ იმ გარემოებების შესაბამის მტკიცებულებებით დადასტურების მოვალეობისგან, რითაც მისი მოთხოვნა ფაქტობრივად და იურიდიულად გამართლებული აღმოჩნდება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით დადგენილი პირობა სწორედ ამგვარად უნდა იქნეს გაგებული, რამდენადაც სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას აქტის გამომცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერების დამტკიცება სასამართლოს წინაშე, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ვალდებულებას და სამართლებრივ პასუხისმგებლობას აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით, შესაბამისად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლით სადავო აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთისგან ათავისუფლებს მოსარჩელეს და ავალდებულებს მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დამტკიცოს, რომ მან უზრუნველყო მის მიერ გამოცემული გადაწყვეტილების კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად მომზადება, მიღება, გამო-

ცემა.

საკასაციონ სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით ადმინისტრაციულ ორგანოს ევალება დაამტკიცოს სწორედ სადაცო აქტის სამართლებრივი მხარე, რადგან მატერიალურ-სამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით მას აქტს საჯარო-სამართლებრივი ვალდებულება თავისი გადაწყვეტილება, ყოველგვარი გასაჩივრების პრეზუმუციის გარეშეც, მიიღოს მხოლოდ კანონის შესაბამისად, ამდენად სავსებით ლოგიკურია მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციულ ორგანოზე დაკისრება”.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კვლავაც ადასტურებს ზემომითითებულ განჩინებაში ჩამოყალიბებულ სასამართლო შეფასებებს და დასკვნებს, თუმცა, წინამდებარე საქმის გარემოებები დამატებით საჭიროებს მტკიცების ტვირთის გადანაწილების თავისებურებების განმარტებას, კერძოდ, განსახილველ შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის პრევენციის დეპარტამენტის მონიტორინგის თანამშრომელმა დააჯარიმა ი/მ „ლ.ჩ-ი“ სასაქონლო ზედნადების არ ქონის გამო, შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანო იყო ვალდებული წარმოედგინა შესაბამისი უტყუარი მტკიცებულებაც იმისა, რომ ი. დენამდვილად იყო ი/მ „ლ.ჩ-ის“ წარმომადგენელი.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და სსიპ შემოსავლების შემოსავლების სამსახურმა საქმის განხილვისას ვერ წარუდგინეს სასამართლოს შესაბამისი სახისა და შინაარსის მტკიცებულებები იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ ი. დ-ე ი/მ „ლ.ჩ-ის“ კუთვნილ საცხობში პურს ყიდულობდა 00,45 თეთრად, ხოლო ჩეკში მიეთითებოდა სხვა თანხა და ამასთან, ვერც ის გარემოება დაამტკიცეს, რომ ი. დ-ე იყო ი/მ „ლ.ჩ-ის“ დისტრიბუტორი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საგადასახადო ორგანოებმა საქონლის გამყიდველი, ი/მ „ლ.ჩ-ს“, რომელიც დაჯარიმდა საგადასახადო კოდექსის 286.1. მუხლის I შემთხვევის – სამენარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების საფუძვლით, არასწორად შეეფარდა სანქცია, შესაბამისი ფაქტობრივი გარემოების დაუმტკიცებლობის პირობებში იგი, საქონლის გამყიდველი ვერ იქნება მიჩნეული მითითებული ნორმით გათვალისწინებული ქმედების სუბიექტად, შესაბამისად, სადაცო აქტები, როგორც კანონსაწინააღმდეგო, მართებულად იქნა ცნობილი ბათილად ქვემდგომი სასამართლოს

მიერ.

საკასაციონ სასამართლო შეფასებას აძლევს რა ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოების გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების – შემოსავ-ლების სამსახურის 2012 წლის 25 ივნისის №10420 ბრძანების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული და-ვების განხილვის საბჭოს 2012 წლის 16 ივლისის №03/52517 გა-დაწყვეტილების ვანონიერებას, განმარტავს, ზემდგომი ადმი-ნისტრაციული ორგანოების ვალდებულება – ჩატარონ ადმი-ნისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება, სრულფასოვნად, საქმის გარემოებათა ობიექტური გამოკვლევისა და შეფასების შედეგად მიუკერძოებლად და კა-ნონიერად გადაწყვიტონ დავა, ემსახურება სამართლებრივი სა-ხელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ მოთ-ხოვნას პროცედურული დემოკრატიის უზრუნველყოფის შესა-ხებ, რომლის ხარისხი თავის მხრივ, უზრუნველყოფს სახელ-მწიფოს ქვეშევრდომების კანონიერ მოლოდინს – ადმინისტრა-ციული ორგანოს მიერ მმართველობის განხორციელება კანო-ნიერების პრინციპის საფუძველზე. პროცედურული მოქმედე-ბების ჩატარების ვალდებულება ემსახურება კერძო ინტერე-სის – ადამიანის უფლების მაქსიმალური დაცვის უზრუნველ-ყოფას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 297-ე მუხლით გან-საზღვრულია საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოები, ხოლო 298-ე მუხლში ჩატარებული მოქმედებების პრინციპები, კერძოდ, დავის განმხილველი ორგანო საჩივრის განხილვისას ხელმძღვანელობს სამართლიანობის, ობიექტუ-რობის, მხარეთა თანასწორობისა და მიუკერძოებლობის პრინ-ციპებით.

საკასაციონ სასამართლოს მიაჩნია, რომ შემოსავლების სამ-სახურის მიერ უგულებელყოფილია ადმინისტრაციული და სა-გადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულების – საგადასახადო დავის განხილვა ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე, საქმის გარემოების ობიექტური გამოკვლევა, სამართლებრივი შეფასების მოხდენა, კანონიერი გადაწყვეტი-ლების გამოტანა, რაც ასევე ლახავს პირის კანონიერ მოლო-დინს, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსაგან კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც არ შეესაბამება მმართველობის კანონიერების სტანდარტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციონ სასამარ-თლოს მიაჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა სწორი შე-

ფასება მისცეს საქმის მასალებს, სადავო ურთიერთობის მომწერიგებულ ნორმატიულ ბაზას და კანონიერად და ობიექტურად გადაწყვიტეს დავ, შესაბამისად არ არსებობს საკასაციო საჩივრის და კმაყოფილების და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი წინაპირობები.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტიას გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრის და კმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორებს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურს საკასაციო სამართალწარმოებაზე სასამართლო ხარჯების სახით უნდა დაეკისროს 100-100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, სსსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 410-ე მუხლებით და

### **დადგინდება:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრები არ და კმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის განჩინება;

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროთ სასამართლო ხარჯების სახით 100-100 ლარის გადახდა;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. საგადასახადო მოთხოვნის აღიარებულ დავალიანებად ცნობა**

#### **განჩინება**

№ბს-195-193(ქ-12)

21 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე

**დავის საგანი:** საგადასახადო დავალიანების აღიარება, სა-  
გადასახადო დავალიანების გამო ქონებაზე ყადაღის დადება

#### **აღნერილობითი ნაწილი:**

თელავის რეგიონალური ცენტრის 25.12.09წ. №04/3318 ბრძა-  
ნებით აღიარებული საგადასახადო დავალიანების – 6741,71 ლა-  
რის დაუფარაობის გამო, საგადასახადო კოდექსის 87-ე მუხ-  
ლის საფუძველზე, ი.ფ.-ის ქონებას, რომელზედაც წარმოიშვა  
გირავნობის უფლება, დაედო ყადაღა. ბრძანების საფუძველზე  
06.01.10წ. შედგა მოვალის ქონების დაყადალების აქტი. ი. ფ-მა  
უარყო დავალიანების არსებობა და ბრძანება გაასაჩივრა ადმი-  
ნისტრაციული წესით. საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ პირნათ-  
ლად ასრულებდა გადასახადების გადახდას, მისთვის უცნობია  
დავალიანების წარმოშობის საფუძველი, შედარების აქტების მი-  
ხედვით მას არ ჰქონდა დავალიანება, 2008 წლის საანგარიშო  
პერიოდისათვის მის სახელზე ირიცხებოდა ზედმეტობა –  
1802,64 ლარის ოდენობით. შემოსავლების სამსახურის  
04.03.2010წ. №1107 ბრძანებით საჩივარი დაკამაყოფილდა ნაწი-  
ლობრივ, თელავის რეგიონალური ცენტრის დაევალა სადავო სა-  
კითხის დამატებითი შესწავლა და აღიარებული დავალიანების  
არარსებობის შემთხვევაში ქონებაზე ყადაღის დადების შესა-  
ხებ 25.12.09წ. №04/3318 ბრძანების გაუქმება. შემოსავლების  
სამსახურმა აღნიშნა, რომ თელავის რეგიონალური ცენტრის მი-  
ერ შემოსავლების სამსახურში ვერ იქნა წარმოდგენილი გადამ-  
ხდელის მიერ საგადასახადო დავალიანების აღიარების დამა-  
დასტურებელი მტკიცებულებები. საკითხის დამატებითი შეს-  
წავლის შედეგად, თელავის რეგიონალური ცენტრის  
26.03.2010წ. №05/1073 ბრძანებით გადამხდელისათვის ჩაბარე-

ბული 05.05.056. №16 საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინაზე ქონების გადასახადში არსებული 2005 წლის საგადასახადო ვალდებულებები აღიარებულად იქნა მიჩნეული, რაც შეეხება 2007-2008-2009 წლების საგადასახადო ვალდებულებებს, ისინი აღიარებულად იქნენ მიჩნეული გადამხდელის მიერ წარდგენილი დეკლარაციების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, 25.12.096. №04/3318 ბრძანება არ დაექვემდებარა კორექტირებას. ამასთანავე, მომსახურების სამმართველოს დაევალა 01.08.066. №154 საგადასახადო მოთხოვნის დავალიანების დაზუსტება (საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარების დოკუმენტი ვერ იქნა მოძიებული) და შესაბამისი საფუძვლების გამოვლენის შემთხვევაში ადგინისტრაციულ სამმართველოს დაევალა 25.12.096. №04/3318 ბრძანების კორექტირება.

თელავის რეგიონალური ცენტრის 26.03.106. №05/1073 ბრძანებაზე ი.ფ-მა შეიტანა საჩივარი, რომელშიც აღნიშნა, რომ 01.08.066. №154 საგადასახადო მოთხოვნა გაუქმებულია თელავის რაიონული სასამართლოს 08.02.076. გადაწყვეტილებით, არ შესრულებულა სასამართლოს მითითებანი. მომჩივანმა აღნიშნა, რომ სასამართლოს დავალების საფუძველზე გამოცემული ბრძანება მას არ ჩაბარებია, რაც შეეხება 2007-2008-2009 წლებში დეკლარაციებით დავალიანებას, დეკლარაციებით განსაზღვრული გადასახადი გადახდილი აქვს, რაც 10.09.086. შედარების აქტით დასტურდება. საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ 2005 წლამდე წარმოშობილი დავალიანების შესახებ დაობდა სასამართლოს გზით და ამ დავაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

ი.ფ-ის საჩივარი თელავის რეგიონალური ცენტრის 26.03.20106. №05/1073 ბრძანებაზე არ იქნა განხილული შემოსავლების სამსახურის მიერ, სამსახურის 19.05.20106. №21-09/4190 წერილით საჩივრის ავტორს ეცნობა, რომ ვინაიდან რეგინალურ ცენტრის გასაჩივრებული ბრძანება გამოცემულია შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილების საფუძველზე, შემოსავლების სამსახური მოკლებულია საკითხის ხელმეორედ განხილვის შესაძლებლობას. ხსენებული წერილი ი.ფ-ის მიერ გასაჩივრდა დავების განხილვის საბჭოში. საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ საჩივრის საფუძველი სწორედ ის იყო, რომ თელავის რეგიონალური ცენტრის ბრძანება არ გამომდინარეობდა შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებიდან.

დავების განხილვის საბჭოს 02.08.20106. №838/2/10 გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. საბჭომ აღნიშნა,

რომ სასამართლოს 08.02.07წ. გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით თელავის რეგიონალურმა ცენტრმა გამოსცა ახალი, 23.07.2010წ. №48 საგადასახადო მოთხოვნა, რომლითაც 1478 ლარი არ იქნა მიჩნეული აღიარებულ საგადასახადო მოთხოვნად, შესაბამისად, რეგიონალური ცენტრის 23.07.10წ. №05/2575 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილებები 25.12.09წ. №04/3318 ბრძანებაში, შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება გავრცელდა მხოლოდ აღიარებულ საგადასახადო ვალდებულებაზე.

ი.ფ-მა სარჩელით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა: თელავის რეგიონალური ცენტრის 25.12.09წ. №04/3318 და 23.07.10წ. №05/2575 ბრძანებების და მის საფუძველზე შედგენილი აქტის, დავების განხილვის საბჭოს 02.08.2010წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სადავო თანხის – 6736,79 ლარის შემცირება 4784,79 ლარით.

თელავის რაიონული სასამართლოს 08.11.2010წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ქონებაზე ყადაღის დადება მოხდა აღიარებული საგადასახადო ვალდებულების ფარგლებში.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ი.ფ-ის მიერ. სააპელაციო სასამართლოს 07.07.2011წ. საოქმო განჩინებით თელავის რეგიონალური ცენტრის საპროცესო უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა სისპ შემოსავლების სამსახური.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 01.09.2011წ. განჩინებით ი.ფ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები. სასამართლომ მიუთითა, რომ თელავის რეგიონალური ცენტრის 05.05.05წ. №16 საგადასახადო მოთხოვნა ი.ფ-ს ჩაბარდა 13.07.05წ., საგადასახადო მოთხოვნა მას არ გაუსაჩივრებია. 28.03.06წ. ჩაბარებული თელავის რეგიონალური ცენტრის 16.02.06წ. №194 საგადასახადო მოთხოვნა ასევე არ გასაჩივრებულა მოსარჩელის მიერ. რაც შეეხება 2007-2008-2009 წლებზე დარიცხულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინაზე ქონების გადასახადში არსებული 2005 წლის საგადასახადო ვალდებულებები აღიარებულია 05.05.05წ. №16 საგადასახადო მოთხოვნის, ხოლო 2007-2008-2009 წ.წ. საგადასახადო ვალდებულებები აღიარებულია წარდგენილი დეკ-

ლარაციების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საგადასახადო ორგანოს, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მიზნით, უფლება ჰქონდა დაეყადალებინა ქონება.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება მის მიერ საგადასახადო ვალდებულების შესრულების და დავალიანების არარსებობის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა თელავის რეგიონალური ცენტრის 28.01.2010წ. №02/548 წერილზე, რომლითაც ი. ფ-ს ეცნობა, რომ მის მიერ 2005 წლის 01 იანვრიდან 2007 წლის 14 აგვისტომდე გადახდილი გადასახადებით დაიფარა 2005 წლის 1 იანვრამდე არსებული დავალიანება ანუ 2007 წლის 14 აგვისტომდე გადახდილი ყველა გადასახადი მიქცეულ იქნა მთლიანად 2005 წლის 1 იანვრამდე არსებული დავალიანების დასაფარავად, წარმოდგენილი არ იქნა 2005 წლის შემდეგ როგორც საგადასახადო მოთხოვნით, ასევე დეკლარაციების საფუძველზე წარმოშობილი დავალიანების დაფარვის რაიმე მტკიცებულება, რის გამო 24.12.09წ. მდგომარეობით მას ერიცხებოდა ბიუჯეტის დავალიანება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადში ძირითადი თანხის 4549 ლარის და საურავის – 2146,39 ლარის ოდენობით. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ 01.08.06წ. №154 საგადასახადო მოთხოვნის გადამხდელისათვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ იქნა მოძიებული, ამდენად, აღიარებულ საგადასახადო დავალიანებად მიჩნეულ იქნა მხოლოდ 05.05.05წ. №16 საგადასახადო მოთხოვნით დარიცხული და 2007-2009წწ.. წარდგენილი დეკლარაციების საფუძველზე წარმოშობილი დავალიანება. რაც შეეხება თელავის რეგიონალური ცენტრის 01.08.06წ. №154 საგადასახადო მოთხოვნას, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ თელავის რაიონული სასამართლოს 08.02.07წ. გადაწყვეტილებით 01.08.06წ. №154 საგადასახადო მოთხოვნა ბათილდა და იქნა ცნობილი, საგადასახადო ინსპექციას დაევალა საკითხის ხელახალი შესწავლა. შესწავლის შედეგად თელავის რეგიონალურმა ცენტრმა გამოსცა 22.07.2010წ. №03/2571 ბრძანება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი 01.0.06წ. №154 საგადასახადო მოთხოვნა, მომსახურების სამმართველოს დაევალა უზრუნველეყო ი.ფ-ისთვის საგადასახადო კოდექსის 281.21 მუხლის და „გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 151.3 მუხლის თანახმად, 14.08.07წ. მდგომარეობით საურავის ჩამოწერის შემდგომ ი.ფ-ზე რიცხულ დავალიანებაზე – 1478,42 ლარზე (ძირითადი თანხა – 747 ლარი, საურავი – 731,42 ლარი) „საგადასახადო მოთ-

ხოვნის“ წარდგენა. თელავის რეგიონალური ცენტრის 22.07.2010 წ. №03/2571 ბრძანების საფუძველზე ცენტრმა 23.07.2010 გამოსცა №48 ბრძანება ი.ფ-ისათვის 2006 წლის მიწის გადასახადში 1478,42 ლარის დარიცხვის თაობაზე. თელავის რეგიონალური ცენტრის 23.07.2010 წ. №05/2575 ბრძანებით ცვლილება შევიდა ცენტრის 25.12.09 წ. №04/3318 ბრძანებაში ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ და ოლიარებულ საგადასახადო დავალიანებად მიეთითა 5263,29 ლარი. აღნიშნულიდან გამომდიანრე, სააპელაციო პალატამ დასკვნა, რომ ცენტრის 01.08.06წ. №154 საგადასახადო მოთხოვნით დარიცხული თანხა არ არის საგადასახადო ორგანოს მიერ მიჩნეული აღიარებულ საგადასახადო დავალიანებად და ამ თანხის უზრუნველსაყოფად ქონებას არ დადებია ყადაღა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საგადასახადო კოდექსის 281.21 მუხლის თანახმად, აპელანტი 2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სრულად გათავისუფლდა გადასახადისაგან. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ 2005 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის მიწის ნაკვეთის ქონების გადასახადის ჩამონერა მოხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ამ ცვლილების შეტანამდე გადასახადის გადამხდელებს გააჩნდათ მიწის ნაკვეთების ქონების გადასახადის დავალიანება. პალატამ მიუთითა, რომ ი.ფ-ს 2005 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 14 აგვისტომდე (ანუ ცვლილების ამოქმედებამდე) გადახდილი გადასახადებით უკვე დაფარული იყო 2005 წლის 1 იანვრისთვის არსებული დავალიანება, შესაბამისად, ცვლილების შეტანის დროისთვის, სააპელაციო სასამართლოს აზრით, ი.ფ-ს აღარ გააჩნდა 2005 წლის მიწის ნაკვეთის ქონების გადასახადის დავალიანება, მას გააჩნდა 2005 წლის 1 იანვრის შემდგომ წარმოშობილი დავალიანება, რომლის ჩამონერაც ვერ მოხდებოდა საგადასახადო კოდექსში 11.07.07წ. შეტანილი ცვლილებებით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა ი.ფ-ის მიერ, რომელიც ითხოვს გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნებას. კასატორი აღნიშნავს, რომ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ 25.12.09წ. №04/3318 ბრძანებით დაყადალებულ იქნა ქონება, რისი საფუძველიც გახდა თელავის რეგიონალური ცენტრის მიერ დარიცხული დავალიანება 6736,79 ლარის ოდენობით. ამ დავალიანების უდიდესი ნაწილი, კერძოდ, 5729 ლარი (2674 ლ. ნარჩენი, 3055 ლ. საურავი), გამომდინარეობდა №154 საგადასახადო მოთხოვნიდან, რომელიც არ არის აღიარებული და ბათი-

ლად არის ცნობილი თელავის რაიონული სასამართლოს 08.02.07წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. ამ გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით თელავის რეგიონულმა ცენტრმა სამი წლის დაგვიანებით – 23.07.2010წ., დავის მიმდინარეობისას, გამოსცა ახალი №48 საგადასახადო მოთხოვნა, რომლითაც გადასახდელი თანხა განისაზღვრა 1478,42 ლარით ნაცვლად 5729 ლარისა. სხვაობა მოთხოვნებს შორის შეადგენს 4251,42 ლარს ( $5729 - 1478,42 = 4251,42$ ), რეგიონალურმა ცენტრმა აღიარებულ საგადასახადო დავალიანებად განუსაზღვრა – 5263,29 ლარი, ანუ 6741,71 ლარი შემცირდა 1478,21 ლარით, ნაცვლად 4251,42 ლარისა. კასატორი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხებ ვერ წარმოადგინა 2006 წლამდე დეკლარაციები. კასატორი თვლის აგრეთვე, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა საგადასახადო კოდექსის 281.21 მუხლი, არასწორია, რომ 281-ე მუხლში 11.07.07 წ. შეტანილი ცვლილებები მას არ უნდა შეხებოდა. ცვლილებების შესვლის მომენტში დაგაღიანება შეადგენდა 2545 ლარს, რისა ჩამოწერაც მოხდა 31.03.08წ. და ამის გამო 2008 წლის დასასრულისთვის დავალიანება განულებული იყო. დავალიანების ხელახლა წარმოშობა განაპირობა ფინანსთა მინისტრის 07.04.05წ. ბრძანებაში 27.06.08 წ. შეტანილმა ცვლილებამ, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის კოდექსთან. სწორედ ამ ცვლილების საფუძველზე მოხდა კანონიერად ჩამოწერილი თანხების ხელახლა დარიცხვა. საგადასახადო ორგანომ ისე მიანიჭა ფინანსთა მინისტრის 07.04.05წ. ბრძანებაში 27.06.08წ. ბრძანებით შესულ ცვლილებებს უკუქცევითი ძალა და უკანონოდ დარიცხული დავალიანებით ისე გააუარესა გადასახადის გადამხდელის მდგომარეობა, რომ ამის შესახებ ყადაღის დადგებამდე არაფერი იყო ცნობილი კასატორისთვის. სააპელაციო სასამართლომ არასწორად ჩათვალა დადგენილად, რომ №154 საგადასახადო მოთხოვნა 2006 წლის მიმდინარე გადასახადს და არა 2006 წლამდე არსებულ მთლიან დავალიანებას მოიცავდა. 2006 წლის მიმდინარე გადასახადი შეადგენდა სულ 1806 ლარს, რაც იყო მხოლოდ ძირითადი თანხა და რის შესახებაც კასატორს ეცნობა 10.05.06წ. №549 საგადასახადო მოთხოვნით. ამდენად, 01.08.06წ. №154 საგადასახადო მოთხოვნა მოიცავდა მთლიანად 2006 წლამდე არსებულ დავალიანებას, რაც არ იყო აღიარებული და თელავის რაიონული სასამართლოს მიერ 08.02.07წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი. კასატორი არ ეთანხმება აგრეთვე სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 2005 წლის შემდეგ საგადასახადო მოთხოვნის და დეკლარაციების საფუძველზე

წარმოშობილი დავალიანების დაფარვის შესახებ მტკიცებულება არ წარმოდგენილა. საქმეში დაცული დოკუმენტებით, მათ შორის შედარების აქტებით და სააღრიცხვო ბარათებით დგინდება საპირისპირო, ამის დასტურია 10.09.08წ. შედარების აქტი, რომლის მიხედვით 2008 წლის საანგარიშო პერიოდის დასასრულისთვის ჩვენ არ გვქონდა დაგალიანება.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორმა და მისმა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს. მოწინააღმდეგ მხარემ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს და შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა საკასაციო საჩივარის საფუძვლები არ ცნეს და მოითხოვეს საკასაციო საჩივარის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, სააპელაციო სასამართლოს განჩინების უცვლელად დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების და საკასაციო საჩივარის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ი.ფ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

ქონებაზე ყადაღის დადება საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ღონისძიებაა. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები მიზნად ისახავენ პირის მიერ საგადასახადო ვალდებულების სათანადოდ შესრულებას, აგრეთვე საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში არასასურველი შედეგების თავიდან აცილებას ან შემცირებას. 22.12.04წ. საგადასახადო კოდექსის 87-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ყადაღადადოს გადასახადის გადამხდელის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ ქონებას. გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადება უზღუდვავს მას ქონებრივ უფლებებს, ამდენად დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მითოება იმაზე, რომ სადაც აქტები არ ეხება მოსარჩელის უფლებებს და კანონიერ ინტერესს.

სააპელაციო პალატის მიერ საქმეზე დადგენილად არის ცნო-

ბილი, რომ ი.ფ-ის ქონებაზე ყადალის დადება მოხდა არა თელა-  
ვის რეგიონალური ცენტრის 01.08.066. №154 საგადასახადო  
მოთხოვნით დარიცხული დავალიანების უზრუნველსაყოფად,  
არამედ მხოლოდ 05.05.056. №16 საგადასახადო მოთხოვნით და-  
რიცხული და 2007-2009 წ.წ. წარდგენილი დეკლარაციების სა-  
ფუძველზე წარმოშობილი დავალიანების უზრუნველსაყოფად.  
სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია 05.05.056. №16 საგადა-  
სახადო მოთხოვნა აღიარებულ დავალიანებად, რომ არ დაუდ-  
გენია თუ რა პერიოდის დავალიანებას მოიცავდა 05.05.056. №16  
საგადასახადო მოთხოვნაში ასახული თანხა, სააპელაციო პა-  
ლატამ არ გაარკვია მოიცავდა თუ არა 01.08.066. №154 საგადა-  
სახადო მოთხოვნა მანამდე არსებულ დავალიანებას მთლიანად.  
აღნიშნულ გარემოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რამ-  
დენადაც საქმის მასალებით დასტურდება, რომ 01.08.066. №154  
საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობის მოთხოვნით ი.ფ-  
მა სარჩელით მიმართა სასამართლოს, თელავის რაიონული სა-  
სამართლოს 08.02.076. გადაწყვეტილებით 01.08.066. №154 სა-  
გადასახადო დავალიანება ბათილად იქნა ცნობილი, საგადასა-  
ხადო ინსპექციას, სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, საქმის  
გარემოებათა გამოკვლევის შედეგად ახალი ინდივიდუალური  
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.  
ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ სასამართლოს მი-  
ერ ადმინისტრაციული ორგანოსთვის დავალებული აქტის გა-  
მოცემა ქონებაზე ყადალის დადების შესახებ თელავის რეგიო-  
ნალური ცენტრის სადაცო 25.12.096. ბრძანების გამოცემამდე  
არ განხორციელებულა. თელავის რაიონული სასამართლოს კა-  
ნონიერ ძალაში შესული 08.02.076. გადაწყვეტილების აღსრუ-  
ლების მიზნით თელავის რეგიონალურმა ცენტრმა გამოსცა  
23.07.106. №15/2575 ბრძანება, რომლითაც ცვლილება იქნა შე-  
ტანილი ი.ფ-ის ქონებაზე ყადალის დადების შესახებ 25.12.096.  
№04/3318 ბრძანებაში, უზრუნველყოფის ღონისძიება გავ-  
რცელდა მხოლოდ აღიარებულ საგადასახადო ვალდებულება-  
ზე, აღიარებული საგადასახადო დავალიანება შემცირდა და გა-  
ნისაზღვრა 5263,29 ლარით. ამდენად, 01.08.066. №154 საგადა-  
სახადო მოთხოვნის ნაცვლად გამოიცა 23.07.106. №48 საგადა-  
სახადო მოთხოვნა, რომლითაც დავალიანების თანხა 1478,42  
ლარით განისაზღვრა. 23.07.106. საგადასახადო მოთხოვნა ასე-  
ვე გასაჩივრდა. ამდენად, არ დასტურდება დავალიანების აღი-  
არების ფაქტი. დავების განხილვის საბჭოს დავალების საფუძ-  
ველზე, თელავის რეგიონალური ცენტრის დასკვნის მიხედვით  
შედგენილი 10.09.086. შედარების აქტით დავალიანება არ არ-

სებობდა, გადასახადის გადამხდელს ერიცხებოდა ზედმეტობა. 22.12.04ნ. საგადასახადო კოდექსის 87-ე მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, ქონებაზე ყადაღის დადება იმ დავალიანებების აღსასრულებლად, რომელიც არ არის აღიარებული, საჭიროებდა საგადასახადო ორგანიზაციის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო დადასტურებას 72 საათის განმავლობაში, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ვინაიდან 01.08.06ნ. №154 საგადასახადო მოთხოვნაში მითითებული თანხები ი.ფ.-ის მიერ აღიარებული არ ყოფილა, ამდენად, დავის კანონიერი გადაწყვეტა საჭიროებდა 01.08.06ნ. №154 საგადასახადო მოთხოვნაში ასახული საგადასახადო დავალიანების პერიოდის დადგენას, უკეთუ აღნიშნული საგადასახადო მოთხოვნა მოიცავდა 2006 წლამდე არსებულ მთელ პერიოდს, კერძოდ, 05.05.05ნ. №16 საგადასახადო მოთხოვნით გათვალისწინებულ დავალიანებას, შესაბამისად, საფუძველს არის მოკლებული ქონებაზე ყადაღის დადება. ხსენებული გარემოების გარკვევა მით უფრო საჭიროა იმის გათვალისწინებით, რომ 01.08.06ნ. №154 საგადასახადო მოთხოვნა შეიცავს არა მხოლოდ გადასახადის ძირითად თანხას, არამედ აგრეთვე საურავს, რომელიც აღემატება ძირითად თანხას მაშინ, როდესაც იმ დროს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 273-ე, 274-ე მუხლების თანახმად მიწაზე ქონების გადასახადი გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის შედეგებზე არ იყო დამოკიდებული და ქონების გადასახადის საგადასახადო პერიოდად ითვლებოდა კალენდარული წელი, დადგენილი იყო წლიური გადასახადი ფართობის ერთეულზე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისა და მიწის ხარისხის მიხედვით, საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლი საგადასახადო ორგანოებს განუსაზღვრავდა მიწაზე დარიცხული ქონების გადასახადის შესახებ „საგადასახადო მოთხოვნის“ გადამხდელისათვის ჩაბარებას, გადასახადის გამოანგარიშებისათვის საჭირო ინფორმაციის ჩვენებით, საანგარიშო წლის 1 ივნისამდე. საგულისმოა აგრეთვე, რომ 01.08.2006ნ. №154 საგადასახადო მოთხოვნის შედეგენამდე თელავის რეგიონული ცენტრის მიერ 16.02.06ნ. უკვე შედგენილი იყო წლიური გადასახადის №194 საგადასახადო მოთხოვნა. ის გარემოება, რომ თელავის რაიონული სასამართლოს 08.02.07ნ. №3/77 გადაწყვეტილებით ბათილად ცნობილი თელავის რეგიონული ცენტრის 01.08.06ნ. №154 საგადასახადო მოთხოვნა არ მოიცავდა მხოლოდ ერთი წლის გადასახადს დასტურდება აგრეთვე, თელავის რაიონული სასამართლოს 08.02.07ნ. გადაწყვეტილებით, ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად გამოცემული თელავის რეგიონალური

ცენტრის 22.07.2010წ. №03/2541 ბრძანების შინაარსით, რომლის თანახმად დავალიანების (1478,42 ლ.) გამოანგარიშებას საფუძვლად დაედო 2000 წლიდან არსებული პერიოდის დავალიანები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით არ დასტურდება, რომ 01.08.06წ. საგადასახადო მოთხოვნაში მითითებული თანხები მოიცავდა მხოლოდ 2006 საგადასახადო წლის გადასახადს. ამდენად, არ არის დასაბუთებული სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება გადასახადის გადამხდელის მიერ 05.05.05წ. №16 საგადასახადო მოთხოვნის აღიარების და შესაბამისად, 05.05.05წ. №16 საგადასახადო მოთხოვნაში ასახული დავალიანებიდან აუღლიარებელი 1478.42 ლარის გაკლებით, აღიარებულ საგადასახადო დავალიანებად 5263,29 ლარის ოდენობის დავალიანების მიჩნევა (რეგიონალური ცენტრის 23.07.10წ. №05/2575 ბრძანება). მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ 2005 წლის 1 იანვრამდე ფიზიკურ პირებს, მათ შორის ი.ფ-ს, საგადასახადო კანონმდებლობით შეუწყდათ მინაზე ქონების გადასახადის გადახდის ვალდებულება, დაგალიანების ჩამოწერის გამო არ აქვს მნიშვნელობა გადამხდელის მიერ ასეთი დავალიანების აღიარებას. ამდენად, 05.05.05წ. №16 საგადასახადო მოთხოვნით 2005 წლის 1 იანვრამდე არსებული დავალიანების ასახვის შემთხვევაში, არ აქვს მნიშვნელობა მის აღიარებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქონებაზე ყადალის დადების უპირველესი წინაპირობაა აღიარებული საგადასახადო მოთხოვნა. ამ უკანასკნელის ლეგალურ დეფინიციას 22.12.04წ. საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის 23-ე ნაწილი შეიცავს. აღნიშნული ნორმის თანახმად, აღიარებული საგადასახადო მოთხოვნა შესაძლოა წარმოიშვას სამ შემთხვევაში: ვალდებული პირის მიერ წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე, რადროსაც საჭირო აღარ არის საგადასახადო მოთხოვნის წარდგენა; საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც გადასახადის გადამხდელი ეთანხმება ან რომლის გასაჩივრების ვადაც გასულია ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. დავების განხილვის საბჭოს 02.08.2010წ. გადაწყვეტილების მიხედვით, ქონებაზე ყადალის დადებას საფუძვლად დაედო აღიარებული საგადასახადო დავალიანება, კერძოდ, დავების განხილვის საბჭოს 02.08.2010წ. გადაწყვეტილების მიხედვით 01.01.2005წ. მდგომარეობით გადამხდელს პირად ბარათზე ერიცხებოდა დავალიანება, თანხის ნაწილი ჩამოიწერა საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-15 და 21-ე ნაწილების საფუძველზე, ხოლო ნაწილი დაიფარა 2005 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 14 აგვისტომდე მოსარჩელის მიერ გადახდილი თან-

ხებით. შემოსავლების სამსახურის დავალების შესაბამისად, ინ-სპექციაში არსებულ მასალებზე დაყრდნობით, თელავის რეგი-ონალური ცენტრის მიერ მომზადებული დასკვნით ირკვევა, რომ გადამხდელს 2005 წლის 1 იანვრისთვის ერიცხებოდა ვადაგა-დაცილებული დავალიანება მიწაზე ქონების გადასახადში, ძი-რითადი – 2545 ლარი, საურავი – 2762,78 ლარი, სულ 5307,78 ლარის ოდენობით. დასკვნის მიხედვით, ამ დავალიანების ჩა-მონაბრა განხორციელდა საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხ-ლის 21-ე ნაწილის თანახმად, რამაც განაპირობა გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე გადახდილი თანხების ზედმეტო-ბის წარმოშობა. საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის 21-ე ნაწილის მიხედვით, მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირებს და ადგილობრივ თვითმმართველობასა და მმართველობას შეუწყდათ საგადასახადო ვალდებულებები 2005 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის მინის ნაკვეთებს მი-ხედვით გაანგარიშებულ ქონების გადასახადის ვადაგადაცილე-ბულ დავალიანებათა თანხებზე და მათზე დარიცხულ სანქცი-ებზე, საგადასახადო ორგანოებს აღნიშნულ დავალიანებათა (მათ შორის საურავების) ჩამონერის განხორციელება დაევალათ გადამხდელის პირად ბარათზე ასახვით. საქართველოს ფინან-სთა მინისტრის 07.04.05წ. №208 ბრძანებით დამტკიცებული „გა-დამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ ინსტრუქციაში მინისტრის 27.06.08წ. №566 ბრძანე-ბით შეტანილი ცვლილებების თანახმად, მნიშვნელობა ენიჭება საგადასახადო ვალდებულების წარმოქმნის და საგადასახადო ვალდებულების დაფარვის თარიღს, საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის 21-ე ნაწილის ამოქმედებამდე (2007 წლის 11 ივ-ლისამდე) მიწაზე ქონების გადასახადში არსებული დავალია-ნების დაფარვის შემთხვევაში დავალიანება დაფარულად ჩა-ითვლება, ხოლო აღნიშნული მუხლის ამოქმედების ანუ ჩამო-ნერის ვალდებულების წარმოქმნის შემდეგ გადახდილი გადა-სახადის თანხა ჩაითვლება ზედმეტად გადახდილად. თელავის რეგიონალური ცენტრის დასკვნის, აგრეთვე თელავის რეგიო-ნალური ცენტრის 22.07.2010წ. №03/2571 ბრძანების თანახმად, აღნიშნული მუხლისა და ხელახალი გადაანგარიშების საფუძ-ველზე 2005 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 14 აგვისტომდე გა-დამხდელის მიერ გადახდილი გადასახადებით დაიფარა 2005 წლის 1 იანვრისთვის არსებული დავალიანება, რის გამო დას-კვნის თანახმად 24.12.09წ. მდგომარეობით გადამხდელს ერიც-ხებოდა ბიუჯეტის დავალიანება მინის გადასახადში 4549 ლა-რი, საურავი 2146,39 ლარი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ

დავალიანების ჩამოწერის შემდგომ საგადასახადო დავალიანება ი.ფ-ს არ გააჩნდა, დავალიანების ჩამოწერა გულისხმობდა მის სრულ გაუქმებას (ძირითადი თანხა და საურავი) და არა გადახდის ვალდებულების შეჩერებას ან გადავადებას. ამდენად, დავალიანების აღდგენა მის ხელახალ დარიცხვას ნიშნავს, რის გამოც საჭირო იყო საგადასახადო მოთხოვნის წარდგენა, რაც შემოსავლების სამსახურის მხრიდან არ განხორციელებულა. ასეთად ვერ იქნება მიჩნეული თელავის რეგიონალური ცენტრის 28.01.2010წ. №02/548 წერილი, რომლითაც ქონებაზე ყადალის დადების შემდგომ ი.ფ-ს ეცნობა, რომ მის მიერ 2005 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 14 აგვისტომდე გადახდილი გადასახადებით დაიფარა 2005 წლის 1 იანვრისთვის არსებული დავალიანება. გადასახადის გადამხდელს ი.ფ-ს არ ჰქონდა ინფორმაცია პირადი აღრიცხვის ბარათზე დავალიანების ხელახლა დარიცხვის თაობაზე. ცხადია მოსარჩელეს არ შეეძლო ეგრძაუდა, რომ ჩამოწერილი დავალიანება შეტყობინების გარეშე აღდგებოდა და 2005 წლის შემდეგ გადახდილი თანხები ჩაითვლებოდა ჩამოწერილი გადასახადის დავალიანების დაფარვაში, რომლის უზრუნველსაყოფად მის ქონებას დაედებოდა ყადალა. ამდენად, 2005 წლის შემდეგ წარდგენილი დეკლარაციებით განსაზღვრული გადასახადის ი.ფ-ის მიერ გადახდა დასტურდება 10.09.08წ. შედარების აქტით, რომლის თანახმად, ი.ფ-ს ერიცხება ზედმეტობა მინის გადასახადში. ამდენად, დაუსაბუთებელია მოსაზრება აღიარებული საგადასახადო მოთხოვნის 2007-2008-2009 წ.წ. დეკლარაციების საფუძველზე წარმოშობის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლოს მითითება იმაზე, რომ ი.ფ-ს არ გაუსაჩივრებია 13.07.05წ. მისთვის ჩაბარებული 05.05.05წ. №16 და 28.03.06წ. ჩაბარებული 16.02.06წ. №194 საგადასახადო მოთხოვნები, აგრეთვე 2007-2008-2009 წ.წ. წარდგენილი დეკლარაციების საფუძველზე დავალიანების წარმოშობა, არ ადასტურებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. ვინაიდან დავალიანების უზრუნველსაყოფად ყადალის გამოყენების სავალდებულო პირობა იყო აღიარებული საგადასახადო მოთხოვნა, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ იკვეთება ქონებაზე ყადალის დადების საფუძველი ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სრულად არ არის გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, საპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს, რის გამოც იგი უნდა გაუქ-

მდეს და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. ფ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.09.11წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. ცრუმაგივე პირებად აღიარების პირობები

### განჩინება

№ბს-103-96(ქ-13)

3 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სიირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ცრუმაგივე პირებად აღიარება

#### აღნერილობითი ნაწილი:

2012 წლის 27 ივლისს სსიპ შემოსავლების სამსახურმა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ. განმცხადებელმა ა. ჯ-ის საკუთრებაში არსებულ მოძრავ ქონებაზე და წილებზე სანარმოებში: შპს „...“, შპს „ს...“, შპს „გ...“ და შპს „ო...“ ყადალის დადება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 ივლისის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა და ყადალა დაედო ა. ჯ-ის საკუთრებაში არსებულ მოძრავ ქონებას და წილებს სანარმოებში: შპს „...“, შპს „ს...“, შპს „გ...“, შპს „ო...“.

2012 წლის 1 აგვისტოს სსიპ შემოსავლების სამსახურმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – შპს „...“ და ა. ჯ-ის მიმართ, მოპასუხეების ერთმანეთის ცრუმაგივე პირებად აღიარების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2012 წლის 13 ივლისს შპს „...“ დირექტორმა – დ. შ-ემ განცხადებით მიმართა სსიპ შემოსავლების სამსახურს და კომპანიაში საგადასახადო შემოწმების ჩატარება მოითხოვა. დ. შ-ემ განცხადებაში განმარტა, რომ კომპანიას დაფუძნებიდან 2009 წლის 1 სექტემბრამდე ხელმძღვანელობდა სხვა პირი, კერძოდ – ა. ჯ-ე. დ. შ-ე თავის განცხადებაში აცხადებდა, რომ მან, როგორც ახალმა დირექტორმა, მო-

იწვია აუდიტორული კომპანია, რომელმაც შეისწავლა საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, რის შედეგადაც გამოვლინდა სალაროს ნაშთების შეუსაბამობა, კერძოდ, გაირკვა რომ 2008 წლის სექტემბერში ა. ჯ-ის, როგორც კომპანიის დირექტორის, რნმუნებითა და დავალებით საწარმოს საბანკო ანგარიშიდან მოიხსნა მნიშვნელოვანი თანხა – 1 200 000 ლარი, რომელიც კომპანიაში არ შესულა და სალაროზე პასუხისმგებელ პირს არ ჩაბარებია. აღნიშნული თანხა დღემდე ყოფილი დირექტორის ა. ჯ-ის განკარგულებაში რჩებოდა. სსპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მიერ დაინიშნა გასვლითი საგადასახადო შემოწმება, რომლის შესახებ კომპანიას გაეგზავნა 2012 წლის 19 ივლისის №21-14/52018 საგადასახადო შეტყობინება. 2012 წლის 18 ივლისს შპს „...“ დირექტორმა დ. შ-ემ სსიპ შემოსავლების სამსახურს წარუდგინა დაზუსტებული დეკლარაციები, რომელთა საფუძველზეც შპს „...“ საშემოსავლო გადასახადში დაერიცხა – 523 367.02 ლარი, მათ შორის ძირითადი – 374 444.23 ლარი და საურავი 148 922.79 ლარი; შპს „...“ სულ ბიუჯეტის მიმართ ერიცხებოდა დავალიანება – 684 137.63 ლარი, მათ შორის ძირითადი – 483 660.28 ლარი, საურავი – 199 639.48 ლარი და ზედმეტობა – 837.87 ლარი.

მოსარჩელის მითითებით, შპს „...“ (ს/წ ....) დაფუძნდა 2008 წლის 27 მარტს ა. ჯ-ის და ზ. მ-ის მიერ. დირექტორად დაინიშნა ა. ჯ-ე, რომელიც მართავდა საწარმოს დაფუძნებიდან 2009 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით. 2009 წლის 31 აგვისტოს №20366/001 ბრძანების საფუძველზე, შპს „...“ დირექტორად დაინიშნა დ. შ-ე. სამენარმეო რეესტრის 2010 წლის 21 აპრილის ამონანერის შესაბამისად, საწარმოს პარტნიორებს წარმოადგენდნენ – ა. ჯ-ე (11.5%), ზ. მ-ი (11.5%), შპს „გ...“ (2%) და შპს „ს...“ (75%).

მოსარჩელის განმარტებით, 2008 წლის სექტემბერში შპს „...“ დირექტორის ა. ჯ-ის დავალებით ლ. ნ-ემ (დისტრიბუციის უფროსი) საწარმოს საბანკო ანგარიშიდან ჯამურად გაიტანა თანხა – 1 200 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა კომპანიის საჭიროებისათვის არ გამოყენებულა და კომპანიისათვის არც დაბრუნებულა. ფაქტობრივად საწარმომ თანხა გასცა დირექტორ – ა. ჯ-ეზე, რომელსაც ამ თანხით კომპანიისათვის სასარგებლო რაიმე სამეურნეო ოპერაცია არ განუხორციელებია, ხოლო კომპანიას არანაირი ქმედითი ღონისძიებისათვის არ მიუმართავს გატანილი თანხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად. საწარმოს არც ა. ჯ-ისთვის მიუმართავს აღნიშნულის მოთხოვნით და არც კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება გამოუყენებია.

მოსარჩელის მოსაზრებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, ა. ჯ-ე და შპს „....“ ურთიერთდამოკიდებულ პირებს წარმოადგენენ. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო დაადგენდა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისგან და ეს პირი გამოყენებული იყო გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ორნიშნული სამინისტროს მიზნით, ითვლებოდა, რომ აღნიშნული პირები ერთიმეორის ცრუმაგიერი პირები იყვნენ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლება ჰქონდა, ცრუმაგიერი პირის მიმართ განეხორციელებინა საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ორნიშნული სამინისტროს მიზნით.

მოსარჩელის მოსაზრებით, საგადასახადო მიზნებისათვის შპს „....“ და ა. ჯ-ე აღნიშნული ოპერაციის ფარგლებში საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის შესაბამისად, ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებს წარმოადგენდნენ. მათ შორის განხორციელებული ოპერაცია შედეგობრივად მიმართული იყო სანარმოდან მნიშვნელოვანი ფულადი რესურსების გარიდების გზით კუთვნილი საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობისაკენ და გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ორნიშნული სამინისტროს მიზნით.

ამდენად, მოსარჩელემ შპს „....“ და ა. ჯ-ის ერთიმეორის ცრუმაგიერ პირებად აღიარება მოითხოვა.

2012 წლის 9 აგვისტოს სსიპ შემოსავლების სამსახურმა დაზუსტებული სარჩელი წარადგინა საქალაქო სასამართლოში და მოპასუხებად – შპს „....“, ა. ჯ-ე, კ. ხ-ა და შპს „ლ...“ მიუთითა. მოსარჩელემ მოპასუხების ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად ცნობა და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით შპს „....“ სიხშირული რესურსით სარგებლობის უფლებაზე ყადაღის დადება მოითხოვა.

მოსარჩელის მითითებით, ა. ჯ-ე 2008 წლის 21 აპრილიდან იყო შპს „....“ (ს/ნ ...) ერთადერთი დამფუძნებელი (100%-იანი წილის მფლობელი). მას შემდეგ, რაც ა. ჯ-ემ შპს „....“ გაიტანა თანხა – 1 200 000 ლარის ოდენობით და წარმოეშვა ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ, მან გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ორნიშნული სამინისტროს მიზნით შპს „....“ მის საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი გადასცა კ. ხ-ას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ა. ჯ-ის

მიერ გაცემულ იქნა მინდობილობა კ. ხ-აზე, რათა მას თავის თავზე გადაეფორმებინა შპს „ლ...“ 100%-იანი წილი.

მოსარჩელის მოსაზრებით, მოპასუხეები – შპს „...“ (ს/ნ ...), ა. ჯ-ე (პ/ნ ...), კ. ხ-ა (პ/ნ ...) და შპს „ლ...“ (ს/ნ ...) წარმოადგენენ ერთმანეთის ურთიერთდამოკიდებულ პირებს, გამომდინარე იქიდან, რომ შპს „...“ და ა. ჯ-ე მოქმედებდნენ საერთო მიზნით – გაერიდებინათ ფულადი საშუალებები საწარმოდან და ამავ-დროულად თავი აერიდებინათ, როგორც ბიუჯეტის წინაშე წარმომობილი ვალდებულებებისთვის, ასევე მოსალოდნელი უზ-რუნველყოფის ღონისძიებებისთვის.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, ა. ჯ-ე, შპს „ლ...“ და კ. ხ-ა წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს, ვინაიდან, ა. ჯ-ის მიერ გაცემულ იქნა მინდობილობა კ. ხ-აზე, რომელსაც მინდობილობით ევალებოდა განეკარგა საწარმოს ქონება. საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის შესაბამისად, ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებოდნენ ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობას შეიძლება გავლენა მოეხდინა მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნებოდა ურთიერთობები, რომელთა დროსაც ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებდა მეორე პირს. ა. ჯ-ემ კ. ხ-ას მეშვეობით გაარიდა არამატერიალური ქონება თავისი საკუთრებიდან (წილის გადამალვა) და ამ გზით თავი აარიდა შპს „...“ თანხის გატანით მიღებული შემოსავლის დაბეგვრის შემთხვევაში შესასრულებელ საგადასახადო ვალდებულებას და მოსალოდნელი გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ – შპს „...“ (ს/ნ ...), ა. ჯ-ის (პ/ნ ...), კ. ხ-ას (პ/ნ ...) და შპს „ლ...“ (ს/ნ ...) ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად აღიარება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 10 აგვისტოს განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო მოპასუხის – შპს „ლ...“ სიხშირული რესურსით სარგებლობის უფლებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხები – შპს „...“, ა. ჯ-ე, კ. ხ-ა და შპს „ლ...“ ცნობილ იქნენ ერთმა-

ნეთის ცრუმაგიერ პირებად.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2012 წლის 13 ივლისს შპს „...“ დირექტორმა – დ. შ-ებ განცხადებით მიმართა სსიპ შემოსავლების სამსახურს და კომპანიაში საგადასახადო შემოწმების ჩატარება მოითხოვა. დ. შ-ებ განცხადებაში განმარტა, რომ კომპანიას დაფუძნებიდან 2009 წლის 1 სექტემბრამდე ხელმძღვანელობდა სხვა პირი, კერძოდ – ა. ჯ-ე. დ. შ-ე თავის განცხადებაში აცხადებდა, რომ მან, როგორც ახალმა დირექტორმა, მოიწვია აუდიტორული კომპანია, რომელმაც შეისწავლა საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, რის შედეგადაც გამოვლინდა სალაროს ნაშთების შეუსაბამობა, კერძოდ, გაირკვა რომ 2008 წლის სექტემბერში ა. ჯ-ის, როგორც კომპანიის დირექტორის, რნმუნებითა და დავალებით საწარმოს საბანკო ანგარიშიდან მოიხსნა მნიშვნელოვანი თანხა – 1 200 000 ლარი, რომელიც კომპანიაში არ შესულა და სალაროზე პასუხისმგებელ პირს არ ჩაბარებია. აღნიშნული თანხა დღემდე ყოფილი დირექტორის ა. ჯ-ის განკარგულებაში რჩებოდა.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მიერ დაინიშნა გასვლითი საგადასახადო შემოწმება, რომლის შესახებ კომპანიას გაეგზავნა 2012 წლის 19 ივლისის №21-14/52018 საგადასახადო შეტყობინება. 2012 წლის 18 ივლისს შპს „...“ დირექტორმა დ. შ-ემ სსიპ შემოსავლების სამსახურს ნარუდგინა დაზუსტებული დეკლარაციები, რომელთა საფუძველზეც შპს „...“ საშემოსავლო გადასახადში დაერიცხა – 523 367.02 ლარი, მათ შორის ძირითადი – 374 444.23 ლარი და საურავი 148 922.79 ლარი; შპს „...“ სულ ბიუჯეტის მიმართ ერიცხებოდა დავალიანება – 684 137.63 ლარი, მათ შორის ძირითადი – 483 660.28 ლარი, საურავი – 199 639.48 ლარი და ზედმეტობა – 837.87 ლარი.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ შპს „...“ (ს/ნ ...) დაფუძნდა 2008 წლის 27 მარტს ა. ჯ-ის და ზ. მ-ის მიერ. დირექტორად დაინიშნა ა. ჯ-ე, რომელიც საწარმოს დაფუძნებიდან 2009 წლის 31 აგვისტოს ჩატვლით მართავდა. 2009 წლის 31 აგვისტოს №20366/001 ბრძანების საფუძველზე შპს „...“ დირექტორად დაინიშნა დ. შ-ე. სამენარმეო რეესტრის 2010 წლის 21 აპრილის ამონაწერის შესაბამისად, საწარმოს პარტნიორებს წარმოადგენდნენ – ა. ჯ-ე (11.5%), ზ. მ-ი (11.5%), შპს „გ...“ (2%) და შპს „ს...“ (75%).

საქალაქო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ

2008 წლის სექტემბერში შპს „...“ დირექტორის ა. ჯ-ის დავალებით ლ. ნ-ემ (დისტრიბუციის უფროსი) საწარმოს საბანკო ანგარიშიდან ჯამურად გაიტანა თანხა – 1 200 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა კომპანიის საჭიროებისათვის არ გამოყენებულა და კომპანიისათვის არც დაბრუნებულა. ფაქტობრივად საწარმომ თანხა გასცა დირექტორ – ა. ჯ-ეზე, რომელსაც ამ თანხით კომპანიისათვის სასარგებლო რაიმე სამეურნეო ოპერაცია არ განუხორციელებია, ხოლო კომპანიას არანაირი ქმედითი ღონისძიებისათვის არ მიუმართავს გატანილი თანხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად. საწარმოს არც ა. ჯ-ისთვის მიუმართავს აღნიშნულის მოთხოვნით და არც კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება გამოიყენებია.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ა. ჯ-ე 2008 წლის 21 აპრილიდან იყო შპს „ლ...“ (ს/ნ ...) ერთადერთი დამფუძნებელი (100%-იანი წილის მფლობელი). 21.04.2008-01.09.2008 წლებში საწარმოს დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი იყო ვ. ბ-ი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2008 წლის 21 ივლისს შპს „ლ...“ გადასცა ავტორიზაციის მოწმობა №266/1, ხოლო კომისიის 2008 წლის 25 ივლისის №433/13 გადაწყვეტილებით შპს „ლ...“ მიენიჭა სიხშირის ზოლი, რის შედეგადაც კომპანიამ მოიპოვა სიხშირული რესურსით სარგებლობის უფლება. მას შემდეგ, რაც ა. ჯ-ემ შპს „...“ გაიტანა თანხა – 1 200 000 ლარის ოდენობით და ნარმოებვა ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ, მან გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისაგან თავის არიდების მიზნით შპს „ლ...“ მის საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი გადასცა კ. ხ-ას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ა. ჯ-ის მიერ გაცემულ იქნა მინდობილობა კ. ხ-აზე, რათა მას თავის თავზე გადაეფორმებინა შპს „ლ...“ 100%-იანი წილი.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი იყო, რომ აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღმრულიყო აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს ჰქონდა ამის კანონიერი ინტერესი.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2010 წლის რედაქციის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო დაადგენდა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისგან და ეს პირი გამოიყენებული იყო გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისთვის

თავის არიდების მიზნით, ითვლებოდა, რომ აღნიშნული პირები ერთიმეორის ცრუმაგიერი პირები იყვნენ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლება ჰქონდა, ცრუმაგიერი პირის მიმართ განეხორციელებინა საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება და ჩატვალი, რომ მოპასუხეები – შპს „...“ (ს/ნ ...), ა. ჯ-ე (პ/ნ ...), კ. ხ-ა (პ/ნ ...) და შპს „ლ...“ (ს/ნ ...) წარმოადგენენ ერთმნეთის ურთიერთდამოკიდებულ პირებს, გამომდინარე იქიდან, რომ შპს „...“ და ა. ჯ-ე მოქმედებდნენ საერთო მიზნით – გაერიდებინათ ფულადი საშუალებები სანარმოდან და ამავდროულად თავი აერიდებინათ, როგორც ბიუჯეტის წინაშე წარმოშობილი ვალდებულებებისთვის, ასევე მოსალოდნელი უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის. სსიპ შემოსავლების სამსახურის მოსაზრებით, საგადასახადო მიზნებისათვის შპს „...“ და ა. ჯ-ე აღნიშნული ოპერაციის ფარგლებში საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის შესაბამისად ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებს წარმოადგენდნენ. მათ შორის განხორციელებული ოპერაცია შედეგობრივად მიმართული იყო სანარმოდან მნიშვნელოვანი ფულადი რესურსების გარიდების გზით კუთვნილი საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობისაკენ და გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისაგან თავის არიდებისაკენ.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, ა. ჯ-ე, შპს „ლ...“ და კ. ხ-ა წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს, ვინაიდან, ა. ჯ-ის მიერ გაცემულ იქნა მინდობილობა კ. ხ-აზე, რომელსაც მინდობილობით ევალებოდა განეკარგა სანარმოს ქონება. საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის შესაბამისად, ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებოდნენ ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობას შეიძლება გავლენა მოქმედინა მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნებოდა ურთიერთობები, რომელთა დროსაც ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებდა მეორე პირს. ა. ჯ-ემ კ. ხ-ას მეშვეობით გაარიდა არამატერიალური ქონება თავისი საკუთრებიდან (წილის გადამალვა) და ამ გზით თავი აარიდა შპს „...“ თანხის გატანით მი-

ღებული შემოსავლის დაბეგვრის შემთხვევაში შესასრულებელ საგადასახადო ვალდებულებას და მოსალოდნელი გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, საქალაქო სა-სამართლო მიიჩნია, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩევი - შპს „...“ (ს/ხ ...), ა. ჯ-ის (პ/ნ ...), კ. ხ-ას (პ/ნ ...) და შპს „ლ...“ (ს/ხ ...) ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად ცნობის შესახებ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 5 სექტემბრის დამატებითი გადაწყვეტილებით სსიპ შემოსავლების სამსახურის მოთხოვნა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძვლად მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტზე, რომლითაც დადგენილი იყო, რომ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლო შეეძლო თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოეტანა დამატებითი გადაწყვეტილება, თუ იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა.

შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის გზით გადაწყვეტილების – სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩევში დაყენებული საკითხი – საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებები სააპელაციო წესით გაასაჩივრეს კ. ხ-ამ, შპს „ლ...“ და ა. ჯ-ემ. აპელანტებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებისა და 5 სექტემბრის დამატებითი გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით კ. ხ-ას, შპს „ლ...“ და ა. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება, ასევე 2012 წლის 5 სექტემბრის დამატებითი გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; გაუქ-

მდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 ივლისის და 2012 წლის 10 აგვისტოს განჩინებებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი კვალიფიკაცია არ ქმნიდა საფუძველს იმისათვის, რომ მოპასუხები – შპს „...“, შპს „ლ...“, ა. ჯ-ე და კ. ხ-ა საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს მიერ აღიარებული ყოფილიყვნენ ერთიმეორის ცრუმაგიერ პირებად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის 1-ლი ნაწილის (2010 წლის რედაქცია) მიხედვით, თუ სასამართლო დაადგენდა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისგან და ეს პირი გამოყენებული იყო გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით, ითვლებოდა, რომ აღნიშნული პირები იყვნენ ერთიმეორის ცრუმაგიერი პირები. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლება ჰქონდა, ცრუმაგიერი პირის მიმართ განეხორციელებინა საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე ცრუმაგიერ პირებად აღიარებისათვის სახეზე უნდა ყოფილიყო გადასახადის გადამხდელის განსხვავების შეუძლებლობა სხვა იმ პირისაგან, რომელიც გამოყენებული იყო გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით ანუ გადასახადის გადამხდელი პირი, რომელსაც გააჩნდა საგადასახადო ვალდებულებები, მისი გადახდისაგან თავის არიდების მიზნით ისეთ კავშირში შედიოდა სხვა პირთან, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო მათი განსხვავება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებას აფუძნებდა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: შპს „...“ (ს/ხ ...) დაფუძნდა 2008 წლის 27 მარტს, დამფუძნებლები იყვნენ ა. ჯ-ე და ზ. მ-ი. დირექტორად დაინიშნა ა. ჯ-ე, რომელიც მართავდა სანარმოს დაფუძნებიდან 2009 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით. 2009 წლის 31 აგვისტოს №20366/001 ბრძანების საფუძველზე, შპს „...“ დირექტორად დაინიშნა დ. შ-ე. სამენარმეო რეესტრის 2010 წლის 21 აპრილის ამონანები.

რის შესაბამისად, საწარმოს პარტნიორებს წარმოადგენდნენ ა. ჯ-ე (11.5%), ზ. მ-ი (11.5%), შპს „გ...“ (2%) და შპს „ს...“ (75%). 2012 წლის 13 ივლისს შპს „...“ დირექტორმა – დ. შ-ემ განცხადებით მიმართა შემოსავლების სამსახურს და კომპანიაში საგადასახადო შემოწმების ჩატარება მოითხოვა და მიუთითა, რომ მან, როგორც ახალმა დირექტორმა, მოიწყია აუდიტორული კომპანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად, რის შედეგადაც გამოვლინდა საწარმოში სალაროს ნაშთების შეუსაბამობა, კერძოდ, გაირკვა, რომ 2008 წლის სექტემბერში ა. ჯ-ის, როგორც კომპანიის დირექტორის, რწმუნებითა და დავალებით საწარმოს საბანკო ანგარიშიდან მოხსნილ იქნა მნიშვნელოვანი თანხა – 1 200 000 ლარი, რომელიც კომპანიაში არ შესულა და სალაროზე პასუხისმგებელ პირს არ ჩაბარებია, არამედ აღნიშული თანხა დღემდე ყოფილი დირექტორის ა. ჯ-ის განკარგულებაში რჩებოდა. სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მიერ დაინიშნა გასვლითი საგადასახადო შემოწმება. 2012 წლის 18 ივლისს შპს „...“ დირექტორმა დ. შ-ემ სსიპ შემოსავლების სამსახურს წარუდგინა დაზუსტებული დეკალარაციები, რომელთა საფუძველზეც შპს „...“ საშემოსავლო გადასახადში დაერიცხა – 523 367.02 ლარი, მათ შორის ძირითადი – 374 444.23 ლარი და საურავი – 148 922.79 ლარი. შპს „...“ სარჩელის აღძვრის დღეს ბიუჯეტის მიმართ ერიცხებოდა დავალიანება – 684 137.63 ლარის ოდენობით, მათ შორის ძირითადი – 483 660.28 ლარი, საურავი – 199 639.48 ლარი და ზედმეტობა – 837.87 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „...“ მიერ სამოქალაქო დავა იქნა აღძრული სასამართლოში საწარმოს ყოფილი დირექტორის ა. ჯ-ის წინააღმდეგ, საწარმოდან გატანილი 2 მილიონი ლარის დაბრუნების მოთხოვნით (რომელიც ამ ეტაპზე დასრულებული არ იყო). ამასთან, შპს „...“ ა. ჯ-ის წინააღმდეგ მიმართ პროკურატურას საწარმოს კუთვნილი თანხების დატაცების ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით (რაც ასევე არ დასრულებულა).

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სსიპ შემოსავლების სამსახურის პოზიცია და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ზემოაღნიშნული გარემოებები არ ქმნიდნენ საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ შპს „...“ და ა. ჯ-ე ერთიმეორის ცრუმაგიერ პირებად მიჩნეულიყვნენ. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები მოსარჩელის მიერ სარჩელის საფუძლად მითითებული იმ ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, რომ

ა. ჯ-ის მიერ საწარმოდან გატანილი იქნა – 1 200 000 ლარი, რომელიც საწარმოს არ მოხმარდა და დარჩა მის განკარგულებაში. აღნიშნული გარემოება მხოლოდ საწარმოს ახალი დირექტორის განცხადებას ეფუძნებოდა და მის შესახებ სხვა მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვებოდა – არც შემოსავლების სამსახურის გასვლითი საგადასახადო შემოწმების აქტის, არც სასამართლოს გადაწყვეტილების, არც საგამოძიებო ორგანოს დასკვნის და არც თვით საწარმოს აუდიტორული შემოწმების აქტის სახით. საქმეში წარმოდგენილი იყო მხოლოდ 2008 წლის სექტემბრის თვეში საწარმოს ანგარიშიდან უფლებამოსილ პირის, ლ. ნ-ის მიერ თანხების გატანის შესახებ მტკიცებულებები, ხოლო ინფორმაცია ამ თანხების ა. ჯ-ის მიერ მისაკუთრების ან არამიზნობრივი ხარჯვის შესახებ საქმეში არ მოიპოვებოდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურებული იქნებოდა ა. ჯ-ის, როგორც მპს „...“ დირექტორის მიერ საწარმოს კუთვნილი თანხის – 1 200 000 ლარის არამიზნობრივად გამოყენება, აღნიშნული მაინც არ ქმნიდა საფუძველს შპს „...“ და ა. ჯ-ის ცრუმაგიერ პირებად აღიარებისათვის, რადგან მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელი არ იყო შპს „...“, როგორც გადასახადის გადამხდელის განსხვავება ა. ჯ-ისგან, რომელსაც აღნიშნული ქმდებისათვის დამიუკიდებლად ეკისრებოდა ვალდებულება საწარმოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით. ამასთან, საყურადღებო იყო ის გარემოებაც, რომ დადგენილი არ იყო 2008 წლის სექტემბერში, გააჩნდა თუ არა საწარმოს შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებები, რომელთა უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის თავის არიდების მიზნით ა. ჯ-ის მიერ განხორციელდა საწარმოდან სადაცო თანხების გატანა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შპს „...“ არსებული საგადასახადო ვალდებულება წარმოეშვა მას შემდეგ, რაც სსიპ შემოსავლების სამსახურში 2012 წლის 18 ივლისს შპს „...“ დირექტორმა დ. შემ წარადგინა დაზუსტებული დეკლარაციები და მათ საფუძველზე შპს „...“ დაერიცხა საშემოსავლო გადასახადი.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის პოზიცია შპს „ლ...“ და კ. ხ-ასთან მიმართებაშიც. აღნიშნავი იყო, რომ საგადასახადო ორგანოს პოზიცია აღნიშნულ პირებთან დაკავშირებით ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს: ა. ჯ-ე 2008 წლის 21 აპრილიდან იყო შპს „ლ...“ (ს/ნ ...) ერთადერთი დამფუძნებელი (100%-იანი ნილის მფლობელი), 21.04.2008-01.09.2008 წლებში საწარმოს დამფუძნებელი და 100%-იანი ნი-

ლის მფლობელი იყო ვ. ბ-ი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2008 წლის 21 ივლისს შპს „ლ...“ გადასცა ავტორიზაციის მოწმობა №266/1, ხოლო კომისიის 2008 წლის 25 ივლისის №433/13 გადაწყვეტილებით შპს „ლ...“ მიენიჭა სიხშირის ზოლი, რას შედეგადაც კომპანიამ მოპოვა სიხშირული რესურსით სარგებლობის უფლება, ხოლო მას შემდეგ რაც ა. ჯ-ემ შპს „...“ გაიტანა თანხა – 1 200 000 ლარი და წარმოეშვა ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ, მან გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისაგან თავის არიდების მიზნით შპს „ლ...“ მის საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი გადასცა კ. ხ-ას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ა. ჯ-ემ შპს „ლ...“ 100%-იანი წილი შეიძინა 2008 წლის სეტემბერში კ. ბ-ისგან, ამ უკანასკნელმა კი „ლ...“ დაფუძნა 2008 წლის აპრილში, სანარმოს სიხშირის ზოლი მიენიჭა 2008 წლის ივლისში. შესაბამისად, მოსარჩელის პოზიცია ა. ჯ-ის მიერ შპს „...“ საგადასახადო ვალდებულებისაგან თავის არიდების მიზნით შპს „ლ...“ დაფუძნებისა და სიხშირული ზოლის მოპოვების შესახებ დაუსაბუთებელი იყო.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2010 წლის 2 დეკემბრის წილის დათმობის ხელშეკრულებით შპს „ლ...“ ა. ჯ-ის 100%-იანი წილი გადაეცა კ. ხ-ას. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან, წილის აღნიშნული ხელშეკრულების დადების დროს არ დასტურდებოდა ა. ჯ-ის შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებების არსებობა, შესაბამისად, დაუსაბუთებელი იყო მოსარჩელის პოზიცია საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებისთვის თავის არიდების მიზნით კ. ხ-ასთან წილის დათმობის ხელშეკრულების დადების შესახებ. ამასთან, საყურადღებო იყო ის გარემოებაც, რომ ა. ჯ-ეს წილის დათმობის ზემოაღნიშნული ხელშეკრულების დადებისას, გარდა შპს „ლ...“ წილისა, ასევე საკუთრებაში გააჩნდა და დღესაც გააჩნია საკმაოდ ფასიანი მატერიალური აქტივები. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საქმეზე წარმოდგენილ ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებზე, რომლებიც ადასტურებდნენ კ. ხ-ას რეალური ინტერესის არსებობას საკაბელო ტელევიზიის მიმართ, რაც არაპირდაპირ ადასტურებდა კ. ხ-ას რეალურ ინტერესს შპს „ლ...“ წილის შეძენისას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არასწორი იყო მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მითითება, ვინა-

იდან, ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის არსებული ეკო-ნომიკური ურთიერთობა იმავდროულად არ ქმნიდა საფუძველს მათი ცრუმაგიერ პირებად აღიარებისათვის, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ნორმა იძლეოდა ურთიერთდამოკიდებული პირების იმგარ განმარტებას, რომ ასეთ პირებად მიჩნეოდნენ ის პირები, რომელთა შორისაც განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობას შეეძლო გავლენა მოეხდინა მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე და ეკონომიკურ შედეგებზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მათ შორის განხორციელებული ეკონომიკურ საქმიანობის საგადასახადო ოგულირება ხდებოდა საერთო ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით და არა იმ პირობების გათვალისწინებით, რაც მათ ურთიერთდამოკიდებულების გამო ერთმანეთისთვის განსაზღვრეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ ურთიერთდამოკიდებული პირებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის არსებობა, მისი დადასტურების შემთხვევაშიც არ ქმნიდა მათი ცრუმაგიერ პირებად აღიარების საფუძველს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საგადასახადო ორგანო მოპასუხებად დასახელებულ პირებს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტზე დაყრდნობით მიიჩნევდა რა ურთიერთდამოკიდებულ პირებად, აღნიშნულიდან გამომდინარე ისინი იმავდროულად ცრუმაგიერ პირებად მიაჩნდა, რაც გაზიარებული ვერ იქნებოდა. საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტის მიხედვით განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნებოდა ურთიერთობები, რომელთა დროსაც პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებდა მესამე პირი. შესაბამისად, ამ მუხლით განსაზღვრული განსაკუთრებული ურთიერთობა სახეზე იყო მაშინ, როდესაც ერთი პირის მიერ მეორე პირის კონტროლი წინ უსწრებდა მათ შორის განხორციელებულ კონკრეტულ საქმიანობას და თვითონ ეს კონკრეტული საქმიანობა არ განიხილებოდა ერთი პირის მიერ მეორის კონტროლად. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდებოდა 2010 წლის 2 დეკემბრის წილის დათმობის ხელშეკრულების დადებამდე ა. ჯ-ის კონტროლს დაქვემდებარებული რაიმე განსაკუთრებული ურთიერთობის არსებობა ა. ჯ-ესა და კ. ხ-ას შორის, თუმცა, ასეთის არსებობის დადასტურების შემთხვევაშიც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით არ არსებოდა მათი ცრუმაგიერ პირებად აღიარებისათვის საკმარისი საფუძველი, ვინაიდან, სახეზე არ იყო საგადასახადო

კოდექსის 246-ე მუხლით განსაზღვრული წანამძღვრები.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქასაციო წე-  
სით გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურმა. კასატორმა  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა პალატის 2012 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების გა-  
უქმდება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაქმაყოფილე-  
ბა მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კო-  
დექსის 246-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სასამარ-  
თლო დაადგენდა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო გადა-  
სახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისგან და ეს პირი  
გამოყენებული იყო გადასახადის გადახდევინების უზრუნველ-  
ყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით, ითვლე-  
ბოდა, რომ აღნიშნული პირები ერთიმეორის ცრუმაგიერი პირე-  
ბი იყვნენ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადასახადის  
გადამხდელის აღიარებული საგადასახადო ორგანოს უფლება ჰქონ-  
და, ცრუმაგიერი პირის მიმართ განეხორციელებინა საგადასა-  
ხადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონის-  
ძიებები.

კასატორის მოსაზრებით, მოპასუხები – შპს „...“ (ს/ნ ...), ა.  
ჯ-ე (პ/ნ ...), კ. ხ-ა (პ/ნ ...) და შპს „ლ...“ (ს/ნ ...) წარმოადგენენ  
ერთმანეთის ურთიერთდამოკიდებულ პირებს, გამომდინარე  
იქიდან, რომ შპს „...“ და ა. ჯ-ე მოქმედებდნენ საერთო მიზნით  
– გაერიდებინათ ფულადი საშუალებები საწარმოდან და ამავ-  
დროულად თავი აერიდებინათ, როგორც ბიუჯეტის წინაშე წარ-  
მოშობილი ვალდებულებებისთვის, ასევე მოსალოდნელი უზ-  
რუნველყოფის ღონისძიებებისთვის.

კასატორის განმარტებით, საგადასახადო მიზნებისათვის  
შპს „...“ და ა. ჯ-ე აღნიშნული ოპერაციის ფარგლებში საქარ-  
თველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის შესაბამისად,  
ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებს წარმოადგენდნენ. მათ შორის  
განხორციელებული ოპერაცია შედეგობრივად მიმართული იყო  
საწარმოდან მნიშვნელოვანი ფულადი რესურსების გარიდების  
გზით კუთვნილი საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებ-  
ლობისაკენ და გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის  
ღონისძიებებისაგან თავის არიდებისაკენ.

ამასთან, კასატორის განმარტებით, საქართველოს საგადა-  
სახადო კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, ა. ჯ-ე, შპს „ლ...“ და  
კ. ხ-ა წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს, ვინაი-  
დან, ა. ჯ-ის მიერ გაცემულ იქნა მინდობილობა კ. ხ-აზე, რო-

გელსაც მინდობილობით ევალებოდა განეკარგა საწარმოს ქონება. საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის შესაბამისად, ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებოდნენ ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობას შეიძლება გავლენა მოქმედინა მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნებოდა ურთიერთობები, რომელთა დროსაც ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებდა მეორე პირს. ა. ჯ-ემ კ. ხ-ას მეშვეობით გაარიდა არამატერიალური ქონება თავისი საკუთრებიდან (წილის გადამალვა) და ამ გზით თავი აარიდა შპს „...“ თანხის გატანით მიღებული შემოსავლის დაბეგვრის შემთხვევაში შესასრულებელ საგადასახადო ვალდებულებას და მოსალოდნელი გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა – შპს „...“ (ს/6 ...), ა. ჯ-ის (ს/6 ...), კ. ხ-ას (ს/6 ...) და შპს „ლ...“ ერთმანეთის ცრუუმაგიერ პირებად ალიარება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 13 თებერვლის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 11 აპრილის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

მონინაალდეგე მხარის – ა. ჯ-ის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 4 ივლისის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-103-96(კ-13) (კასატორი – სსიპ შემოსავლების სამსახური; მოწინაალდეგე მხარე – შპს „...“; შპს „ლ...“; ა. ჯ-ე; კ. ხ-ა; დავის საგანი – ცრუუმაგიერ პირებად ალიარება), საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 4 ივლისის განჩინების საჯაროდ გავრცელებით, მონინაალდეგე მხარეს – ა. ჯ-ეს ეცნობა შემდგომი სასამართლო სხდომის თარიღი.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმი-

ნა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ სისი შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2012 წლის 13 ივნისს შპს „...“ დირექტორმა – დ. შ-ემ განცხადებით მიმართა სისი შემოსავლების სამსახურს და კომპანიაში საგადასახადო შემოწმების ჩატარება მოითხოვა. დ. შ-ემ განცხადებაში განმარტა, რომ კომპანიას დაფუძნებიდან 2009 წლის 1 სექტემბრამდე ხელმძღვანელობდა სხვა პირი, კერძოდ – ა. ჯ-ე. დ. შ-ე თავის განცხადებაში აცხადებდა, რომ მან, როგორც ახალმა დირექტორმა, მოიწვია აუდიტორული კომპანია, რომელმაც შეისწავლა საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, რის შედეგადაც გამოვლინდა სალაროს ნაშთების შეუსაბამობა, კერძოდ, გაირკვა რომ 2008 წლის სექტემბერში ა. ჯ-ის, როგორც კომპანიის დირექტორის, რწმუნებითა და დავალებით საწარმოს საბანკო ანგარიშიდან მოიხსნა მნიშვნელოვანი თანხა – 1 200 000 ლარი, რომელიც კომპანიაში არ შესულა და სალაროზე პასუხისმგებელ პირს არ ჩაბარებია. აღნიშნული განცხადების საფუძველზე, სისი შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მიერ დაინიშნა გასვლითი საგადასახადო შემოწმება, რომლის შესახებ კომპანიას გაეგზავნა 2012 წლის 19 ივნისის №21-14/52018 საგადასახადო შეტყობინება. 2012 წლის 18 ივნისს შპს „...“ დირექტორმა დ. შ-ემ სისი შემოსავლების სამსახურს წარუდგინა დაზუსტებული დეკლარაციები, რომელთა საფუძველზეც შპს „...“ საშემოსავლო გადასახადში დაერიცხა – 523 367.02 ლარი, მათ შორის ძირითადი – 374 444.23 ლარი და საურავი 148 922.79 ლარი. შპს „...“ სარჩელის აღმდეგის დროს ბიუჯეტის მიმართ ერიცხებოდა დავალიანება – 684 137.63 ლარის ოდენობით, მათ შორის ძირითადი – 483 660.28 ლარი, საურავი – 199 639.48 ლარი და ზედმეტობა – 837.87 ლარი.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ შპს „...“ (ს/ნ ...) დაფუძნდა 2008 წლის 27 მარტს ა. ჯ-ის და ზ. მ-ის მიერ. დირექტორად დაინიშნა ა. ჯ-ე, რომელიც მართავდა საწარმოს დაფუძნებიდან 2009 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით. 2009 წლის 31 აგვისტოს №20366/001 ბრძანების საფუძველზე, შპს „...“ დირექტორად დაინიშნა დ. შ-ე. სამეწარმეო რეესტრის 2010 წლის 21 აპრილის ამონაწერის შესაბამისად, საწარმოს პარტნიორებს წარმოადგენდნენ – ა. ჯ-ე (11.5%), ზ. მ-ი

(11.5%), შპს „გ...“ (2%) და შპს „...“ (75%).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ 2008 წლის სექტემბერში შპს „...“ დისტრიბუციის უფროსმა ლ. ნ-ებ (ა. ჯ-ის რნმუნებული და მინდობილი პირი) საწარმოს საბანკო ანგარიშიდან ჯამურად გაიტანა თანხა – 1 200 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა კომპანიის საჭიროებისათვის არ გამოყენებულა და კომპანიისათვის არც დაბრუნებულა.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ ა. ჯ-ე 2008 წლის სექტემბრიდან იყო შპს „ლ...“ (ს/ნ ...) 100%-იანი წილის მფლობელი, ხოლო 21.04.2008-01.09.2008 წლებში საწარმოს დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი იყო ვ. ბ-ი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2008 წლის 21 ივლისს შპს „ლ...“ გადასცა ავტორიზაციის მოწმობა №266/1, ხოლო კომისიის 2008 წლის 25 ივლისის №433/13 გადაწყვეტილებით შპს „ლ...“ მიენიჭა სიხშირის ზოლი, რის შედეგადაც კომპანიამ მოიპოვა სიხშირული რესურსით სარგებლობის უფლება. 2010 წლის 29 ოქტომბერს ა. ჯ-ის მიერ გაცემულ იქნა მინდობილობა კ. ხ-აზე, რათა მას შემდეგ გაესხვის ებინა და თავის თავზე გადაეფორმებინა შპს „ლ...“ 100%-იანი წილი. 2010 წლის 2 დეკემბერს კ. ხ-ამ შეიძინა ა. ჯ-ის საკუთრებაში არსებული შპს „ლ...“ 100%-იანი წილი.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებებს და აღნიშნავს, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი კვალიფიკაცია არ ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ მოპასუხეები – შპს „...“, შპს „ლ...“, ა. ჯ-ე და კ. ხ-ა საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს მიერ აღიარებული იქნენ ერთიმეორის ცრუმაგიერი პირებად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის 1-ლი ნაწილის (2010 წლის რედაქცია) მიხედვით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისგან და ეს პირი გამოყენებული არის გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით, ითვლება, რომ აღნიშნული პირები არიან ერთიმეორის ცრუმაგიერი პირები. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლება აქტს, ცრუმაგიერი პირის მიმართ განახორციელოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს და მიიჩნევს, რომ საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ცრუმაგიერ პირებად აღიარებისათვის სახეზე უნდა იყოს გადასახადის გადამხდელის განსხვავების შეუძლებლობა სხვა იმ პირისაგან, რომელიც გამოყენებული არის გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით ანუ გადასახადის გადამხდელი პირი, რომელსაც გააჩნია საგადასახადო ვალდებულებები, მისი გადახდისაგან თავის არიდების მიზნით ისეთ კავშირში შედის სხვა პირთან, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი არის მათი განსხვავება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორის – სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ შპს „...“ და ა. ჯ-ის ერთიმეორის ცრუმაგიერ პირებად ცნობის საფუძვლად მითითებული არის ის გარემოება, რომ 2008 წლის სექტემბერში შპს „...“ დისტრიბუციის უფროსმა ლ. ნ-ემ (ა. ჯ-ის მიზნდობილი პირი) სანარმოს საპანკო ანგარიშიდან ჯამურად გაიტანა თანხა – 1 200 000 ლარის ოდენობით, რომელიც სანარმოს არ მოხმარდა და დარჩა ა. ჯ-ის განკარგულებაში. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ 2008 წლის სექტემბრის თვეში სანარმოს ანგარიშიდან უფლებამოსილი პირის, ლ. ნ-ის მიერ თანხების გატანის შესახებ მტკიცებულებები, ხოლო ინფორმაცია ამ თანხების ა. ჯ-ის მიერ მისაკუთრების ან არამიზნობრივი ხარჯვის შესახებ საქმეში არ მოიპოვება – არც შემოსავლების სამსახურის გასვლითი საგადასახადო შემოწმების აქტის, არც სასამართლო გადაწყვეტილების, არც საგამოძიებო ორგანოს დასკვნის და არც თვით სანარმოს აუდიტორული შემოწმების აქტის სახით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შპს „...“ მიერ სამოქალაქო დავა იქნა აღძრული სასამართლოში სანარმოს ყოფილი დირექტორის ა. ჯ-ის წინააღმდეგ, სანარმოდან გატანილი 2 მილიონი ლარის დაბრუნების მოთხოვნით (რომელიც ამ ეტაპზე დასრულებული არ არის). ასევე, შპს „...“ ა. ჯ-ის წინააღმდეგ მიმართა პროკურატურას სანარმოს კუთვნილი თანხების დატაცების ფაქტზე გამოიების დაწყების მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და განმარტავს, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურდებოდა ა. ჯ-ის, როგორც შპს „...“ დირექტორის მიერ სანარმოს კუთვნილი თანხის

– 1 200 000 ლარის არამიზნობრივად გამოყენება, აღნიშნული მაინც არ ქმნიდა საფუძველს შპს „...“ და ა. ჯ-ის ცრუმაგიერ პირებად აღიარებისათვის, რადგან მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელი არ იყო შპს „...“, როგორც გადასახადის გადამხდელის განსხვავება ა. ჯ-ისგან, რომელსაც აღნიშნული ქმედებისათვის დამოუკიდებლად ეკისრებოდა ვალდებულება სანარმოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ დადგენილი არ არის 2008 წლის სექტემბერში, გააჩნდა თუ არა სანარმოს შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებები, რომელთა უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის თავის არიდების მიზნით ა. ჯ-ის მიერ განხორციელდა სანარმოდან სადავო თანხების გატანა.

საკასაციო სასამართლო ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის პოზიციას შპს „ლ...“ და კ. ხ-ასთან მიმართებაში. საგადასახადო ორგანოს პოზიცია აღნიშნულ პირებთან დაკავშირებით ეფუძნება იმ გარემოებას, რომ 2008 წლის სექტემბერში ანუ შპს „...“ 1 200 000 ლარის გატანის პერიოდში ა. ჯ-ემ შეიძინა შპს „ლ...“ 100%-იანი წილი, რომელიც შემდგომ გადაეცა კ. ხ-ას.

საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ა. ჯ-ემ შპს „ლ...“ 100%-იანი წილი შეიძინა 2008 წლის სექტემბერში ვ. ბ-ისგან, ამ უკანასკნელმა კი შპს „ლ...“ დააფუძნა 2008 წლის 21 აპრილს. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2008 წლის 21 ივლისს შპს „ლ...“ გადასცა ავტორიზაციის მოწმობა №266/1, ხოლო კომისიის 2008 წლის 25 ივლისის №433/13 გადაწყვეტილებით შპს „ლ...“ მიენიჭა სიხშირის ზოლი, რის შედეგადაც კომპანიამ მოიპოვა სიხშირული რესურსით სარგებლობის უფლება. შესაბამისად, კასატორის პოზიცია ა. ჯ-ის მიერ შპს „...“ საგადასახადო ვალდებულებისაგან თავის არიდების მიზნით შპს „ლ...“ დაფუძნებისა და სიხშირული ზოლის მოპოვების შესახებ დაუსაბუთებელია.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ 2010 წლის 2 დეკემბრის წილის დათმობის ხელშეკრულებით შპს „ლ...“ ა. ჯ-ის 100%-იანი წილი გადაეცა კ. ხ-ას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვინაიდან, წილის დათმობის აღნიშნული ხელშეკრულების დადების დროს არ დასტურდებოდა ა. ჯ-ის შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებების არსებობა, დაუსაბუთებელია კასატორის პოზიცია საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით კ. ხ-ასთან წილის დათმობის ხელშეკრულების დადების შესახებ. ამასთან, საყურადღებოა ის გარე-

მოებაც, რომ ა. ჯ-ეს წილის დათმობის ზემოაღნიშნული ხელ-შეკრულების დადებისას, გარდა შპს „ლ...“ წილისა, საკუთრება-ში გააჩნდა საკმაოდ ფასიანი მატერიალური აქტივები. საკასა-ციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენი-ლი ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს გადაწ-ყვეტილებებით დასტურდება, კ. ხ-ას რეალური ინტერესის არ-სებობა საკაბელო ტელევიზიის მიმართ, რაც არაპირდაპირ ადას-ტურებს კ. ხ-ას ინტერესს შპს „ლ...“ წილის შეძენისას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამარ-თლოს განმარტებას საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლთან მიმართებაში და აღნიშნავს, რომ აღნიშნული მუხ-ლის მე-2 ნანილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნება ურთიერთობები, რომელთა დრო-საც პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი. შესაბამისად, ამ მუხლით განსაზღვრული განსაკუთრე-ბული ურთიერთობა სახეზე არის მაშინ, როდესაც ერთი პირის მიერ მეორე პირის კონტროლი წინ უსწრებს მათ შორის განხორ-ცილებულ კონკრეტულ საქმიანობას და თვითონ ეს კონკრე-ტული საქმიანობა არ განიხილება ერთი პირის მიერ მეორის კონ-ტროლად. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დას-ტურდება 2010 წლის 2 დეკემბრის წილის დათმობის ხელშეკ-რულების დადებამდე ა. ჯ-ის კონტროლს დაქვემდებარებული რაიმე განსაკუთრებული ურთიერთობის არსებობა ა. ჯ-ესა და კ. ხ-ას შორის, თუმცა, ასეთის არსებობის შემთხვევაშიც არ არ-სებობს მათი ცრუმაგიერ პირებად აღიარებისათვის საკმარისი საფუძველი, ვინაიდან, სახეზე არ არის საგადასახადო კოდექ-სის 246-ე მუხლით განსაზღვრული წანამძღვრები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო სადაც საკითხთან დაკავ-შირებით დამატებით განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლით განსაზღვრული აღიარებითი სარჩელი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმი-ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის შესაბამი-სად, მოსარჩელის კანონიერი ინტერესის არსებობისას სასამარ-თლო უფლებამოსილია აღიაროს (დაადასტუროს) კონკრეტუ-ლი სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე მხარე წარადგენს აღ-ნიშნული გარემოების დამადასტურებელ უდავო მტკიცებულე-ბებს. ამდენად, აღიარებითი სარჩელის სპეციფიურობა გამომ-დინარეობს იქიდან, რომ სასამართლო უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველ-

ზე მხოლოდ აღიარებს (ადასტურებს) კონკრეტული სამართა-ლურთიერთობის არსებობა-არარსებობის ფაქტს. საკასაციო სა-სამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მი-ერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ქმნიან მოპასუხეების ცრუმაგიერ პირებად აღიარების საფუძველს. უფრო მეტიც, სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ საერთოდ არ გამოუყვალეულა ის გარემოება, თუ რა ფასად შეიძინა ა. ჯ-ემ შპს „ლ...“ 100%-იანი წილი, მაშინ როდესაც, 100%-იანი წილის ნომინალურ ღი-რებულებად, როგორც წილის შესყიდვის, ისე წილის დათმობის ხელშეკრულებაში – 1000 ლარი არის მითითებული, შპს „...“ კი – 1 200 000 ლარია გატანილი. შესაბამისად, შპს „ლ...“, კ. ხ-ას, ა. ჯ-ისა და შპს „...“ ერთიმეორის ცრუმაგიერ პირებად აღიარება – 1 200 000 ლარის ფარგლებში, მაშინ როდესაც კომპანიაში შექ-ნილი აქციების ღირებულება ბევრად უფრო ნაკლებია, ყოველ-გვარ საფუძველს მოკლებულია.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ საქმეში წარმოდგენილი №5/28389 და №5/20732 სალარო შემოსავლის ორდერების თა-ნახმად, 2008 წლის სექტემბერში (საწარმოდან თანხის გატანის შემდეგ) ლ. 6-ის მიერ 30 000 ლარის და 800 000 აშშ დოლარის გადარიცხვა ერთ-ერთი სხვა კომპანიის ანგარიშზე განხორცი-ელდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **დაადგინა:**

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

## საძიებელი

<b>1. გადასახადის დარიცხვის კანონიერება</b>	
საშემოსაცლო გადასახადის დარიცხვის კანონიერება .....	3
საგადასახადო დარიცხვის კანონიერება .....	20
გადასახადისგან გათავისუფლება .....	40
<b>2. საგადასახადო სამართალდარღვევა</b>	
ა. დაჯარიმება სალარო აპარატის დაკარგვის	
ან გამოუყენებლობის გამო	
დაჯარიმება სალარო აპარატის დაკარგვის გამო .....	52; 140
დაჯარიმება სალარო აპარატის გამოუყენებლობის გამო ...	87; 106
ბ. სხვა სახის ჯარიმები	
დაჯარიმება საქონლის სასაქონლო	
ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების გამო .....	171
<b>3. საგადასახადო მოთხოვნის აღიარებულ</b>	
დავალიანებად ცნობა .....	196
<b>4. ცრუმაგიერ პირებად აღიარების პირობები</b>	209